ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მეცნიერებათა სერია

იაგო კაჭკაჭიშვილი

სოციალური მოქმედების თეორიები

დამზადებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის

„მეცნიერება“
თბილისი
2001

სერიის მთავარი რედაქტორი *მარინე ჩიტაშვილი*

რედაქტორი ლია კაჭარავა

კორექტორი დალი სულაშვილი

საავტორო უფლება (**copy right**) ეკუთვნის ფონდს
„ღია საზოგადოება - საქართველო“

ISBN 99928-891-7-9

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობის მაგიერ 5

თავი I. შესავალი: "სოციალური მოქმედების თეორიის" დასაბუთება 7
1. რატომ "სოციალური მოქმედების თეორია?" 7
2. სოციალური მოქმედების თეორიათა კლასიფიკაცია 9
3. ქცევა, მოქმედება და სოციალური მოქმედება 13
4. I თავის ძირითადი შედეგები 16

თავი II. მაქს ვებერის სოციალური მოქმედების თეორია 19
1. შესავალი: ინდივიდის მოქმედება, როგორც სუბიექტური სახრისის მქონე ქცევა 19
2. სოციალური მოქმედების კატეგორია და მისი ფორმები 24
3. სოციალური ურთიერთობა და მისი ფორმები 32
4. სოციალური მოქმედება და რაციონალობის კონცეფცია 38
5. II თავის ძირითადი შინაარსი 54

თავი III. ტალკოტ პარსონსის სოციალური მოქმედების თეორია 63
1. სოციალური მოქმედების სტრუქტურა - " ერთეული აქტი" 63
2. ღირებულებითი ორიენტაცია - კულტურული ობიექტების ინტერნალიზაცია მოქმედების სისტემაში 74
3. "ეტალონური ცვლადები" - სოციალურ სიტუაციაში არჩევანის შესაძლებლობა 84
4. კრიტიკა 88
5. III თავის ძირითადი შინაარსი 90

თავი IV. რაციონალური არჩევანის თეორია, როგორც უტილიტარული რაციონალური მოქმედების პარადიგმა .. 97
1. შესავალი 97
2. მოთხოვნები რაციონალობაზე 100
3. ფოკუსირება სიტუაციურ ან პროცედურულ რაციონალობაზე 109

4. მოქმედების ზოგადი თუ სპეციალური (კერძო) თეორია? 117
5. RAT - მოქმედების პრივილეგირებული თეორია?! 121
6. კრიტიკა: RAT-ის რედუქციონიზმი 125
7. IV თავის ძირითადი შინაარსი 130

თავი V. სიმბოლური ინტერაქციონიზმი: სოციალური მოქმედება, როგორც "როლების ათვისების" პროცესი ... 139
1. შესავალი: სიმბოლური ინტერაქციონიზმის ძირითადი პრინციპები 139
2. სიმბოლური ინტერაქციონიზმი - სოციალური პრაქსისის თეორია? 151
3. სიმბოლური ინტერაქცია - "როლების ათვისების" პროცესი 155
4. თვითობა: "me" და "I" 160
5. კრიტიკა 164
6. V თავის ძირითადი შინაარსი 166

თავი VI. სოციალური მოქმედება ენტონი გიდენსის სტრუქტურაციის თეორიაში 172
1. შესავალი 172
2. სოციალური პრაქსისის კონცეფცია 175
3. სოციალური ინსტიტუტები 178
4. სოციალური სისტემები 183
5. სტრუქტურის ცნება და სტრუქტურის ორობითობა 185
6. მოქმედი სუბიექტის კონცეფცია 192
7. VI თავის ძირითადი შინაარსი 207

თავი VII. სოციალური მოქმედება ანტირედუქციონისტული თეორიის შუქზე 216
1. "ანტირედუქციონისტული თეორიის" ძირითადი დისკურსები 216
2. აქტორი 218
3. სტრუქტურა 220
4. "სოციალური შემთხვევა" (Social Chance) 222
5. მიკრო-მაკრო და დრო-სივრცე 223
6. VII თავის ძირითადი შინაარსი 224

დასკვნის მაგიერ 228

ვუძღვნი ჩემი მასწავლებლის,
პროფესორ ვ ა ხ ტ ა ნ გ ე რ ქ ო მ ა ი შ ვ ი ლ ი ს
ნათელ ხსოვნას

წინასიტყვაობის მაგივრ

"სოციალური მოქმედების თეორიები" წარმოადგენს სალექციო კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სპეციალობის მაგისტრანტებისათვის. სახელმძღვანელო მომზადდა ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" "სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამით" გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში.

ავტორი დიდ მადლობას უხდის ფონდს "ღია საზოგადოება - საქართველო" გაწეული დახმარებისათვის.

სალექციო კურსის დიდი ნაწილი დაიწერა სამეცნიერო მივლინებების პერიოდში. პირველ ეტაპზე ავტორი, დასახელებული პროგრამის საზღვრებში, იმყოფებოდა (2000 წლის ოქტომბერი-დეკემბერი) ინგლისში, ქ. ლივერპულის უნივერსიტეტში (The University of Liverpool). კურსზე მუშაობა გაგრძელდა აშშ-ი, ნიუ ჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტში (The State University of New Jersey - Rutgers) - 2001 წლის იანვარი-მაისი (OSI, FDF program).

ავტორი ულრმეს მადლიერებას გამოთქვამს იმ ადიარებული მეცნიერების მიმართ, რომლებმაც ძალზე ნაყოფიერი კონსულტაციები გასწიეს სალექციო კურსის სათანადო დონის უზრუნველსაყოფად. ისინი არიან: პროფესორები Ken Roberts და Gerard Delantey (ლივერპულის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრა), აგრეთვე, პროფესორი Ira J. Cohen (ნიუ ჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრა).

წარმოდგენილი სალექციო კურსი თეორიული სოციოლოგიის აღნიშნულ სფეროში სახელმძღვანელოს მომზადების პირველი მცდელობაა. ცხადია, იგი არასრულია, რამდენადაც მასში არ შესულა სოციალური მოქმედების თეორიის ყველა ვარიაცია. წიგნში, ძირითადად, გადმოცემულია ის თეორიები, რომლებიც სოციალური მოქმედების პრობლემის ყველაზე ფუნდამენტურ კვლევებს წარმოადგენს.

ავტორი იმედოვნებს, რომ სახელმძღვანელო სასარგებლო იქნება, პირველ რიგში, სოციოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

I ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ: "ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ" ᲓᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲐ

1. რატომ "სოციალური მოქმედების თეორია?"

"სოციალური მოქმედების" კატეგორია სოციოლოგიაში თეორიული რეფლექსიის პერმანენტული ობიექტია. სოციალური მოქმედების თეორიათა მკვლევრები (A. Dawe, 1979: 363) სამართლიანად მიუთითებენ, რომ სოციალური მოქმედების იდეა ცენტრალური იყო სოციოლოგიური აზროვნებისათვის, როგორც ფუნდამენტური ანალიტიკური "ხრუნვის" საგანი. სოციოლოგია წარმოადგენს სოციალური მოქმედების - მისი ბუნების, წყაროების და შედეგების - შესახებ თეორეტიზირების ფართო ასპარეზს. ამგვარი თეორეტიზირება განმსაზღვრელი იყო სოციოლოგიური აზრის მთელი ისტორიისათვის, რასაც ის ელემენტარული დაკვირვებაც ცხადყოფს, რომ სოციოლოგია მარადიულად ეხება ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის პრობლემას, რასაც, სხვანაირად, სოციალურ ***მოქმედებასა*** და სოციალურ ***სისტემას*** შორის ურთიერთობის პრობლემა შეიძლება ეწოდოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაისმის კითხვა: თუ სოციოლოგიის მთელი ისტორია სოციალურ მოქმედებაზე რეფლექსიაა, მაშინ რა ქმნის "სოციალური მოქმედების თეორიის" სპეციფიკას? საქმე ისაა, რომ ამგვარი თეორია იქმნება მაშინ, როდესაც სოციალური მოქმედების კატეგორია თეორიული სისტემის ***საფუძველია***, ანუ იქმნება ***საკუთრივ*** სოციალური მოქმედების თეორიული მოდელები. ამ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორია გამოიყენება არა როგორც სხვა თვალსაზრისთა დასაბუთების ან დაფუძნების ***საშუალება***, არამედ იგი თავად არის სისტემური კვლევის ***მიზანი.***

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები ურთიერთობას ამყარებენ ერთმანეთთან და ცდილობენ გაიგონ როგორც საკუთარი, ისე სხვათა

მოქმედების მნიშვნელობა. ამ ტრივიალური და პრობაული ვითარების მიღმა არსებობს ცხარე და ხანგრძლივი ფილოსოფიური და სოციოლოგიური დისკუსიები, რომლებიც ადამიანის მოქმედების განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ასდენს. ძალზე ზოგადი თვალსაზრისით, ინდივიდის მოქმედებაზე თეორიული ინტერპრეტაციები შეიძლება ორ - ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ - ჯგუფად დავყოთ (I. J. Cohen, 2000: 95-6). ფილოსოფიური რეფლექსია მოქმედების ***ჯერარსული*** (მეტაფიზიკური) საფუძვლების გაგებაზე ორიენტირდება. ეს ძირითადად ნიშნავს მოქმედების ეთიკურობის, ანუ მოქმედებაში ეთიკური პრინციპების რეალიზების შესაძლებლობების კვლევას. თავის მხრივ, აღნიშნული ორიენტაციის ფარგლებშიც დაიძებნება განსხვავებული (ურთიერთსაპირისპიროც კი) მიდგომები. ერთ გენერალურ, დომინანტურ ხაზს ქმნის ***უტილიტარული*** თერიულ-ფილოსოფიური პოზიცია, რომლის ცენტრალურ იდეას წარმოადგენს ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ პოზიციის თანახმად, ინდივიდების ("აქტორების") მოქმედება მოტივირებულია იმით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი სოციალური კეთილდღეობა, რაც სურვილების მაქსიმალურ დაკმაყოფილებასა და წარმატებების გაზრდაში, შესაბამისად, დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანასა და დისკომფორტის შემცირებაში გამოიხატება. უტილიტარულ პოზიციას საფუძველი ადრეულ ახალ დროში ჩაეყარა (ლოკი, ჰობსი, იუმი), თუმცა, ძირითადად, დაკავშირებულია ბენტამისა და ჯ. ს. მილის სახელებთან.

მეორე გენერალური ფილოსოფიური რეფლექსია ***ანტიუტილიტარული*** სულისკვეთების მატარებელია. ეს სულისკვეთება ყველაზე რელიეფურად კანტისა და რომანტიკოსი ფილოსოფოსების ნაზრევში აისახა. ანტიუტილიტარიზმი აღიარებს ეთიკური ღირებულებების (პრინციპების) ავტონომიურობას და უარყოფს მათი ინდივიდთა მოთხოვნილებებზე (სურვილებზე) დაყვანის, რედუქციის შესაძლებლობას. პირიქით, მოითხოვს, რომ ინდივიდის მოქმედების მორალურობა "გაიზომოს" ინტერსუბიექტური და ინვარიანტული კრიტერიუმების საფუძველზე.

მოქმედების სოციოლოგიური ინტერპრეტაცია, ანუ, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, "მოქმედების სოციალური თეორია", აქცენტს სვამს მოქმედებაზე როგორც ***ემპირიულ ფენომენზე***. იგი ძირითადი ყურადღების მიღმა ტოვებს მოქმედების ჯერარსულ-მეტაფიზიკურ საფუძვლებს და ფილოსოფიურ კვლევას ანაცვლებს მოქმედების ემპირიული ბუნების და კანონზომიერების კვლევით. მაგალითად, უტილიტარული ფილოსოფიური პოზიცია ემპირიის, ე.ი. სოციოლოგიის "ენაზე" ითარგმნა "რაციონალური არჩევანის თეორიის" სახით, რომელიც ფოკუსირდება სოციალური ორგანიზაციის შესწავლაზე, ხოლო ანტიუტილიტარული სულიკვეთების სოციოლოგიური ტრანსფორმაცია გამოიხატა შემდეგ კითხვებში: არის თუ არა სოციალური მოქმედება ინდივიდთა ("აქტორთა") თავისუფალი

სურვილების გამოხატულება თუ დეტერმინირებულია სოციალიზაციის პროცესით? არის თუ არა მოქმედება მოტივირებული ინდივიდთა კერძო ინტერესებით, თუ იგი სახოგადოებრივი ვალდებულებების პროდუქტია?

მოქმედების სოციალური თეორია იწყებს მოქმედების ელემენტარული თვისებების ანალიზით და ცდილობს შექმნას მოქმედების სოციალური მოდელები, ანუ მონახოს ანალიზისათვის ჰომოგენური სოციალური განზომილებები. ეს საჭიროა იმისათვის, რათა მოქმედების უამრავი ემპირიული ინტერპრეტაციის ლაბირინთებში ანალიზისათვის ტიპიური ორიენტაციები დაიძებნოს და ჩამოყალიბდეს სოციალური მოქმედების თეორიის მეტ-ნაკლებად სტაბილური სტრუქტურა.

2. სოციალური მოქმედების თეორიათა კლასიფიკაცია

სოციალური მოქმედების თეორიათა კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ***ორ*** საფუძველზე:

ერთ შემთხვევაში სოციალური მოქმედების თეორიები მოიაზრება სოციოლოგიისათვის მნიშვნელოვანი - ***მოდვაწეობა/სტრუქტურა*** (Agency/Structure) - დუალიზმის ფარგლებში. აღნიშნულ დიხოტომიას ზოგჯერ (P. Sztompka, 1994: xi) "მოქმედებასა და ინსტიტუტს", "აქტორსა და ორგანიზაციას" შორის დაპირისპირებული ურთიერთობის სახელითაც მოიხსენიებენ. მე-20 საუკუნის სამოცდაათიან წლებში სოციოლოგიის სფერო, ძირითადად, განაწილდა ე.წ. "მაკროთეორიებსა" და "მიკროთეორიებს" შორის. ***მაკროთეორიები*** აქცენტს სვამს სახოგადოების მკაცრად ორგანიზაციულ, ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ასპექტებზე (კონფლიქტის თეორია, სტრუქტურალისტური მარქსიზმი, ნეო-ვებერიანული ინსტიტუციური ორიენტაცია და სხვ.). ***მიკროთეორიები,*** პირიქით, აქცენტს სვამს ინდივიდუალურ მოქმედებაზე, მნიშვნელობაზე, სიმბოლოებზე, ცნობიერებაზე და რეალობის სუბიექტურ კონსტრუირებაზე (მაგ., გაცვლის და რაციონალური არჩევანის თეორია, სიმბოლური ინტერაქციონიზმი, დრამატურგიული თეორია, ეთნომეთოდოლოგია, ფენომენოლოგია). მაკრო და მიკროთეორიებს შორის დაპირისპირებამ სათავე დაუდო სოციალური ანალიზის ტიპებსა და დისკურსებს შორის კონფლიქტს (A. Dawe, 1979: 366), როგორიცაა ორგანიციზტული და მექანისტური მიდგომები, მე-

თოდოლოგიური კოლექტივიზმი და ინდივიდუალიზმი, ჰოლიზმი და ატომიზმი, კონსერვატორული და ემანსიპატორული მიდგომები და ა.შ.[1]

აღნიშნული დუალიზმის ფარგლებში, სოციალური მოქმედების თეორიები იყოფა იმის მიხედვით, თუ რაზე ასდენენ ისინი ორიენტაციას: ა) აგენტზე (აქტორზე) და მის საქმიანობაზე ბ) აგენტისათვის გარემდებარე (დისტანცირებულ) სოციალურ სტრუქტურებზე და გ) აგენტსა და სტრუქტურას შორის კომპრომისზე. ***აგენტზე და მის საქმიანობაზე*** ორიენტირებული თეორიები, რომლებიც "მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის" პოზიციაზე დგას (ვებერის თეორია, რაციონალური არჩევანის თეორია, სიმბოლური ინტერაქციონიზმი და სხვ.), აღიარებს, რომ სოციალური სტრუქტურები (ინსტიტუტები, ორგანიზაციები) არ წარმოადგენს მადეტერმინირებელ ფაქტორებს, მთავარი ისაა, თუ როგორ მოქმედებენ ინდივიდები და როგორ აგებენ ისინი მათ გარშემო სოციალურ სამყაროს. ამის საპირისპიროდ, სოციალურ ***სტრუქტურაზე ორიენტირებული თეორიები*** (ძირითადად, ფუნქციონალისტური, მაგ., პარსონსის თეორია) ამტკიცებს, რომ სოციალური სტრუქტურა განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებას და მის თავისებურებებს, სტრუქტურა ზღუდავს აქტორის მოქმედების ავტონომიურობას და მას განსაზღვრულ კალაპოტს უძებნის. რაც შეეხება ***კომპრომისულ თეორიებს*** (მათ, პირველ რიგში, მიეკუთვნება ე. გიდენსის სტრუქტურაციის თეორია), ისინი აღიარებენ მოქმედების და სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულებას, როდესაც სტრუქტურა, ერთი მხრივ, შესაძლებელს ხდის მოქმედების განხორციელებას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად წარმოადგენს მოქმედების შედეგს.

სოციალური მოქმედების დუალისტურ ინტერპრეტაციებს შორის დაპირიპირებას ზოგიერთი მკვლევარი (A. Dawe, 1979: 366-8) იმდენად ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ მას განიხილავს, როგორც ორ - ***სოციალური სისტემის და სოციალური მოქმედების*** - სოციოლოგიას შორის ოპოზიციას. სოციალური სისტემის სოციოლოგიაში აქტორები განიხილებიან, როგორც სოციალური სისტემის ინტერესებს და მიზანს დამორჩილებულნი. მათი პიროვნული იდენტიფიკაცია, ქცევა და ურთიერთობები დეტერმინირებულია

[1] როგორც თანამედროვე მკვლევრები (P. Sztompka, 1994: xii; J. Alexander, 1988: 77) აღნიშნავენ, უახლესი სოციოლოგიური ჰაროვნება ამჟღავნებს მისწრაფებას, რომ გადაილახოს დუალიზმი - მოღვაწეობა/სტრუქტურა და განხორციელდეს სინთეზური ძალისხმევა, რათა საზოგადოების ანალიტიკური კომპლექსურობა უნიფიცირებული სურათის ფარგლებში მოექცეს. ამის გამოხატულებას წარმოადგენს ბერგერისა და ლუკმანის თვალსაზრისი რეალობის სოციალური კონსტრუირების შესახებ, პიერ ბურდიეს თეორია პრაქტიკის ლოგიკის შესახებ, ენტონი გიდენსის სტრუქტურაციის თეორია, M. Archer-ის მორფოგენეზის თეორია და სხვ.

სოციალური სისტემის მოთხოვნებით. ინდივიდები სოციალიზდებიან საზოგადოების ცენტრალურ ღირებულებათა და ნორმათა სისტემაში, ასრულებენ ამ სისტემის შესაბამის სოციალურ როლებს შრომის განაწილებაში და იკავებენ სოციალური სისტემის ფუნქციონალური საჭიროებებიდან გამომდინარე სოციალურ პოზიციას. ამდენად, ინდივიდი ტოტალურად მანიპულირებადი აქტორია - tabulae rasae, რომელზედაც აღბეჭდილია ღირებულებები და ქცევითი სტიმულები სუპრა-ადამიანური[2], თვითკმარი და თვითგანსაზღვრადი სოციალური სისტემის მიერ, რომელიც ყოველთვის ინარჩუნებს ონტოლოგიურ და მეთოდოლოგიურ პრიორიტეტს მისი წევრების მიმართ. ამ საზღვრებში, აქტორი სოციალური სისტემის, როგორც მანქანის, "მექანიკური" ნაწილია, ხოლო სოციალური მოქმედება მთლიანად წარმოადგენს სოციალური სისტემის ***პროდუქტს*** და ნაწარმოებს. რაც შეეხება ოპოზიციის მეორე კიდურა წევრს - სოციალური მოქმედების სოციოლოგიას, იგი სოციალურ სისტემას განიხილავს, როგორც სოციალური მოქმედებისგან და ინტერაქციისგან წარმოებულს. აღნიშნული თვალსაზრისის თანახმად, სოციალური სამყარო იქმნება მისი წევრების მიერ, რომლებიც აღიწერებიან როგორც აქტიური, მიზანმიმართული, თვით და სოციოშემოქმედი არსებები. ამდენად, სოციალური მოქმედების "ენას" წარმოადგენს სუბიექტური მნიშვნელობის ენა, რამდენადაც სოციალური აქტორი განსაზღვრავს მისსავე ცხოვრებას, მიზნებს და სიტუაციებს. ამ ენაზე წარმართავს სუბიექტი თავის მოქმედებას მიზანთა სარეალიზაციოდ, ერთვება სოციალურ ურთიერთობებში და ითვისებს სოციალურ როლებს, როგორც ამ ურთიერთობების შედეგს. შესაბამისად, სოციალური სისტემა და ინსტიტუტები სოციალური ინტერაქციის პროდუქტია და მეორადია (წარმოებულია) სოციალურ მოქმედებასთან მიმართებაში.

ზემოთქმულის გარდა, ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი (I. J. Cohen, 2000: 74) მიუთითებს სოციალური მოქმედების თეორიათა კლასიფიკაციის ***მეორე საფუძველზე***. ამ შემთხვევაში, სოციალური მოქმედების თეორიები დალაგდება ***ორ განზომილებაში:*** განსაზღვრული თეორიები ფოკუსირდება იმაზე, რომ მოქმედება უნდა გაიგებ-

[2] ტერმინი "სუპრა-ადამიანური" წარმოადგენს ჯილს ინგლისური ცნებისა "supra-human". ეს ცნება, რომლის ვარიაციას წარმოადგენს "supra-individual" (ამ ტერმინს არაერთხელ გამოვიყენებთ), შინაარსობრივი თვალსაზრისით, აღნიშნავს იმას, რაც სოციალურია, მაგრამ ინდივიდუალური არ არის, რაც, პირიქით, განსაზღვრავს ინდივიდს, უდგენს მას გარკვეულ სოციალურ დანაწესებს.

ოდეს მასში მონაწილე აქტორის ან აქტორთა *სუბიექტური* (ეგზისტენციური ან ფენომენოლოგიური) ***მნიშვნელობების (საზრისების)*** მიხედვით. ხოლო თეორიათა გარკვეული ჯგუფი გაგებისათვის მისაწვდომი ქცევის მოდელს განსაზღვრავს იმის მიხედვით, თუ როგორ ***წარმოიქმნება და სრულდება (პერფორმირდება)*** მოქმედება. პირველი განზომილების თეორიებს სოციალური მოქმედების ***სუბიექტურ თეორიებს*** უწოდებენ; ხოლო მეორე განზომილების თეორიებს - ***პერფორმატორულს*** (performative). ამ უკანასკნელს სხვანაირად ***პრაქსისის თეორიებს*** (theories of praxis) სახელით აღნიშნავენ. აღწერილი ორი განზომილება, ანუ სოციალური მოქმედების მოდელების ორი ძირითადი წყარო, I. J. Cohen-ის აზრით (2000: 75), ქმნის მეტ-ნაკლებად სტაბილურ ჩარჩოს მე-20 საუკუნის კლასიკური თეორიული მიდგომებისათვის. კერძოდ, სუბიექტური თეორიების წარმომადგენლებად განიხილება მაქს ვებერი და ტალკოტ პარსონსი. რაც შეეხება პერფორმატორულ (ანუ, პრაქსისის) თეორიებს, მათი წარმომადგენლები არიან: ჯონ დიუი და ჯორჯ ჰერბერტ მიდი, ჰაროლდ გარფუნკელი და ენტონი გიდენსი.

მე-20 საუკუნის კლასიკური თეორიების გარდა, აღნიშნული ორი განზომილების ფონზე, მკვლევრების აზრით, არსებობს თითოეული მათგანის სხვადასხვა ვარიაცია. თუმცა, წმინდა ანალიტიკური თვალსაზრისით, მიიჩნევენ, რომ ესა თუ ის ვარიაცია აღნიშნული ორი განზომილებიდან ერთისაკენ იხრება. მეტიც: სოციალური მოქმედების თანამედროვე თეორიებს, რომელთაც ახალი იდეების დაფუძნების პრეტენზია აქვს, საბოლოო ჯამში, კლასიკური თეორიების რესურსებით ნასაზრდოებად თვლიან.

სოციალური თეორიების კლასიფიკაციის აღნიშნულმა ორმა კრიტერიუმმა, შესაძლოა, ***გადაკვეთოს*** (თუმცა, არასოდეს შეიძლება გადაფაროს) ერთმანეთი. საქმე ისაა, რომ აგენტის მოღვაწეობაზე ორიენტირებული თეორიები, ერთი მხრივ, შესაძლოა, მოქმედების სუბიექტურ საზრისზეც სვამდეს აქცენტს (მაგ., ვებერის თეორია), ხოლო, მეორე მხრივ, პრაქსისის თეორიასაც წარმოადგენდეს (მაგ., სიმბოლური ინტერაქციონიზმი). პირიქით, სოციალურ სტრუქტურაზე ორიენტირებული თეორიები, შესაძლოა, ამავე დროს, მოქმედების პერფორმაციის გაგებაზე იყოს მიმართული (ასეთია, მაგ., გიდენსის თეორია)[3].

[3] წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილული იქნება კლასიფიკაციის ორივე კრიტერიუმის მიხედვით დიფერენცირებული თეორიები.

3. ქცევა, მოქმედება და სოციალური მოქმედება

სოციალური მოქმედების გარკვეული თეორიები ერთმანეთისაგან განასხვავებს ***მოქმედების*** და ***ქცევის*** ცნებებს. ამ განსხვავების დასაფიქსირებლად აგრეთვე მიუთითებენ, რომ მოქმედება ქცევაა, ოღონდ არა ***ნებისმიერი***, არამედ, მხოლოდ განსაზღვრული ხასიათის ქცევა. ყველა შემთხვევაში საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას: რა ***კრიტერიუმის*** საფუძველზე ხდება ამგვარი განსხვავების გატარება? შესაძლებელია, გამოვყოთ რამდენიმე თვალსაზრისი, რომლებიც ამის ნათელყოფას ახდენს.

პირველი ყველაზე სერიოზული მცდელობა ამ თვალსაზრისით, ეკუთვნის მაქს ვებერს. იგი ქცევასა და მოქმედებას შორის წყალგამყოფად მიიჩნევს ***საზრისის*** ფლობის ფაქტორს. ადამიანის მოქმედების სპეციფიკას ვებერი (1990: 602-3) უკავშირებს სწორედ სუბიექტური საზრისის (მნიშვნელობის) ქონას. ამისაგან განსხვავებულია ქცევა, რომელიც უსაზრისო - ავტომატურ ან ირაციონალურ - რეაქციებს წარმოადგენს. ტალკოტ პარსონსმა კიდევ უფრო გამოადიფერენცირა მოქმედების კომპონენტები, დაუკავშირა რა იგი მიზანს (საგანთა მომავალ მდგომარეობას), ემპირიულ სიტუაციას და ამ სიტუაციაში აქტორის ნორმატიულ ორიენტაციას.[4]

საინტერესო თვალსაზრისს ავითარებს ამ თვალსაზრისით თანამედროვე ინგლისელი სოციოლოგი Jon Elster-ი (1983). თუმცა, ეს თვალსაზრისი, ძირითადად, ვებერის და პარსონსის თეორიებით არის "ნასაზრდოები". კერძოდ, განსხვავების მთავარ კრიტერიუმად გამოიყენება (J. Elster, 1983: 69-70) "***ინტენციონალობის***" კატეგორია და მოითხოვება, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ინტენციონალური და არაინტენციონალური ქცევები, როდესაც მოქმედება განიხილება როგორც ინტენციონალური ქცევა.[5] რა არის ამ განსხვავების არსი? ინტენციონალურია ქცევა, რომელიც სრულდება იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს განსაზღვრული მიზანი. ასეთი ქცევა აუცილებ-

---

[4] ვებერის და პარსონსის მოქმედების თეორიები დეტალურად II-III თავებში იქნება განხილული.

[5] ინგლისური სიტყვის -"Intentional"- ადეკვატურ თარგმანს ქართულად წარმოადგენს "განზრახვა" ("განზრახულობა"). შინაარსობრივად ეს თარგმანი სავსებით შეესაბამება დედანს. თუმცა, მაინც მიზანშეწონილად მიგვაჩნია "ინტენციონალობის" ცნების გამოყენება. მსავარ მოტივაციას ამ შემთხვევაში მხოლოდ ამ ტერმინის ტექნიკური მოხმარების უპირატესობა წარმოადგენს.

ლად უკავშირდება ***მომავალს***. მოქმედების ინტენციონალურ ახსნას მიმართავენ მაშინ, როდესაც შესაძლებელია მითითება მომავალ მდგომარეობაზე, რისი მიღწევაც სასურველია. ასეთი მოქმედება იმართება მიზნის საფუძველზე, რომელიც არ არსებობს როგორც ფაქტი, ჯერჯერობით არარეალურია და არსებობს მხოლოდ წარმოსახვის და წარმოდგენის დონეზე.

ინტენციონალური ქცევის ახსნის ზოგადი სქემა მოიცავს არა მხოლოდ მიზნებს ან სურვილებს, არამედ რწმენასაც (beliefs). ინტენციის მქონე აგენტი ირჩევს მოქმედებას, რომელიც, მისი რწმენით, წარმოადგენს საშუალებას მიზნის მისაღწევად. ეს არის რწმენა ფაქტიური ვითარებების გარკვეული მიმართულებით განვითარების, მიზანსა და საშუალებებს შორის კაუზალური მიმართებების და ა.შ. შესახებ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ინტენციონალური ახსნა აუცილებლად შეიცავს ***ტრიადულ*** მიმართებას მოქმედებას, სურვილსა და რწმენას შორის.

J. Elster-ი (1983: 71) მიუთითებს ინტენციონალური ქცევის კიდევ ერთ სპეციფიკაზე: როდესაც გვსურს ავხსნათ ქცევის მოდელი მისი გრძელვადიანი პოზიტიური შედეგების საფუძველზე, ვითვალისწინებთ რა აგრეთვე მის მოკლევადიან ნეგატიურ შედეგებს, ჩვენ იმპლიციტურად ვვარაუდობთ ***ცნობიერი გადაწყვეტილების*** მიმღები (decision-maker) აგენტის არსებობას. ცნობიერება შეიძლება განისაზღვროს, როგორც რეპრეზენტაციის მედიუმი, როგორც უნარი, განავითაროს პირდაპირი თუ არაპირდაპირი სტრატეგიები და იპოვოს გამოსავალი თვისებრივად ახალი სიტუაციებიდან. შესაბამისად, "არაცნობიერი ინტენციის" ცნება "მრგვალი კვადრატის" "გაგებას" უახლოვდება. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ არაცნობიერს არავითარი დატვირთვა არა აქვს. პირიქით, მისი მნიშვნელობა უეჭველი გახდება, თუ არაცნობიერს განვსაზღვრავთ როგორც მექანიზმს, რომელმაც სიამოვნებათა ლაბირინთებში უნდა გაგვარკვიოს. მაგრამ, აბსურდია, არაცნობიერი წარმოვიდგინოთ როგორც უნარი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და მიზან-საშუალებათა მიხედვით მოქმედებას.

მოქმედებასა და ქცევას შორის აღნიშნულ განსხვავებას ეხმაურება "*The complete A-Z Sociology Handbook*"-ში მოცემული დეფინიცია (T. Lawson and J. Garrod, 1996: 18), რომელიც მოქმედებას განიხილავს, როგორც ქცევის ***სპეციფიკურ*** სახეს. ქცევა, ზოგადად, უკავშირდება ისეთ მოვლენებს, რომლებშიც ინდივიდები არიან ჩა-

რთულნი და რომლებიც შეიძლება იყოს, ან არც იყოს, განზრახული და დაგეგმილი. ამდენად, ქცევას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა წყარო - ემოციებით და ინსტინქტებით დაწყებული, რაციონალური აზროვნებით დამთავრებული. არ არის აუცილებელი, რომ ქცევა ყველა შემთხვევაში შეიცავდეს ცნობიერად დაგეგმილ მიზანს. ქცევის ***ის შემთხვევა***, რომელიც დაკავშირებულია ცნობიერად დაგეგმილ მიზანთან და ინტენციონალობასთან, არის სწორედ მოქმედება. შესაბამისად, მოქმედება განისაზღვრება (T. Lawson and J. Garrod, 1996: 2) როგორც მიზანდასახული ქცევა, ინსტინქტური ქცევის საპირისპიროდ, როდესაც მოქმედება გაუაზრებელია (unthought) და ავტომატურად ხორციელდება.

ქცევასა და მოქმედებას შორის განსხვავების ნათელყოფის შემდეგ, დადგება საკითხი ***მოქმედებასა*** და ***სოციალურ მოქმედებას*** შორის მიმართების შესახებ. უფრო ზუსტად რომ ითქვას, საკითხი დადგება მოქმედების ***სოციალურობის კრიტერიუმის*** შესახებ. საქმე ისაა, რომ ყველა სოციალური მოქმედება, ზოგადად, მოქმედების გვარში ერთიანდება, მაგრამ არა პირიქით - მოქმედების მხოლოდ სპეციფიკური სახე ჩაითვლება სოციალურად. რას წარმოადგენს ეს სპეციფიკა? "*The complete A-Z Sociology Handbook*"- ის განმარტების (T. Lawson and J. Garrod,1996: 252) თანახმად, სოციალურ მოქმედების არსებობას განაპირობებს ***სხვათა*** არსებობა, იგი თავის თავში მოიცავს სხვათა ქცევის გაგებას და ინტერპრეტაციას. ამრიგად, სოციალური მოქმედება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეიცავს ინტერაქციას. პირდაპირი (უშუალო) ფორმის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საუბარი სხვასთან. არაპირდაპი სოციალური მოქმედების მაგალითია იგივე სიტყვების წერილის სახით დაწერა, რათა იგი შემდეგ სხვამ წაიკითხოს. ამრიგად, აღნიშნული განმარტება მოქმედების სოციალურობის კრიტერიუმად მიიჩნევს "***სხვაზე ორიენტაციას***", თანაც, ***გაგებასა და ინტერპრეტაციაზე დაფუძნებულს***. აღნიშნული თვალსაზრისი სათავეს ისევ მაქს ვებერის ნაშრევიდან იღებს. ვებერი საგანგებოდ აანალიზებს აღნიშნულ პრობლემას და დაასკვნის, რომ მოქმედება მხოლოდ მაშინ ხდება სოციალური, როდესაც იგი, სუბიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეეფარდება სხვა ადამიანის (ადამიანების) ქცევას (აღნიშნული თვალსაზრისი დეტალურად იქნება განხილული მე-II თავში).

I თავის ძირითადი შედეგები

1. სოციალური მოქმედების კატეგორია ცენტრალური იყო სოციოლოგიური ახროვნებისათვის და ყოველთვის წარმოადგენდა ფუნდამენტური ანალიტიკური რეფლექსიის საგანს. სოციოლოგია მარადიულად ეხება ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის პრობლემას, რაც სხვა არაფერია, თუ არა სოციალურ მოქმედებასა და სოციალურ სისტემას შორის ურთიერთობის პრობლემა.

2. სოციალური მოქმედების თეორია იქმნება მაშინ, როდესაც სოციალური მოქმედების ცნება თეორიული სისტემის საფუძველს წარმოადგენს, ანუ იქმნება საკუთრივ სოციალური მოქმედების თეორიული მოდელები. ამ შემთხვევაში აღნიშნული ცნება გამოიყენება არა როგორც სხვა თვალსაზრისთა დასაბუთების ან დაფუძნების საშუალება, არამედ იგი თავად არის სისტემური კვლევის მიზანი.

3. მოქმედების სოციოლოგიური ინტერპრეტაცია აქცენტს სვმს მოქმედებაზე როგორც ემპირიულ ფენომენზე. იგი ძირითადი ყურადღების მიღმა ტოვებს მოქმედების ჯერარსულ-მეტაფიზიკურ საფუძვლებს და ფილოსოფიურ კვლევას ანაცვლებს მოქმედების ემპირიული მოთხოვნების შესაბამისად.

4. სოციალური მოქმედების თეორიათა კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ორ საფუძველზე: ერთ შემთხვევაში სოციალური მოქმედების თეორიები მოიაზრება მოდვაწეობა/სტრუქტურა დუალიზმის ფარგლებში. ამ საფუძველზე სოციალური მოქმედების თეორიები იყოფა იმის მიხედვით, თუ რაზე ახდენენ ისინი ორიენტაციას: ა) აგენტზე (აქტორზე) და მის საქმიანობაზე ბ) აგენტისათვის გარემდებარე სოციალურ სტრუქტურებზე და გ) აგენტსა და სტრუქტურას შორის კომპრომისზე. კლასიფიკაციის მეორე საფუძველზე სოციალური მოქმედების თეორიები დაიყოფა იმის მიხედვით, მოქმედება გაიგება მასში მონაწილე აქტორის ან აქტორთა სუბიექტური მნიშვნელობებიდან გამომდინარე, თუ იმის მიხედვით, როგორ წარმოიქმნება და სრულდება მოქმედება. პირველი განზომილების თეორიებს სოციალური მოქმედების სუბიექტურ თეორიებს უწოდებენ; ხოლო მეორე განზომილების თეორიებს - პერფორმატორულს. ამ უკანასკნელს სხვანაირად პრაქსისის თეორიების სახელით აღნიშნავენ.

5. სოციალური მოქმედების გარკვეული თეორიები ერთმანეთისაგან განასხვავებს მოქმედების და ქცევის ცნებებს, ან მიუთით-

ებს, რომ მოქმედება არა ნებისმიერი, არამედ, მხოლოდ განსაზღვრული ხასიათის ქცევაა. ვებერი ქცევასა და მოქმედებას შორის წყალგამყოფად მიიჩნევს სახრისის ფლობის ფაქტორს. ადამიანის მოქმედების სპეციფიკას ვებერი უკავშირებს სუბიექტური სახრისის ქონას. ამისაგან განსხვავებულია ქცევა, რომელიც უსახრისო - ავტომატურ ან ირაციონალურ - რეაქციებს წარმოადგენს. პარსონსმა კიდევ უფრო გამოადიფერენცირა მოქმედების კომპონენტები, დაუკავშირა რა იგი მიზანს, ემპირიულ სიტუაციას და ამ სიტუაციაში აქტიორის ნორმატიულ ორიენტაციას. სხვა შემთხვევაში (J. Elster) განსხვავების მთავარ კრიტერიუმად გამოიყენება "ინტენციონალობის" კატეგორია და მოითხოვება, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ინტენციონალური და არაინტენციონალური ქცევები, როდესაც მოქმედება განიხილება როგორც ინტენციონალური ქცევა. ეს უკანასკნელი სრულდება იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს განსაზღვრული მიზანი. ასეთი ქცევა აუცილებლად უკავშირდება მომავალს. მოქმედების ინტენციონალურ ახსნას მიმართავენ მაშინ, როდესაც შესაძლებელია მითითება მომავალ მდგომარეობაზე, რისი მიღწევაც სასურველია.

6. საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ მოქმედება და სოციალური მოქმედება. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება მოქმედების სოციალურობის კრიტერიუმს. ის, რასაც სოციალური მოქმედება წარმოადგენს, არის ორიენტაცია სხვათა არსებობაზე, რომელიც თავის თავში მოიცავს სხვათა ქცევის გაგებას და ინტერპრეტაციას. სოციალური მოქმედება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეიცავს ინტერაქციას.

ძირითადი ცნებები:
ქცევა, მოქმედება, სოციალური მოქმედება

ძირითადი კითხვები

- რა შემთხვევაში იქცევა სოციალური მოქმედების კატეგორიაზე თერიული რეფლექსია "სოციალური მოქმედების თეორიად?"
- რა არის მოქმედების სოციოლოგიური განხილვის სპეციფიკა?
- სოციალური მოქმედების თეორიათა კლასიფიკაციის კრიტერიუმები.
- განსხვავება, ერთი მხრივ, ქცევასა და მოქმედებას, ხოლო, მეორე მხრივ, მოქმედებასა და სოციალურ მოქმედებას შორის.

დამოწმებული ლიტერატურა

1. A l e x a n d e r, J. C. 1988: The New Theoretical Movement, in: Handbook of Sociology, ed. Neil J. Smelser, Newbury Park: Sage, pp. 77-102.
2. C o h e n, I. J. 2000: Theories of Action and Praxis, in Bryan S. Turner (ed.), *The Blackwell Companion to Social Theory* (second edition). Oxford: Blackwell Publishers, pp. 73-111.
3. D a w e, A. 1979: *Theories of Action*, in T. Bottomore and R. Nisbet (eds.): A. History of Sociological Analysis. London : Heineman Educational Books, pp. 362-418.
4. E l s t e r, J. 1983: *Explaining Technical Change*, Cambridge: Cambridge University Press.
5. L a w s o n, T. & Garrod, J. 1996: *The Complete A-Z Sociology* Handbook, Hodder & Stoughton.
6. Sztompka, P. 1994: Introduction, in P. Sztompka (ed), *Agency and Structure. Reorienting Social Theory*. Gordon and Breach, pp. ix-xvi.

II მაქს ვებერის სოციალური მოქმედების თეორია

1. შ ე ს ა ვ ა ლ ი: ინდივიდის მოქმედება, როგორც სუბიექტური საზრისის მქონე ქცევა

როგორც თანამედროვე მკვლევარები აღნიშნავენ (I. J. Cohen, 2000: 75), მაქს ვებერის სოციალური მოქმედების თეორია იყო აშკარა გარღვევა მე-20 საუკუნის აზროვნებაში ***ემპირიული ანალიზის*** მიმართულებით. მოქმედების ფილოსოფიური კვლევის ბატონობის პირობებში, როდესაც ცენტრალური ყურადღება ეთმობოდა მოქმედების "ობიექტურად მნიშვნელად", მეტაფიზიკურ საზრისებს და კვლევის ძირითად მეთოდოლოგიას წარმოადგენდა სპეკულაციური აზროვნება ან ინტუიცია, ვებერი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც დაჟინებით მოითხოვა, რომ სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებს პატივი ეცათ აქტორთა (მოქმედების სუბიექტთა) ხელშეუუვალი უფლებისათვის, განსაზღვრონ საკუთარი მოქმედების მნიშვნელობა (საზრისი). ვებერი (1990 : 602) სწორედ ამ პოზიციიდან განსაზღვრავს ***ადამიანის მოქმედებას***, რომელიც მოქმედებას წარმოადგენს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ***აქტორი ან აქტორები მას უკავშირებენ სუბიექტურ საზრისს*** (meaning).[1]

აქტორის მიმართ ეს პატივისცემა პირველად იჩენს თავს ვილჰელმ დილთაის ნაწერებში, როდესაც იგი იკვლევს კულტურული ობიექტების სუბიექტურ მნიშვნელობებს. ვებერიც ამ კალაპოტში მოძრაობს, ოღონდ სუბიექტურ მნიშვნელობებს (საზრისებს) ეძებს ქცევების ემპირიულ გამოვლინებებში. ვებერი ადამიანური გარემოს თითქმის ყველა ასპექტს განსაზღვრავს აქტორის ეგზისტენციალურ-ემპირიულ თვალსაზრისიდან გამომდინარე: თუ ეკონომისტები უსიცოცხლო ფულად ერთეულებს და არტეფაქტებს განიხილავენ

[1] ტერმინი "meaning" შეიძლება ითარგმნოს როგორც "საზრისი", ან "მნიშვნელობა". რუსულ თარგმანში იხმარება როგორც "смысл". წარმოდგენილ ტექსტში მოვიხმართ თარგმანის ორივე ვარიანტს.

როგორც მატერიალურ ობიექტებს, ვებერი ლაპარაკობს იმ სუბიექ-ტურ მნიშვნელობაზე, რასაც აქტორები ამ ობიექტების პრაქტიკულ გამოყენებას მიაწერენ; თუ ფილოსოფოსები დაბადებასა და სიკვ-დილზე მსჯელობენ, როგორც ადამიანური არსებობის უნივერსალურ (ტოტალურ) კონსტანტებზე, ვებერისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ ინდივიდები ცხოვრების ამ ბიოლოგიური ფაქტების განსხვავებულ ახსნას იძლევიან და, შესაბამისად, მათ მოქმედებაში გამოხატული რე-აქციებიც მრავალგვარია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს ვებერის (1990a: 603-9) თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ აქტორის მოქმე-დების ***გაგებას*** უზრუნველყოფს მოქმედებაში ნაგულისხმევი სუბიექ-ტური მნიშვნელობის წვდომა. თავის მხრივ, მნიშვნელობა შეიძლება ატარებდეს რაციონალურ ხასიათს, ანდა ემოციურ კავშირებს გამო-ხატავდეს. გაგება მაქსიმალურ სიცხადეს აღწევს მაშინ, როდესაც მოქმედება რაციონალური მნიშვნელობის მატარებელია. ამას ვებერი ***გაგების ლოგიკურ და მათემატიკურ სიცხადესაც*** უწოდებს. მაგალ-ითად, როდესაც ვინმე არგუმენტაციის პროცესში იყენებს ფორმულას 2X2=4, ან პითაგორას თეორემას, ანდა ლოგიკურ დასკვნებს, ჩვენ სავსებით ცხადად ვგებულობთ მათ მნიშვნელობას. გაგების სიცხა-დე რამდენადმე იკლებს, თუმცა, სავსებით მისაღწევია იმ შემთხვევაში, თუ მოქმედება არ არის რაციონალური მნიშვნელობის მქონე. ამ შე-მთხვევაში გაგებას უზრუნველყოფს ***თანაგანცდა***, მგრძნობელობა ან-და წარმოსახვის ძალა. ამას ვებერი ***გაგების ემოციურ და მხატვრუ-ლად რეცეპტულ სიცხადეს*** უწოდებს. თანაგანცდის შესაძლებლო-ბების შემცირებასთან ერთად (მაგალითად, როდესაც საქმე გვაქვს რელიგიურობის ან მოწყალების გამომხატველ უმაღლეს აქტებთან, რომლებიც ბევრისათვის ღირებულებას წარმოადგენს), მცირდება მოქმედების ადეკვატური გაგების შესაძლებლობაც. როდესაც მოქმე-დების არარაციონალური შინაარსი აფექტებში გადაიზრდება (შიში, რისხვა, შური, ეჭვიანობა, სიყვარული, ერთგულება და სხვ.), ამ შე-მთხვევაში, მართალია, გაგების მთავარ ინსტრუმენტს ისევ თანაგა-ცდა წარმოადგენს, მაგრამ, ვებერის თანახმად, ასეთი მოქმედებები, ***ტიპოლოგიურ მეცნიერულ კვლევას*** უმჯობესია (მიზანშეწონილია) ***იდეალური ტიპების*** პოზიციიდან დაექვემდებაროს.

ასე შემოდის ვებერის სოციალური მოქმედების თეორიაში იდე-ალური ტიპის ცნება. რა დატვირთვა აქვს მას მოქმედების გაგებასთან

დაკავშირებით? საქმე ისაა, რომ ემპირიული მოქმედების სუბიექტურ მნიშვნელობებზე აქცენტირება აჩენს ვებერის წინაშე სერიოზულ პრობლემას: ფაქტია, რომ არცთუ ისე იშვიათად ინდივიდები (აქტორები) ახორციელებენ ისეთ მოქმედებებს, რომელთა მნიშვნელობები ბუნდოვნად ან საერთოდ არ ესმით. რამდენადაც ვებერი ამოდის აქტორის მოქმედების ჰერმენევტიკული ინტერესიდან, მის წინაშე დგება ***უსაზრისო*** (მნიშვნელობის უქონელი) მოქმედების ინტერპრეტაციის პრობლემა - ისინიც ხომ ადამიანურ მოქმედებებს წარმოადგენს? და რადგან ასეა, მაშინ როგორ "შევიტანოთ" მათში გაგების (ჰერმენევტიკული) მომენტი? ვებერი (Weber, 1921: 21-22) საკმაოდ ნათლად აცნობიერებს ამ პრობლემას და სწორედ მის გადასაჭრელად ახდენს იდეალური ტიპების კონსტრუირებას. იდეალური ტიპი (რომელსაც სხვანაირად "წმინდა" ან "აბსტრაქტულ" ტიპსაც უწოდებენ), წარმოადგენს ***თეორიულ კონსტრუქციას, აბსტრაქტულ ცნებას, რომელიც აგებულია (შექმნილია) რეალურ ცხოვრებაში დაკვირვებადი ქცევებისა და ურთიერთობების განსაზღვრული მახასიათებლებისაგან.*** ეს მახასიათებლები აღწერს მოქმედების რაციონალურ შინაარსს და აბსტრაქციას ახდენს არარაციონალური/ირაციონალური მოტივებისაგან[2]. ასე იქმნება მოქმედების თეორიული, რაციონალური მოდელები, როგორც იდეალური კონსტრუქციები, რომლებიც ერთგვარად "ედება", ფარავს რეალობას, ხოლო რეალური მოქმედებები ბოლომდე ვერასოდეს ამოწურავს მათ.

მაგრამ, აქ თავს იჩენს ერთი კითხვა: ვებერი ხომ კატეგორიულად უარყოფს მოქმედების რაღაც ობიექტურად ჭეშმარიტი, უნიფიცირებული მნიშვნელობების არსებობას? იგი ხომ უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ აღმოჩენილ იქნეს ადამიანური მოქმედების უნივერსალური კანონები? ხომ არ არის იდეალური ტიპი სწორედ ასეთი უნივერსალური კანონი, უნიფიცირებული საზრისი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს რეალური მოქმედება? თუ ასეა, მაშინ ვებერის თეორია მოქმედების "სუბიექტური მნიშვნელობის" შესახებ ინგრევა. ვებერი თავად აცნობიერებს ამას და სურს დაგვარწმუნოს, რომ "იდეალური" არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ***"ნორმატიუ-***

[2] ვებერის თეორიის ფარგლებში ტერმინები "არარაციონალური" და "ირაციონალური" სპეციფიკურ განმარტებას მოითხოვს, რამდენადაც მათ მოქმედების საზრისთან არაერთგვაროვანი მიმართება აქვთ. ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი. ახლა მხოლოდ ის არის საინტერესო, რომ იდეალურ ტიპებს შემეცნებითი ღირებულება აქვს ნებისმიერი იმ მოქმედების მიმართ, რომელიც რაციონალური არ არის (ანუ, ორივე - არარაციონალური/ირაციონალური - მოქმედებების მიმართ).

ლად სასურველს". იდეალურ ტიპებს, ვებერის მიხედვით, აქვს მხოლოდ ***შემეცნებითი*** დირებულება, ანუ გამოიყენება კერძო (ემპირიული) შემთხვევების ინტერპრეტაციისათვის, როგორც შესადარებელი კონსტრუქციები. ეს სწორედ ის კერძო შემთხვევებია, როდესაც მოქმედება მოკლებულია რაციონალურ მნიშვნელობას (საზრისს) და აუხსნელი რჩება. ასეთ დროს, იდეალური ტიპები გვეხმარება მოქმედების შემეცნებაში (ახსნაში), კერძოდ, მათთან შედარების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს რაციონალური მოქმედებისაგან გადახრის (დევიაციის) ზომა. მაგალითად, ცალკეული ბიუროკრატიული ორგანიზაციები, შესაძლოა, არ შეიცავდეს ბიუროკრატიის იდეალური ტიპისათვის დამახასიათებელ ყველა ელემენტს, მაგრამ იდეალური ტიპი გვეხმარება გამოვავლინოთ არსებული გადახრები. სხვა მაგალითი (М. Вебер, 1990а: 605): თუ გვსურს, ავხსნათ „საბირჟო პანიკა", თავდაპირველად, მიზანშეწონილია, ბირჟაზე ინდივიდის ქცევის იდეალური ტიპის საფუძველზე დავადგინოთ, როგორი იქნებოდა აღნიშნული ემპირიული მოვლენა ირაციონალური აფექტების გავლენის გარეშე და შემდეგ შემოვიტანოთ ეს ირაციონალური კომპონენტები, როგორც „დაბრკოლებები", „გადახრები". კიდევ ერთი მაგალითი: როდესაც ვიკვლევთ რაიმე პოლიტიკურ ან სამხედრო აქციას, მიზანშეწონილია, ჯერ შევიმუშაოთ ასეთი აქციების იდეალური კონსტრუქცია, რომელიც გვეტყვის, როგორი იქნებოდა აქციის მონაწილეთა ქცევა, თუ მათ ეცოდინებოდათ ყველა თანმხლები გარემოება, მოსალოდნელი განზრახვები და მიზანმიმართულად იქნებოდა არჩეული მოქმედების საშუალებები. ამის შემდეგ შეგვიძლია ასეთ ჰიპოთეტურ კონსტრუქციას შევადაროთ რეალური მოქმედებები და დავადგინოთ ირაციონალური ფაქტორებით გამოწვეული გადახრის ზომა. როგორც ვხედავთ, ბუნდოვანი ან არარაციონალურ/ირაციონალური მნიშვნელობის მქონე მოქმედებები (რომელთაც ვებერი "მარგინალური მნიშვნელობის მქონე ქცევებსაც" უწოდებს) სწორედ იდეალურ ტიპთან მიმართებაში იძენს ინტერპრეტაციის ე.ი. რაციონალური გაგების შესაძლებლობას. საბოლოო ჯამში, ვებერის თეორიაში ნათელი ხდება, რომ იდეალური ტიპი ისეთი თეორიულ-ჰიპოთეტური კონსტრუქციაა, რომელიც ***მიზან-რაციონალური*** მოქმედებებისაგან იგება (უფრო დაწვრილებით მიზან-რაციონალური მოქმედების სპეციფიკა მოგვიანებით იქნება გარჩეული).

ზემოთქმულის მიუხედავად, ვებერის თეორიის კრიტიკოსები (I.J. Cohen, 2000: 76) მაინც თვლიან, რომ იდეალურ ტიპებს ვებერმა *მსხვერპლად შესწირა* მოქმედების მისი განსაზღვრება, როგორც სუბიექტური მნიშვნელობის მქონე არსისა. საქმე ისაა, რომ გარკვეული ქცევების (როგორიცაა, მაგალითად ჩვეები და ტრადიციები, რომლებიც არარეფლექსური მოტივებითაა გაჯერებული) კვალიფიკაციით, როგორც "მარგინალური მნიშვნელობის მქონე ქცევებისა", აგრეთვე, იმპულსური აქტების, ემოციების და ა.შ. "საკომპენსაციოდ" იდეალური ტიპების შემოტანით, ვებერი აკნინებს მათ ***სოციოლოგიურ რელევანტურობას***, აღარიბებს ქცევის განზომილებათა მრავალფეროვნებას. იგი, ფაქტობრივად, აწესებს "ემბარგოს" ემოციაზე, საერთოდ, არაცნობიერ მოტივაციებზე. ასეთი შეზღუდვა საკმაოდ სუსტია იმისათვის, რომ ვნა გადაულობოს თვითაღიარების და თვითნებობის გრძნობებს (მაგ, ქარიზმატული ლიდერების მიერ აღტაცების და ფანატიზმის გამოწვევას). თუმცა, მეორე მხრივ, ვებერის თეორია არ ცნობს ქცევის იმ შედეგებს, რომლებიც იქმნება ამგვარი გრძნობების (გაშმაგება, შფოთვა, სირცხვილი, შური და ა.შ.) სუბლიმაციის ან ჩახშობის გზით და მოითხოვს მათ ტრანსფორმაციას იდეალური ტიპების "ენაზე".

ვებერი დამატებით აღნიშნავს იმასაც, რომ რაციონალური ან ემოციური (არარაციონალური) მნიშვნელობის მატარებელი მოქმედების გაგება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ***უშუალოდ***, ისე ***მოტივაციურად*** (ახსნითად). მაგალითად, ჩვენ უშუალოდ ვგებულობთ ადამიანის მოქმედებას, რომელიც შეშას ჩეხავს, ანდა მონადირის მოქმედებას, რომელიც ცხოველს იარაღს უმიზნებს, მაგრამ, ამავე დროს, შეგვიძლია გავიგოთ აღნიშნული მოქმედების მოტივებიც - ე.ი. ავხსნათ მოქმედება - იმ შემთხვევაში, თუ ჩვენთვის ცნობილია, რატომ იქცევა აქტორი ასე. მაგალითად, შეშის მჭრელის მოტივაცია შეიძლება იყოს საოჯახო საჭიროებები, ფულადი ანახლაურება, გართობა და სხვ. მაშასადამე, უშუალო გაგება უზრუნველყოფს მოქმედების სუბიექტურ წედომას, ხოლო ახსნითი გაგება – ***ხაზრახიხვეული კავშირების*** წედომას. მარტივად რომ ვთქვათ, ერთ შემთხვევაში გაგება მოიცავს იმას, თუ ***რას*** აკეთებს აქტორი; ხოლო მეორე შემთხვევაში იმას, თუ ***რატომ*** იქცევა იგი ასე.

2. სოციალური მოქმედების კატეგორია და მისი ფორმები

ადამიანის მოქმედების განსაზღვრების შემდგომ, ვებერი ([1921] 1968: 7, 9-13 [4, 22-4]; 1990a: 603) განსაზღვრავს საკუთრივ ***სოციალურ მოქმედებას***. ამ განსაზღვრებაში აქცენტი დასმულია ისეთ ქცევაზე, როდესაც აქტორი სუბიექტურად ***ორიენტირებულია სხვათა ქცევებზე***. უფრო ზუსტად: სოციალურ მოქმედებასთან საქმე გვაქვს მაშინ, ***როდესაც აქტორის მოქმედება, მასში ნაგულისხმევი სუბიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეეფარდება სხვა აქტორთა ქცევებს და ორიენტირდება მათზე***. სოციალური მოქმედება შეიძლება ორიენტირებული იყოს ერთი ან რამდენიმე ინდივიდის, ან ინდივიდთა განუსაზღვრელი სიმრავლის - ფართო მოსახლეობის, ან ორგანიზებული ჯგუფების - ქცევაზე. "სხვები" შეიძლება იყვნენ თანამედროვეები, წინა, ან მომავალი თაობის წარმომადგენლები. სოციალური მოქმედება შეიძლება იყოს შურისძიება წარსულ წყენაზე, ამჟამად არსებული, ან მომავალში მოსალოდნელი საშიშროებისაგან თავდაცვა და ა.შ. აქტორი შეიძლება პირადად იცნობდეს სხვას (სხვებს), ვისზეც ორიენტირდება, ანდა სხვები შეიძლება იყვნენ უცნობები.

სოციალური მოქმედების კვლევას ვებერი ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი (1990a : 602, 627) არაორაზროვნად მიუთითებს, რომ სოციოლოგია არის მეცნიერება, რომელიც მოწოდებულია გამოიკვლიოს, გაიგოს სოციალური მოქმედება და, ამასთან, კაუზალურად ახსნას მისი პროცესი და ზემოქმედება. მართალია, სოციოლოგია მხოლოდ სოციალური მოქმედების შესწავლით არ არის დაკავებული, მაგრამ იგი წარმოადგენს სოციოლოგიის ცენტრალურ პრობლემას, ***მაკონსტიტუირებელ*** პარადიგმას.

ვებერი (1990a: 625-27) აყალიბებს, თუ შეიძლება ითქვას, "საზღვრით სიტუაციებს", როდესაც მოქმედებათა გარკვეული ტიპები ***არ ჩაითვლება*** სოციალურად. კერძოდ:

ა) ***გარეგან*** მოქმედებას, რომელიც ორიენტირებულია ნივთობრივი ობიექტების ქცევაზე, არ შეიძლება ეწოდოს სოციალური. სოციალურია მხოლოდ აქტორის ორიენტაცია სხვა აქტორზე (აქტორებზე) და არა მატერიალურ ნივთზე (ნივთებზე).

ბ) ცალკეული ინდივიდის ***შინაგანი*** მოქმედება, თუ იგი მხოლოდ

თვითორიენტაციას, ანუ საკუთარ თავთან მიმართებას გულისხმობს, არ ჩაითვლება სოციალურად. ასეთია მაგალითად, რელიგიური ხასიათის ქცევები, თუ ისინი არ გადიან ჭვრეტის ან მარტოობაში წაკითხული ლოცვების ფარგლებს გარეთ.

გ) სოციალური არ არის არც ორი ადამიანის მოქმედებების ისეთი ურთიერთმიმართება (ურთიერთქმედება, ან, უფრო ზუსტად, ურთიერთშეხება), რომელიც ***მნიშვნელობის*** მქონე, ანუ ***გასაზრისიანებულ ორიენტაციას*** არ წარმოადგენს. მაგალითად, ორი ველოსიპედისტის მექანიკური (შემთხვევითი) შეჯახება არ სცილდება ბუნებრივი მოვლენის ფარგლებს და არ ჩაითვლება სოციალურად. იგი სოციალურ მოქმედებად "გადაიქცევა" მაშინ, როდესაც, მაგალითად, ***განიზრახება*** ვინმეს მიერ, ანდა მაშინ, როდესაც ერთ-ერთი აქტორი შეეცდება თავიდან აიცილოს შეჯახება და მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგები.

დ) სოციალური მოქმედება არ არის იდენტური მრავალი ადამიანის ***ერთგვაროვანი*** ქცევის. მაგალითად, როდესაც ადამიანები წვიმის დროს ქუჩაში ქოლგებს შლიან, ეს ერთგვაროვანი მოქმედებაა, რომელიც მოტივირებულია არა სხვათა ქცევაზე ორიენტაციით, არამედ გარე გამღიზიანებლისაგან - წვიმისაგან თავდაცვით.

ე) სოციალური მოქმედება არ არის იდენტური არც ისეთი მოქმედებისა, რომელიც სრულდება ადამიანთა ჯგუფების, მასის ზეგავლენის ქვეშ. ვებერი ასეთ მოქმედებას ***მასობრიობით განპირობებულს*** უწოდებს. მასამ, შესაძლებელია, ინდივიდზე გავლენა იქონიოს როგორც უშუალოდ, ისე გაშუალებულად (მაგ, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით). ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ვებერი აქცენტს სვამს მასის მხრიდან ისეთ ზეგავლენაზე, როდესაც "კოლექტივისტური სული" (ლებონი) ***უპირობოდ*** აიძულებს ინდივიდს მოიქცეს ისე და ჰქონდეს ისეთი რეაქციები, რომლებიც მასის გარეთ, მარტო მყოფს არ ექნებოდა. ასეთ მიმართებას ვებერი არ უწოდებს მნიშვნელობის (საზრისის) მქონე კავშირს აქტორსა და ადამიანთა ჯგუფს შორის. მისი აზრით, ეს უფრო სხვათა ქცევაზე ***ავტომატური*** რეაქციებია, განპირობებული მხოლოდ მასაში არსებობის ფაქტით. შესაბამისად, ასეთი მიმართება სოციალური მოქმედება ვერ იქნება (თუმცა, ვებერს კარგად ესმის, რომ, ზუსტი საზღვრის მოძებნა გასაზრისიანებულ და ავტომატურ რეაქციებს შორის რთულია).

ვ) ბოლო შემთხვევიდან გამომდინარე, ვებერი აღნიშნავს იმასაც,

რომ *მიბაძვას*, როგორც სპეციფიკურ მოქმედებას, მაშინ ექნება სოციალური ხასიათი, თუ იგი არ იქნება *რეაქტიული* ხასიათის, არ იქნება არც *მხოლოდ* სუბიექტური საზრისის (რაციონალური ან ემოციური) მქონე, არამედ მოცემული საზრისის შესაბამისად ორიენტირებული იქნება სხვათა ქცევაზე. თუ მაგალითად, ინდივიდი, დაკვირვების საფუძველზე, გაეცნო საზოგადოებაში მოქმედების გარკვეულ *ობიექტურ* შესაძლებლობებს და მოახდინა მათზე ორიენტაცია, ეს იქნება კაუზალურად განპირობებული, ცნობიერი მოქმედება, მაგრამ არა - სოციალური, ვინაიდან ორიენტაცია არ ხდება სხვა აქტორებზე. თუმცა, ამ შემთხვევებშიც ცალსახა განსხვავებების დადგენა რთულია.

ვებერის სოციალური მოქმედების თეორია მოიცავს ძალზე მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა *სოციალური მოქმედების კლასიფიკაცია*. კლასიფიკაციის კრიტერიუმად ვებერი (1990a: 628-30) იყენებს მოქმედების სუბიექტური მნიშვნელობის *რაციონალობის* ხარისხს. ამ თვალსაზრისით, მოქმედებათა სკალა ასეთია: მიზან-რაციონალური, ღირებულებით-რაციონალური, აფექტური და ტრადიციული მოქმედებები.

აღნიშნულ სკალაზე *რაციონალური* სოციალური მოქმედების ორი ტიპია მოცემული. აქედან პირველი - *მიზან-რაციონალური* - მოქმედების *იდეალურ ტიპს* წარმოადგენს, რამდენადაც იგი წმინდა რაციონალური მოტივებით არის განპირობებული. ვებერი მას განსაზღვრავს, როგორც *მიზანზე ორიენტირებულ მოქმედებას, როდესაც წინასწარგანსაზღვრული მიზნის მიხედვით გამოყენებულია გარე სამყაროს ნივთების და სხვა ადამიანთა ქცევის მოლოდინები*. ამ შემთხვევაში მოქმედების მიზანზე ორიენტაცია გულისხმობს მოქმედების *პრაქტიკულ შედეგებზე* ორიენტაციას, ვინაიდან განხორციელებული მიზანი პრაქტიკულად ხელშესახებ დამატებით შედეგებში უნდა გამოიხატოს. სხვანაირად რომ ითქვას, მიზან-რაციონალურად მოქმედი ინდივიდი ყოველთვის ორიენტირებულია იმაზე, თუ რა შედეგები მოყვება მიზნის განხორციელებას. ვებერი აღნიშნავს, რომ სოციალურ რეალობაში მიზან-რაციონალური მოქმედება წმინდა სახით არ არსებობს. წმინდა მიზან-რაციონალური მოქმედება უფრო თეორიული კონსტრუქციაა, რომელსაც შემეცნებითი და მეთოდოლოგიური ღირებულება აქვს. კერძოდ (როგორც ადრე აღინიშნა), იგი გამოიყენება იმ ცალკეულ მოქმედებათა ინტერპრეტაციისათვის, როდესაც მოქმედება მოკლებულია რაციონალურ მნი-

შვნელობას, ბუნდოვანი და უსაზრისოა. ამ შემთხვევაში მიზან-რაციონალური მოქმედება გამოიყენება წმინდა ანალიტიკური მიზნებისათვის, როგორც შედარების საშუალება და მის საფუძველზე განისაზღვრება კერძო მოქმედების გადახრის, დევიაციის ზომა (ხარისხი). მაშასადამე, მიზან-რაციონალური მოქმედება, როგორც იდეალური ტიპი, ადგენს როგორი *იქნებოდა* ესა თუ ის ქცევა ირაციონალური აფექტების გავლენის გარეშე. აქედან გამომდინარე, ემპირიული მოქმედების ირაციონალური კომპონენტები განიხილება ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი ფაქტორების სახით. ამდენად, წმინდა მიზან-რაციონალური მოქმედების სუბიექტი არა რეალურად, არამედ *ჰიპოთეტურად* მოქმედი პირია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რეალობაში მიზან-რაციონალური მოქმედების კორელატი არ არსებობს. ემპირიულ ქცევებს შორის ბევრია ისეთი, რომელიც წმინდა მიზან-რაციონალურ მიმართებასთან *მიახლოებული* მნიშვნელობის მატარებელია. კერძოდ (როგორც უკვე აღინიშნა), მიზან-რაციონალურად მოქმედებს ის ინდივიდი, რომელიც ორიენტირდება მიზანზე, მისი მიღწევის საშუალებებზე და მოქმედების მეორეხარისხოვან (დამატებით) შედეგებზე.

რაციონალური მოქმედების მეორე ტიპი - ***ღირებულებით - რაციონალური*** - ვებერის მიერ განისაზღვრება, როგორც ***თვითკმარი (აბსოლუტური) ღირებულების (რელიგიური, ეთიკური, ესთეტიკური და სხვ.) რწმენაზე დაფუძნებული მოქმედება***. სხვა სიტყვებით თუ გამოვხატავთ, ღირებულებით-რაციონალური მოქმედება შეესაბამება ისეთ ქცევას, რომლის მეშვეობითაც აქტორი რაციონალურად ეგებმავს თვითკმარი ღირებულების რეალიზაციას. მიუხედავად ამისა, ღირებულებით-რაციონალური მოქმედება შეფარდებითად რაციონალურია, რამდენადაც იგი მხედველობაში არ იღებს (ანგარიშს არ უწევს) მოქმედების მეორეხარისხოვან (დამატებით) შედეგებს. ინდივიდი ორიენტირებულია ღირებულებაზე, როგორც მოქმედების მიზანზე და მისი რეალიზაციის საშუალებებზე იმის მიუხედავად, თუ რა შედეგები მოჰყვება ამას. ეს წარმოადგენს ძირითად განსხვავებას ღირებულებით-რაციონალურ და მიზან-რაციონალურ მოქმედებებს შორის. ვებერი მიუთითებს, რომ მიზან-რაციონალური მოქმედების პოზიციიდან ღირებულებით-რაციონალური მოქმედება გამოიყურება როგორც ირაციონალური და მისი არარაციონალობის ხარისხი მატულობს იმასთან ერთად, რაც უფრო ააბსოლუტურებს ინდივიდი ღირებულებას, ანუ, რაც უფრო უგულვებელყოფს ქცევის მოსალო-

დნელ შედეგებს. ღირებულებით-რაციონალურად მოქმედი ინდივიდი ერთგულად მეჰყვება მოვალეობის, სამართლიანობის, ღირსების, მშვენიერების, რელიგიური მცნებების და სხვა ღირებულებების მიმართ მის რწმენას (დაჯერებულობას), ემორჩილება მათ და იღწვის მათი რეალიზაციისათვის. ისეთი ქმედებები, როგორიცაა, მაგალითად, დასაფლავების რიტუალში მონაწილეობა მიცვალებულის ოჯახის წევრების პატივსაცემად, ან ვეგეტერიანული დიეტის დაცვა ცხოველთა სიცოცხლის პატივსაცემად და სხვა უამრავი, წარმოადგენს თვითმმარი ღირებულებების რელიზაციას, მეორეხარისხოვან შედეგებზე აქცენტირების გარეშე. როგორც ზოგიერთი მკვლევარი (I. J. Cohen, 2000: 80) შენიშნავს, ღირებულებით-რაციონალური მოქმედება ***ანტიუტილიტარისტულია*** - ინდივიდი მოქმედებს ღირებულებების და არა პრაქტიკული საჭიროებების (მოთხოვნილებების) შესაბამისად.

სკალაზე მოცემული დანარჩენი ორი - ***აფექტური და ტრადიციული*** - მოქმედება, მკაცრი აზრით, არც წარმოადგენს სოციალურ მოქმედებებს, რამდენადაც ისინი, ვებერის თანხმად, იმყოფება გასაზრისიანებული, ცნობიერად ორიენტირებული მოქმედებების ***ზღვარზე*** და ხშირად ***ზღვარს მიღმაც***. აფექტურ მოქმედებას ვებერი განსაზღვრავს როგორც ემოციონალურს ანუ ინდივიდის ***ემოციური მდგომარეობით და აფექტებით განპირობებულ*** მოქმედებას. რაც შეეხება ტრადიციულ მოქმედებას, იგი ***ხანგრძლივ ჩვევაზე*** დაფუძნებული ქცევაა. ხანგრძლივ ჩვევაზე დაფუძნებული მოქმედებები წმინდა რეაქტიული მიბაძვის მსგავსია, ანუ ავტომატურ რეაქციებს წარმოადგენს გარკვეულ გაღიზიანებებზე. ამის ანალოგიურად, აფექტებზე დამყარებული ქცევებიც ხშირად ავტომატურ რეაქციებში გადაიზრდება, ანუ ცნობიერების კონტროლს არ ექვემდებარება. თუმცა, "საზღვარზე" ყოფნა არ ნიშნავს მხოლოდ საზღვარს "იქეთ", ანუ ავტომატურ რეაქციებში გადასვლის რისკს, არამედ საზღვარს "აქეთ", ე.ი. ცნობიერად ორიენტირებულ ქცევებშიც შეიძლება გამოიხატოს. მაგალითად, როდესაც აფექტებით განპირობებული მოქმედება თავის გამოხატულებას ცნობიერ ემოციურ წესრიგში პოულობს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ***სუბლიმაციასთან***. შესაბამისად, ასეთი მოქმედება ემსგავსება ღირებულებით-რაციონალურს.

სოციალური მოქმედების ტიპების დახასიათების შემდეგ, საჭიროა დამატებით შევეხოთ მათ მიმართებას ***რაციონალობასთან***. ეს თემა ბევრ კითხვას და პრობლემას ბადებს და ერთ-ერთ ცენტრალურ სადისკუსიო საკითხს წარმოადგენს ვებერის სოციალური მოქმედების თეორიაში.

როგორც ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, ადამიანური მოქმედება ზოგადად და, კერძოდ, სოციალური მოქმედება ვებერის მიერ განიხილება მხოლოდ სუბიექტურ საზრისთან (მნიშვნელობასთან) კავშირში. საზრისის მქონე (გასაზრისიანებული) მოქმედება ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს ამავე დროს გაცნობიერებულ, ანუ რაციონალურ მოქმედებას - ვებერი მიუთითებს მოქმედების ისეთ საზრისზეც (მნიშვნელობაზე), რომელიც რაციონალური არ არის (ასეთია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტრადიციული და აფექტური მოქმედებები). მაგრამ სწორედ აქ ჩნდება კითხვა: ***რაციონალური (ცნობიერი) საზრისის უქონელი მოქმედება უნდა ჩაითვალოს თუ არა ირაციონალურ მოქმედებად?*** შესაძლებელია ეს კითხვა სხვა ფორმითაც გამოითქვას: თუ არსებობს მოქმედების რაციონალურისაგან განსხვავებული ან დაპირისპირებული **საზრისი**, მაშინ რაღას უნდა ნიშნავდეს, ვებერის მიხედვით, საზრ**ი**სის ***უქონელი***, უფრო ზუსტად, ***უსაზრისო*** მოქმედებები? საქმე ის არის, რომ თავად ვებერის შრომებში, არც თუ იშვიათად, იმპლიციტური დატვირთვით, ანუ ერთმნიშვნელოვანი დახუსტების გარეშე, მოიხმარება საკვანძო ცნებები, რაც განსხვავებული ინტერპრეტაციების შესაძლებლობას აჩენს. მაგალითად, როდესაც ვებერი აღნიშნავს, რომ აფექტური და ტრადიციული მოქმედებები, გარკვეულ შემთხვევაში, გადის "გასაზრისიანებული ქცევების" ფარგლებს გარეთ და იმართება ავტომატურად, ამ შემთხვევაში, ცხადია, რომ აფექტური\ტრადიციული მოქმედება არარაციონალურია, მაგრამ, საკითხავია, არის თუ არა იგი ამავე დროს უსაზრისო? სხვანაირად: ვებერის თანახმად, აფექტური\ტრადიციული მოქმედება არარაციონალური საზრისის მქონეა და თუ ასეა, მაშინ რას ნიშნავს მისი "გასვლა" გასაზრისიანებული მოქმედების ფარგლებს გარეთ, ანუ, რა განსხვავებაა არარაციონალურ აფექტურ\ტრადიციულ მოქმედებებსა და საზრისის ***უქონელ*** (უსაზრისო) აფექტურ\ტრადიციულ მოქმედებებს შორის?

აქვე ჩნდება კითხვა აფექტური და ტრადიციული ტიპის მოქმედებების ***სოციალურობასთან*** დაკავშირებით: ვებერის თანახმად, ისინი სოციალურობის ზღვარზე იმყოფება და ზღვარს გარეთ, ე. ი. სოციალურობის გარეთაც გადის მაშინ, როდესაც ხდება უსაზრისო. მაშასადამე, "სოციალური" გამორიცხავს "უსაზრისოს", თუმცა, მეორე მხრივ, არ ემთხვევა "რაციონალურს", მაგრამ, რას უნდა ნიშნავდეს ისეთი "სოციალური", რომელიც "არარაციონალურია", და, არავითარ შემთხვევაში - "უსაზრისო"?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, როგორც არაერთი თანამედროვე მკვლევარი მიუთითებს, საჭიროა ერომანეთისაგან განვასხვავოთ სამი ცნება: "***რაციონალობა***", "***არარაციონალობა***" და

"*ირაციონალობა*". ამერიკელი მეცნიერი Alan Sica (1988: 5-6) აღნიშნულ ცნებებს შორის ასეთ კონცეპტუალურ განსხვავებებს იძლევა:

რაციონალობა:

ა) უნარი იმისა, რომ გადაწყვეტილება და მოქმედება განხორციელდეს მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობების ფარგლებში, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად; ან,

ბ) მზაობა იმისა, რომ უარი ითქვას კერძო ხასიათის იდიოსინკრეტულ სიამოვნებებზე ან ღირებულ განცდებზე (valued experiences), რათა გაიზარდოს მყარი მიზნების ეფექტურობა მაშინ, როდესაც ხიამოვნება კონფლიქტშია ეფექტურობასთან, ანუ როდესაც ჰედონისტური აღრიცხვა ეწინააღმდეგება ბიუროკრატიულს.

ირაციონალობა:

ა) მოქმედების ან რწმენის (belief) ნაკადი, რომელიც არ ემორჩილება ადეკვატურ რაციონალურ ახსნას დამკვირვებლის პოზიციიდან; ირაციონალური იმპულსი ვერ გაიგება ან გამოიყენება კაუზალური ანალიზის მიერ; მიზნების (თუ საერთოდ გაცნობიერებულია მიზნის ცნება) მისაღწევად არ გამოიყენება მოქმედების რაციონალური მოდელის მეშვეობით პოსტფაქტუმ განსაზღვრული არაადეკვატური საშუალებები; ან ბ) ქცევის ან მრწამსის ფორმა, რომელიც სუბიექტის მოქმედებას წარმართავს სასიამოვნო, არასასიამოვნო თუ ამბივალენტური შედეგების მისაღებად, სუბიექტის მხრიდან აბსოლუტური კონტროლის ან ცნობიერი განზრახვის გარეშე.

არარაციონალობა:

ქცევა, რომელიც სრულდება რაციონალური პროცედურებისაგან დამოუკიდებლად; მიუხედავად იმისა, რომ რაციონალური ბზა შეიძლება სტრატეგიის სახით განისაზღვროს, იგი შემდეგ უარიყოფა არარაციონალური მიზნების ან საშუალებების ინტერესებიდან გამომდინარე.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს (A. Sica, 1988: 6), შესაძლებელია დაიძებნოს "ნაწილობრივი პარალელები" ამ ტიპოლოგიზაციასა და ვებერის სოციალური მოქმედების ტიპოლოგიას შორის. თუმცა, განსხვავებებიც აშკარაა (მაგალითად, ვებერთან რაციონალობის კატეგორია გაცილებით ფართოა, რამდენადაც იგი მოიცავს ღირებულებით-რაციონალურ მოქმედებასაც).

მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული კონცეპტუალური გამიჯვნები უფრო იმიტომ გვჭირდება, რომ ჯერ ერთი, ნათლად გავაცნობიეროთ ის საზღვრები, რომელსაც ვებერი ატარებს მოქმედების რაციონალობისგან განხვავებულ შინაარსსა და უსაზრისო მოქმედებას შორის, და მეორე, დაზუსტდეს მოქმედების სოციალურობის პირობები.

ამდენად, ზემოთქმული განსხვავებების გათვალიწინებით შეიძლება ითქვას, რომ ***უსაზრისო*** (ანუ საზრისის ***უქონელი***) მოქმედება ვებერის თეორიის ფარგლებში არა უბრალოდ არარაციონალურია,

არამედ პირველ რიგში - ***ირაციონალურიც***; ნებისმიერი ირაციონალური, ე. ი. უსაზრისო მოქმედება არარაციონალურია, მაგრამ ***არა პირიქით*** - არარაციონალური მოქმედება შეიძლება საზრისის მქონე იყოს. ასეთია სწორედ ტრადიციული და აფექტური მოქმედებები. თუმცა, არარაციონალური საზრისის მქონე მოქმედება "რისკის" შემცველია - მან შეიძლება დაკარგოს საზრისი და იქცეს ირაციონალურად (ე. ი. უსაზრისოდ). ასე ემართება ტრადიციულ და აფექტურ მოქმედებებს მაშინ, როდესაც ისინი, ვებერის სიტყვებით რომ ვთქვათ, გადის "გასაზრისიანებული მოქმედების ფარგლებს გარეთ" და იქცევა ***ავტომატურ რეაქციებად*** გარე გამღიზიანებელზე. შესაბამისად, ასეთი ქცევები წყვეტს არსებობას, როგორც ***სოციალური*** ხდომილობები და გადადის ბიოლოგიური ან ფიზიოლოგიური მოვლენების სფეროში. სწორედ ამიტომ უწოდებს ვებერი აფექტებზე და ჩვეულებებზე დამყარებულ მოქმედებას "საზღვარზე მყოფს". მაშასადამე, სოციალური მოქმედება გამორიცხავს ავტომატურ ქცევას (რომელიც ირაციონალურია და უსაზრისო), თუმცა, მოიცავს არარაციონალური საზრისის მქონე მოქმედებებს (თუმცა, A. Sica კიდევ უფრო შორს მიდის და ცდილობს რაციონალობის ფაქტორის გავლენა "აღმოაჩინოს" სოციალურ მოქმედებაში).

ზემოთ აღწერილი მიმართებები თვალსაჩინოებისათვის სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:



(შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოცემულ სქემაში წყვეტილი ხაზები, რომლებიც აკავშირებს სოციალურ მოქმედებას ტრადიციულ და აფექტურ მოქმედებასთან, მიუთითებს იმაზე, რომ, როგორც ადინიშნა, გარკვეულ შემთხვევაში, კერძოდ, ტრადიციული და აფექტური მოქმედებების უსაზრისო, ავტომატურ რეაქციებად არსებობისას, ისინი წყვეტენ არსებობას, როგორც სოციალური მოქმედებები).

3. სოციალური ურთიერთობა და მისი ფორმები

კონცეპტუალურად საკვანძო მეორე ნაბიჯი, რომელსაც ვებერი დგამს ინდივიდის მოქმედების სოციალური და ემპირიული გაგების მიმართულებით, მდგომარეობს მის მიერ ([1921]1968: 14-22[26-8]; 1990a: 630) ***სოციალური ურთიერთობის*** განსაზღვრაში: სოციალური ურთიერთობა არსებობს მაშინ, როდესაც ***რამდენიმე აქტორი, მათი მოქმედების მნიშვნელობებიდან (საზრისებიდან) გამომდინარე, ორმხრივად ორიენტირდება ისე, რომ თითოეული მათგანი მხედველობაში იღებს სხვათა ქცევას.*** სხვანაირად თუ ვიტყვით, სოციალური ურთიერთობა რამდენიმე აქტორის ქცევათა გასაზრისიანებული (რაციონალური ან ემოციური მნიშვნელობის მქონე) ურთიერთორიენტაციაა.

აქტორთა შორის ურთიერთობას შეიძლება სრულიად განსხვავებული შინაარსი ჰქონდეს: სიყვარული, მტრობა, მეტოქეობა, ეროტიზმი, საბაზრო გაცვლა, ნაციონალური ან პოლიტიკური სოლიდარობა და ა.შ. ვებერი (1990a: 631) გვაფრთხილებს, რომ სოციალური ურთიერთობის ცნების ზოგადობის და განყენებულობის მიღმა, სოციოლოგიას სოციალური ურთიერთობის ემპირიულად მრავალფეროვანი შინაარსის შესწავლა აინტერესებს და არა მისი ***ნორმატიულად "სწორი"***, ანდა ***მეტაფიზიკურად "ჭეშმარიტი"*** მნიშვნელობის კვლევა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სოციოლოგია აკონსტრუირებს სოციალური ურთიერთობის იდეალურ ტიპს, მისი ღირებულება მხოლოდ ემპირიულ მოვლენებთან მიმართებაში მდგომარეობს, როგორც მათი რაციონალური გაგების და დევიანტურობის გახომვის საშუალება (საქმე გვაქვს ანალოგიურ ვითარებასთან, რასაც ვებერი ეხება სოციალურ მოქმედებასთან მიმართებაში). თვით ისეთი სოციალური წარმონაქმნებიც კი, როგორიცაა "სახელმწიფო", "ეკლესია", "ქორწინება" და ა.შ. სოციოლოგიას აინ-

ტერესებს, როგორც ემპირიული ურთიერთობების გამოხატულება, როგორც ამ ურთიერთობების პროდუქტი. ამით იგი თავიდან იცილებს ამ ფენომენების - მაგალითად, სახელმწიფოს - სუბსტანციურ, სოციალური დროისა და სივრცისაგან განყენებულ კვლევას. სახელმწიფო სოციოლოგიისათვის არსებობს მხოლოდ როგორც ***ემპირიული ცვლადი***, რომელიც ვარირებს იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობებს იძენს ინდივიდთა (აქტორთა) შორის ურთიერთობები. ეს განასხვავებს სწორედ სოციალურ თეორიას ფილოსოფიური თეორიისაგან. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ნორმატიულად სწორი და ობიექტურად ჭეშმარიტი საზრისის კვლევითაა დაკავებული.

სოციალური ურთიერთობის ვებერისეული ინტერპრეტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ის, რომ ურთიერთობის პროცესში აქტორებს ორმხრივად შეუძლიათ დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ იმ მნიშვნელობებს, რომლებსაც ისინი ერთმანეთზე ორიენტირებულ მოქმედებებს უკავშირებენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, სოციალური ურთიერთობა მოქმედებათა ურთიერთორიენტაციაა, რომელიც, ამავე დროს, ***აუცილებლობით*** არ გულისხმობს ***ურთიერთგაგებას***, ანუ მნიშვნელობათა, საზრისთა ერთნაირობას (ერთგვაროვნებას). ასეთ ურთიერთობას ვებერი (1990a: 632) "***ობიექტურად ცალმხრივს***" უწოდებს. მოვიყვანოთ მაგალითები: სამსახურეობრივი ურთიერთობების პირობებში, ვერტიკალური იერარქიის კიბეზე სხვადასხვა სოციალური პოზიციის მქონე ჩინოვნიკებმა, შესაძლოა, ერთმანეთს ვერ გაუგონ საჩუქრის გადაცემასთან დაკავშირებით: ზემდგომის მიერ, მისთვის საჩუქრის შეთავაზება, შეიძლება, ინტერპრეტირდეს, როგორც ქრთამის ან ანგარების გამოხატულება, ხოლო ქვემდგომის მიერ საჩუქრის გაცემის აქტს, შესაძლოა, პიროვნების უანგარო პატივისცემის მოტივაცია განსაზღვრავდეს; ომის დროს, დაპირისპირებულ მხარეთა ორი გენერალი, შესაძლოა, ერთმანეთს ვერ მიუხვდნენ დაზავებისაკენ მიმართულ ტაქტიკას და გაანგრძონ მძაფრი ბრძოლები. ცხადია, ცალმხრივ სოციალურ ურთიერთობებში აქტორთა მხრიდან არსებობს მოლოდინი იმისა, რომ განწყობა, რომელიც დამახასიათებელია ერთი მხარისათვის, დამახასიათებელი იქნება მისი პარტნიორისთვისაც. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ასეთი ***სუბიექტური*** მოლოდინიც კი, მაშინ არ არსებობს საზრისთა არანაირი თანაფარდობა და სოციალური ურთიერთობა წყვეტს არსებობას. პირიქით, მაშინ, როცა ურთიერთორიენტაციის პროცესში პარტნიორთა განწყობები და მოლოდინები თანხვდება,

ასეთი ურთიერთობა უნდა ინტერპრეტირდეს როგორც "***ობიექტურად ორმხრივი***"

სოციალური ურთიერთობის კვლევის გზაზე, ვებერი (1990a: 632-33; [1921] 1968: 22 [12]) თვისებრივად ახალ ნაბიჯს დგამს, როდესაც განიხილავს ერთი შეხედვით "უწყინარ" საკითხს სოციალური ურთიერთობის ***ხანგრძლივობის*** შესახებ. ხანგრძლივობის ქვეშ ვებერი გულისხმობს იმ მოქმედებების ***განმეორებადობის*** შესაძლებლობას, რომლებიც ინარჩუნებს ურთიერთორიენტაციაში ნაგულისხმევ მნიშვნელობას. ეს მნიშვნელობა, ანუ სოციალური ურთიერთობის სპრისისეული შინაარსი შეიძლება „შენახულ" იქნეს დიდი ხნის განმავლობაში. ამ შემთხვევაში იგი ფორმულირდება, ანუ აქტორების მიერ გაიგება, როგორც "***მაქსიმები***", ***წესები ან ნორმები***. მათ მიმართ აქტორთა მხრიდან არსებობს მოლოდინი, რომ სხვებიც ასეთ მაქსიმებზე და ნორმებზე მოახდენენ თავიანთი ქცევის ორიენტირებას.

ამრიგად, სოციალურ ურთიერთობაში ნაგულისხმევი მნიშვნელობა, თუ იგი დროში ხანიერი აღმოჩნდა, ყალიბდება ***სუპრა-ინდივიდუალურ*** (supra-individual) პრინციპებად, რომელთა დაცვასაც ყველაზე მეტად ელიან, და (როგორც ქვემოთ გაირკვევა) რომელთა დაცვაც, გარკვეულ შემთხვევებში, ***მოითხოვება***, ანუ ***ბავალდებულია***. ასეთ სუპრა-ინდივიდუალურ მაქსიმებს წარმოადგენს, მაგალითად, რელიგიური მცნებები, ბიუროკრატიული კოდექსები (კანონთა კრებულები), ანდა უსაფრთხოების პრაქტიკული წესები. იგივე შეიძლება ითქვას კაპიტალისტურ საწარმოებში მოგების მიღების ნორმების შესახებ. ამ ნორმებით ხელმძღვანელობენ მენეჯერები, რომლებიც ახდენენ შრომის დანაწილების, ვაჭრობის პროცედურების, ფინანსების და გასაღების ორგანიზებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქტორთა განსხვავებულმა ტიპებმა სუპრა-ინდივიდუალურ მაქსიმებზე, ნორმებზე და წესებზე თავიანთი ქცევის ორიენტაცია შეიძლება განსხვავებული მოტივაციით მოახდინონ. მაგალითად, როდესაც ფირმის მენეჯერი მოგების მიღების კრიტერიუმებს ხელმძღვანელობს როგორც ლეგიტიმურ ნორმებს, იგი შეიძლება ამოდიოდეს საწარმოს ინტერესებიდან, მაშინ როდესაც, მოსამსახურეებმა (დაქირავებულებმა) აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად თავიანთი მუშაობა, შესაძლოა, არა საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე წარმართონ, არამედ უბრალოდ იმის გამო, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ხელფასს ვერ აიღებენ, რაც მათი ოჯახების სოციალურ მდგომარეობას დაუბალებს.

მოქმედების ერთგვაროვნება და განმეორებადობა, ანუ მაქსიმებზე, წესებზე და ნორმებზე (როგორც მოქმედების მეტ-ნაკლებად სტაბილურ მნიშვნელობებზე) ორიენტაცია, ვებერის (1990a: 633-36) თანახმად, შეიძლება ჩამოყალიბდეს ***"ზნე-ჩვეულების", "ადათის"*** ან ***"ლეგიტიმური წესრიგის"*** სახით. მათ შორის განსხვავება ისაა, თუ რა მექანიზმებით უზრუნველყოფს თითოეული მათგანი მოქმედების ერთგვაროვნების დაცვას.

ზნე-ჩვეულების ფარგლებში მოქმედების ერთგვაროვნება აიხსნება მხოლოდ ***ჩვევებით.*** ადათი ისეთი ზნე-ჩვეულებაა, რომელიც გაცილებით ***ხანგრძლივი დროის*** განმავლობაში გამომუშავდება და განპირობებულია საერთო ინტერესებით, რასაც ვებერი ***"ინტერესთა კონსტელაციას"*** უწოდებს. ადათები (მით უფრო, ზნე-ჩვეულებები) არ არის ***"მნიშვნელადი"***. ეს ნიშნავს, რომ ისინი არავისგან "მოითხოვენ" მათ დაცვას. უფრო ზუსტად: ადათები ისეთ ნორმებს შეიცავს, რომლებიც სრულდება ვალდებულების (მოვალეობის) შეგრძნების გარეშე[3]. მაგალთად, სახოგადოებაში მიღებულია ისაუზმო გარკვეული წესების დაცვით, თუმცა, არავინ არის ვალდებული ამ წესებს მიხდიოს. რაც შეეხება ლეგიტიმურ წესრიგს, იგი მოიცავს ნებისმიერ ურთიერთობას, ორიენტირებულს მაქსიმებზე, რომელთა დაცვა (შესრულება) ***სავალდებულოა.*** ეს ნიშნავს, რომ ლეგიტიმური წესრიგი ***"მნიშვნელადია"*** – იგი განიხილება როგორც სანიმუშო, რომელიც მიბაძვის ღირსია. რასაკვირველია, ლეგიტიმური წესრიგის შესრულებას სხვადასხვა მოტივი შეიძლება ახლდეს - შიში, სიფრთხილე, კერძო ინტერესი, ჩვევა და ა.შ. - მაგრამ, სხვა მოტივებთან ერთად, აუცილებელია არსებობდეს მისი შესრულების მოვალეობის გაცნდა.

ზნე-ჩვეულებას, ადათს და ლეგიტიმურ წესრიგს შორის განსხვავების საილუსტრაციოდ ვებერს მოჰყავს მაგალითები: როდესაც ავეჯის ტრანსპორტირების სააგენტო რეგულარულად სთავაზობს მომსმარებელს თავის მომსახურებას და აწვდის ინფორმაციას გადაზიდვის განრიგის შესახებ, ასეთი რეგულარობა (მოქმედების განმეორებადობა) დაფუძნებულია "ინტერესთა კონსტელაციაზე".

[3] როგორც ჩანს, ვებერის მიერ ადათის ინტერპრეტაცია განსხვავდება არა მხოლოდ ამ ფენომენის ყოველდღიური ცნობიერების მიერ წარმოდგენისაგან, არამედ ეთნოლოგიური და ეთნომეთოდოლოგიური კვლევებისგანაც. ვებერთან ადათები რედუცირებულია მხოლოდ მოქმედების ერთგვაროვნების ხანგრძლივობაზე (ეი. დროის ფაქტორზე) და ინტერესთა თანაფარდობაზე. მაშასადამე, მათ არა აქვს *ნორმალურ-ინსტიტუციური* ხასიათი და არ ექვემდებარება ადმინისტრაციულ რეგულირებას.

როდესაც წვრილი ვაჭარი თვის ან კვირის განსაზღვრულ დღეებში მოივლის თავის კლიენტებს, ეს ან ხანგრძლივი ჩვევის შედეგია, ან მისი დაინტერესების გამოვლენა. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ან ზნე-ჩვეულებასთან, ან ადათთან. მათი დარღვევა იწვევს წყვეტას მოქმედების ერთგვაროვნებაში, რასაც ჯგუფის შიგნით საერთო ინტერესებთან დაპირისპირება მოსდევს. ამის გამო დამრღვევი იმსახურებს სასჯელს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ ***მორალური გაკიცხვა*** შეიძლება იყოს და არა რაიმე ადმინისტრაციული ზომების გატარება. პრინციპულად განსხვავებულ შემთხვევას წარმოადგენს ის, როდესაც სახელმწიფო მოხელე ყოველდღე ცხადდება სამსახურში განსაზღვრულ საათზე. მისი ქცევის რეგულარობა არ არის განპირობებული ან მხოლოდ შესაძლო ჩვევით, ან მხოლოდ შესაძლო ინტერესით (ეს ფაქტორები შეიძლება არც არსებობდეს). ამ შემთხვევაში მოქმედების ერთგვაროვნება გამოწვეულია ჩინოვნიკისათვის სამსახურეობრივი რეგლამენტაციის ***ადმინისტრაციული სისტემის*** "მნიშვნელადობით", რომელიც მოითხოვს მისგან გარკვეული მაქსიმების შესრულებას (ერთ-ერთ მაქსიმას სწორედ სამსახურში გამოცხადების დრო წარმოადგენს). ამ მაქსიმების დარღვევა შელახავდა „მოვალეობის გრძნობას", როგორც რაციონალურ ღირებულებას, რასაც, თავის მხრივ, ***ადმინისტრაციული სასჯელი*** მოჰყვებოდა. ადათსა და ლეგიტიმურ წესრიგს შორის აღნიშნული განსხვავების დაფიქსირების საჭიროების მიუხედავად, ვებერი ხაზს უსვამს, რომ სინამდვილეში (რეალურად) საზღვარი მათ შორის ძალზე ლაბილურია: ადათები ხშირად გადაიზრდება მნიშვნელად სისტემებში.

ლეგიტიმური წესრიგის მნიშვნელობადობა იმასაც ნიშნავს, რომ მისი გამომხატველი მაქსიმები ძალაშია (ფუნქციობს) არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ ასრულებენ, არამედ მაშინაც, როდესაც მათ ***არ-ღვევენ***. მაგალითად, ქურდი ცდილობს დამალოს თავისი ქცევა, ვინაიდან მისთვის სიხსლის სამართლის კანონით გამოხატული მაქსიმა (რომელიც კრძალავს ქურდობას) აგრძელებს მნიშვნელობას. აქტორი მოვალეა ანგარიში გაუწიოს ამ მოთხოვნას და, არღვევს რა მას, ამით მაქსიმას კი არ აუქმებს, არამედ საკუთარ თავს აქცევს დევიანტად ლეგიტიმურ წესრიგთან მიმართებაში. თუმცა, ვებერი (1990a: 638) იმასაც მიუთითებს, რომ თუ ლეგიტიმური წესრიგის დარღვევა ***წესად*** იქცა, მაშინ მისი მნიშვნელობა თანდათან იზღუდება და, ბოლოს, ქრება კიდეც. ამით ვებერს სურს კიდევ ერთხელ ხაზი

გაუსვას იმას, რომ ლეგიტიმური წესრიგის ერთგვარი "ტრანსცენდენტურობა" თუ "დისტანციურობა" ინდივიდის (აქტორის) მიმართ სინამდვილეში სავსებით რელატიურია და მას ემპირიული შინაარსი აქვს: თუ პოპერს დავესესხებით, შეიძლება ითქვას, რომ ლეგიტიმური წესრიგიც სუბიექტთა შორის კონვენციის შედეგს წარმოადგენს, და, ამდენად, ყოველთვის მოსალოდნელია, რომ, მათივე ძალისხმევით, შეიცვლოს კიდეც.

ვებერი აღნიშნავს იმასაც, რომ აქტორი თავის მოქმედებაში შეიძლება ***ორიენტირდეს*** რამდენიმე, თანაც ***ურთიერთსაპირისპირო*** ლეგიტიმურ სისტემაზე, ანუ ურთიერთდაპირისპირებული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის წინაშე აღმოჩნდეს. ასე ემართება, მაგალითად, დუელში მონაწილე სუბიექტს: ერთი მხრივ, იგი ორიენტაციას ახდენს "ღირსების კოდექსზე", ანუ იგი მოვალეა საკუთარი შელახული ღირსება დაიცვას. მეორე მხრივ, იგი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას, რომელიც კრძალავს დუელს, რამდენადაც იგი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას გულისხმობს. დუელში მონაწილე სასამართლოს წინაშე წარსდგება, თუ დამალავს თავის საქციელს - ორივე შემთხვევაში მისთვის იურიდიული მაქსიმის მნიშვნელობა ძალაში რჩება. იურისპრუდენცია ამ შემთხვევაში აბსოლუტური ალტერნატივის წინაშე დგას – იგი ამოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან და მხედველობაში არ იღებს "ღირსების კოდექსს". სოციოლოგიისათვის ამგვარი ალტერნატივა არ არსებობს: მან უნდა აღიაროს ორივე, ურთიერთსაპირისპირო სისტემის ლეგიტიმურობა.

ვებერი (1990a: 639-43) განიხილავს მაქსიმებით გამოხატული წესრიგის ლეგიტიმურობის ე.ი. მისი მნიშვნელადობის ***უზრუნველყოფის შინაგან*** და ***გარეგან ფაქტორებს***. შინაგან მაგარანტირებელ ფაქტორებთან დაკავშირებით, იგი მიიჩნევს, რომ ლეგიტიმური წესრიგი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) წმინდა აფექტურად, რაც გამოხატავს წესრიგის მიმართ ემოციურ ერთგულებას;

ბ) ღირებულებით-რაციონალურად, რაც გამოხატავს წესრიგის შესაბამისობას უმაღლეს (ეთიკურ, ესთეტიკურ ან სხვა რაიმე) ღირებულებასთან;

გ) რელიგიურად, რაც დაკავშირებულია იმის რწმენასთან, რომ არსებული წესრიგი ღვთის კეთილი ნების გამოვლენაა.

შინაგანი ფაქტორების გარდა არსებობს წესრიგის მნიშვნე-

ლადობის მაგარანტირებელი *გარეგანი* ფაქტორები (ვებერი მათ ლეგიტიმური წესრიგის ტიპებს უწოდებს):

ა) ***შეთანხმებულობა***, როდესაც წესრიგი უზრუნველყოფილია გარკვეული საერთო ჩვევების საფუძველზე გაერთიანებული ადამიანთა წრის მიერ. წესრიგიდან გადახვევა მათი მხრიდან იმსახურებს გაკიცხვას (საყვედურს). მთავარი აქ ისაა, რომ ამ შემთხვევაში დასჯას ახორციელებენ ცალკეული ადამიანები და არა სპეციალურად ორგანიზებული ჯგუფები.

ბ) ***ხამართალი***, როდესაც წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ ადამიანთა სპეციალური ჯგუფები, რომელთა ***ინსტიტუციურ ფუნქციას*** წარმოადგენს მაქსიმების შესრულებაზე მონიტორინგი და მათი გატარება (დაცვა) ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით. ასეთი ჯგუფები შეიძლება შეიქმნას გვარის, სექტის, კორპორაციის, რაიმე საზოგადოების და სხვ. ფარგლებში. წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, სპეციალური ჯგუფის მიერ დასჯის ფორმები ძალზე მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. თუმცა, ყველა შემთხვევაში, ეს ფორმები უფრო მკაცრია, ვიდრე უბრალოდ გაკიცხვა, ან საყვედური.

4. სოციალური მოქმედება და რაციონალობის კონცეფცია

საჭიროა რამდენადმე დეტალურად შევჩერდეთ ვებერთან რაციონალობის კონცეფციაზე და მის მიმართებაზე სოციალური მოქმედების თეორიასთან.[4] მით უფრო, რომ მათ შორის შინაგანი კავშირი არსებობს.

[4] მე-19 საუკუნის ფრანგი ანთროპოლოგებისაგან განსხვავებით, ვებერი ამტკიცებდა, რომ ადამიანებს "რაციონალობა" არ შეუძენია განმანათლებლობის ეპოქაში და, რომ რაციონალური მოქმედება ხელმისაწვდომი იყო ყველა წინარე ეპოქისათვის: პრიმიტიული ადამიანის ყოველდღიური მოქმედებებიც კი შეიძლებოდა ყოფილიყო სუბიექტურად მიზან-რაციონალური, მაგალითად, როცა სრულდებოდა სპეციალური რელიგიური რიტუალები ღვთისაგან წყალობის მოლების მიზნით. ვებერის აზრით ([1921] 1968: 424 [258-59]), ის წმინდა "გაცვლითი" ურთიერთობები, რომლებიც არსებობდა მსხვერპლთმიწირვაში და ლოცვებში, იდენტურია იმისა, რასაც თანამედროვე ბიზნესმენი აკეთებს, როდესაც ცდილობს გამოთვალოს ყველაზე ეფექტური საშუალებები მოგების მოსაღებად. ამდენად, ვებერი რაციონალობის ტიპებს უნიკერსალურად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ რაციონალობას, ძირითადად, დასავლურ საზოგადოებებს უკავშირებს და იკვლევს, თუ რატომ არ შეითვისა ჩინურმა, ინდურმა და უძველესმა ახლო აღმოსავლურმა ცივilიზაციებმა რაციონალიზაციის პროცესი (რის გამოც მათ წიაღში "რაციონალური საზოგადოებები" ვერ ჩამოყალიბდა).

დასავლელი მკვლევრები (D. N. Levine, 1981: 9; S. Kalberg, 1981: 1145) ხავსებით სწორად მიუთითებენ ვებერის რაციონალობის კონცეფციის "პოლიმორფოლოგიურ" ხასიათზე, რის გამოც ეს კონცეფცია "დრამატულად" განსხვავდება ყველა მისი წინამორბედისაგან, იქნება ეს კანტი, ჰეგელი, ტიონისი თუ ზიმელი. ეს განსხვავება სამი ასპექტით მჟღავნდება: ჯერ ერთი (რაც წმინდა თეორიული კვლევის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია), ვებერმა შექმნა სრულიად განსხვავებული ***კონცეპტუალური აპარატი*** რაციონალობის პროცესის და ფორმების აღსაწერად; მეორე, ვებერმა დაძლია ***ევროპოცენტრული*** თვალსაზრისი, რომ რაციონალობის განვითარება უნიკალურად დასავლური მოვლენაა, შეისწავლა რა რაციონალიზებული კულტურის ფენომენები კლასიკურ ანტიკურობაში, ახლო აღმოსავლეთში, ჩინეთსა და ინდოეთში; და ბოლოს, მანამდე გაბატონებული თვალსაზრისისაგან განსხვავებით, რომელიც რაციონალობას განიხილავდა, როგორც თავისუფლების მთავარ წყაროს თანამედროვე დასავლეთში, ვებერმა რაციონალობა განიხილა, როგორც ***მუქარა*** თავისუფლების მიმართ.

საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე, საჭიროა ყურადღების გამახვილება რაციონალობის კონცეპტუალურ ასპექტზე. ვებერი შრომაში "პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული" (1990b: 186) აღნიშნავს ცნება "რაციონალური"-ს კომპლექსურობას და რაციონალიზაციის პროცესის წინააღმდეგობრივ ბუნებას. ვებერის შრომებში ეს სირთულე კარგად აისახა, რაც რაციონალობის ვებერისეული კონცეფციის ადეკვატურ ინტერპრეტაციას აძნელებს.

ამ სიძნელის დასაძლევად D. N. Levine (1978: 10) საჭიროდ მიიჩნევს ვებერის კონცეფციაში გამოკვეთოს განსხვავება ***სუბიექტურ*** და ***ობიექტურ*** რაციონალობას შორის. ***სუბიექტური*** რაციონალობის ლოკუსს წარმოადგენს აქტორთა ***მენტალური პროცესები*** (აქ ავტორი პარალელს ნახულობს კანტის "პრაქტიკულ გონებასთან", ჰეგელის "თვითცნობიერებასთან", ტიონისის "რაციონალურ სურვილთან", ზიმელის "გონების გამოთვლით უნართან", პარეტოს "სუბიექტურ ლოგიკურობასთან"). *ობიექტური* რაციონალობის ლოკუსია ***მოქმედების პროცესები*** და ***ინსტიტუციური ნორმების*** სახით გამოხატული სიმბოლოები (აქ პარალელები იძებნება იმასთან, რასაც ჰეგელი კანონებში და პოლიტიკურ ინსტიტუტებში ხორცშესხმულ გონებას უწოდებს, ტიონისის კონცეფციასთან "*Gesellschaft*"-ის სტრუქტურის და მისი იურიდიული სააგენტოების შესახებ, ზიმელის მიერ

"აპერსონალურ კალკულაციაზე" დაფუძნებული სოციალური ურთიერთობების კვლევასთან, პარეტოს "ობიექტურ ლოგიკურობასთან").

D. N. Levine -ის აზრით, მართალია, ვებერი სპეციალურად არ განიხილავს ასეთ განსხვავებას, მაგრამ მის შრომებში არსებობს მთელი რიგი პასაჟები, სადაც იგი ახდენს ამგვარ დიფერენციაციას, და რაც ყველაზე საყურადღებოა, სწორედ ***სოციალურ მოქმედებასთან*** მიმართებაში. კერძოდ, ვებერის თანახმად ([1922] 1949: 34 [488]), სუბიექტური რაციონალობა ეხება მოქმედებას, რომელიც ცნობიერია და წინასწარგანზრახული (იმ მოქმედების საპირისპიროდ, რომელიც ემორჩილება არაცნობიერ მოტივებს და არაწინასწარგანზრახულია) და/ან ორიენტირებულია საშუალებებზე, რომლებიც სუბიექტის მიერ ***ჩაითვლება***, როგორც კორექტული (სწორი) მოცემული მიზნისათვის. ამისაგან განსხვავებით, ობიექტურად რაციონალურია მოქმედება, რომელიც იყენებს ტექნიკურად კორექტულ (სწორ) საშუალებებს მეცნიერულ ცოდნასთან შესაბამისობაში და/ან ექვემდებარება გარეგან სისტემატიზაციას.

მსგავს განსხვავებას სხვაგანაც ვხვდებით: თავისი შრომის - "ეკონომიკა და საზოგადოება"- პირველი თავის მე-6 და მე-7 პარაგრაფებში ვებერი ერთმანეთისაგან გაარჩევს, ერთი მხრივ, იმ განსხვავებულ ზხებს, რომელთა მეშვეობითაც აქტორები ***ორიენტირდებიან*** ნორმების და სოციალური წესრიგის დასაცავად და, მეორე მხრივ, იმ საფუძვლებს, რომელთა გამოც ლეგიტიმურობა მიეწერება სოციალურ წესრიგს. ეს უკანასკნელი უნდა განვიხილოთ როგორც ***ინსტიტუციურ ფორმათა*** ტიპოლოგია, რომელიც შეიცავს შეხედულებებს და დაკავშირებულია სანქციებთან, რომლებსაც სოციალური წესრიგის წარმომადგენლები მიმართავენ ლეგიტიმური ძალაუფლების გამოსაყენებლად.

ხაზი უნდა გაესვას (კიდევ ერთხელ) იმას, რომ ობიექტური რაციონალობის ქვეშ ვებერი არ გულისხმობს მოქმედების "ობიექტურად სწორ (ვალიდურ)" მნიშვნელობას, რომელიც ნორმატიული დატვირთვის მქონეა (ისე როგორც ეს ეხმის, მაგალითად, იურისპრუდენციას, რომლისგანაც ვებერი პრინციპულად განასხვავებს თავის ემპირიულ სოციოლოგიას). ობიექტურ რაციონალობას, დიურკჰაიმის ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, საქმე აქვს ***სუპრა-ინდივიდუალურ*** (supra-individual), ანუ ინსტიტუციურ ნორმებთან. რაც შეეხება სუბიექტურ რაციონალობას, იგი ეხება აქტორთა ***სუბიექტურ განზრახვებს***, რამდენადაც ისინი გულისხმობს ამ ნორმებით უჩრუნ-

ველყოფილი სოციალური წესრიგის მიმართ დამორჩილებას ან მისგან გადახრას.

თუ გავითვალისწინებთ განსხვავებას სუბიექტურ და ობიექტურ რაციონალობას შორის, შესაძლებელია, ამ კლასიფიკაციის საფუძველზე შევაფასოთ, ზოგადად, მოქმედების და, კერძოდ, სოციალური მოქმედების ვებერისეული კონცეფცია, რომელიც ზემოთ იქნა განხილული:

როდესაც ვებერი ერთმანეთისაგან განასხვავებს გაგების რაციონალურ (ლოგიკურ და მათემატიკურ) და ემპათიკურ (ემოციურ, მხატვრულად რეცეპტულ) მნიშვნელობებს, ეს სხვა არაფერია, თუ არა მენტალური პროცესების ორი კონტექსტი: ლოგიკურ-მათემატიკური გაგება ***სუბიექტური რაციონალობის*** პრედიკატია, ხოლო ემპათიკური გაგება - ***სუბიექტური არარაციონალობის*** პრედიკატი.

სხვა მხრივ, სუბიექტური ორიენტაციის ფორმებს წარმოადგენს, აგრეთვე, ვებერის მიერ სოციალური მოქმედების კლასიფიკაცია (მიზან-რაციონალური, ღირებულებით-რაციონალური, ტრადიციული და აფექტური).

მენტალური პროცესების ლოგიკურ-მათემატიკურ და ემპათიკურ კონტექსტებსა და სოციალური მოქმედების ფორმებს შორის არსებობს კორელაცია: მიზან-რაციონალური და ღირებულებით-რაციონალური მოქმედებები სუბიექტური რაციონალობის კორელატურია, ხოლო, ტრადიციული და აფექტური მოქმედებები - სუბიექტური არარაციონალობის. ეს მიმართებები სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს (D. N. Levine , 1978: 14):

სუბიექტური რაციონალობის და არარაციონალობის ფორმები		
მენტალური თვისება	ორიენტაციის სფეროები	
	კოგნიტური პროცესები	ნებელობითი (conative) პროცესები
რაციონალური	რაციონალური გაგება 1. მათემატიკური 2. ლოგიკური	1. მიზან-რაციონალური ორიენტაცია 2. ღირებულებით-რაციონალური ორიენტაცია
არარაციონალური: 1. *ემოციური* 2. *ჩვეულებაზე დამყარებული*	ემპათიკური გაგება	3. აფექტური ორიენტაცია 4. ტრადიციული ორიენტაცია

რაც შეეხება ***ობიექტურ*** რაციონალობას, ვებერი განიხილავს ამგვარი რაციონალობის სხვადასხვა ფორმას და ვარიაციას. ამ შემთხ-

ვეუაში ვებერი იკვლევს რაციონალობის ფენომენს ცხოვრების ისეთ ინსტიტუციურ სფეროებში, როგორიცაა: ეკონომიკური ორგანიზაცია, პოლიტიკური წესრიგი, სამხედრო ორგანიზაცია, იურიდიული სისტემები, სოციალური სტრატიფიკაცია, განათლება, რელიგია, ეთიკა, მეცნიერება, ხელოვნება და ეროტიკული ცხოვრება. ამრიგად, რაციონალიზაციის პროცესს შეიძლება დავაკვირდეთ სხვადასხვა სოციოკულტურულ დონეზე და ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

შრომებში: "ეკონომიკა და საზოგადოება", "პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული", "მსოფლიო რელიგიების სოციალური ფსიქოლოგია" - ვებერი გაარჩევს ობიექტური რაციონალობის ოთხ სახეს: ***კონცეპტუალურს, ინსტრუმენტალურს, სუბსტანციურს*** (substantive) და ***ფორმალურს***. რაციონალობის თითოეული ტიპი წარმოადგენს კონცეპტუალურ სქემას, რომელსაც ვებერი იყენებს მოქმედების განსაზღვრული მოდელების ანალიზისათვის. სხვანაირად თუ ვიტყვით, რაციონალობის ეს ტიპები ქმნის მოქმედების ცნობიერ წესებს (რეგულაციებს), იმისათვის, რათა დაძლიონ რეალობის ფრაგმენტულობა. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

კონცეპტუალური (თეორიული, ინტელექტუალური) რაციონალობის ქვეშ, ვებერი ([1946] 1958a: 293 [265-66]), ზოგადად, გულისხმობს ნებისმიერ აბსტრაქტულ კოგნიტურ პროცესს, გამოხატულს მის ყველა ექსპანსიურ, აქტიურ ფორმაში. რაციონალობის ეს ტიპი რეალობაზე ზეწოლას (რეალობის მართვას) ახორციელებს აბსტრაქტული ცნებების აგების გზით (და არა მოქმედებაზე აქცენტირებით). იგი წარმოადგენს კოგნიტურ კონფრონტაციას ადამიანის რეალურ გამოცდილებასთან ისეთი ზოგადი პროცესების მეშვეობით, როგორიცაა ლოგიკური დედუქცია და ინდუქცია, მიზეზობრიობის მიწერა, სიმბოლური მნიშვნელობების ფორმაცია და სხვ. ვებერის თანახმად, კონცეპტუალური რაციონალობა აყალიბებს სამყაროს კოჰერენტულ (თანმიმდევრულ), აბსტრაქტულ და მნიშვნელად სურათს. იგი მოიცავს ლოგიკური სისტემატიზაციის და გენერალიზაციის კოგნიტურ პროცესებს და წარმოადგენს რეაქციას ადამიანის ხურვიდან, "გამოხატოს და გაიგოს სამყარო".

თეორიული რაციონალიზაციის პროცესს ვებერი ისტორიის უადრეს საფეხურებზე ალმოაჩენს: ათასი ჯურის მიხნები და ქურუმები ცდილობდნენ ბუნების და ზებუნებრივი სამყაროს გარაციონალურებას (მათივის მნიშვნელობის მინიჭებას). ზნეობრივად მსხნელი

რელიგიების გაჩენასთან ერთად, მისმა მქადაგებლებმა (პირველ რიგში, თეოლოგებმა) მოახდინეს დოქტრინებში იმპლიციტურად ნაგულისხმევი ღირებულებების კიდევ უფრო რაციონალიზება, რათა უზრუნველეყოთ "ტანჯვის მარადიულობის" გაგებისათვის ხელმისაწვდომი ახსნა. ფილოსოფოსები კიდევ უფრო შორს წავიდნენ კონცეპტუალიზების მიმართულებით და შეეცადნენ თეორიული სქემებით აეხსნათ ბუნება და საზოგადოება, მათი საწყისები და კანონზომიერება. ვებერი ([1946] 1958a: 279-81 [251-54]; [1921] 1968: 505-6 [307-8]) აღნიშნავს, რომ თეორიული რაციონალობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს მოაზროვნეთა და "სისტემატიკოსთა" "მეტაფიზიკური მოთხოვნილება", აჯობონ რეალობის რუტინას და ყოველდღიური ცხოვრების შემთხვევით მოვლენებს მიანიჭონ კოჰერენტული მნიშვნელობა. ამ მოაზროვნეთა მოტივაციას წარმოადგენს პასუხის ძიება მეტაფიზიკურ კითხვაზე (M. Weber, [1921] 1968: 451 [275]): "***თუ სამყაროს მთლიანობაში და, კერძოდ, ცხოვრებას, უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რა შეიძლება ეს იყოს და როგორ უნდა გამოიყურებოდეს სამყარო იმისათვის, რომ შეეხაბამებოდეს მას?***" ვებერი დარწმუნებულია, რომ ამ ძიებამ ითამაშა განუზომლად დიდი როლი ინტელექტუალთა ძალისხმევაში, გაერღვიათ ყოველდღიური რეალობა და გაეგოთ სამყარო, როგორც "მნიშვნელობის მქონე" კოსმოსი.

ინსტრუმენტალური (პრაქტიკული) რაციონალობა, ვებერის თანახმად ([1921] 1968: 400 [224]), ადამიანის მოღვაწეობას (activity) განიხილავს წმინდა პრაგმატულ და ეგოისტურ ინტერესებთან მიმართებაში. იგი წარმოადგენს მოცემული პრაქტიკული მიზნის მეთოდურ განხორციელებას, ადეკვატური საშუალებების გამოყენებით. ადეკვატური საშუალებების ქვეშ იგულისხმება ***ტექნიკურად ეფექტური*** და ***ოპერატიული*** ხერხების გამოყენება მიზნის მისაღწევად. ინსტრუმენტალურ რაციონალობას არ აინტერესებს მოქმედების მოდელები, რომლებიც, თვითკმარ ღირებულებათა სისტემის პოზიციებიდან, აქტიურ მანიპულირებას ახდენს ყოველდღიური ცხოვრების რუტინაზე; ცხოვრების პრაქტიკულ-რაციონალური ფხა არსებულ რეალობას იღებს, როგორც ***მოცემულობას*** და ახდენს ყველაზე მოხერხებული საშუალებების გამოთვლას იმ წინააღმდეგობების დასაძლევად, რომელსაც აწყდება. ვებერი აღნიშნავს ([1946] 1958a: 293 [266]), რომ ამ შემთხვევაში, პრაგმატული მოქმედება (ყოველდღიურ ინტერესების ბრალით) არის განმსაზღვრელი და პრაქტიკული მიზნები

მიიღწევა ყველაზე ადეკვატური საშუალებების ფრთხილი აწონვის და ზედმიწევნით ზუსტი გამოთვლის გზით.

მართალია, ვებერის ([1946] 1958a: 279 [251], 284 [256]) თანახმად, რაციონალობის ეს ტიპი ყველაზე სრულყოფილად მეფავნდება ისეთ სოციალურ ფენაში, როგორიცაა გლეხები, ვაჭრები და ხელოსნები და სწორედ ეს "სამოქალაქო" ("civic") ფენა ამეღავნებს გამოკვეთილ ტენდენციას, უხელმძღვანელოს ცხოვრებას პრაქტიკული ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ, ვებერი იმასაც აღნიშნავს ([1921] 1968: 400 [224]), რომ ინსტრუმენტალური რაციონალობა მაინც უნივერსალურ ფორმას წარმოადგენს და თვით მაგიური და რელიგიური ქცევების ყველაზე ელემენტარულ ფორმებს მოიცავს.

სუბსტანციური (თვითმყოფადი) რაციონალობა, ვებერის თანახმად ([1921] 1968: 85 [44]), დაკავშირებულია ***შეფასებით სტანდარტებთან***. რაციონალობის ეს ფორმა აყალიბებს ვალიდურ წესებს და კრიტერიუმებს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს წესები ეთიკურ იმპერატივებს მოიცავს (რომლებიც თანხმობაშია ეთიკურ იდეალებთან); ხელოვნებაში - შეფასების ესთეტიკურ კრიტერიუმებს; ეკონომიკის, პოლიტიკის და სამართლის სფეროებში - შესაბამის მაქსიმებს და ა. შ.

ვებერის მიხედვით ([1921] 1968: 85-86 [44-45]), სუბსტანციური რაციონალობა იმით ემსგავსება პრაქტიკულ რაციონალობას (შესაბამისად, განსხვავდება თეორიული რაციონალობისაგან), რომ იგი პირდაპირ (უშუალოდ) უქვემდებარებს მოქმედებას განსაზღვრულ ეტალონებს. თუმცა, პრაქტიკული რაციონალობის საპირისპიროდ, ეს პროცესი არ წარმოადგენს უბრალოდ მიზან-საშუალებათა გამოთვლას, რიგითი რუტინული პრობლემების გადასაჭრელად, არამედ - რეალობის მართვას ნამყოს, აწმყოს და პოტენციურ ***"ღირებულებით პოსტულატთან"*** (past, present, or potential "value postulate") მიმართებაში. ღირებულებითი პოსტულატი გულისხმობს არა მხოლოდ ერთ ღირებულებას (მაგალითად, სიმდიდრის მხარდაჭერას ან მოვალეობის განხორციელებას), არამედ ღირებულებათა მთელ ჯგუფს, რომლებიც განსხვავდება სიღრმით, შინაგანი სიმტკიცით და შინაარსით. ამდენად, რაციონალობის ეს ტიპი წარმოადგენს ინდივიდის იმ უნარის მანიფესტაციას, რომ იმოქმედოს ღირებულებით-რაციონალურად.

ვებერი აღნიშნავს, რომ სუბსტანციური რაციონალობა შეიძლება შემოიხაზღვროს, განახორციელოს რა ცხოვრების მხოლოდ განსაზღვრული სფეროს ორგანიზება, სხვა კი მხედველობის გარეშე

დატოვოს. ამის ილუსტრაციას წარმოადგენს, მაგალითად, მეგობრობის სფერო, რომელიც ყოველთვის, როცა იმართება ისეთი ღირებულებებით, როგორიცაა ერთგულება, თანაგრძნობა და ურთიერთდახმარება, ქმნის სუბსტანციური რაციონალობის არსს. კომუნიზმი, ფეოდალიზმი, ჰედონიზმი, ეგალიტარიზმი, კალვინიზმი, სოციალიზმი, ბუდიზმი, ინდუიზმი და რენესანსული თვალსაზრისი ცხოვრებაზე, აგრეთვე, სუბსტანციური რაციონალობის მაგალითებია, რამდენადაც ახდენს მოქმედების ორგანიზებას მათი ღირებულებითი შინაარსის შესაბამისად.

რა სფეროსაც არ უნდა ეხებოდეს, სუბსტანციური რაციონალობა უნდა განვიხილოთ (M. Weber, [1946] 1958a: 294 [266]), როგორც "ვალიდური წესი (კრიტერიუმი)", როგორც განსაკუთრებული "სტანდარტი", რომლის მიხედვითაც შეირჩევა, გაიზომება და შეფასდება ("გასამართლდება") ემპირიულ მოვლენათა ერთობლიობა. ჯგუფები, ორგანიზაციები, ინსტიტუტები, პოლიტიკური ერთობები, კულტურები და ცივილიზაციები იმართება სპეციფიკური ღირებულებითი პოსტულატების მიერ, მაშინაც კი, როდესაც ისინი არ აღიქმებიან მისი მონაწილეების მიერ იგივეობრივად.

ვებერი მიუთითებს შესაძლო ღირებულებითი პოსტულატების ***დაუსრულებლობაზე*** (infinity), რის გამოც, ზოგიერთი კრიტიკოსი (S. Kalberg, 1981: 1155) სუბსტანციური რაციონალობის ვებერისეულ კონცეფციას "რადიკალურ პერსპექტივიზმს" მიაწერს. სუბსტანციური რაციონალობა და მასზე დაფუძნებული რაციონალიზაციის პროცესები ყოველთვის არსებობს ბოლოვადი თვალსაზრისების, ანუ "დირექტივების" სახით: თითოეული ასეთი თვალსაზრისი გულისხმობს ღირებულებათა ***იგივეობრივ*** (identifiable) ***კონფიგურაციას***, რაც განსაზღვრავს შემდგომი რაციონალიზაციის პროცესის პოტენციურ მიმართულებას. ამრიგად, რაციონალურ ღირებულებათა დაუსრულებლობა (infinity) არ ნიშნავს მუდმივი სტანდარტების ქსელის არსებობას რაციონალიზაციის პროცესებისათვის. პირიქით, "რადიკალური პერსპექტივიზმის" თანახმად, რაციონალიზაციის პროცესის არსებობა დამოკიდებულია ბოლოვადი ღირებულებების ინდივიდთა მხრიდან სავარაუდო ან განსაზღვრული, ცნობიერი ან არაცნობიერი უპირატესობის მინიჭებაზე და მოქმედების სისტემატიზაციაზე ღირებულებების შესაბამისად.

ცხოვრების ყველა სფეროში არსებობს ღირებულებით პოსტულატზე დაფუძნებული, სულ ცოტა, ერთი იგივეობრივი თვალსაზრისი.

თავის მხრივ, თითოეული სფეროს შიგნით მიმდინარე რაციონალიზაციის პროცესები უკუშეხებაშია იმავე ღირებულებით პოსტულატებთან. ვებერის მიხედვით ([1946] 1958a: 301 [275]), ცხოვრების სფეროები (life-spheres) საკუთარ ღირებულებით პოსტულატებს განიხილავენ, როგორც "რაციონალურს", ხოლო სხვა სფეროებში მოქმედ პოსტულატებს "ირაციონალურის" იარლიყს აკრავენ. მაგალითად, ეკონომიკის სფეროში მოქმედი ეფექტურობის და პროდუქტულობის თვალსაზრისის მიხედვით, ყველა მონოპოლიური სტატუსი, ვინაიდან ისინი ზღუდავს თავისუფალი ბაზრის გაფართოებას, წარმოადგენს "ირაციონალურს". ასე აფასებს კაპიტალიზმის ცხოვრების წესი ფეოდალიზმის ღირებულებებს, რამდენადაც მათში მონოპოლიურობა ყველაზე მეტად მყლავნდება. მეორე მხრივ (M. Weber, [1946] 1958a: 348-49 [561-62], 331-40 [544-54]), კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი ანგარიშიანობა და პოლიტიკოსთა ძალაუფლებითი ინტერესები "ირაციონალურად" ფასდება რელიგიური თვალსაზრისით და პირიქით. სხვა მაგალითი (M. Weber, [1946] 1958a: 281 [253]): თანამედროვე ინტელექტუალისათვის, რომელიც მხოლოდ მეცნიერებას და ემპირიულ ცოდნას ენდობა, რწმენის მიმართ რელიგიური ადამიანის ნდობა ირაციონალურის სფეროს განეკუთვნება.[1]

ფორმალური რაციონალობა აყალიბებს აბსტრაქტულ პროცედურებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს პიროვნული კავშირების და სოციალური შეხედულებების გავლენა და მაქსიმალურად გაზარდოს ქმედებების წინაწარმეტყველების (გათვლის) შესაძლებლობა. რაციონალობის ეს ფორმა მოქმედებებს და ურთიერთობებს აქცევს ***კალკულირებადი წესრიგის*** ფარგლებში.

როგორც მკვლევრები მიუთითებენ (S. Kalberg, 1981: 1159), პრაქტიკული, თეორიული და სუბსტანციური რაციონალობის ინტერციფილური და ეპოქის მიმართ ტრანსცენდენტური (epoch-trancending) თავისებურებისაგან განსხვავებით, ფორმალური რაციონალობა იფარგლება მხოლოდ ***ინდუსტრიალიზაციისათვის*** დამახასიათებელი ცხოვრების სფეროებით და ძალაუფლების სტრუქტურებით. რაციონალობის ეს ტიპი ყველაზე გამოკვეთილად მყლავნდება ეკონომიკურ, სამართლებრივ და მეცნიერების სფეროებში, აგრეთვე, ძალაუფლების ბიუროკრატიულ ფორმაში.

[1] არა მხოლოდ სხვადასხვა სფეროებს შორის, არამედ სუბსტანციური რაციონალობის თვალსაზრისები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთი სფეროს შიგნით. მაგალითად (M. Weber, [1946] 1958a: 338 [551-52]), რელიგიური ცხოვრების სფეროში ინდუსების ორგანული სოციალური ეთიკა, როგორც ცხოვრების წესი, გაუგებარია ბუდიზტური მისტიკისათვის, რომელმაც ბირნია გაყოლოდა ნირვანას ძებას, ჭერეტით ცხოვრებას და ასკეტიზმს.

აღსანიშნავია ფორმალური რაციონალობის სპეციფიკური განსხვავება პრაქტიკული რაციონალობისაგან: ორივე ორიენტირდება კალკულირებად მოქმედებაზე, მაგრამ თუ პრაქტიკული რაციონალობა ყოველთვის მიმართულია ტენდენციაზე, რომ, გამომდინარე პრაგმატული *კეთილი* ინტერესებიდან, რუტინული პრობლემები გამოთვალოს და გადაჭრას მოქმედების მიზან-საშუალებათა რაციონალური ეტალონების მეშვეობით, ფორმალური რაციონალობა მიზან-საშუალებათა ამგვარ რაციონალურ გამოთვლას ახდენს *უნივერსალურად* გამოყენებადი წესების, კანონების თუ ნორმების საფუძველზე. ვებერი ხაზგასმით მიუთითებს ([1921] 1968: 979 [565], 244 [141], 225 [129]), რომ ფორმალური რაციონალობა ახორციელებს ისეთი აბსტრაქტული წესების გამოთვლას, რომელთა შესაბამისად გადაწყვეტილებები მიიღება ***"პიროვნებების მხედველობაში მიღების გარეშე"***. მოქმედების ორიენტაცია ფორმალურ წესებზე და კანონებზე უარყოფს ნებისმიერ თვითნებობას (arbitrariness): უნივერსალიზმის და კალკულირებადი წესრიგის პირობებში გადაწყვეტილების მიღების ("კეთების") პროცესი საერთოდ არ ითვალისწინებს ინდივიდის პერსონალურ თვისებებს. რჩეული პიროვნებები - თვით ქარიზმატულიც კი - ექვემდებარებიან ფორმალური რაციონალობის პროცედურებს. მაგალითად, მემამულის (lord of a manor) პიროვნული მიმზიდველობა და კეთილგანწყობა სრულიად უცხოა ბიუროკრატიის "სულისათვის".

ვებერი ([1921] 1968: 975 [562], 226 [130], 225 [129]; [1946] 1958a: 295 [267]) ფორმალური რაციონალობის გამოკვეთილ ინდიკატორად (ძალაუფლების ყველაზე რაციონალურ ტიპად) ***ბიუროკრატიულ ძალაუფლებას*** მიიჩნევს, რამდენადაც ამ დროს დომინანტურს წარმოადგენს მოქმედება, რომელიც ორიენტირებულია ინტელექტუალურად გაანალიზებად ზოგად წესებზე, ისევე როგორც - მათი გახანგრძლივების ყველაზე ადეკვატური საშუალებების შერჩევაზე. ბიუროკრატიის მიზანი სხვა არაფერია, თუ არა პრობლემების გადაჭრის ყველაზე ზუსტი და ეფექტური საშუალებების გამოთვლა, უნივერსალური და აბსტრაქტული წესებისადმი მათი დამორჩილების მეშვეობით.

ვებერი აღწერს რაციონალობის ამ ტიპის მოქმედებას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში: სამართლის სფეროში ლეგალური ფორმალური რაციონალობა, ვებერის თანახმად ([1921] 1968: 656-57 [396]), არსებობს მაშინ, როდესაც ფორმალურად განსწავლული იურისტები შეიმუშავებენ კანონებს, რომლებიც სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს მიეყენება იმ აზრით, რომ "მსჯდველობაში მიიღება რაიმე შემთხვევის მხოლოდ არაორაზროვანი ზოგადი ნიშნები (თვისებები), წმინდა პროცესუალური და ლეგალური ფაქტორების გათვალისწინებით". იურიდიული პროცედურის ეს სახე უპირის-

პირდება ლეგალურ სუბსტანციურ რაციონალობას, რომლის დროსაც გადაწყვეტილებები მიიღება ბოლოვადი (აბსოლუტური) სამართლიანობის პოსტულატზე დაყრდნობით. მსგავსად ამისა, ეკონომიკურ სფეროში (M. Weber, [1921] 1968: 85 [44-45]) ფორმალური რაციონალობა ნიშნავს, რომ "ბაზრის კანონების" ფარგლებში უნივერსალურად სრულდება ყველა ტექნიკურად შესაძლო კალკულაცია, მიუხედავად იმისა, თუ რა ხარისხით არღვევენ ისინი ეთიკურ სუბსტანციურ რაციონალობას.

რაც შეეხება მეცნიერების სფეროს, ვებერის თანახმად, თეორიული რაციონალობის მიერ ფორმულირებული ჰიპოთეზების საპირისპიროდ, მთლიანად ფორმალურ-რაციონალურად უნდა ჩაითვალოს ექსპერიმენტული მეცნიერული პროცედურები. ამ შემთხვევაში კალკულაცია სრულდება ექსპერიმენტის ზოგადი წესების მიხედვით. ეს კიდევ უფრო რთული გზაა, ვიდრე წესების შემუშავება ძალაუფლების ბიუროკრატიულ ფორმაში, ანდა სამართლის და ეკონომიკის სფეროებში: მკაცრი ემპირიული დაკვირვება, კვანტიფიკაცია და სისტემური გაზომვა აღწევს ამ დროს მეთოდური კონტროლის პიკს, განსაკუთრებით, ლაბორატორიულ პირობებში. აქაც, ისევე როგორც ცხოვრების სხვა სფეროში, ყველა ტექნიკურად შესაძლო მიზან-საშუალებათა რაციონალური გამოთვლა ხორციელდება "პიროვნებებთან შეხების გარეშე".

წესებზე ორიენტირებული წმინდა კალკულაცია (რაც უშუალო უკუგავლენას ახდენს მოქმედებაზე) ხორციელდება რელიგიის სფეროშიც, თუმცა, მხოლოდ ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში. ფორმალური რაციონალობა ამ სფეროში ვებერის მიერ აღიწერება ([1946] 1958a: 293-94 [266]), როგორც მოქმედება, რომელიც "იმართება გეგმის მიხედვით" (*Planmassigkeit*): ამ შემთხვეეეევაში, დადგენილი პროცედურების შესაბამისად, გამოიყენება ისეთი მეთოდური ხერხები, როგორიცაა ჭვრეტა (contemplation) ან იოგა.

მკვლევრები, ვებერის შრომების ანალიზის საფუძველზე, გარკვეულ კომენტარებს აკეთებენ აღნიშნული ტიპოლოგიზაციის შესახებ. კერძოდ, ისინი (D. N. Levine, 1978: 14) აღნიშნავენ, რომ ა) არსებობს სპეციფიკური ნათესაობა ობიექტური რაციონალობის ამა თუ იმ ფორმასა და სხვადასხვა ინსტიტუციურ სფეროს შორის. მაგალითად, მეცნიერების სფერო (რომელიც ძირითადად დაკავშირებულია სამყაროს გაგებასთან), სპეციფიკურ სიახლოვეს ამჟღავნებს კონცეპტუალურ რაციონალობასთან ბ) ნიშანდობლივია ის, რომ ობიექტური რაციონალობის ოთხივე ფორმას აქვს თავისი "ორეული" (დუბლიკატი) სუბიექტური რაციონალობის ფორმებს შორის. კერძოდ, რაციონალური (ლოგიკურ-მათემატიკური) გაგება შეესაბამება კონცეპტუალურ რაციონალობას; მიზან-რაციონალური ორიენტაცია თანხმობაშია ინსტრუმენტალურ რაციონალობასთან; ღირებულებით-რაციონალური ორიენტაციის დუბლიკატია სუბსტანციური რაციონალობა; მიუხედავად იმისა, რომ ვებერი არ იძლევა ტერმინს იმ სუბიექტური ორიენტაციის აღსანიშნად, რომელიც ფორმალური ორიენტაციის პა-

რალელური იქნება, იგი ხშირად აღწერს აქტორთა მენტალურ ტენდენციას, რომ მარეგულირებელი ნორმების შეთვისებით დაიცვან წესრიგი, რაც ამ ტენდენციას მოტივაციურ მნიშვნელობას ანიჭებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ობიექტური რაციონალობის ოთხი ფორმიდან სამი (ინსტრუმენტალური, სუბსტანციური და ფორმალური) ***უშუალო***, ხოლო ერთი (კონცეპტუალური) - ***გაშუალებულ*** შეხებაშია ***სოციალურ მოქმედებასთან*** (მოქმედების სოციალურად სანქცირებულ მიმდინარეობასთან). რაციონალობის ტიპები წარმოადგენს იმ კონცეპტუალურ სქემას, რომელსაც ვებერი იყენებს მოქმედების წესების და მოდელების ანალიზისათვის. მოქმედების ეს ცნობიერი წესები (რეგულაციები) იქმნება იმისათვის, რათა დაიძლიოს რეალობის ფრაგმენტულობა. კერძოდ,

ა) ინსტრუმენტალური რაციონალობა "ზრუნავს" მოქმედების ნორმების ***ტექნიკურ ეფექტურობაზე***; რაციონალობის ეს ტიპი არსებობს როგორც ადამიანთა უნარების გამოვლინება (მანიფესტაცია) მიზან-რაციონალური მოქმედებისათვის;

ბ) სუბსტანციური რაციონალობა მიისწრაფვის მიაღწიოს მოქმედებათა ***მოტივაციურ ერთიანობას***, დაუქვემდებაროს რა მოქმედება განსაზღვრულ "თვითკმარ" ღირებულებებს;

გ) ფორმალური რაციონალობა ახდენს მოქმედებების დაგეგმვას და მათი მომავალი მსვლელობის გათვლას;

დ) რაც შეეხება კონცეპტუალურ რაციონალობას, იგი წარმოადგენს სიმბოლური სისტემების (ანუ, "კონცეპტების", რომლებიც გამოხატავენ და იმეცნებენ) და არა სოციალური მოქმედების, პრედიკატს. მიზან-რაციონალური მოქმედებისაგან განსხვავებით, რომელიც უზრუნველყოფს საფუძველს წმინდა ადაპტაციური პრაქტიკული რაციონალობისათვის, თეორიული რაციონალიზაცია რეალობას ხელმძღვანელობს (მართავს) აზროვნების მეშვეობით. თუმცა, ვებერი დარწმუნებულია, რომ ამ ფორმას არა უშუალო, მაგრამ ირიბი შეხება აქვს მოქმედებასთან: რეალობასთან თეორიულ კონფრონტაციას შეუძლია შექმნას მოქმედების ახალი რეგულაციები, ***არაპირდაპირ*** შემოიტანოს მოქმედების ეტალონები.[1]

[1] მაგალითად, ვებერი (1990b: 142-4) ამტკიცებს, რომ აბსტრაქტული რაციონალიზაციის ზეწოლამ გადამწყვეტი როლი ითამაშა დემაგიურობის (de-magification) პროცესებში, რამაც გაანაპირობა შუასაუკუნეების კათოლიციზმის ტრანსფორმაცია კალვინიზმად. სხვა მაგალითი (M. Weber, [1921] 1968: 432 [264], 424 [258]): როდესაც გაჩნდა წარმოდგენა ღმერთებზე, როგორც ფუნქციონალურად ძალმოსილ ისეთ არსებებზე, რომლებიც ბოროტებისაგან იფარავენ ადამიანებს, მარცხის მოლოდინის (დაშვების) კოშტენსირება კვლავ აბსტრაქტულმა (ლოგიკურმა) აზროვნებამ იტვირთა: მან დაასკვნა, რომ ღმერთები ეგოისტური არსებებია, რომელთა რისხვა მხოლოდ ხვეწნით და ვედრებით შეიძლება ჩაცხრეს. ამ წმინდად "რაციონალურმა" დასკვნამ, თავის მხრივ, სხვადასხვაგვარი გავლენა მოახდინა სოციალური მოქმედების პროცესებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ღმერთების დაწყნარების აუცილებლობამ სტიმული მისცა იმას, რომ მომხდარიყო რელიგიურ პრაქტიკოსთა ახალი სტრატის ფორმირება, ჩამოუყალიბებულიყო თაყვანისცემის ახალი სუბიექტები - მღვდლები. ვებერი მათ მეტაფიზიკური სამეფოს თეორიულად რაციონალიზებული კონცეპტების გამოხატულებად მიიჩნევს.

შინაარსობრივი განსხვავების მიუხედავად, რაციონალობის ოთხივე ტიპისათვის საერთო ის არის, რომ რომ ისინი აღწერს მენტალურ პროცესებს (ანუ, თუ D. N. Levine-ის გამოკვლევას გავითვალისწინებთ, კორელაციას ამყარებენ "სუბიექტურ რაციონალობასთან") და ისწრაფვიან, მართონ რეალობა. რაციონალობასთან (ობიექტურ და სუბიექტურ) დაკავშირებული პროცესები სისტემატურ კონფრონტაციაშია სოციალური რეალობის კონკრეტული მოვლენების სასრულ ნაკადთან, დაუკავშირებელ და წყვეტად ხდომილობებთან. რეალობის მართვა ნიშნავს სწორედ მის მოწესრიგებას გასაგები და "მნიშვნელადი" წესებით.

როგორც უკვე აღინიშნა, რაციონალობის ტიპები და მათთან დაკავშირებული მენტალური პროცესები ვებერს უმთავრესად იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ისინი შეიძლება "ითარგმნოს" სოციალურ მოქმედებათა ეტალონებად. ერთი მხრივ, კავშირი რაციონალობის ტიპებსა და მენტალურ პროცესებს (D. N. Levine-ის სიტყვებით, ობიექტური რაციონალობის "სუბიექტურ დუბლიკატებს") შორის, ხოლო, მეორე მხრივ, მოქმედებასთან მათი მიმართების ხასიათი სქემატურად ასე შეიძლება გამოიხატოს (S. Kalberg, 1981: 1162):

რაციონალობის ტიპები	მენტალური პროცესები	მიმართება მოქმედებასთან	მენტალური პროცესების დადასტურება
თეორიული	სხვადასხვა აბსტრაქტული პროცესები	არაპირდაპირი	წმინდა თეორიული პრობლემები
პრაქტიკული	მიზან-საშუალებათა გამოთვლა	პირდაპირი	ინტერესები
ფორმალური	მიზან-საშუალებათა გამოთვლა	პირდაპირი	წესები, კანონები, რეგულაციები
სუბსტანციური	რეალობის დაქვემდებარება ღირებულებებისადმი	პირდაპირი	ღირებულებები

რამდენადაც ობიექტური რაციონალობის ტიპები და მათთან დაკავშირებული მენტალური პროცესები სხვა არაფერია, თუ არა მოქმედების ცნობიერი რეგულაციები, რომელთა მიზანია რეალობის მართვა, მიმართება, ერთი მხრივ, რაციონალობის ტიპებსა და მენტალურ პროცესებს, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური მოქმედების ტიპებს შორის, ასეთია:

ა) რაციონალობის პრაქტიკული და ფორმალური ტიპები და მათი თანმდევი მენტალური პროცესები, როგორც წესი, დაკავშირებულია მიზან-რაციონალურ მოქმედებასთან;

ბ) სუბსტანციური რაციონალობა, როგორც წესი, ღირებულებით-რაციონალურ მოქმედებას უკავშირდება;

გ) მიუხედავად იმისა, რომ თეორიული რაციონალობა, მოქმედების ნაცვლად, დაფუძნებულია აბსტრაქტულ კოგნიტურ პროცესებზე, რაციონალური მოქმედება (თვით რაციონალური მოქმედების ეტალონებიც კი) შეიძლება არაპირდაპირ გამომდინარეობდეს თეორიული რაციონალური ახროვნებიდან.

საბოლოო ჯამში, მიმართებათა ქსელი სუბიექტურ და ობიექტურ რაციონალობასა და სოციალური მოქმედების რაციონალურ და არარაციონალურ ფორმებს შორის სქემატურად ასე გამოიხატება (S. Kalberg, 1981: 1162):

სოციალური მოქმედების ტიპები	მენტალური პროცესები	რაციონალობის ტიპები	რაციონალური მოქმედების ცნობიერი ეტალონები
არარაციონალური: *ტრადიციული* *აფექტური*	არარაციონალური არარაციონალური	. . . .	არა არა
რაციონალური: *ღირებულებით-რაციონალური* *მიზან-რაციონალური*	რეალობის დაქვემდებარება ღირებულებებისადმი მიზან-საშუალებათა გამოთვლა	სუბსტანციური ფორმალური, პრაქტიკული	დიახ დიახ დიახ
*.	სხვადასხვა აბსტრაქტული პროცესები	თეორიული	დიახ

*რაციონალური მოქმედება შეიძლება შეიქმნას არაპირდაპირ

ვებერის სქემის მიხედვით, რაციონალობის სუბსტანციური, ფორმალური და თეორიული ტიპები არ რჩება ამორფული მოქმედების სოციო-კულტურული რეგულაციების მიმართ. პირიქით, სოციოლოგიური და ისტორიული ფაქტორების კონფიგურაციების გათვალისწინებით, ისინი ინსტიტუციონალიზდება როგორც მოქმედების ნორმატიული რეგულაციები "ლეგიტიმურ წესრიგთა" - ორგანიზაციების, ძალაუფლების ტრადიციული (პატრიარქალური, პატრიმონიალური, ფეოდალური) და რაციონალურ-ლეგალური (ბიუროკრატიული) ფორმების, ეკონომიკური სტრუქტურების, ეთიკური დოქტრინების, კლასების და სტრატების - ფარგლებში. რაც შეეხება პრაქტიკულ რაციონალობას, მისი "პრობლემის-გადამჭრელი" (problem solving) ხასიათის გამო, იგი ძირითადად შემოიფარგლება რუტინული, ყოველდღიური, პრაგმატული წინააღმდეგობების სფეროთი.

როგორც მკვლევრები მიუთითებენ (R. H. Howe, 1978: 366-85) , არსებობს "გამორჩეული სიახლოვე" გარკვეულ ლეგიტიმურ წესრიგებს და მოქმედების კერძო ტიპებს შორის. როდესაც სუბსტანციური რაციონალობა წინასწარმეტყველების, მღვდლების და თეოლოგების მიერ ფორმირდება ზნეობრივად მხსნელი დოქტრინების სახით და ინსტიტუციონალიზდება ისეთი ორგანიზაციების მეშვეობით, როგორიცაა ეკლესია, სექტა და სხვ. რელიგიური (ღვთისმოშიში) ადამიანები, როგორც წესი, გრძნობენ ვალდებულებას, რომ მისდიონ "ეთიკურ სუბსტანციურ რაციონალობას" ღირებულებით-რაციონალური მიზნებიდან გამომდინარე. თუმცა, არ არის აუცილებელი, სუბსტანციურ რაციონალობას მისდიო მხოლოდ ღირებულებით-რაციონალური მოქმედების ფარგლებში. ვებერის თანახმად ([1921] 1968: 26 [13], 85-86 [45]), ბევრი ადამიანი არ ფლობს "რელიგიურ კვალიფიკაციას", თუმცა, თანმიმდევრულად მიმართავს თავის მოქმედებებს ღირებულებებთან კონსტელაციაში. საქმე ისაა, რომ მათ სჯერათ ამ ღირებულებების არა როგორც აბსოლუტური ეთიკური ნორმების, არამედ როგორც მოქმედების სახელმძღვანელო პრინციპებისა, რომლებსაც უნდა დაემორჩილონ მომენტალური (ამჟამად მოცემული) მოთხოვნების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, ეთიკური სუბსტანციური რაციონალობა ხორციელდება მხოლოდ მიზან-რაციონალური მოტივებით, ინდივიდის კერძო ინტერესებთან მიმართებაში. ამ შესაძლებლობის ილუსტრაციას წარმოადგენს, მაგალითად, ბიზნესმენის მიზან-რაციონალური მოტივაცია, რომელიც კალვინისტთა სექტას უბრალოდ იმიტომ უერთდება, რომ მოიპოვოს უმწიკვლო, პატიოსანი ადამიანის რეპუტაცია და უზრუნველყოს სექტის და ერთობის სხვა წევრების გამოყენება საკუთარი მიზნებისათვის. ასეთ შემთხვევაში, მოქმედების სუბსტანციური რაციონალური ეტალონები არ ჩაითვლება ღირებულებით-რაციონალურად. ისინი წარმოადგენს ნამდვილ მიზან-რაციონალურ საშუალებებს წარმატებული ბიზნესის განსახორციელებლად.

ვებერი განიხილავს სხვა კორელაციებს განსაზღვრულ ლეგიტიმურ წესრიგსა და სოციალური მოქმედების ტიპებს შორის: კაპიტალიზმი, მაგალითად, როგორც ლეგიტიმური ეკონომიკური წესრიგი, სხვადასხვა მიზეზის წყალობით განვითარდა. ვებერი (1990b: 70-96) ამტკიცებს, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის საფუძვლებს სრულყოფილად ვერ გავიგებთ, თუ არ გავითვალისწინეთ პურიტანთა ღირებულებით-რაციონალური ორიენტაცია ეთიკური სუბსტანცი-

ური რაციონალობის მიმართ: მორწმუნის რელიგიური შთაგონება დისციპლინირებული, მეთოდური შრომის მიმართ, ფულის მოგროვება და დაბანდება აღმოჩნდა ეკონომიკური მოღვაწეობის ის სისტემატური კომპონენტი, რომელიც გაცილებით ეფექტური გამოდგა, ვიდრე "ავანტურას აყოლილი კაპიტალისტების" უტილიტარული ორიენტაციები ეკონომიკური ტრადიციონალიზმის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, თანამედროვე კაპიტალიზმი ხასიათდება საბაზრო ეკონომიკის აბსტრაქტული კანონების ერთგულებით, წმინდა მიზანრაციონალური მოტივებიდან გამომდინარე.

ამრიგად, ვებერის თანახმად, ლეგიტიმური წესრიგი, რომელიც ახდენს რაციონალობის ამა თუ იმ ტიპის ინსტიტუციონალიზებას, შეიძლება დაუკავშირდეს სოციალური მოქმედების განსხვავებულ ტიპებს.

* * *

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ვებერის სოციალური მოქმედების თეორიას არაერთი კრიტიკოსი გამოუჩნდა. კრიტიკის ძირითად ობიექტს წარმოადგენს კონცეფცია მოქმედების სუბიექტური მნიშვნელობის (საზრისის) და, აქედან გამომდინარე, მოქმედების გაგების შესახებ. პარსონსი (2000: 162-63) მიიჩნევს, რომ ვებერი ვერ გათავისუფლდა ფსიქოლოგიზმის გავლენისაგან, რომ მის მიერ მოქმედების ირაციონალური საზრისის აღიარებას ფსიქოლოგიურ დეტერმინაციამდე მივყავართ. მიუთითებენ (П. Гайденко, 1990с: 21), რომ ამ შემთხვევაში საქმეს ვერ შველის იდეალური ტიპების, როგორც რაციონალური გაგების ინსტრუმენტების, შემოტანა. მაგალითად, პარსონსი თვლის, რომ ტრადიციული მოქმედების დაყვანა ჩვეის ფსიქოლოგიურ მექანიზმებზე (რასაც ვებერი აკეთებს) გაუმართლებელია, რომ ტრადიციული მოქმედება არ ნიშნავს სრულ "ავტომატიზმს", არამედ დაკავშირებულია გარკვეულ ***ნორმატიულ*** ასპექტებთან. ამასთან, ვებერი დაუინებით ამტკიცებს, რომ რაციონალურ იდეალურ ტიპებს არა აქვს ნორმატიული მნიშვნელობა. საბოლოო ჯამში, პარსონსი (2000 :211) თვლის, რომ ვებერი დადგა მოქმედების ***ვოლუნტარისტური*** თეორიის პოზიციებზე.

I. J. Cohen (2000 :78), პირიქით, ვებერს ადანაშაულებს, რომ მისი ორიენტაცია მოქმედების რაციონალურ გაგებაზე (იდეალური ტიპების პოზიციიდან) წინააღმდეგობაში მოდის ძალაუფლების მისივე საბაზისო განსაზღვრებასთან. ამ განსაზღვრების თანახმად

(Weber, [1921] 1968: 53), ძალაუფლება წარმოადგენს ისეთი სოციალური მოქმედების ალბათობას, როდესაც აქტორს შესაძლებლობა ეძლევა განახორციელოს თავისი სურვილები, თუნდაც ამისთვის წინააღმდეგობების გადალახვა მოუწიოს. ვებერთან "სურვილი" (Will) არის ნიცშეს „ძალაუფლების ნების" გამოძახილი. თუმცა, ვებერმა (ნიცშესაგან განსხვავებით) ეს ტერმინი („სურვილი") თავის თეორიაში ისე შემოიტანა, რომ მას კონცეპტუალური საფუძველი არ მოუძებნია.

II თავის ძირითადი შინაარსი

1. ვებერის თანახმად, ადამიანის მოქმედება სოციოლოგიისათვის მხოლოდ იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი შეიძლება დაექვემდებაროს ემპირიულ ანალიზს. ინდივიდის მოქმედებას ვებერი განსაზღვრავს, როგორც ქცევას, რომელსაც აქტორი ან აქტორები უკავშირებენ სუბიექტურ საზრისს (მნიშვნელობას). შესაბამისად, სოციოლოგიას (როგორც ემპირიულ მეცნიერებას) არ შეიძლება აინტერესებდეს მოქმედების "ობიექტურად მნიშვნელადი" ან "მეტაფიზიკური" მნიშვნელობა.

2. მოქმედების გაგებას უზრუნველყოფს მასში ნაგულისხმევი სუბიექტური მნიშვნელობის წვდომა. არსებობს მოქმედების რაციონალური და ემოციური (არარაციონალური/ირაციონალური) მნიშვნელობები. რაციონალური საზრისის წვდომა მოქმედების გაგების ლოგიკურ-მათემატიკურ სიცხადეს აღწევს, ხოლო, ემოციური საზრისის წვდომა - გაგების ემოციურ და მხატვრულად რეცეპტულ სიცხადეს. პირველ შემთხვევაში გაგებას უზრუნველყოფს ინდივიდის ლოგიკური აზროვნების უნარი, ხოლო, მეორე შემთხვევაში - თანაგანცდის, მგრძნობელობის უნარი.

3. მოქმედების გაგება შეიძლება განხორციელდეს ორ - უშუალო და მოტივაციურ - დონეზე. უშუალო გაგების დროს მოქმედების საზრისი (რაციონალური ან არარაციონალური) მიიწვდომება პირდაპირ, რომელიც წარმოადგენს იმის წვდომას, თუ რას აკეთებს აქტორი (რა არის მისი მოქმედების შინაარსი). რაც შეეხება მოტივაციურ გაგებას, იგი პასუხობს კითხვაზე - რატომ იქცევა აქტორი ასე, რაც წარმოადგენს მოქმედების საზრისისეული კავშირების წვდომას.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედების საზრისი არ არის რაც-

ციონალური, ან, მით უფრო, მოქმედება უსაზრისო ხასიათს ატარებს, ისინი ტიპოლოგიურ მეცნიერულ კვლევას ექვემდებარება მოქმედების იდეალური ტიპების პოზიციიდან. იდეალური ტიპი წარმოადგენს თეორიულ-აბსტრაქტულ კონსტრუქციას, რომელიც აგებულია რეალურ ცხოვრებაში დაკვირვებადი ქცევებისა და ურთიერთობების განსაზღვრული მახასიათებლებისაგან. მას აქვს მხოლოდ შემეცნებითი (და არა მეტაფიზიკურ-ონტოლოგიური) ღირებულება, ანუ გამოიყენება ემპირიული (კერძო) შემთხვევების ინტერპრეტაციისათვის, როგორც შესადარებელი კონსტრუქციები. კერძოდ, იდეალურ ტიპებთან შედარების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს რაციონალური მოქმედებისაგან გადახრის (დევიაციის) ზომა. იდეალური ტიპები მიზან-რაციონალური მოქმედებებისგან შემდგარ კონსტრუქციას წარმოადგენს. კრიტიკოსები თვლიან, რომ იდეალური ტიპების შემოტანით, ვებერი აკნინებს არარაციონალური/ირაციონალური მოქმედებების სოციოლოგიურ რელევანტურობას, აღარიბებს ქცევის განზომილებათა მრავალფეროვნებას და აწესებს "ემბარგოს" ემოციაზე, საერთოდ, არაცნობიერ მოტივაციებზე.

4. სოციალურ მოქმედებას ვებერი განსაზღვრავს როგორც აქტორის ქცევას, რომელიც მასში ნაგულისხმევი სუბიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეეფარდება სხვა აქტორთა ქცევებს და ორიენტირდება მაზე. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, სოციალურ მოქმედებად არ ჩაითვლება: ა) გარეგანი მოქმედება, რომელიც ორიენტირებულია ნივთობრივი ობიექტების ქცევაზე; ბ) ინდივიდის შინაგანი მოქმედება, თუ იგი მხოლოდ თვითორიენტაციას, ანუ საკუთარ თავთან მიმართებას გულისხმობს; გ) ორი ადამიანის ურთიერთქმედება, რომელიც მნიშვნელობის მქონე, ანუ გასაზრისიანებულ ორიენტაციას არ წარმოადგენს (მაგ., წმინდა რეაქტიული ურთიერთქმედება); დ) მრავალი ადამიანის ერთგვაროვანი ქცევა, რომელიც მოტივირებულია არა სხვათა ქცევაზე ორიენტაციით, არამედ გარე (არასუბიექტური) გამღიზიანებლისაგან თავდაცვით; ე) ისეთი მოქმედება, რომელიც სრულდება ადამიანთა ჯგუფების, მასის ზეგავლენის ქვეშ ("მასობრიობით განპირობებული" მოქმედება); ვ) მიბაძვითი მოქმედების ის შემთხვევა, რომელიც რეაქტიული ხასიათისაა, ანდა, შესაძლოა, ცნობიერ შინაარსს ატარებს, თუმცა, სხვათა ქცევაზე ორიენტაციის გარეშე.

5. ვებერი იძლევა სოციალური მოქმედებების კლასიფიკაციას, რომელიც ოთხი ტიპის მოქმედებას მოიცავს (კლასიფიკაციის კრიტერიუმად გამოყენებულია მოქმედების რაციონალობის ხარისხი): 1. მიზან-რაციონალური მოქმედება, როდესაც ინდივიდი ორიენტირებულია მიზანზე და მის მისაღწევად იყენებს გარე სამყაროს ნივთების და სხვა ადამიანთა ქცევებს (ქცევის მოლოდინებს), როგორც საშუალებებს. ამ დროს აქტორი ყოველთვის ითვალისწინებს იმას, თუ რა დამატებითი შედეგები მოყვება მიზნის განხორციელებას. აღნიშნულ მოქმედებას ვებერი იდეალურ ტიპად მიიჩნევს. იგი წმინდა სახით რეალობაში არ არსებობს, არამედ წარმოადგენს თეორიულ კონსტრუქციას, რომელიც გამოიყენება შემეცნებითი მიზნებისათვის არარაციონალური მოქმედებების მიმართ, რათა განისაზღვროს მათი დევიაციის ხარისხი. რეალობაში არსებობს მხოლოდ იდეალურ ტიპთან მიახლოებული საზრისის მქონე ქცევა; 2. ღირებულებით-რაციონალური მოქმედება, რომელიც დაფუძნებულია თვითკმარი ღირებულებების (რელიგიური, ეთიკური, ესთეტიკური და სხვა) უპირობო რწმენაზე. ამ დროს აქტორი რაციონალურად იღწვის ღირებულების რეალიზაციისათვის. თუმცა, სოციალური მოქმედების ეს ტიპი შეფარდებითად რაციონალურია, რამდენადაც იგი მხედველობაში არ იღებს მოქმედების მეორეხარისხოვან შედეგებს. ღირებულებით-რაციონალური მოქმედება ანტიუტილიტარისტულია - ინდივიდი მოქმედებს ღირებულებების და არა პრაქტიკული საჭიროებების შესაბამისად. 3-4. აფექტური და ტრადიციული მოქმედებები, რომლებიც, მკაცრი აზრით, არც წარმოადგენს სოციალურს, რამდენადაც იმყოფებიან გასაზრისიანებული მოქმედებების ზღვარზე და ხშირად ზღვარს მიღმაც. აფექტური მოქმედება განისაზღვრება როგორც ინდივიდის ემოციური მდგომარეობით განპირობებული, ხოლო ტრადიციული მოქმედება წარმოადგენს ხანგრძლივ ჩვევაზე დაფუძნებულ ქცევას. აფექტური და ტრადიციული მოქმედებები არარაციონალური სუბიექტური საზრისის მქონეა, თუმცა, არააუცილებლად - ირაციონალური მნიშვნელობის მქონეც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისინი უსაზრისო მოქმედებებად იქცევა, შესაბამისად, კარგავს "სოციალურობის" სტატუსს.

6. სოციალურ ურთიერთობას ვებერი განსაზღვრავს, როგორც რამდენიმე აქტორის მოქმედებათა ურთიერთორიენტაციას, ამ მოქმედებებში ნაგულისხმევი სუბიექტური მნიშვნელობებიდან

გამომდინარე. სოციალური ურთიერთობა არსებობს მაშინ, როდესაც მასში მონაწილე თითოეული წევრი მხედველობაში იღებს სხვათა ქცევას. სოციოლოგიას სოციალურ ურთიერთობათა ემპირიულად მრავალფეროვანი შინაარსის შესწავლა უნდა აინტერესებდეს და არა მისი ნორმატიულად "სწორი", ანდა მეტაფიზიკურად "ჭეშმარიტი" მნიშვნელობის კვლევა.

7. სოციალური ურთიერთობა "ობიექტურად ცალმხრივია" მაშინ, როდესაც მოქმედებათა ურთიერთორიენტაცია, ამავე დროს, არ წარმოადგენს ურთიერთგაგებას, ანუ არ მიიღწევა საზრისთა ერთგვაროვნება. პირიქით, მაშინ, როცა ურთიერთორიენტაციის პროცესში პარტნიორთა განწყობები და მოლოდინები თანხვდება, ასეთი ურთიერთობა "ობიექტურად ორმხრივს" წარმოადგენს. "ობიექტურად ცალმხრივი" ურთიერთობის დროს არსებობოს სუბიექტური მოლოდინი იმისა, რომ განწყობა, რომელიც დამახასიათებელია ერთი მხარისათვის, დამახასიათებელი იქნება მისი პარტნიორისთვისაც. სოციალური ურთიერთობა არ შედგება, თუ არ არსებობს ასეთი სუბიექტური მოლოდინიც კი.

8. სოციალური ურთიერთობის შინაარსი, თუ იგი დროში ხანგრძლივი აღმოჩნდა, ყალიბდება სუპრა-ინდივიდუალურ ნორმებად, რომელთა დაცვასაც ყველაზე მეტად მოელიან, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში, მოითხოვება კიდეც, ანუ სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, როდესაც სოციალური ურთიერთობა ჩვევაში გადაიზრდება, საქმე გვაქვს ზნე-ჩვეულებასთან. ადათი ისეთი ზნე-ჩვეულებაა, რომელიც მოქმედებათა გაცილებით ხანგრძლივ განმეორებადობას მოიცავს და, ამასთან, განპირობებულია საერთო ინტერესებით ("ინტერესთა კონსტელაცია"). როგორც ზნე-ჩვეულებები, ისე ადათები, ვებერის თანახმად, არ არიან "მნიშვნელადი" სოციალური ურთიერთობები. ეს ნიშნავს, რომ ისინი არავისაგან "მოითხოვენ" მათ დაცვას და შეიცავენ ნორმებს, რომლებიც სრულდება ვალდებულების შეგრძნების გარეშე. მათგან განსხვავებით, ლეგიტიმური წესრიგი ისეთ მაქსიმებზე ორიენტირებულ სოციალურ ურთიერთობას წარმოადგენს, რომელთა დაცვა სავალდებულოა. ეს ნიშნავს, რომ ლეგიტიმური წესრიგი "მნიშვნელადია" - იგი ძალაშია მაშინაც კი, როდესაც მას არღვევენ. ამ ტიპის წესრიგის დაცვაზე მონიტორინგს უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სისტემა, რომელსაც ინდივიდზე ზემოქმედების განსხვავებული ინსტიტუციური ბერკეტები აქვს.

9. ვებერის კონცეფციაში საჭიროა გამოიკვეთოს განსხვავება ობიექტურ და სუბიექტურ რაციონალობას შორის. სუბიექტური რაციონალობა ეხება აქტორთა მენტალურ პროცესებს, რომლებიც ჩართულია მოქმედების გაგებაში. იგი მხედველობაში იღებს განზრახულ (ცნობიერ) მოქმედებებს და ორიენტირებულია საშუალებებზე, რომლებიც სუბიექტის მიერ კორექტულად ჩაითვლება მოცემული მიზნისათვის. რაც შეეხება ობიექტურ რაციონალობას, იგი ორიენტირდება სუპრა-ინდივიდუალურ, ინსტიტუციურ ნორმებზე და მათ შესაბამის მოქმედებებზე, რომლებიც სოციალური ლეგიტიმური წესრიგის წყაროს წარმოადგენს.

10. მენტალურ პროცესებს ორი კონტექსტი აქვს: ლოგიკურ-მათემატიკური გაგება და ემპათიკური გაგება. პირველი სუბიექტური რაციონალობის პრედიკატს წარმოადგენს, ხოლო მეორე - სუბიექტური არარაციონალობის. აღნიშნულ კონტექსტებსა და სოციალური მოქმედების ფორმებს შორის არსებობს კორელაცია: მიზან-რაციონალური და ღირებულებით-რაციონალური მოქმედებები სუბიექტური რაციონალობის კორელატურია, ხოლო, ტრადიციული და აფექტური მოქმედებები - სუბიექტური არარაციონალობის.

11. ვებერი განიხილავს ობიექტურ რაციონალობის ოთხ ფორმას:

ა) კონცეპტუალური (თეორიული, ინტელექტუალური) რაციონალობა. მის ქვეშ ვებერი გულისხმობს ნებისმიერ აბსტრაქტულ კოგნიტურ პროცესს, რომელიც რეალობის მართვას ახორციელებს აბსტრაქტული ცნებების აგების გზით (და არა უშუალოდ მოქმედებაზე ზეწოლით). იგი წარმოადგენს კოგნიტურ კონფრონტაციას ადამიანის რეალურ გამოცდილებასთან ისეთი ზოგოვნებითი პროცესების მეშვეობით, როგორიცაა ლოგიკური დედუქცია და ინდუქცია, მიზეზობრიობის მიწერა, სიმბოლური მნიშვნელობების ფორმაცია და სხვ.

ბ) ინსტრუმენტალური (პრაქტიკული) რაციონალობა. ეს ტიპი ადამიანის მოღვაწეობას (activity) განიხილავს წმინდა პრაგმატულ და ეგოისტურ ინტერესებთან მიმართებაში. იგი წარმოადგენს მოცემული პრაქტიკული მიზნის მეთოდურ განხორციელებას ადეკვატური - ტექნიკურად ეფექტური და ოპერატიული - საშუალებების გამოყენებით. ინსტრუმენტალურ რაციონალობას აინტერესებს მოქმედების მოდელები, განხილული არა თვითკმარ

ღირებულებათა სისტემის, არამედ უტილიტარული პოზიციებიდან.

გ) სუბსტანციური (თვითმყოფადი) რაციონალობა. იგი დაკავშირებულია შეფასებით სტანდარტებთან. რაციონალობის ეს ფორმა აყალიბებს ვალიდურ წესებს და კრიტერიუმებს, რომლებიც მოიცავს ეთიკურ იმპერატივებს (იდეალებს), შეფასების ესთეტიკურ კრიტერიუმებს, სამართლებრივ და პოლიტიკურ მაქსიმებს და ა.შ. მათ საფუძველზე შეირჩევა, გაიზომება და შეფასდება ემპირიულ მოვლენათა ერთობლიობა. სუბსტანციური რაციონალობის მიერ მოქმედების დაქვემდებარება განსაზღვრული ეტალონებისადმი არ წარმოადგენს უბრალოდ მიზან-საშუალებათა გამოთვლას რიგითი რუტინული პრობლემების გადასაჭრელად, არამედ - რეალობის მართვას "ღირებულებით პოსტულატთან" მიმართებაში, რომელიც მოიცავს სიღრმით, შინაგანი სიმტკიცით და შინაარსით განსხვავებულ ღირებულებათა ნაკრებს.

დ) ფორმალური რაციონალობა. ეს ტიპი აყალიბებს აბსტრაქტულ პროცედურებს (წესებს) ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს პიროვნული კავშირების და საზოგადოებრივი თვალსაზრისების გავლენა და მაქსიმალურად გაზარდოს ქმედებების გათვლის შესაძლებლობა. იგი სოციალურ მოქმედებებს და ურთიერთობებს აქცევს კალკულირებადი წესრიგის ფარგლებში. ფორმალურ რაციონალობას არა აქვს "ინტერცივილური" ხასიათი, იგი იფარგლება მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის ეპოქისათვის დამახასიათებელი ცხოვრების სფეროებით და ძალაუფლების სტრუქტურებით. მართალია, ფორმალური რაციონალობა, პრაქტიკული რაციონალობის მსგავსად, ორიენტირდება კალკულირებად მოქმედებაზე, მაგრამ თუ პრაქტიკული რაციონალობა ყოველთვის ამოდის პრაგმატული კერძო ინტერესებიდან, ფორმალური რაციონალობა მიზან-საშუალებათა რაციონალურ გამოთვლას ახდენს უნივერსალურად გამოყენებადი წესების, კანონების თუ ნორმების საფუძველზე. ასეთი გამოთვლის შესაბამისად გადაწყვეტილებები მიიღება "პიროვნებების მხედველობაში მიღების გარეშე". მოქმედების ორიენტაცია ფორმალურ წესებზე და კანონებზე უარყოფს ნებისმიერ თვითნებობას, რამდენადაც საერთოდ არ ითვალისწინებს ინდივიდის პერსონალურ თვისებებს. ვებერი ფორმალური რაციონალობის

გამოკვეთილ ინდიკატორად ბიუროკრატიულ ძალაუფლებას მიიჩნევს.

12. ობიექტური რაციონალობის ოთხივე ფორმას გააჩნია თავისი კორელატი სუბიექტური რაციონალობის ფორმებს შორის. კერძოდ, ლოგიკურ-მათემატიკური გაგება შეესაბამება კონცეპტუალურ რაციონალობას; მიზან-რაციონალური ორიენტაცია თანხმობაშია ინსტრუმენტალურ რაციონალობასთან; ღირებულებით-რაციონალური ორიენტაციის დუბლიკატია სუბსტანციური რაციონალობა; მიუხედავად იმისა, რომ ვებერი არ იძლევა ტერმინს იმ სუბიექტური ორიენტაციის აღსანიშნად, რომელიც ფორმალური ორიენტაციის პარალელური იქნება, იგი ხშირად აღწერს აქტორთა მენტალურ ტენდენციას, რომ მარეგულირებელი ნორმების შეთვისებით დაიცვან აბსტრაქტული და უპიროვნო წესრიგი.

13. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ობიექტური რაციონალობის ინსტრუმენტალური, სუბსტანციური და ფორმალური ტიპები უშუალო, ხოლო კონცეპტუალური ტიპი - გაშუალებულ შეხებაშია სოციალურ მოქმედებასთან. კერძოდ,

ა) ინსტრუმენტალური რაციონალობა უზრუნველყოფს მოქმედების ნორმების ტექნიკურ ეფექტურობას. იგი წარმოადგენს მიზან-რაციონალური მოქმედების განსახორციელებლად ადამიანთა უნარების მანიფესტაციას.

ბ) სუბსტანციური რაციონალობა უზრუნველყოფს მოქმედებათა მოტივაციურ ერთიანობას, ცდილობს რა დაუქვემდებაროს მოქმედება განსაზღვრულ "თვითკმარ" ღირებულებებს.

გ) ფორმალური რაციონალობა ახდენს მოქმედებების დაგეგმვას და მათი მომავალი მსვლელობის გათვლას.

დ) კონცეპტუალური რაციონალობა, რომელიც სიმბოლური სისტემების, და არა სოციალური მოქმედების, პრედიკატია, რეალობას მართავს აზროვნების მეშვეობით. ამ ფორმას არა უშუალო, მაგრამ ირიბი შეხება აქვს მოქმედებასთან: რეალობასთან თეორიულ კონფრონტაციას შეუძლია შექმნას მოქმედების ახალი რეგულაციები, არაპირდაპირ შემოიტანოს მოქმედების ეტალონები. მაშასადამე, კონცეპტუალური რაციონალობა უზრუნველყოფს თეორიულ საფუძველს წმინდა ადაპტაციური პრაქტიკული რაციონალობისათვის.

ძირითადი ცნებები:

მოქმედება, სოციალური მოქმედება, სოციალური ურთიერთობა, იდეალური ტიპი, სუბიექტური საზრისი, ზნე-ჩვეულება, ადათი, ლეგიტიმური წესრიგი, სუბიექტური რაციონალობა, ობიექტური რაციონალობა, მიზან-რაციონალური, ღირებულებით-რაციონალური, ტრადიციული, აფექტური.

ძირითადი კითხვები:

- როგორ განსაზღვრავს ვებერი ინდივიდის მოქმედებას? მოქმედების სუბიექტური საზრისის ვებერისეული ანალიზი.
- იდეალური ტიპები და მათი შემეცნებითი ღირებულება არარაციონალური/ირაციონალური მოქმედებების მიმართ.
- როგორ განსაზღვრავს ვებერი სოციალურ მოქმედებას? სოციალური მოქმედების ფორმები; აფექტური და ტრადიციული მოქმედებების სოციალურობის პრობლემა.
- რა არის სოციალური ურთიერთობა? რა ფორმები აქვს მას? სოციალური ურთიერთობის მნიშვნელადობის პრობლემა.
- ვებერის რაციონალობის კონცეფცია; სუბიექტური და ობიექტური რაციონალობა.
- როგორია კორელაცია სოციალური მოქმედების ფორმებსა და სუბიექტური/ობიექტური რაციონალობის ტიპებს შორის?

მაქს ვებერის (1864-1920) ძირითადი შრომები:

- (1904) სოციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგია
- (1905) პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული
- (1918) მსოფლიო რელიგიათა სოციალური ფსიქოლოგია
- (1919) მსოფლიო რელიგიათა სამეურნეო ეთიკა
- (1921) ეკონომიკა და საზოგადოება

დამოწმებული ლიტერატურა

1. C o h e n, I. J. 2000: Theories of Action and Praxis, in Bryan S. Turner (ed.), *The Blackwell Companion to Social Teory* (second edition). Oxford: Blackwell Publishers, pp. 73-111.
2. H o w e, R. H. 1978: Max Weber's Elective Affinities: Sociology within the Bounds of Pure Reason. *Amercan Journal of Sociology*, 84 (september), pp. 366-85.

3. K a l b e r g, S. 1981: Max Weber's types of rationality: cornerstones for the analysis of rationalization processes in history. *Amercan Journal of Sociology*, 85, pp. 1145-79.
4. L e v i n e, D. 1981: Rationality and Freedom: Weber and beyond. *Sociological Inquiry*, 51, pp. 5-25.
5. S i c a, A. 1988: *Weber, Irrationality, and the Social Order*. Berkeley: University of California Press.
6. W e b e r, M. [1921] 1968: *Economy and society: An Outline of Interpretive Sociology*, eds. G. Roth and C. Wittich. New York: Bedminster.
7. W e b e r, M. [1922] 1949: *The Methodology of the Social Sciences*, trans. by Edward A. Shils and Henry A. Finch. New York: Free Press.
8. W e b e r, M. [1946] 1958a: The Social Psychology of the World Religions, in From *Max Weber: Essays is Sociology* (hereafter Essays), edited and translated by Hans H. Gerth and C. Wright Mills. New York: Oxford University Press, pp. 267-301.
9. W e b e r, M. [1946] 1958b: Religious Rejections of The World and Their Directions, in *From Max Weber: Essays in Sociology* (hereafter Essays), New York: Oxford University Press, pp. 323-58.
10. В е б е р, М. 1990a: Основные Социологические Понятия, в книге: М. Вебер, Избранные Произведения, Москва, "Прогрес".
11. В е б е р, М. 1990b: Протестантская этика и Дух Капитализма, в книге: М. В е б е р, Избранные Произведения. Москва, "Прогрес".
12. Г а й д е н к о, П. П. .1990c: Социология Макса Вебера, в книге: М. Вебер, Избранные Произведения. Москва, "Прогрес".
13. П а р с о н с, Т. 2000: Структура Социального Действия. Москва, Академический Проект.

II ტალკოტ პარსონსის სოციალური მოქმედების თეორია

1. სოციალური მოქმედების სტრუქტურა - "ერთეული აქტი"

ტალკოტ პარსონსის (2000a: 74-93; 415-7) მიზანს წარმოადგენდა სოციალურ მეცნიერებათა ერთიანი თეორიული სისტემის შექმნა, რომელიც შეძლებდა მთელი არსებული ემპირიული ცოდნის სისტემატიზაციას. ეს მიზანი უნდა განხორციელებულიყო სოციალური მეცნიერებებისათვის ინვარიანტული ფუნდამენტური ცნებების აღწერით, რომლის საფუძველზე შეიქმნებოდა უნიფიცირებული "*კონცეპტუალური სქემა*". ეს სქემა დარჩებოდა უცვლელი და შენარჩუნდებოდა სოციალურ მეცნიერებათა თეორიული სისტემის ცვალებადობის მიუხედავად. აღნიშნულ კონცეპტუალურ სისტემას პარსონსი სხვანაირად "*მოქმედების კოორდინატის სისტემას*" ("Frame of reference") უწოდებს ან, უფრო მარტივად, "სოციალური მოქმედების სტრუქტურას". რატომ სოციალური მოქმედების? პარსონსის აზრით, სოციალური მოქმედება არის ის ამოსავალი პუნქტი, რომელზეც თეორიული რეფლექსია (ანუ სოციალური მოქმედების თეორია) წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებათა ინტეგრაციის საფუძველს.

პარსონსი ახდენს მოქმედების კოორდინატის სიტემის კონცეპტუალური სქემის ანალიტიკურ დეკონსტრუქციას აბსტრაქტულ ელემენტებად და შემდეგ ახდენს ამ ელემენტების რეკონსტრუქციას სინთეზური თეორიული მოდელის სახით, რომელიც მოქმედების სისტემის ერთეულს წარმოადგენს და რომელსაც პარსონსი "*ერთეულ აქტს*" ("unit act") უწოდებს. პარსონსის სოციალური მოქმედების თეორიის გასაანალიზებლად აუცილებელია აღიწეროს ამ თეორიული მოდელის სტრუქტურა.

"ერთეული აქტი" რომელსაც სხვანაირად "მოქმედების აქტი" ან, უბრალოდ, "აქტი" ეწოდება, შემდეგ ელემენტებს შეიცავს (Т. Парсонс, 2000а : 94-103):

ა) ***"აგენტს"***, "მოდვაწეს" ან "აქტორს" ("actor").

ბ) ***"მიზანს"*** ("end"), ანუ მოვლენათა მომავალ მდგომარეობას, რომელზეც ორიენტირდება მოქმედება.

გ) ***"სიტუაციას"***, რომელშიც სრულდება აქტი და რომელიც, ცხადია, განსხვავებულია მოვლენათა იმ მდგომარეობისაგან, რომელზეც ორიენტირებულია მოქმედება, ე.ი. მიზნისაგან. თავის მხრივ, სიტუაცია ორი ტიპის ელემენტებისაგან შედგება: იმათგან, რომელთა გაკონტროლება და შეცვლა აქტორს არ შეუძლია და იმათგან, რომელთა გაკონტროლების შესაძლებლობაც მას აქვს. პირველი ტიპის ელემენტები მოქმედების ***"პირობებს"*** წარმოადგენს, ხოლო მეორე ტიპის ელემენტები – მოქმედების ***"საშუალებებს"***.

დ) მოქმედების ***"ნორმატიულ ორიენტაციას"***, რომელიც განსაზღვრავს მიზნის მისაღწევი ალტერნატიული საშუალებებიდან არჩევანს (ამორჩევას) ანუ სელექციას. პარსონსი, მოქმედების გაგების თვალსაზრისით, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ნორმატიული ორიენტაციის არსებობას, რომელიც საშუალებათა ***თვითნებური*** (შემთხვევითი) სელექციისაგან იცავს აქტორს (ამ საკითხს ცოტა მოგვიანებით დავუბრუნდებით).

მოქმედების კოორდინატის სიტემა როგორც კონცეპტუალური სქემა, პარსონსის მიხედვით, რამდენიმე მნიშვნელოვან ***წანამძღვარს*** შეიცავს:

პირველი წანამძღვარი ისაა, რომ მოქმედება ყოველთვის ***პროცესს*** წარმოადგენს, ანუ დროში მიმდინარეობს. მოქმედების პროცესუალური (დროითი) ხასიათი მნიშვნელობას იძენს მოქმედების ***მიზანთან*** მიმართებაში – მიზანი ხომ მოვლენათა მომავალი მდგომარეობაა, რომელსაც აქტორმა უნდა მიღწიოს, ე.ი. მიზანი მოითხოვს აქტორის დროში ძალისხმევას, რათა იგი განხორციელდეს.

მეორე წანამძღვარი გულისხმობს აქტორის მიერ ***არჩევანის გაკეთების*** შესაძლებლობას. კერძოდ, როგორც მიზნის, ისე საშუალების ამორჩევას, რაც უკავშირდება აქტორის ნორმატიულ ორიენტაციას. ეს წანამძღვარი გულისხმობს, აგრეთვე, მიზნის მიღწევის გზახე, ანდა საშუალებათა ამორჩევისას ***"შეცდომების"*** (error) დაშვების შესაძლებლობას, რასაც წარუმატებლობა მოსდევს.

მესამე წანამძღვარი ისაა, რომ მოქმედების კოორდინატის სისტე-

მა ***სუბიექტურად რელევანტურია***. ეს ნიშნავს, რომ მას საქმე აქვს მოვლენებთან, როგორც ***ისინი წარმოუდგენია აქტორს***, რომლის მოქმედებაც განიხილება. ასეთნაირად განხილული მოვლენები სუბიექტურ ფაქტებს წარმოადგენს (ამისაგან განსხვავებით, ობიექტურ ფაქტს წარმოადგენს მოვლენა, როგორც იგი ხდება გარედან დაკვირვების ობიექტი მეცნიერის მიერ).

მეოთხე წანამძღვარი, რომელსაც მოქმედების კოორდინატის სისტემა ითვალისწინებს, ეხება სიტუაციის (რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს) ფიზიკურ და ბიოლოგიურ ასპექტებს. ისინი მოქმედების თეორიას მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც მონაწილეობს მოქმედების სქემაში, ანუ ასრულებს მოქმედების პირობების ან საშუალებების როლს.

დაბოლოს, პარსონსი აღნიშნავს, რომ მოქმედების კონცეპტუალური სქემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორ - ***კონკრეტულ*** **და** ***ანალიტიკურ*** – დონეზე. კონკრეტულ დონეზე "ერთეული აქტის" ქვეშ გაიგება რეალური მოქმედება, ხოლო მისი ელემენტების ქვეშ - კონკრეტული მიზნები, პირობები და საშულებები. ასეთია, მაგალითად, სტუდენტის მოქმედება, რომლის უშუალო მიზანს წარმოადგენს მოცემულ თემაზე სტატიის დაწერა. ეს მიზანი მისთვის არსებობს, როგორც განსახილველი პრობლემის ზოგადი იდეა, მონახაზი, რომელიც თანდათან, მოქმედების პროცესში უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა, სტუდენტის მოქმედება შეიცავს კონკრეტულ საშუალებებს – ეს ის საგნები ან მოვლენებია, რომლებსაც აქტორი (სტუდენტი) მეტ-ნაკლებად აკონტროლებს, მაგ., წიგნები (რომლებიც მას აქვს, ან რომლებსაც ბიბლიოთეკაში მოიძიებს), ქაღალდი, საწერი მოწყობილობა, საბეჭდი მანქანა და სხვ. რაც შეეხება მოქმედების სიტუაციის პირობებს, ეს ის ასპექტებია, რომელთა გაკონტროლება აქტიორს არ ძალუძს, მაგრამ რომლებიც უშუალო კავშირშია მიზანთან. ასეთია, მაგალითად, ფაქტი, რომ სტუდენტი იძულებულია შემოიფარგლოს იმ წიგნებით, რომლებიც მისი კოლეჯის ბიბლიოთეკაშია და სხვ. სტუდენტის მოქმედების წარმოდგენილი კონცეპტუალური სქემა ***აღწერითი*** ხასიათისაა. იგი გამოიყენება მხოლოდ მონაცემთა მოწესრიგებისათვის (დალაგებისათვის), მაგრამ ვერ გამოდგება მათი ანალიზისათვის, რაც მოქმედების ***ახსნის*** ტოლფასია. ანალიტიკური დონისათვის, ე.ი. ახსნისათვის, აუცილებელია ***აბსტრაქციის*** გზით წასვლა. ეს გულისხმობს კონცეპტუალური სქემის გენერალიზაციას ისე, რომ გამოვლინდეს ფუნქციონალური კავშირები იმ მოვლენებს შორის, რომლებიც აღწერის ეტაპზე მოწესრიგდა (დალაგდა). კერძოდ, ანალიტიკური კონცეპტუალური სქემის ერთერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მოქმედების ***ნორ-***

მატიული **და** ***არანორმატიული*** ელემენტების გამიჯვნა. ეს პრობლემა ყველაზე კარგად მოქმედების მიზანთან მიმართებაში ილუსტრირდება. მიზანი (როგორც განისაზღვრა) არის საგანთა (მოვლენათა) წინასწარ დანახული (განჭვრეტილი) მომავალი მდგომარეობა. მაგრამ ცხადია, რომ მიზნის ე.ი. საგანთა მდგომარეობის ყოველი ასპექტი არ არის დამოკიდებული აქტორის მოქმედებაზე, ანუ არა ყოველი ასპექტი წარმოადგენს ნორმატიულ ელემენტს. თუ დავუბრუნდებით მოყვანილ მაგალითს, კონკრეტული მიზნის (სტუდენტის მიერ სტატიის დაწერა) განხორციელების ბევრი ასპექტი (ვთქვათ ბიბლიოთეკაში საჭირო წიგნების მარაგი) არ არის დამოკიდებული სტუდენტის (აქტორის) მოქმედებაზე, შესაბამისად, არც ნორმატიული მნიშვნელობა მიეწერება. ამ შემთხვევაში, მიზანი, ანალიტიკური თვალსაზრისით, უნდა განისაზღვროს როგორც, ერთი მხრივ, აქტორის მოქმედების შედეგად განხორციელებული საგანთა მომავალი მდგომარეობა და, მეორე მხრივ, როგორც საგანთა მომავალი მდგომარეობა - განყენებული აქტიორის მოქმედებისაგან, ანუ განჭვრეტილი საწყისი სიტუაციიდან ამოსვლით, მასში აქტორის მოქმედების ჩარევის გარეშე. აღნიშნული დიფერენციაცია ამავე დროს არის ნირმატიულ და არანორმატიულ ელემენტებს შორის განსხვავება.

მოქმედების თეორიის ორ – კონკრეტულ და ანალიტიკურ – დონეზე გამოყენების გაცნობიერების აუცილებლობის შესახებ პარსონსი არაერთხელ (Т. Парсонс, 2000a: 273) მიუთითებს. თავის მხრივ, ეს ხასს უსვამს ანალიტიკურ დონეზე მოქმედების ნორმატიული და არანორმატიული ელემენტების გამიჯვნის აუცილებლობას.

ახლა შედარებით დეტალურად განვიხილოთ მოქმედების ***ნორმატიული*** ორიენტაციის არსი, ვინაიდან ამ პრობლემის გადაწყვეტა საკვანძო მნიშვნელობისაა როგორც თავად პარსონსის მოქმედების თეორიის გასაგებად, ისე ამ თეორიის მიმართ გამოთქმული კრიტიკული თვალსაზრისების ნათელსაყოფად.

პირველ რიგში, რაც შეეხება "***ნორმატიულის***" ცნებას. პარსონსი (2000a: 134-7) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი არ იყენებს ამ ცნებას ესთეტიკური ან იურიდიული მნიშვნელობით. ეს ცნება მოქმედების სისტემის ის ელემენტია (ნაწილია), რომელიც მიუთითებს აქტორის (ან აქტორების) სპეციფიკურ განცდაზე, თითქოს რაღაცა ***თვითკმარი მიზანია***, მისი სტატუსისაგან დამოუკიდებლად. მაშასადამე, მოქმედების ნორმატიულობა მხოლოდ მიზანთან მიმართებაში შეიძენს საზრისს. მიზანი მოვლენათა მომავალი მდგომარეობაა, რომელიც ამასთანავე ***სასურველია*** აქტორისათვის, ანუ მის მიერ განიხილება, როგორც საორიენტაციო მიჯნა. ცხადია, საგანთა მომავალი მდგომა-

რეობა (მიზანი) და მასზე ორიენტაცია სუბიექტურია, ანუ განსხვავდება არსებულ სოციალურ ძალთა ბუნებრივი, თავისთავადი მოქმედებისაგან, რომელშიც სუბიექტი აქტიურად არ ერევა. სხვანაირად თუ ვიტყვით, პარსონსის აზრით, სიტუაცია, რომელშიც ინდივიდი მოქმედებს, შეიძლება შეიცავდეს მიზანზე ორიენტირებულ სუბიექტურ ქცევებს და სუბიექტისაგან (აქტიორისაგან) დამოუკიდებელ ელემენტებს. ***ნორმა*** სწორედ იმ მოქმედებათა ვერბალური აღწერაა, რომლებიც ***მიზნის მიმართ სუბიექტურად რელევანტურია***. ნორმის მაგალითს წარმოადგენს დებულება: "ჯარისკაცი უნდა დაემორჩილოს ოფიცრის ბრძანებებს". ეს ნორმა აღწერს მოქმედების სასურველ განვითარებას (ცხადია, მათ შორის, ვინც მას ადიარებს). მაშასადამე, არსებობს მოქმედების სისტემის ნორმატიული და არანორმატიული ელემენტები, სხვანაირად - მოქმედების სუბიექტურად რელევანტური და არარელევანტური ელემენტები. პარსონსი ამ ემპირიული და მეთოდოლოგიური განსხვავების უკეთ წარმოსაჩენად ანალოგიას ახდენს ბიოლოგიასთან, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მემკვიდრეობით და გარემო პირობებით ჩამოყალიბებულ თვისებებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ნორმატიული ორიენტაციის გამო, ადამიანის მოქმედება არ არის მხოლოდ სტიმულებზე უბრალო რეაგირება, არამედ ინდივიდები ისწრაფვიან, შეათანხმონ საკუთარი მოქმედებები სტანდარტებთან, რომლებიც პირველ რიგში თავად აქტორისათვის ითვლება სასურველად, აგრეთვე, საზოგადოების (კოლექტივის) სხვა წევრებისათვის.

პარსონსი (2000a: 274) მოქმედების ნორმატიულ ორიენტაციას სოციალური მოქმედების ტელეოლოგიურ თვისებას მიაწერს და განიხილავს იმ ჯაჭვში, რასაც "მიზან-საშუალებების" ურთიერთობა წარმოადგენს. პარსონსის მიხედვით, სოციალური მოქმედება ყოველთვის გაპრზებულ უნდა იქნეს მოქმედების ორი განსხვავებული - ნორმატიული და სიტუაციური (conditional) - ტიპის ელემენტებს შორის დაძაბულობის კონსტექსტში. როგორც პროცესი, მოქმედება ფაქტიურად წარმოადგენს სიტუაციური ელემენტების ცვალებადობას ნორმებთან შესაბამისობის მიმართულებით. ამ ორი ელემენტიდან რომელიმეს იგნორირებას მოქმედების თეორია უკიდურესობამდე დაჰყავს. კერძოდ, ნორმატიული ასპექტის ელიმინაციას (გამორიცხვას) რადიკალურ პოზიტივისტურ პოზიციამდე მივყავართ. მეორე მხრივ, სიტუაციური ასპექტის გავლენის ელიმინაციას – იდეალისტურ ემანაციონიზმამდე.

საჭიროა კიდევ რამდენიმე განმარტება "პოზიტივისტურ-იდეალისტური დუალიზმის" თაობაზე, რამდენადაც პარსონსის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა მისი დაძლევა. ***პოზიტივიზმის*** პრობლემა ისაა (A. Dawe, 1979: 400), რომ იგი უარყოფს სოციალური აქტორების ყველა იმ სუბიექტურ საზრისს (მნიშვნელობას), რომელიც არ ეთანხმება სოციალური სამყაროს შესახებ მის დოგმებს და ჰიპოთეზებს. პოზიტივისტური პარადიგმის თანახმად, სოციალური სამყარო ისეთია, როგორადაც მას პოზიტივიზმი აღწერს და ადამიანის მოქმედება არის მხოლოდ მასთან პასიური ადაპტაციის პროცესი. ამდენად, სოციალური აქტორი არის ობიექტური სიტუაციის ობიექტური პროდუქტი. ადამიანები მოქმედებენ არსებული სიტუაციების ფარგლებში და ეს სიტუაციები არ ასიმილირდება აქტიორთა სუბიექტურ განსაზღვრებებთან.

რაც შეეხება ***იდეალიზმს***, მისი პრობლემა ისაა, რომ იგი ვარდება მეორე უკიდურესობაში – ახდენს რა კონცენტრირებას იდეალურ კონცეპტებზე. იდეალიზმის თანახმად, სოციალური სამყარო სხვა არაფერია, თუ არა მნიშვნელობის სამყარო (universe of meaning), რომელშიც ყველა ფენომენი, მოქმედების ჩათვლით, ყოვლისმომცველი ბოლოვადი ღირებულების ემანაციაა. ამდენად, იდეალიზმი, მეორე უკიდურესობიდან ამოსვლით, მიდის იგივე შედეგამდე სოციალური მოქმედების დახასიათების თვალსაზრისით: მოქმედება არის მხოლოდ პასიური ორიენტაცია წინასწარმოცემულ (pregiven) მნიშვნელობაზე, რომელიც განსაზღვრავს მოქმედების მსვლელობას.

არც პოზიტივიზმი და არც იდეალიზმი არაფერს ამბობს საკუთრივ მოქმედების შესახებ, რამდენადაც მოქმედება, როგორც პარსონსი იტყვის, ყოველთვის ჩართული უნდა იყოს ორ განსხვავებულ წესრიგს – ნორმატიულსა და სიტუაციურს – შორის დაძაბულობის მდგომარეობაში. ამ დაძაბულობის არსი (როგორც ითქვა) ისაა, რომ სიტუაციური წესრიგი მოქმედების პროცესში უნდა დაიძლიოს ან გადაყვანილ იქნას ნორმატიულ წესრიგში.

საბოლოო ჯამში, პარსონსი ასკვნის, რომ სიტუაციის ისეთი ასპექტი, როგორიცაა მოქმედების პირობები, განხილულ უნდა იქნეს ერთ პოლუსზე, მიზნები და ნორმატიული წესები - მეორეზე, ხოლო მოქმედების საშუალებები, როგორც აქტორის ძალისხმევა – აღნიშნულ პოლუსებს შორის დამაკავშირებელი რგოლია.

ასეთია პარსონსის პასუხი პოზიტივისტურ-იდეალისტურ დუალიზმზე. აქტორის ძალისხმევის, ანუ სიტუაციური წესრიგის ნორ-

მატიულის მიმართ დამორჩილების აქცენტირება, პარსონსისავე (2000a: 58) აღიარებით, მის მოქმედების თეორიას, გარკვეული აზრით, "*მოქმედების ვოლუნტარისტურ თეორიად*" აქცევს. ადამიანი, პარსონსის (1935: 282) აზრით, "***აქტიური, შემოქმედი, შემფასებელი არსებაა***" ("active, creative, evaluating creature"), რომელიც მოქმედებს რეალობაში იმისათვის, რათა იგი შესაბამისობაში მოიყვანოს თავის მიზნებთან, იდეალებთან. აქტორი არჩევანის მქონე ინდივიდია, რომელიც დამოუკიდებელი მოღვაწეობით შეარჩევს თავის საკუთარ მიზნებს, საკუთარ ნორმატიულ ორიენტაციებს და მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორ იმოქმედოს. მოქმედების და აქტორის ეს გაგება უდევს საფუძვლად სწორედ პარსონსის მიერ „ერთეული აქტის" თეორიული მოდელის სტრუქტურის დახასიათებას, რაზეც დასაწყისში იყო საუბარი. როგორც პარსონსის თეორიის მკვლევრები (A.W. Gouldner, 1970: 190-1; 197) აღნიშნავენ, პარსონსთან აქტორის ვოლუნტარიზმი მისი ანტიდეტერმინიზმის გამოხატულებაა, რომელიც ხაზს უსვამს სოციალური მოქმედების ღიაობას და ისტორიულ განვითარებას. აქტორს მოქმედების პროცესში ***არაწინასწარმეტყველური*** ელემენტები შეაქვს. ადამიანის ასეთ გაგებას ("აქტიური, შემოქმედი, შემფასებელი") პარსონსი მიმართავს ყველა იმ სოციოლოგიური, პოზიტივისტურ-იდეალისტური ტრადიციის წინააღმდეგ, რომელიც ადამიანს მიიჩნევს "პასიურ, შემგუებელ, რეცეპტულ" არსებად. პარსონსის პრინციპული მტკიცებით, აქტორები შემოქმედებითად განსაზღვრავენ რეალურ სიტუაციებს, მათ იდეალურ მიზნებთან მიმართებაში, ხოლო ამის პროდუქტი არის ***სოციალური სისტემა***, როგორც სოციალური ინტერაქციის გაჭულავნებული შედეგი.

მოქმედების მიზან-საშუალებათა სტრუქტურას პარსონსი უტილიტარული თეორიებიდან ითვისებს. ***უტილიტარიზმის*** თანახმად (Т. Парсонс, 2000a: 113), რომელიც პოზიტივისტური სისტემის ქვესისტემას წარმოადგენს, მოქმედება მიზნისა და საშუალებების რაციონალური თანაფარდობაა. მოქმედება რაციონალურია იმ ზომით, რამდენადაც იგი მისდევს ისეთ მიზნებს, რომლებიც მიიღწევა მოცემულ სიტუაციის პირობებში, აქტორის ხელთ არსებული, შედარებით შესაფერისი საშუალებების გამოყენებით. "შედარებით შესაფერისად" ითვლება ის საშუალებები, რომლებიც ფასდება პოზიტიური ემპირიული მეცნიერებების მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. სხვანაირად თუ ვიტყვით, მიზან-საშუალებათა რაციონალობა ეხება მოქმედებას, როდესაც აქტორი ირჩევს მიზანს

და ეს ამორჩევა დაფუძნებულია გამოთვლაზე, რომ მის ხელთ არსებული საშუალებები საკმარისია დასახული ამოცანის წარმატებით დასასრულებლად. მაშასადამე, უტილიტარიზმი ძირითადად "*ეკონომიკური თეორიაა*" (A. Dawe, 1979: 402-3), რომელიც აქტორებს მიაწვრს მხოლოდ ეკონომიკური რაციონალობის ნორმატიულ ორიენტაციას. ეს არის ინსტრუმენტალური რაციონალობა, რამდენადაც თავისი ეგოისტური ზრახვებიდან და კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, ინდივიდები მათი დაკმაყოფილების ოპტიმალურ გზებს ეძებენ და ამისათვის მიზანთა ოპტიმალური ბალანსის გამოთვლას ახდენენ – სხვა შესაძლო კომბინაციებთან მიმართებაში. ამით ამოიწურება უტილიტარიზმისათვის სოციალური სამყარო. არ არსებობს რაიმე, როგორც თვითმარი სახოგადოებრივი ღირებულება, ყველაფერი ავტომატურად და საბოლოო ანგარიშით ემსახურება კერძო ინტერესების დაცვას. "ნორმა" შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც კარგად ერგება კერძო ინტერესს. ეკონომიკური (ინსტრუმენტალური) რაციონალობა არ არის ორიენტირებული კოოპერაციაზე, არამედ კერძო ინტერესების რეალიზაციაზე, თუნდაც "ძალისა და თაღლითობის" გამოყენებით. ამრიგად, უტილიტარიზმი ხელახლა ქმნის ***სოციალური წესრიგის*** ჰობსიანურ პრობლემას (ამ საკითხს ცოტა მოგვიანებით დაეუბრუნდებით).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უტილიტარიზმის თანახმად, მიზან-საშუალებათა რაციონალობა მთლიანად განსაზღვრულია აქტორის ინტერესებით. აღნიშნულ პუნქტამდე პარსონსი ეთანხმება და იზიარებს უტილიტარიზმის პოზიციას. იგი (T. Parsons, 1937: 251) აღიარებს, რომ თავის ყოველდღიურ მოქმედებებში ინდივიდები "აბანდებენ ძალებს", ანუ მოქმედებენ საკუთარი ინიციატივით, ირჩევენ მიზნებს და საკუთარ მოქმედებების მობილიზაციას ახდენენ მათ მისაღწევად.

ფუნდამენტური ***განსხვავება*** პარსონსის მოქმედების თეორიასა და უტილიტარიზმს შორის იწყება მაშინ, როდესაც საკითხი დგება იმის შესახებ, თუ ***როგორ ხდება აქტორთა მიერ მიზნების შერჩევა*** და რა განაპირობებს აქტორის მობილიზაციას, იმოქმედოს მათ განსახორციელებლად. უტილიტარისტები (მაგ., H. A. Simon, 1983: 7-8) მიზანთა შერჩევის მექანიზმების შესახებ კითხვას "ფრჩხილებში სვამენ", რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ამოდიან ***მიზანთა თვითნებურობის*** აღიარებიდან. პარსონსი (2000a: 116-117) ხაზგასმით აღნიშნავს: იმის გამო რომ, უტილიტარიზმის მიხედვით, არ არსებობს როგორც

მიზნების, ისე საშუალებების ამორჩევის ალტერნატიული კრიტერიუმი, ამ სისტემას მიზანთა თვითნებურობის ნეგატიურ გაგებამდე მივყავართ. "მიზანთა თვითნებურობა" "ნებას რთავს" მიზნებს, რომ შეიცვალონ ალალბედზე, შემთხვევით.

მიზანთა შემთხვევითი ვარიაცია წარმოადგენს ერთ მხარეს (ნაწილს) იმისა, რასაც პარსონსი (2000a : 121) *"უტილიტარულ დილემას"* უწოდებს. დილემის მეორე ნახევარს შეადგენს იმის აღიარება, რომ თუ მიზანთა თვითნებურობას უარვყოფთ, მაშინ ქრება მათი დამოუკიდებლობაც და ისინი უპირობოდ დეტერმინირდებიან სიტუაციის პირობებით ე.ი. სიტუაციის ***არასუბიექტური*** ელემენტებით, რომლებიც აღიწერებიან მემკვიდრეობითობის და მატერიალური გარემოს კატეგორიებში. მაშასადამე, ამ შემთხვევაში აქტორის მოქმედება ბიოლოგიურად და მატერიალურად დეტერმინირებულია. ასეთი აქტორი ინსტინქტებით განსაზღვრულ არსებას ემსგავსება, რომელიც რაიმე მოქმედებას (ქცევას) ასრულებს მემკვიდრეობით მიღებული ხასიათის თვისებების საფუძველზე. თუ შემდეგ მას მოვათავსებთ კონკრეტულ მატერიალურ გარემოში, იგი დაიწყებს მიზანთა "შერჩევას" ინსტინქტურად – არა საკუთარი აქტიურობის საფუძველზე, არამედ გარემო პირობების ზეწოლის შედეგად.

ორივე შემთხვევაში – მიზნები შემთხვევითად (თვითნებურად) ამოირჩევა თუ სიტუაციის პირობებით იქნება დეტერმინირებული – "უტილიტარული დილემა" აქტორებს არ უტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ მიზნები თავად, მაგრამ გარკვეული ***კრიტერიუმების*** დაცვით შვარჩიონ.

პარსონსი გამოდის "უტილიტარული დილემის" ორივე ნახევრის წინააღმდეგ. მისი მოქმედების კოორდინატის სისტემის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დაიცვას (როგორც შემთხვევითი ვარიაციებისაგან, ისე ბიოლოგიური და მატერიალური დეტერმინაციისაგან) აქტიორის ეგზისტენციური "კაპიტალდაბანდება" მისი მოქმედების მიზნებთან მიმართებაში. პარსონსის თეორიის მკვლევარები (I. J. Cohen, 2000; A. Dawe, 1979; K. Menzies, 1977) აღნიშნავენ, რომ პარსონსმა წარმატებით ვერ გაართვა თავი ვერც "უტილიტარულ დილემას", ვერც "პოზიტივისტურ-იდეალისტურ დუალიზმს" და წინააღმდეგობების ქსელში გაიხლართა. მივყვეთ პარსონსის მოსაზრებებს ამ პრობლემასთან დაკავშირებით, რომლებიც მისი მოქმედების თეორიის ყველაზე შემოქმედებით და სადისკუსიო ნაწილს წარმოადგენს:

პარსონსი აფართოებს თავის თეორიულ ინტერესს ერთეული მოქმედებიდან ანალიტიკურად დაკავშირებული მოქმედებების ჯაჭვამდე, როდესაც კავშირის საფუძველს წარმოადგენს ***მორალურად დირებული მიზნები***. ეს არის გადანაცვლება (გადაადგილება) ინდივიდუალური აქტორის მოქმედებიდან ***სოციალური ინტეგრაციის*** დონეზე. პარსონს სჯერა (1937: 247-8), რომ თუ აქტორები გაყვებიან მხოლოდ მათ კერძო, დამოუკიდებელ მიზნებს, მაშინ არ ექნებათ არავითარი სინდისის ქენჯნა სხვა აქტორების ექსპლოატაციის (გამოყენების) გამო საკუთარი წარმატებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ჰიპოთეტურ უკიდურესობაში, შედეგად ვღებულობთ ჰობსისეულ "***ომს ყველასი ყველას წინააღმდეგ***", ვღებულობთ დეზინტეგრირებულ საზოგადოებას. პარსონსმა იცის, რომ საუკეთესოდ ინტეგრირებული საზოგადოებები იშვიათია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვნად ის მიაჩნია, რომ საზოგადოებას არც სამარადისო ჰობსიანური ანარქია ემუქრება, რომ საზოგადოებას ყოველთვის შეუძლია და უნდა ფლობდეს ინტეგრაციის და, აქედან გამომდინარე, ***წესრიგის*** გარკვეულ ხარისხს. ამას სწორედ ის განაპირობებს, რომ საზოგადოების ***ინდივიდუალური წევრები იზიარებენ საერთო მიზნებსა და დირებულებებს***. მათ პარსონსი "ბოლოვად" ("ultimate") მიზნებს უწოდებს. ისინი ხელმძღვანელობენ ინდივიდის რაციონალური მოქმედების მთელ ჯაჭვს (მიუხედავად იმისა, რომ აქტორებმა, შესაძლოა, არც იცოდნენ მათი ზუსტი ფორმულირება). იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ხდება ინდივიდუალური მოქმედების დამორჩილება ზოგადი მიზნების მიმართ, ერთ-ერთ მკვლევარს (I. J. Cohen, 2000: 80) მოჰყავს მაგალითი მარქსის თეორიიდან: დაქირავებული მუშები, რომლებიც გახსვისებულ (გაუცხოებულ) შრომას ეწევიან (ანუ არა აქვთ საკუთარი ინტერესები დაბანდებული იმ პროდუქტებში, რომლებსაც ისინი აწარმოებენ), მათი მოქმედების უშუალო კონტექსტიდან გამომდინარე, თითქოს უნდა მუშაობდნენ მხოლოდ ხელფასისათვის. მაგრამ, როგორც მარქსმა გაიგო, მუშები (კაპიტალისტებისაგან განსხვავებით), ფულს არ მიიჩნევენ საბოლოო მიზნად, არამედ მხოლოდ სახმარ ღირებულებად ე.ი. საშუალებად რაღაც სხვა მიზნების განსახორციელებლად. ეს მიზნები ხელმძღვანელობს მოქმედებათა ფართო სპექტრს (ჯაჭვს). ისინი, მაგალითად, შეიძლება იყოს: ოჯახის კეთილდღეობა, ცხოვრების გარკვეული წესისათვის მიყოლა, გარკვეული გაერთიანებების (კავშირების) დაფინანსება და სხვ.

აქ აუცილებელია აღინიშნოს ის გავლენა, რაც პარსონსმა განიცადა ***დიურკჰაიმის*** სოციალური თეორიის მხრიდან. პარსონსი (1937: 382-90) თავად აღნიშნავს, რომ ინდივიდებისათვის საერთო მიზნებისა და ღირებულებების ("ბოლოვადი" მიზნების) ზეგავლენის იდეა დიურკჰაიმისაგან აიღო. დიურკჰაიმი ამტკიცებდა, რომ რამდენადაც ინდივიდუალური სურვილები თავისთავად (დამოუკიდებლად) შეუზღუდავია, როგორც სოციალური სტაბილურობის, ისე ინდივიდუალური ბედნიერებისათვის აუცილებელია, რომ ისინი დარეგულირდეს ნორმატიული წესების (სოციალური ნორმების) საფუძველზე. საზოგადოება უზრუნველყოფს აქტორებს ნორმატიული წესების ქსელით ყოველი კონკრეტული ქცევისათვის. დიურკჰაიმისათვის ამ წესებს ***მორალური*** ძალა აქვს. ეს არის ***სოციალური მორალი***, რომლის ხელშეუხებლობას პარსონსიც აღიარებს. საზოგადოების, სოციალური ერთობების და სოციალური ჯგუფების ინტეგრაცია მოითხოვს მათი წევრების, როგორც ინტეგრირებულ კავშირებში ჩართული არსებების, მიერ ნორმათა და ღირებულებათა საერთო (ზოგადი) სისტემის აღიარებას. ეს სისტემა მორალური ძალაუფლების მქონეა და იგი არ დაიყვანება ცალკეულ აქტორთა ნებაზე. კატეგორიულად ეს ასე შეიძლება გამოითქვას: ***ყველაფერი ინდივიდუალური არის ინსტრუმენტალური, ყველაფერი სოციალური კი - მორალური***. პარსონსი აღიარებს ასეთი სოციალური მორალის ძალას. მაგალითად, მამა, რომლისთვისაც ღირებულია შვილების კარგად ყოფნა (ეს არის წმინდა, ხელშეუხებელი ღირებულება), ამ ღირებულებას ახორციელებს სპეციფიკური აქტებით, ერთგულად იცავს რა ბავშვის აღზრდის ყველა ნორმას, რასაც მისი კულტურა კარნახობს და რასაც მისივე კულტურის (საზოგადოების) სხვა წევრები იღებენ როგორც შვილებზე სანიმუშო ზრუნვის გამოხატულებას. მსგავსად ამისა, ექიმის ვალდებულება მისი პაციენტის ჯანმრთელობაზე (როგორც ხელშეუხებელი ღირებულება) განხორციელდება მაშინ, თუ იგი ერთგულად დაიცავს ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს პაციენტის მკურნალობის მორალურად მისაღებ ან მიუღებელ გზებს სპეციფიკურ სიტუაციებში. ისმის კითხვა: ეგუება თუ არა ნორმატიული თვალსაზრისი მშობლების უყურადღებობის, ექიმის დაუდევრობის ან მორალური უპასუხისმგებლობის შემცველი აქტების ფართო მასშტაბით არსებობის შესაძლებლობას? პარსონსი (1937: 404) ამ შემთხვევაშიც ეთანხმება დიურკჰაიმს, აღნიშნავს რა, რომ ***სანქციების*** დაკავშირება ნორმებთან სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ

აქტორთა მარგინალური რაოდენობისაგან შეიძლება ველოდოთ ნორმატიული წესებისაგან *გადახრას* (დევიაციას). თუმცა, ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პარსონსის (ისევე როგორც, საერთოდ ფუნქციონალისტების) ნორმატიული ორიენტაციის თეორიული პოსტულატი მოითხოვს იმის აღიარებას, რომ საზოგადოების უმეტესი ნაწილი, ფაქტობრივად, ნორმების მიმართ ერთგულია (ნორმებს აღიარებს საკუთარი მოქმედების პრინციპებად). საზოგადოების უმეტესი ნაწილი მიდრეკილი რომ იყოს დევიაციისაკენ, მაშინ სანქციები ძალას დაკარგავდა.

2. ღირებულებითი ორიენტაცია - კულტურული ობიექტების ინტერნალიზაცია მოქმედების სისტემაში

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინდივიდუალური მოქმედებიდან სოციეტალურ დონეზე გადანაცვლებისას, სოციალური წესრიგის და ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, პარსონსის მოქმედების თეორიაში მყარად მკვიდრდება "***ღირებულების***" და "***ღირებულებითი ორიენტაციის***" ცნებები. თუმცა, შინაარსობრივი თვალსაზრისით ისინი პრინციპულად ახალს არაფერს შეიცავს, რასაც პარსონსთან "ნორმა" და "ნორმატიული ორიენტაცია" გულისხმობს. უბრალოდ, ღირებულებითი ორიენტაცია რამდენადმე უფრო ფართო ანალიტიკურ კატეგორიას წარმოადგენს. საჭიროა ცოტა უფრო დეტალურად შევჩერდეთ ამაზე.

როგორც უკვე ცნობილია, სოციალური მოქმედების სტრუქტურის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ***სიტუაცია***, რომელშიც სრულდება მოქმედება. სიტუაციაში ინდივიდი ორიენტირდება განსხვავებული კლასის ***ობიექტებზე***. პარსონსი (2000b: 464-7) გამოყოფს სიტუაციის შემადგენელ ობიექტთა ***ორ კლასს***: ა) სოციალური ობიექტები და ბ) არასოციალური ობიექტები. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ იყოფა – ფიზიკურ და კულტურულ ობიექტებად.

ა) ***სოციალური ობიექტები*** ეს იგივე აქტორებია – პიროვნებები ან კოლექტივები. აქტორი როგორც სუბიექტი შეიძლება ორიენტირებული იყოს საკუთარ თავზე, როგორც ობიექტზე, აგრეთვე, სხვა სოციალური ობიექტებზე – ინდივიდებზე ან კოლექტივებზე.

პარსონსი (1994: 449) სოციალურ ობიექტებზე აქტორის განსხვავებულ ორიენტაციას ასეც გამოხატავს: "მე" (ორიენტაცია საკუთარ თავზე), "სხვა" (ორიენტაცია სხვა ინდივიდზე) და "ისინი" (ჯგუფზე ორიენტაცია).

ბ) ***არასოციალური ობიექტები*** მოიცავს ნებისმიერ ობიექტს, რომელიც არ წარმოადგენს აქტორს. მათ შორის, ***ფიზიკურია*** – დროში და სივრცეში განფენილი ობიექტები, რომლებიც, სხვა აქტორების მსგავსად, არ ზემოქმედებს (ურთიერთქმედებს) აქტორზე, როგორც სუბიექტზე, არამედ მოქმედების მხოლოდ "ინსტრუმენტებს" (საშუალებებს) წარმოადგენს. რაც შეეხება ისეთ არასოციალურ ობიექტებს, როგორიცაა ***კულტურული*** ობიექტები, ისინი მოიცავს კანონებს, ნორმატიულ წესებს (ეტალონებს), იდეებს, მნიშვნელად სიმბოლოებს, ტრადიციებს და ა.შ. მართალია, კულტურული ობიექტები, როგორც ასეთი, აქტორი-სუბიექტის მიმართ გარემდებარეა, მაგრამ ისინი შეიძლება გახდეს ***ინტერნალიზებული*** აქტორის მოქმედების სისტემაში. ასეთ შემთხვევაში, ისინი შეწყვეტს არსებობას როგორც ობიექტები და პიროვნული და სოციალური სისტემის კომპონენტები გახდება.

სიტუაციის ობიექტთა კლასიფიკაცია და მათი დახასიათება ამ შემთხვევაში იმიტომ დაგვჭირდა, რომ როდესაც პარსონსი ღირებულებით ორიენტაციაზე საუბრობს, მას მხედველობაში აქვს, სწორედ ***ორიენტაცია კულტურულ ობიექტებზე***, უფრო სწორად, კულტურული ობიექტების ინტერნალიზაცია მოქმედების სისტემაში.

ახლა რაც შეეხება მოცემულ სიტუაციაში აქტორის ორიენტაციას. პარსონსი (2000b: 467-70; 481-5) აქტორის ორიენტაციას ანალიტიკურად ყოფს ორ დამოუკიდებელ კატეგორიად: ***მოტივაციურ*** ორიენტაციად (წარმოდგენები, სურვილები, ანუ "კატექსისი" და გეგმები) და ***ღირებულებით*** ორიენტაციად (კოგნიტური, ესთეტიკური და მორალური სტანდარტები).

მოტივაციური ორიენტაცია გულისხმობს აქტორის ორიენტაციის იმ ასპექტს, რომელიც დაკავშირებულია აქტორის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების და დაუკმაყოფილებლობის დისპოზიციასთან. მოტივაციური ორიენტაცია მიმართულია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ოპტიმიზაციისაკენ და დაუკმაყოფილებლობის თავიდან აცილებისაკენ (ორიენტაციის ამ ტიპზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, რადგან, მოცემულ შემთხვევაში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ღირებულებითი ორიენტაცია).

ღირებულებით ორიენტაციას პარსონსი განსაზღვრავს, როგორც ორიენტაციის ისეთ ასპექტს, რომელიც აქტორს აძლევს შესაძლებლობას გამოიყენოს (დაიცვას) ***შერჩევის*** (ამორჩევის) კრიტერიუმები, სტანდარტები, ნორმები. მას შეუძლია ასე მოიქცეს ყოველთვის, როდესაც უხდება საშუალებებისა და მიზნების ალტერნატიული შესაძლებლობებიდან არჩევანის გაკეთება. მოკლედ რომ ვთქვათ, ღირებულებითი ორიენტაცია აყალიბებს ***ეტალონებს***, რომელთა საფუძველზეც აქტორი ახორციელებს შერჩევის აქტს. მაშასადამე, მიზნებისა და საშუალებების განსაზღვრა ხდება არა შემთხვევითად (როგორც ამას უტილიტარიზმი ამტკიცებს), არამედ, ***ორგანიზებულად***. შერჩევის ეტალონებს შეიცავს კულტურა. მაგრამ კულტურის დონეზე ისინი მოჩანს როგორც აქტორისაგან განყენებული სტანდარტები, რომლებიც ღირებულებითი ორიენტაციის პროცესში ინტერნალიზდებიან მოქმედების სტრუქტურაში, ანუ იქცევიან აქტორის "საკუთარ" ღირებულებებად. საბოლოო ჯამში, პარსონსი (1994: 455) ***ღირებულებას*** განსაზღვრავს როგორც კულტურული სისტემის ელემენტს, რომელიც წარმოადგენს ***კრიტერიუმს ან სტანდარტს*** მოქმედების არსებულ ***ალტერნატივებს*** შორის ***არჩევანის*** გასაკეთებლად.

პარსონსი გამოყოფს ღირებულებითი ორიენტაციის ***სამ*** დონეს: შემეცნებითს (კოგნიტურს), შეფასებითს და მორალურს. ღირებულებითი ორიენტაციის ***შემეცნებითი*** (კოგნიტური) დონე უკავშირდება იმ ეტალონებს, რომლითაც დგინდება შემეცნებითი მსჯელობების ვალიდურობა. ამ ეტალონებს პარსონსი (2000b: 490) "კოგნიტური ვალიდურობის ეტალონებს" უწოდებს. ეს ეტალონები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ ცოდნის რომელ ტიპთან გვაქვს საქმე. ემპირიული ცოდნის შემთხვევაში, მაგალითად, ასეთ ეტალონებს მიეკუთვნება მონაცემთა რელევანტურობის კრიტერიუმები.

ღირებულებითი ორიენტაციის ***შეფასებითი დონე*** უკავშირდება იმ ეტალონებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება განსხვავებული ობიექტების და ობიექტთა კლასების ვარგისიანობის შეფასება კატექსისათვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ეტალონები გამიზნულია იმისათვის, რათა შესაძლებლობა მისცეს აქტორებს განსაზღვრონ, რამდენად მნიშვნელოვანია მოცემული ობიექტი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, თუ კერძო ინდივიდების მასშტაბით ვიმსჯელებთ, შესაძლებელია არსებობდეს მუსიკალური გემოვნების (საერთოდ, ესთეტიკური ხედვის) განმსაზღვრელი ეტალონების სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება ამა თუ იმ ობიექტის ამორჩევა ამა თუ იმ გემოვნების დასაკმაყოფილებლად.

ღირებულებითი ორიენტაციის ***მორალური*** დონე დაკავშირებულია ეტალონებთან, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოქმედების მთელი სისტემის შეფასება და რეგულირება, იქნება ეს პიროვნება თუ სახოგადოება, ანდა მათი სუბსისტემები. პარსონსი (2000b: 491) მათ "უკანასკნელი ინსტანციის მსაჯულებს" უწოდებს. მორალური სტანდარტებით ფასდება ცალკეულ მოქმედებათა შედეგები მოქმედების მთელ სისტემაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით. ამდენად, ისინი განსაზღვრავს აქტორის პასუხისმგებლობას შედეგების მიმართ. კერძოდ, მორალური სტანდარტების მიხედვით, ხდება მოქმედების მიზნების და საშუალებების შერჩევა იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენას იქონიებს ამ არჩევანის შედეგები საკუთრივ აქტორის პიროვნული სისტემის ინტეგრაციაზე და, აგრეთვე, იმ სოციალური სისტემის ინტეგრაციაზე, რომელშიც ის მონაწილეობს.

კრიტიკოსები (I. J. Cohen, 2000: 82) მართებულად მიუთითებენ, რომ პარსონსის ნდობა ბოლოვადი (ultimate) ღირებულების და მორალური სტანდარტების ემპირიული ეფექტურობის (ქმედითუნარიანობის) მიმართ ეხმაურება სოციალური აზროვნების ფესვებს. დასავლეთის მოაზროვნეები (ფილოსოფოსები) ყოველთვის იკვლევდნენ იმ რთულ ურთიერთობას, რომელიც არსებობს იმას, რაც "***არის***" და რაც "***უნდა იყოს***" შორის ინდივიდის სოციალურ ქცევაში. სხვა სიტყვებით, ეს არის ურთიერთობა იმას, თუ როგორ ვიქცევით ჩვენ ფაქტობრივად და იმას შორის, თუ როგორ მოქმედებას მოითხოვს ჩვენგან მორალური პრინციპები. პარსონსი სწორედ იმ თეორეტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც გამძაფრებული სურვილი აქვთ, იცხოვრონ სამყაროში (სახოგადოებაში), სადაც ღირებულებები გავლენას ახდენს მოქმედებაზე. მაგრამ, რამდენადაც მძაფრია ეს სურვილი, იმდენადვე მძაფრდება იმის ახსნის აუცილებლობა, თუ რატომ არსებობს უფსკრული იმას, რაც ხილულია სოციალურ მოქმედებებში და იმ გზებს შორის, რომლებიც მორალური სტანდარტების შესაბამისია და რომელთა მიხედვითაც აქტორებმა "უნდა" იმოქმედონ. კრიტიკოსები საყვედურობენ პარსონს იმის შესახებ, რომ მას მეტი ყურადღება უნდა მიექცია, თუ რა განაპირობებს აქტორების მარცხს მორალური ნორმების რეალურად განხორციელების თვალსაზრისით.

მოქმედების საერთო სისტემაში ღირებულებითი ორიენტაციის შემოტანით პარსონსი ხარკს უხდის ვებერსაც, კერძოდ, იმას, რასაც ვებერი ღირებულებით-რაციონალურ მოქმედებას უწოდებს. თუმცა,

პარსონს ზოგჯერ სწორედ ევებერიანული პოზიციიდან აკრიტიკებენ (ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით).

შემოიტანა რა ღირებულებითი ორიენტაციის და მორალური სტანდარტების ცნებები მოქმედების სისტემაში, პარსონსმა მიუთითა სახოგადოებაში ***სოციალური წესრიგის*** და ***ინტეგრაციის*** განმაპირობებელ წყაროზე. იგი (T. Parsons, 1937: 389-90) არაორაზნოვრად აღნიშნავს, რომ საზოგადოების და სოციალური ჯგუფის ინტეგრაციას უზრუნველყოფს მათი წევრების მიერ იმ ნორმების აღიარება, რომლებიც "მორალურ ძალაუფლებას ატარებს". ამდენად, საერთო ღირებულებითი სისტემის არსებობა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საზოგადოებაში წესრიგის და წონასწორობის შესანარჩუნებლად.

ზოგიერთი კრიტიკოსი (A. Dawe, 1979: 403) ამტკიცებს, რომ სოციალურ წესრიგზე და ინტეგრაციაზე პარსონსის აქცენტირება გამოწვეულია მისი ამერიკელობით და პასუხია იმ სოციალურ კონტექსტზე, რომელშიც ამერიკა აღმოჩნდა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში: ურბანიზაციის და კორპორაციულობის ზრდა, საჯაროობა, მანქანური პოლიტიკის და მძაფრი ეკონომიკური ექსპლოატაციის გაჩენა, ევროპიდან "დიდი მიგრაცია" ... მაგრამ "გადაარჩინა" რა სოციალური წესრიგის და კონტროლის მექანიზმების მნიშვნელობა მოქმედების სოციალური სისტემის ანალიზისათვის, იმავე კრიტიკოსების აზრით, პარსონსმა სოციალური წესრიგის და წონასწორობის იდეას მსხვერპლად შესწირა მის მიერ მოქმედების ვოლუნტარისტული გაგება. პარსონსის თვალსაზრისი "აქტორის დამოუკიდებელი მოღვაწეობის" შესახებ სრულ კონტრადიქციაში მოვიდა სოციალური ინტეგრაციის და, აქედან გამომდინარე, ღირებულებათა საერთო სისტემის აუცილებლობის მისსავე კონცეფციასთან.

ეს კონტრადიქცია მძაფრად იჩენს თავს მაშინ, როდესაც პარსონსი საუბრობს ღირებულებების და მორალური სტანდარტების, როგორც კულტურული სისტემის ელემენტების, ***ინტერნალიზაციაზე*** პიროვნების სისტემაში და სოციალურ სისტემაში. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით (Т. Парсонс, 2000b: 463), კულტურის სისტემა ინტერნალიზდება პიროვნებაში, სოლო სოციალურ სისტემაში ადგილი აქვს კულტურის ეტალონების ***ინსტიტუციონალიზებას.***

კულტურული სისტემის ინტერნალიზაციის და ინსტიტუციონალიზაციის პროცესის უკეთ გასაგებად, საჭიროა მოკლედ განვსაზღვრ-

ოთ ის, რასაც პარსონსი (2000b: 460-3) მოქმედების საერთო სისტემის (ან მოქმედების ელემენტების ორგანიზაციის) ***სამ დონეს*** უწოდებს. ეს დონეებია: ***პიროვნული*** სისტემა, ***სოციალური*** სისტემა და ***კულტურული*** სისტემა. რასაკვირველია, სამივე სისტემა კონკრეტული სოციალური მოქმედებისაგან განყენებულია და კონცეპტუალურ აბსტრაქციებს წარმოადგენს, მაგრამ თითოეულ მათგანს თავისი ემპირიული რეფერენტები გააჩნია.

პიროვნული და სოციალური სისტემები პარსონსის მიერ განიხილება როგორც ***მოტივირებული*** მოქმედების ორგანიზაციის ხერხები. კერძოდ, ***პიროვნული სისტემა*** წამოადგენს ცალკეული აქტორის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, გარშემო ორგანიზებულ მოტივირებულ მოქმედებას. ეს ნიშნავს, რომ აქტორის მოქმედება მოტივირებულია დაკმაყოფილების ოპტიმიზაციით – სიამოვნების ძიებით და უსიამოვნების თავიდან აცილებით. ***სოციალური სისტემა*** – ორი ან მეტი აქტორის ურთიერთობის გარშემო ორგანიზებულ მოტივირებულ მოქმედებას გულისხმობს. სხვანაირად რომ ვთქვათ (Т. Парсонс, 2000b: 447; 1994: 450), სოციალური სისტემა "ეგოსა" და სხვებს შორის ურთიერთქმედებას წარმოადგენს, რომელიც, გარდა იმისა, რომ შეიცავს ფიზიკურ ასპექტს და „დაკმაყოფილების ოპტიმიზაციის" ტენდენციას, გაშუალებულია კულტურული სიმბოლოებით.

რაც შეეხება ***კულტურულ*** სისტემას – იგი ფორმირდება არა ცალკეული აქტორების მოქმედების ან აქტორთა შორის ურთიერთქმედების შედეგად, არამედ, ღირებულებების, ნორმების და სიმბოლოების ორგანიზაციის მეშვეობით. სხვანაირად რომ ითქვას, კულტურული სისტემა სიტუაციის კულტურული ობიექტებისაგან შედგება, რომლებიც (როგორც უკვე აღინიშნა) ხელმძღვანელობს აქტორთა მიერ მიზან-საშუალებათა შერჩევას და განსაზღვრავს აქტორთა შორის ურთიერთქმედებას (აძლევს მას მიმართულებას). ამრიგად, კულტურული სისტემა, პიროვნული და სოციალური სისტემებისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს ემპირიულ, უფრო ზუსტად, მოტივაციურ სისტემას. თუმცა, კულტურული სისტემის ელემენტები (ღირებულებები, ნორმები, სიმბოლოები) შეიძლება გადაერთოს პიროვნული და სოციალური სისტემების "რეჟიმში". სწორედ ამას წარმოადგენს "ინტერნალიზაცია" და "ინსტიტუციონალიზაცია". ინტერნალიზებული კულტურული ეტალონები უკვე პიროვნული და სოციალური სისტემის შემადგენელი ელემენტები ხდება. ეს არის

სწორედ ღირებულებითი ორიენტაციის გამოხატულება, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

მაშასადამე, თუ შევაჯამებთ, უნდა ითქვას, რომ ეტალონები, რომლებიც ჩართულია კულტურის სისტემაში, საჭიროებს ***აქტუალიზაციას***, ანუ აქტორების მიერ ძალების ხარჯვას (expenditure of effort). ეს ნიშნავს, რომ ღირებულებათა სისტემა ვერ ამოქმედდება (აქტუალიზირდება ან სრულიყოფა) დამოუკიდებელი აქტორების გარეშე. სწორედ აქ იჩენს თავს კონტრადიქცია (A. Dawe,1979: 404): როგორღა არიან აქტორები დამოუკიდებელნი და აქტიურნი (რასაც პარსონსი ამტკიცებს), თუ მათ მიერ ძალების დახარჯვა ღირებულებათა სისტემის აქტუალიზაციას გულისხმობს? თუ დავუშვებთ, რომ აქტორებს მოქმედება შეუძლიათ ღირებულებათა სისტემასთან ზიარების გარეშე, ეს, ფაქტობრივად, იქნებოდა მათი სოციალიზაციის გარეთ დაყენება, ანუ ჰობსისეული "ომის მდგომარეობის" აქტუალიზაცია. მაგრამ, სახოგადოება ხომ სოციალური წესრიგის და ინტეგრაციის აუცილებელი დონის არსებობას გულისხმობს? მაშასადამე, ღირებულებათა სისტემა ***პირველადია***, იგი ***წინასწარ მოცემულია*** (pregiven), როგორც სიტუაციის არასუბიექტური პირობა, რომელიც განსაზღვრავს აქტორთა ქცევას. მაგრამ, თუ ასეა, მაშინ რაში გამოიხატება პარსონსის მოქმედების თეორიის "ვოლუნტარისტული" ხასიათი?

საინტერესოა, რომ სწორედ ამ თვალსაზრისით აკრიტიკებენ პარსონს ***ვებერიანული*** პოზიციიდანაც (I. J. Cohen, 2000: 83). კერძოდ, პარსონსმა ძალზე იჩქარა, როდესაც დაასკვნა, რომ აქტორები, სოციალური წესრიგის (ე.ი. არა ჰობსისეული "ომის მდგომარეობის") ფარგლებში, მათ მოქმედებებს ყოველთვის უკავშირებენ ისეთ მიზნებს, რომლებიც ეთიკური სოციალური ღირებულებებისაგან შეიძენს მნიშვნელობას. პარსონსის მოქმედების თეორია ნაადრევად კეტავს იმის შესაძლებლობას, რომ ***მოქმედება ორიენტირდეს მიზანზე, იმის მიუხედავად, რომ იგი (მიზანი) შეიძლება მორალური მნიშვნელობის მატარებელი არც იყოს***. სხვანაირად: პარსონსი არ ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ მოქმედება მიზანმიმართულ ხასიათს ატარებდეს ***მანამდეც***, ვიდრე ის მორალურ მნიშვნელობას შეიძენდეს. ვებერის ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, პარსონსი არ ტოვებს ადგილს მიზან-რაციონალური მოქმედებისათვის, იგი ვერ ახერხებს ჩათვალოს, რომ მორალურ ღირებულებას მოკლებული ინსტრუმენტალური საშუალებებისადმი გაყოლა

შეიძლება თავად გახდეს მიზანი. ამდენად, პარსონსი ვერ ხედავს ***ამორალური მიზნის მნიშვნელობას***. ცხადია, ყველაფერი ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს პარსონსი უარყოფს ამორალური მიზნების არსებობას და მიიჩნევს, რომ მოქმედების მიზნები მხოლოდ ეთიკურად ღირებულია. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ პარსონსი შეუძლებლად მიიჩნევს ***ამორალურ მიზნებზე ორიენტირებული მოქმედებების პირობებში სოციალური წესრიგის შენარჩუნებას (არსებობას).*** პარსონსისაგან განსხვავებით, ამას ამტკიცებდა სწორედ ვებერი თავის შრომაში: "პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული" იგი (M. Вебер, 1990: 93) მიიჩნევდა, რომ კაპიტალისტურ სახოგადოებაში ეკონომიკური რაციონალიზაცია და სწრაფვა მოგებისაკენ, რომელიც მორალური თვალსაზრისით "ცარიელია", ანუ მოკლებულია მორალურ დადასტურებას, წარმოადგენს ბოლოვად (ultimate) მიზანს, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს წესრიგის ორგანიზებას სოციალური ცხოვრებაში.

დავუბრუნდეთ საკითხს იმის შესახებ, რომ პარსონსმა, ღირებულებათა სისტემაზე აქცენტირებით, შეიწირა მოქმედების ვოლუნტარისტული ხასითი. პარსონს (1937: 380) სურს აღნიშნული წინააღმდეგობა დაძლიოს იმით, რომ იგი ხელახლა განსაზღვრავს ვოლუნტარიზმს, როგორც "***voluntariness***" და განასხვავებს მას "***თვითნებობისაგან***" ("arbitrariness"). ამ განსხვავების არსი ისაა, რომ თვითნებობის საპირისპიროდ, "voluntariness" წარმოადგენს ისეთ ნებაყოფლობითობას, რომელიც მორალური ვალდებულებების ***გაშინაგნებას*** გულისხმობს (ეს არის აშკარა ანალოგია ჰეგელის მიერ თავისუფლების, როგორც "გაცნობიერებული აუცილებლობის" გაგებასთან). რაც შეეხება თვითნებობას, იგი ნებისმიერი ვალდებულების მიღმაა. ცხადია, ვალდებულება (მათ შორის, მორალური) თავის თავში ყოველთვის შეიცავს "მაიძულებელ ელემენტს". მაგრამ, პარსონსი განასხვავებს ორგვარ იძულებას: შინაგანს და გარეგანს. შესაბამისად, ერთმანეთისაგან განასხვავებს მოქმედებებს, რომლებიც სრულდება გარეგან ძალთა იძულების ქვეშ და მოქმედებებს, რომლებიც სრულდება შინაგანი "იძულების" გამო. "შინაგანი მაიძულებელი ელემენტი" არ არის დამოუკიდებელი ადამიანის სურვილისაგან, პირიქით, იგი ასეთი სურვილის გამოხატულებაა. მაშასადამე, "voluntariness"-თან, პარსონსის მიხედვით, საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც ინდივიდები ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით მიყვებიან ღირებულებებს და მორალურ სტანდარტებს. ამ პროცესის აღსანიშნავად, პარსონსი (1937: 388) დამატებით ფროიდისაგან

სესხულობს ტერმინს "ინტროექცია", როდესაც ხდება მორალური ღირებულებების "ჩანერგვა" ადამიანში.

ასეთი მცდელობის მიუხედავად, კრიტიკოსების (A. Dawe, 1979: 405; K. Menzies, 1977) აზრით, პარსონსმა ვერ დაიცვა მისი მოქმედების თეორიის ვოლუნტარისტული საფუძვლები და ვერ გადაარჩინა ეს თეორია წინააღმდეგობებისაგან. "შინაგანი ვალდებულების" და "ინტროექციის" პროცესისადმი მიმართვა არ ცვლის ღირებულებათა სისტემის პრიორიტეტულობას აქტორის მიმართ. პირიქით, აძლიერებს კიდეც: ინტროექციაზე გავლით, ზოგადი ღირებულებათა სისტემა ხდება უფრო მეტად საფუძვლიანი, ვიდრე, უბრალოდ, აქტორის ინდივიდუალობის დარეგულირება გულისხმობს. აქტორი უკვე სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა ღირებულებათა სისტემაზე რეფლექსიას. ინტროექციის გამო, ღირებულებათა სისტემა კარგავს გარეგანი მაიძულებლის მხოლოდ "ხილვადობას", მაგრამ - არა ძალასა და ეფექტურობას.

ასე იკარგება, კრიტიკოსების შეფასებით, პარსონსის მოქმედების თეორიაში რეფერენცია სუბიექტზე, როგორც დამოუკიდებელ აქტორზე. აქტორის ინსტრუმენტალური მოქმედება უპირობოდ დაექვემდებარა მორალურ ეტალონებს, რომელთა შეცვლის ძალა აქტორს არა აქვს. მაშასადამე, ღირებულებათა სისტემა სიტუაციის ***პირობებად*** (ანუ სუბიექტის მიერ გაუკონტროლებელ მოთხოვნებად) იქცა და მოხდა სიტუაციის პირობებთან მიზნების ასიმილირება, რამაც, საბოლოო ჯამში, გააუქმა განსხვავება აქტუალურსა და იდეალურს შორის. მოქმედების, როგორც პროცესის, იდეა გაქრა: იგი აღარ წარმოადგენს "ძალთა ხარჯვას" მოქმედების სიტუაციური და ნორმატიული ელემენტების დაძაბულობის კონტექსტში.

ყველაფერი ეს გამოიწვია "სოციალური მოქმედების სტრუქტურაში" ***ორი თეორიული პროგრამის*** სრულმა ***შეუთავსებლობამ*** (მიუხედავად იმისა, რომ პარსონსი გულმოდგინედ ცდილობს მათ "შედუღებას"): ***პირველი*** პროგრამა წარმოადგენს კონფრონტაციას "პოზიტივისტურ-იდეალისტურ დუალიზმთან", კერძოდ, მის თვალსაზრისთან ადამიანის, როგორც "პასიური, შემგუებელი (ადაპტური), რეცეპტული" არსების შესახებ. ამ კონფრონტაციის შედეგია სოციალური მოქმედების თეორიის აშენება, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქსიომაზე, რომ ადამიანი არის "აქტიური, შემოქმედი, შემფასებელი" არსება. მეორე პროგრამის მიზანია სოციალური წესრიგის ჰობსისეული პრობლემის გადაწყვეტა. ეს პროგრამა წარმ-

ოადგენს კონფრონტაციას უტილიტარიზმთან. ამ ბრძოლაში ამოსავალი აქსიომატური პრინციპი არის მოთხოვნა ღირებულებათა ზოგად სისტემაზე, როგორც სოციალური წესრიგის ერთადერთ შესაძლო საფუძველზე. ამრიგად, *მეორე* პროგრამაში პარსონსის მოქმედების თეორიის ვოლუნტარიზმი კარგავს თავის აქსიომატურ დასაყრდენს, რომელიც მას პირველ პროგრამაში ჰქონდა და გარდაიქმნება "ინტროექციის" გზით ჩანერგილ განწყობად. პარსონსი უარს ამბობს სოციალური მოქმედების საწყის თეორიაზე: პირველი პროგრამის "აქტიური, შემოქმედი, შემფასებელი არსება" ეწირება მეორე პროგრამის "პასიურ, შემგუებელ, რეცეპტულ" არსებას. ზოგადი ღირებულებითი სისტემის *პრიორიტეტი* სოციალურ აქტორთან მიმართებაში მეთოდურად ანგრევს განსხვავებას მოქმედების ნორმატიულ და სიტუაციურ ელემენტებს შორის: აქტორი *ეჯახება* წინასწარ მოცემული (pregiven) მნიშვნელობებით *კონსტრუირებულ* სამყაროს, რომლის მიმართაც მისი მოქმედება წარმოადგენს მხოლოდ ემანაციას.

პარსონსმა ვერ მოარიგა ორი, ტოტალურად საპირისპირო მიმართულება – ერთი მხრივ, ადამიანის "ინსტრუმენტალური მოქმედების" კვლევა, ხოლო, მეორე მხრივ, "მორალური მოქმედების" კონცეფცია. ამ უკანასკნელის პრიმატი პირველთან შედარებით დასრულდა პარსონსის (1937: 768) მიერ ***სოციოლოგიის*** განსაზღვრებაში, როგორც მეცნიერებისა, რომელიც მოწოდებულია განავითაროს სოციალური მოქმედების სისტემების ანალიტიკური თეორია იმდენად, რამდენადაც ეს სისტემები შეიძლება გაგებულ იქნეს ზოგადღირებულებითი ინტეგრაციის ფლობის თვალსაზრისით.

მოქმედების სამი – კულტურული, სოციალური და პიროვნული – სისტემის იერარქიაში, პიროვნული სისტემა ყველაზე დაქვემდებარებულ პოზიციას იკავებს. იგი დეტერმინირებულია როგორც ღირებულებათა საერთო სისტემის, ისე სოციალური სისტემის მიერ. მეტიც: პარსონსი (2000b: 448) არაორაზროვნად აღნიშნავს, რომ ინდივიდი, როგორც "ეგო", როგორც კონკრეტული პიროვნება არც არის სოციალური სისტემის ერთეული. სოციალური სისტემის, როგორც "ეგოს" და "სხვებს" შორის ურთიერთქმედების, ერთეულს და ბირთვს წარმოადგენს სოციალური როლი. ***სოციალური როლი*** არის პიროვნების (აქტორის) საზოგადოებაში (სოციალურ გარემოში) ორიენტაციის მაორგანიზებელი მექანიზმი. როდესაც ურთიერთქმედება "ეგო"-სა და "სხვებს" შორის შეიძენს მეტ-ნაკლებად

მყარ, ორგანიზებულ ხასიათს, ყალიბდება ***როლებრივი მოლოდინები***: "სხვა" ელოდება, რომ ინდივიდი ("ეგო") მოიქცევა განსაზღვრული წესით, მოქმედების განსაზღვრული ალტერნატივების დიაპაზონის ფარგლებში. სოციალური როლები, თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა სოციალურ სისტემაში ინტერნალიზებული, ***ინსტიტუციონალიზებული ღირებულებები***. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური როლები ის მექანიზმებია, რომელთა მეშვეობითაც ღირებულებითი ელემენტები ინსტიტუციონალიზდება სოციალურ სისტემაში, ანუ შეიძენს ემპირიულ გამოხატულებას. ამდენად, სოციალური როლები ძალაუფლების და პრესტიჟის მატარებლებია, ისინი სოციალური სისტემის (საზოგადოების) ინტეგრაციას განაპირობებს. ინდივიდის მიერ სოციალურ როლთა ათვისების პროცესს, პარსონსი (2000b: 438-40; 454) "***სოციალიზაციას***" უწოდებს.

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სოციალურ სისტემაში აქტორის მოქმედება, უფრო ზუსტად, მოქმედებათა ალტერნატივებს შორის არჩევანი არ არის თვითნებური. იგი შეზღუდულია (განსაზღვრულია) სოციალური როლებით და როლებრივი მოლოდინებით. თუ ინდივიდის მოქმედება უპასუხებს ამა თუ იმ როლიდან გამომდინარე მოსალოდნელ ქცევას, მასზე რეაქცია დადებითია და, გარკვეულ შემთხვევებში, ჯილდოსაც იმსახურებს. პირიქით, თუ ინდივიდის მოქმედება არ შეესაბამება (არღვევს) როლებრივ მოლოდინს, ამაზე რეაქცია უარყოფითია და სშირად სასჯელიც მოხდევს. როგორც ჩანს, კულტურული და სოციალური სისტემების დეტერმინაციის პირობებში აქტორის (ინდივიდის) თავისუფალი არჩევანი იკარგება და იგი სისტემის საკუთრება ხდება.

3. "ელემენტური ცვლადები" - სოციალურ სიტუაციაში არჩევანის შესაძლებლობა

კულტურული და სოციალური სისტემების დეტერმინაციის მიუხედავად, პარსონსის მოქმედების თეორიაში ინდივიდს მაინც რჩება არჩევანის უფლება (Т. Персонс, 2000b: 496-500). ეს არის არჩევანი განსაზღვრულ დილემებს (დიხოტომიებს) შორის, რომელსაც ინდივიდი ეჯახება სიტუაციაში ორიენტირებისას. პარსონსი გამოყოფს ხუთ ***დილემას*** (დიხოტომიას), რომელთაც ***ელემენტურ***

(ტიპობრივ) ცვლადებს (pattern variables) უწოდებს. ეტალონური ცვლადების ხუთი წყვილიდან აქტორმა აუცილებლად უნდა გააკეთოს არჩევანი იმისათვის, რათა სიტუაციამ გასსაზღვრული ***მნიშვნელობა*** (სახრისი) შეიძინოს. პარსონსი ხაზს უსვამს, რომ სიტუაციის (რომელშიც ხდება მოქმედება) მნიშვნელობა განისაზღვრება არა ავტომატურად, არამედ აქტორის მიერ. აქ საჭიროა გაკეთდეს ერთი მნიშვნელოვანი დაზუსტება: ეტალონურ ცვლადებს შორის არჩევანი არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ღირებულებითი ორიენტაციის გარეთ გასვლის შესაძლებლობას – არჩევანს ღირებულსა და არაღირებულს შორის (გავიხსენოთ პარსონსის კრიტიკა, რომ მან ადგილი არ დატოვა მიზან-რაციონალური მოქმედებისათვის თავის თეორიაში). პარსონსი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ ეტალონური ცვლადები "***ღირებულებითი ორიენტაციის აღმწერი კატეგორიებია***", რომ ისინი, "მოქმედების სისტემის ნორმატიულ ასპექტს" განეკუთვნება.

აღწერს რა ეტალონურ ცვლადებს – დიხოტომიებს, პარსონსი (2000b: 500-513) მიუთითებს თითოეული მათგანის კულტურულ, პიროვნულ და სოციალურ ასპექტებზე. შემოვიფარგლებით კულტურული ასპექტების მოკლე დახასიათებით, რამდენადაც პიროვნული და სოციალური სისტემები წარმოადგენს მხოლოდ ინდივიდუალური მოთხოვნილებების (პიროვნული სისტემა) და სოციალური როლების (სოციალური სისტემა) დონეზე ინტერნალიზებულ ნორმატიულ-ღირებულებით ეტალონებს:

1. ***აფექტურობა – აფექტური ნეიტრალობა:*** აფექტურობის ნორმატიული ეტალონი აქტორს მიაწერს იმას, რომ მოცემულ სიტუაციაში მან უპირატესობა მიანიჭოს უშუალო დაკმაყოფილების შესაძლებლობას (ემოციურ კმაყოფილებას), შეფასებითი განსაზღვრებების მსედველობაში მიღების გარეშე; პირიქით, აფექტური ნეიტრალობის ნორმატიული ეტალონი აქტორისაგან მოითხოვს, რომ მან მოცემულ სიტუაციაში თავი შეიკავოს უშუალო ემოციური კმაყოფილების მიღებისაგან და უპირატესობა მიანიჭოს შეფასებით მიდგომას.

2. ***ორიენტაცია საკუთარ თავზე – ორიენტაცია კოლექტივზე:*** პირველ შემთხვევაში ნორმატიული ეტალონი უფლებას აძლევს აქტორს, მოცემულ სიტუაციაში, განახორციელოს პირადი (კერძო) ინტერესები, იმის მიუხედავად, თუ როგორია ამ ინტერესების შინაარსი (შემეცნებითი, კატექტიკური თუ შეფასებითი), ან რამდენად შეესაბამება იგი სხვა აქტიორთა ინტერესებს. პირიქით, კოლექტივ-

ზე ორიენტაციის ნორმატიული ეტალონი აქტორისაგან მოითხოვს მოცემულ სიტუაციაში იმ ღირებულებების გათვალისწინებას, რომლებიც საერთოა მისთვის და კოლექტივის დანარჩენი წევრებისათვის. ამით განისაზღვრება კოლექტივის წინაშე აქტორის ***პასუხისმგებლობა.***

3. ***უნივერსალიზმი – პარტიკულარიზმი*** (პარსონსი ამ დილემას სხვანაირად "ტრანსცენდენტურობა-იმანენტურობას" უწოდებს): უნივერსალიზმის ნორმატიული ეტალონი ავალდებულებს აქტორს, მოცემულ სიტუაციაში, სოციალურ ობიექტზე ორიენტირდეს საერთო (ზოგადი) სტანდარტების და არა ობიექტთა უნიკალური თვისებების გათვალისწინებით. რაც შეეხება პარტიკულარიზმის ნორმატიულ მოდელს, იგი ავალდებულებს აქტორს, მოცემულ სიტუაციაში, უპირატესობა მიანიჭოს ობიექტთა კერძო კავშირებს, მათი საკუთარი თვისებებიდან გამომდინარე[1].

4. ***თვისება – რეზულტატურობა*** (პარსონსი მას "ობიექტური მოდალობის დილემასაც" უწოდებს): თვისების ნორმატიული ეტალონი აქტორს მიაწერს ვალდებულებას, რომ სოციალური ობიექტების მიმართ ვანსხვავებულ მიდგომებს შორის არჩევანის პროცესში უპირატესობა მიანიჭოს განსაზღვრულ (კონკრეტულ) ატრიბუტებს, რომლებსაც ისინი ფლობენ და არა მათ წარსულ, აწმყო ან მომავალ საქმიანობებს; პირიქით, რეზულტატურობის ნორმატიული მოდელი აქტორს ავალდებულებს სოციალური ობიექტების მიმართ დამოკიდებულების არჩევანისას უპირატესობა მიანიჭოს მათ კონკრეტულ – წარსულ, აწმყო და მომავალში მოსალოდნელ - საქმიანობებს.

5. ***სპეციფიკურობა – დიფუზურობა*** (პარსონსი მას "ობიექტის მნიშვნელოვნების ხარისხის" დილემასაც უწოდებს): სპეციფიკურობის ნორმატიული ეტალონი აქტორს ავალდებულებს, განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება ობიექტის მიმართ მხოლოდ ცალკეულ სფეროებში და არ ჩართოს მასში სხვა ემპირიულად შესაძლო ურთიერთობები. პირიქით, დიფუზურობის ნორმატიული მოდელი აქტორს ავალდებულებს ობიექტზე ორიენტაციის პროცესში არ შეიზღუდოს სპეციფიკური ინტერესით და მასზე რეაგირება მოახდინოს ნებისმიერი რელევანტური ხერხით.

ეტალონური ცვლადების ნორმატიული ასპექტები სოციალური სისტემის დონეზე სოციალურ როლებად და როლებრივ მოლოდინე-

[1] პარსონსი ზოგჯერ მეორე და მესამე ეტალონურ ცვლადებს აერთიანებს "უნიკურსალიზმი-პარტიკულარიზმის" სახელწოდების ქვეშ.

ბად ინსტიტუციონალიზდება, ხოლო წმინდა პიროვნულ დონეზე მათ შორის არჩევანი მოტივირებულია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ოპტიმიზაციით – სიამოვნების ძიებით და უსიამოვნების თავიდან აცილებით. თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავსვას, რომ პიროვნების მოტივაციური ორიენტაცია პარსონსის მოქმედების თეორიაში არ წარმოადგენს დამოუკიდებელ და საწყის პუნქტს, არამედ განისაზღვრება იმ სტანდარტების შესაბამისად, რასაც მას ღირებულებათა ზოგადი სისტემა და, მასზე გავლით, სოციალური სისტემა კარნახობს. კრიტიკოსები (A. Dawe, 1979: 407-8) აღნიშნავენ, რომ პარსონსის თეორიაში აქტორი "სოციალურთან მიწერილი უტილიტარია", და რომ ეს თეორია სანიმუშოდ აცხადებს პრინციპს: "საზოგადო (სოციალური) ინტერესების დაცვა ავტომატურად უზრუნველყოფს კერძო კეთილდღეობას". ამდენად, პარსონსი იმეორებს იმავე ეზას, რაც სამი საუკუნით ადრე ჰობსმა გაიარა.

საჭიროა ყურადღება მივაქციოთ პარსონსის მოქმედების თეორიის კიდევ ერთ ასპექტს: მართალია, ეტალონური ცვლადები ახდენს ურთიერთქმედების ნებისმიერი სისტემის კონსტრუირებას, მაგრამ მოქმედების ყველა სისტემას წაეყენება განსაზღვრული მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია სისტემის თვითშენახვისა და ფუნქციონირებისათვის. პარსონსი გამოყოფს ***ფუნქციონალურ მოთხოვნათა*** ოთხ სიდიდეს (ისინი ცნობილია სახელწოდებით – AGIL):

1. ***ადაპტაცია*** (A: adaptation): იგი მოითხოვს, რომ ნებისმიერი სისტემა ადაპტირდეს გარემოსთან.

2. ***მიზნის მიღწევა*** (G: goal-attainment): იგი მოითხოვს, რომ ყველა სისტემა ფლობდეს მისი რესურსების მობილიზების საშუალებებს, რათა განახორციელოს მიზნები და უზრუნველყოს კმაყოფილება.

3. ***ინტეგრაცია*** (I: integration): იგი მოითხოვს, რომ ყველა სისტემამ შეინარჩუნოს (დაიცვას) მისი ნაწილების შინაგანი კოორდინაცია და განავითაროს დევიაციის დაძლევის გზები.

4. ***ლატენტურობა*** (L: latency): ყველა სისტემამ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა შეინარჩუნოს წონასწორობა (პარსონსი ამ მოთხოვნას "ეტალონურ მხარდაჭერესაც" ("pattern maintenance") უწოდებს).

აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად მოქმედების სოციალური სისტემები დიფერენცირდება ქვესისტემებად. თითოეული

ქვესისტემა თავის კერძო ფუნქციას ასრულებს, რომელიც ეთანადება ზემოთ აღწერილ მოთხოვნებს. მაგალითად, ეკონომიკური ქვესისტემა ასრულებს ადაპტაციის ფუნქციას სოციალური სისტემისათვის; პილიტიკური სუბსისტემა – რესურსების მობილიზების საშუალებებს აერთიანებს და ა.შ. თითოეული ქვესისტემა შეიძლება კიდევ დიფერენცირდეს. ასე რომ, იქმნება ქვესისტემათა ქსელი, სპეციფიკური ფუნქციებით, რომლებიც მოქმედების ზოგადი სისტემის ("ერთეული აქტის") სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას ემსახურება.

4. კრიტიკა

პარსონსის სოციალური მოქმედების თეორიის ძირითადი დებულებები, საბოლოო ჯამში, საკმაოდ რთულ სისტემას ქმნის. ზოგიერთი კრიტიკოსი (G. Rocher, 1974: 111) პარსონსის თეორიას "ჩინური კოლოფების ნაკრებს" ადარებს · როდესაც ერთს გახსნიან, მასში მოთავსებულია უფრო პატარა კოლოფი, რომელშიც კიდევ უფრო პატარა კოლოფი ინახება, მერე უფრო პატარა და ა.შ.

სხვა მკვლევრები (I. Craib, 1992: 42) უფრო ხატოვან შედარებებს იყენებენ: პარსონსის მოქმედების თეორიის ცნებები ("ერთეული აქტი", "სოციალური როლი", "სოციალური სისტემა" და ა.შ.) – აბსტრაქციებია და არსებობს ამ აბსტრაქციათა განსხვავებული დონეები. თუ შესადარებლად მივმართავთ ისეთ თვისებას, როგორიცაა ფერი, აბსტრაქციის უმაღლესი დონის შესაბამისი იქნება "ფერი" ***როგორც ასეთი***. პირველ ქვეტიპად ჩაითვლება მაგ., წითელი ფერი; შემდგომ, აბსტრაქციის უფრო დაბალ დონეზე – მუქი წითელი, ღია წითელი, ვარდისფერი და ა.შ. აბსტრაქციის კიდევ უფრო დაბალ დონეზე ემატება სხვა თვისებები: მაგ., მუქი წითელი და მრგვალი. ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს მანამდე, ვიდრე არ მივალთ უნიკალური ობიექტის აღწერამდე... ასე იწყებს პარსონსი ერთეული აქტის აბსტრაქტული სისტემით და დადის სუბსისტემათა სუბსისტემებამდე.

კრიტიკოსები (F. J. Lechnen, 2000: 117-8) მართებულად მიუთითებენ, რომ პარსონსმა თავისი მოქმედების თეორიის აგება დაიწყო მარტივი დებულებებით: სოციალური მოქმედებების სტრუქტურა შედგებოდა "ერთეული აქტის" ელემენტებს – აქტორი, სიტუაცია, საშ-

უალებები, მიზნები და სორმატიული ორიენტაცია – შორის მიმართებებისაგან. მაგრამ, ერთეული აქტი სოციალური წესრიგის პირობა ვერ გახდებოდა. პარსონსის შემდგომი ნაბიჯი იყო ერთეული აქტიდან სოციალურ წესრიგზე გასვლა, რომელშიც უამრავი ერთეული აქტი იქნებოდა სისტემატურად კოორდინირებული. ასეთი სოციალური წესრიგი წარმოადგენს სოციალური სისტემის პროდუქტს. სოციალური სისტემა აქტორთა ისეთი კავშირია, რომელიც ინდივიდთა მხრიდან მოტივირებულია "დაკმაყოფილების ოპტიმატიზაციით", სოლო ურთიერთქმედების პროცესი "ეგოსა" და "სხვებს" შორის გაშუალებულია კულტურული ღირებულებებით და სიმბოლოებით. თავის მხრივ, ღირებულებითი სტანდარტები და სიმბოლოები კულტურული სისტემის ელემენტებია. მოცემულ სიტუაციებში აქტორთა ღირებულებითი ორიენტაციის სისტემატიზაციისათვის პარსონსი ახდენს მათ კლასიფიკაციას დიხოტომიურ "ეტალონურ ცვლადებად". აქტორები ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ეჯახებიან დილემას და აკეთებენ არჩევანს დიხოტომიური წყვილის რომელიმე კიდურა წევრის სასარგებლოდ (მაგ., უსდებათ იმის გადაწყვეტა, სხვა აქტორების მოქმედებების მნიშვნელოვნება შეაფასონ უნივერსალური სტანდარტების საფუძველზე, თუ მათი უნიკალური (კერძო) თვისებების მიხედვით). "ეტალონური ცვლადების" ლიმიტირებული ქსელი უზრუნველყოფს საბაზისო არჩევანის მიმართულებას ამა თუ იმ სპეციფიკური ქვესისტემისათვის (შესაბამისად, მოქმედების სუბსისტემისათვის). მაგალითად, ეკონომიკური ქვესისტემა (ეკონომიკური მოქმედება) იმართება უნივერსალიზმის და რეზულტატურობის ღირებულებითი სტანდარტებით. მაშასადამე, სოციალური სისტემა, პარსონსის მისედვთ, ახდენს ღირებულებითი სტანდარტების ინსტიტუციონალიზაციას. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური სისტემა (როგორც წესრიგის მატარებელი) სხვა არაფერია, თუ არა ***ინსტიტუციონალიზებული ნორმატიული კულტურა***. ამის პროდუქტს წარმოადგენს სოციალური როლები, რომლებიც განსაზღვრავს მოსალოდნელ ქცევას მოცემულ სიტუაციებში. ინდივიდი სოციალიზაციის პროცესში ითვისებს სოციალურ როლებს, ანუ ხდება პიროვნულ სისტემაში ღირებულებათა ინტერნალიზაცია (რომელსაც აქტორისათვის მოტივაციური მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, მოტივირებულია დაკმაყოფილების ოპტიმიზაციით). ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია დევიაციათა არსებობა. მაგრამ სოციალური სისტემის ინტეგრაციული ხასიათი ყოველთვის მიდრეკილია დევიაციის მინიმი-

ზაციისაკენ, რაც დეევიანტის ინტეგრირებული ნორმატიული კავშირებისადმი დაქვემდებარებას გულისხმობს.

დასარულ, ისევე უნდა ითქვას, რომ პარსონსის მოქმედების თეორიას, ძირითადად, აკრიტიკებენ იმის გამო, რომ: ა) ამ თეორიაში აქტორს დაკარგული აქვს ავტონომიურობა და ინდივიდის მოქმედება დეტერმინირებულია სოციალური და კულტურული სისტემებით; ბ) ეს თეორია ზედმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ღირებულებებს (განსაკუთრებით მორალურ სტანდარტებს) და კულტურულ ეტალონებს. პარსონსი ადგილს აღარ ტოვებს მიზან-რაციონალური ინსტიტუციონალური მოქმედებისათვის (ვებერის პოზიციიდან კრიტიკა); გ) პარსონსი ნაკლებ ყურადღებას უთმობს დეევიანტურ ქცევას და სოციალურ კონფლიქტებს.

III თავის ძირითადი შინაარსი

1. ტალკოტ პარსონსის მიზანს წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებათა ერთიანი თეორიული სისტემის შექმნა, რომელიც შეძლებდა მთელი არსებული ემპირიული ცოდნის სისტემატიზაციას. ეს მიზანი მოითხოვს სოციალური მეცნიერებებისათვის ინვარიანტული ფუნდამენტური ცნებების აღწერას, რომლის საფუძველზე შეიქმნება უნიფიცირებული "კონცეპტუალური სქემა". ამ უკანასკნელს პარსონსი სხვანაირად "მოქმედების კოორდინატის სისტემას" ან, უფრო მარტივად, "სოციალური მოქმედების სტრუქტურას" უწოდებს.

2. მოქმედების კოორდინატის სიტემის საფუძველს წარმოადგენს "ერთეული აქტი" ("unit act"). იგი შემდეგ ელემენტებს შეიცავს: ა) "აგენტი", "მოღვაწე" ან "აქტორი" ("actor"). ბ) "მიზანი" ("end"), ანუ მოვლენათა მომავალი მდგომარეობა, რომელზეც ორიენტირდება მოქმედება. გ) "სიტუაცია", რომელშიც სრულდება აქტი. ეს უკანასკნელი ორი ტიპის ელემენტებისაგან შედგება: მოქმედების "პირობებისაგან", რომელთა გაკონტროლება და შეცვლა აქტორს არ შეუძლია და მოქმედების "საშუალებებისაგან", რომელთა გაკონტროლების შესაძლებლობაც მას აქვს. დ) მოქმედების "ნორმატიულ ორიენტაცია", რომელიც განსაზღვრავს მიზნის მისაღწევი ალტერნატიული საშუალებებიდან ამორჩევის შესაძლებლობას.

3. მოქმედების კოორდინატის სიტემა რამდენიმე მნიშვნელოვან წანამძღვარს შეიცავს: 1. მოქმედება ყოველთვის პროცესს წარმოადგენს, ანუ დროში მიმდინარეობს. მოქმედების პროცესუ-

ალური ხასიათი მნიშვნელობას შეიძენს მიზანთან მიმართებაში - მიზანი, რათა იგი განხორციელდეს, მოითხოვს აქტორის დროში ძალისხმევას. 2. როგორც მიზნის, ისე საშუალებების შემთხვევაში აქტორს აქვს არჩევანის შესაძლებლობა, რაც კავშირშია აქტორის ნორმატიულ ორიენტაციასთან. 3. მოქმედების კოორდინატის სისტემა სუბიექტურად რელევანტურია: მას საქმე აქვს მოვლენებთან, როგორც ისინი წარმოუდგენია აქტორს. ასეთნაირად განხილული მოვლენები სუბიექტურ ფაქტებს წარმოადგენს. 4. სიტუაციას, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს, გააჩნია ფიზიკური და ბიოლოგიური ასპექტები, რომლებიც მოქმედების პირობების ან საშუალებების როლს ასრულებს. 5. მოქმედების კოორდინატის სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორ - კონკრეტულ და ანალიტიკურ - დონეზე. კონკრეტულ დონეზე "ერთეული აქტის" ქვეშ გაიგება რეალური მოქმედება, ხოლო მისი ელემენტების ქვეშ - რეალური მიზნები, პირობები და საშულებები. ანალიტიკური დონისათვის აუცილებელია აბსტრაქციის გზით წასვლა, რაც გულისხმობს იმ მოვლენებს შორის ფუნქციონალური კავშირების გამოვლენას, რომლებიც აღწერის ეტაპზე მიწესრიგდა.

4. ნორმა წარმოადგენს მოქმედების სისტემის იმ ელემენტს, რომელიც აქტორისათვის წარმოადგენს თვითმარ მიზანს, ამ ელემენტის სტატუსისაგან დამოუკიდებლად. მოქმედების ნორმატიულობა მხოლოდ მიზანთან მიმართებაში შეიძენს საზრისს. მიზანი მოვლენათა მომავალი მდგომარეობაა, რომელიც სასურველია აქტორისათვის, ანუ მის მიერ განიხილება, როგორც საორიენტაციო მიჯნა. ნორმა იმ მოქმედებათა ვერბალური აღწერაა, რომლებიც მიზნის მიმართ სუბიექტურად რელაგენტურია. მაშასადამე, ნორმატიული ორიენტაცია სოციალური მოქმედების ტელეოლოგიურ თვისებას წარმოადგენს.

5. სოციალური მოქმედება ყოველთვის გაახრებულ უნდა იქნეს მოქმედების ორი განსხვავებული - ნორმატიული და სიტუაციური - ტიპის ელემენტებს შორის დაძაბულობის კონსტექსტში. მოქმედება, როგორც პროცესი, წარმოადგენს სიტუაციური ელემენტების ცვალებადობას ნორმებთან შესაბამისობის მიმართულებით. ამ ორი ელემენტიდან რომელიმეს იგნორირებას მოქმედების თეორია უკიდურესობამდე დაჰყავს. კერძოდ, ნორმატიული ასპექტის გამორიცხვას რადიკალურ პოზიტივისტურ პოზიციამდე მივყავართ, ხოლო, სიტუაციური ასპექტის გავლენის ელიმინაციას – იდეალისტურ ემანაციონიზმამდე.

6. სიტუაციური წესრიგის ნორმატიულის მიმართ დამორჩილების მოთხოვნა პარსონსის თეორიას "მოქმედების ვოლუნტარისტული თეორიის" სახეს აძლევს, რომლის თანასმადაც ადამიანი "აქტიური, შემოქმედი, შემფასებელი არსებაა". იგი მოქმედებს იმისათვის, რათა რეალობა შესაბამისობაში მოიყვანოს თავის მიზნებთან, იდეალებთან. აქტორის ამგვარი ვოლუნტარიზმი არის ანტიდეტერმინიზმის გამოხატულება, რომელიც ხაზს უსვამს სოციალური მოქმედების ღიაობას და ისტორიულ განვითარებას. ამის პროდუქტი კი არის სოციალური სისტემა, როგორც სოციალური ინტერაქციის გამყლავნებული შედეგი. ადამიანის ასეთ გაგებას პარსონსი მიმართავს პოზიტივისტურ-იდეალისტური ტრადიციის წინააღმდეგ, რომელიც ადამიანს "პასიურ, შემგუებელ, რეცეპტულ" არსებად მიიჩნევს.

7. პარსონსი აფართოებს თავის თეორიულ ინტერესს ერთეული მოქმედებიდან ანალიტიკურად დაკავშირებული მოქმედებების ერთობლიობამდე. ეს არის გადანაცვლება ინდივიდუალური აქტორის მოქმედებიდან სოციეტალური ინტეგრაციის დონეზე. პარსონსი ამტკიცებს, რომ თუ აქტორები გაყვებიან მხოლოდ მათ კერძო, დამოუკიდებელ მიზნებს, მაშინ თავიდან ვერ ავიცილებთ ჰობსისეულ "ომს ყველასი ყველას წინააღმდეგ", ანუ დეზინტეგრირებულ საზოგადოებას. საზოგადოებას ყოველთვის შეუძლია და უნდა ფლობდეს ინტეგრაციის და, აქედან გამომდინარე, წესრიგის გარკვეულ ხარისხს. ამას კი ის განაპირობებს, რომ საზოგადოების ინდივიდუალური წევრები იზიარებენ საერთო მიზნებსა და ღირებულებებს. მათ პარსონსი "ბოლოვად" მიზნებს უწოდებს. საზოგადოების, სოციალური ერთობების და სოციალური ჯგუფების ინტეგრაცია მოითხოვს მათი წევრების მიერ ნორმათა და ღირებულებათა საერთო სისტემის აღიარებას. ეს სისტემა მორალური ძალაუფლების მქონეა და იგი არ დაიყვანება ცალკეულ აქტორთა ნებაზე. პარსონსი აღიარებს ასეთი სოციალური მორალის ძალას.

8. ღირებულებით ორიენტაციას პარსონსი განსაზღვრავს, როგორც ორიენტაციას განსაზღვრულ ეტალონებსა და სტანდარტებზე, რომელთა საფუძველზე აქტორი მოქმედების მიზნებისა და საშუალებების ალტერნატიული შესაძლებლობებიდან ახორციელებს შერჩევის აქტს. შესაბამისად, ღირებულება განისაზღვრება როგორც კულტურული სისტემის ელემენტი, რომელიც წარმოადგენს კრიტერიუმს მოქმედების არსებულ ალტერნატივებს შორის არჩევანის გასაკეთებლად. ღირებულებებს შეიცავს კულტურა. მაგრამ კულტურის დონეზე ისინი წარმოადგენს

აქტორისაგან ვანყენებულ სტანდარტებს, რომლებიც ღირებულებითი ორიენტაციის პროცესში ინტერნალიზდება სოციალურ და პიროვნულ სტრუქტურებში, ასუ გადაიქცევა აქტორის "საკუთარ" ღირებულებებად.

9. პარსონსი გამოყოფს ღირებულებითი ორიენტაციის სამ დონეს: ა) კოგნიტური დონე უკავშირდება იმ ეტალონებს, რომლითაც დგინდება შემეცნებით მსჯელობათა ვალიდურობა; ბ) შეფასებითი დონე უკავშირდება იმ ეტალონებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება განსხვავებული ობიექტების და ობიექტთა კლასების ვარგისიანობის შეფასება კატექსისათვის (კმაყოფილების ოპტიმიზაციისათვის); გ) მორალური დონე დაკავშირებულია ეტალონებთან, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოქმედების მთელი სისტემის შეფასება და რეგულირება, იქნება ეს პიროვნება თუ სახოგადოება, ან მათი სუბსისტემები. პარსონსი მათ "უკანასკნელი ინსტანციის მსაჯულებს" უწოდებს.

10. ღირებულებები და მორალური სტანდარტები, როგორც კულტურული სისტემის ელემენტები, ინტერნალიზდება პიროვნების სისტემაში და სოციალურ სისტემაში. კულტურული, პიროვნული და სოციალური სისტემები წარმოადგენს მოქმედების საერთო სისტემის სამ დონეს: ა) პიროვნული სისტემა ცალკეული აქტორის გარშემო ორგანიზებული მოტივირებული მოქმედებაა. აქტორის მოქმედება მოტივირებულია დაკმაყოფილების ოპტიმიზაციით – სიამოვნების ძიებით და უსიამოვნების თავიდან აცილებით. ბ) სოციალური სისტემა – ორი ან მეტი აქტორის ურთიერთობის გარშემო ორგანიზებულ მოტივირებულ მოქმედებას გულისხმობს. გ) კულტურული სისტემა ფორმირდება ღირებულებების, ნორმების და სიმბოლოების ორგანიზაციის მეშვეობით. კულტურული სისტემა, პიროვნული და სოციალური სისტემებისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს ემპირიულ, მოტივაციურ სისტემას. თუმცა, კულტურული სისტემის ელემენტები (ღირებულებები, ნორმები, სიმბოლოები) შეიძლება გადაერთოს პიროვნული და სოციალური სისტემების "რეჟიმში". სწორედ ამას წარმოადგენს "ინტერნალიზაციის" და "ინსტიტუციონალიზაციის" პროცესი. ინტერნალიზებული კულტურული ეტალონები უკვე პიროვნული და სოციალური სისტემის შემადგენელი ელემენტები ხდება.

11. მოქმედების სამი – კულტურული, სოციალური და პიროვნული – სისტემის იერარქიაში, პიროვნული სისტემა ყველაზე დაქვემდებარებულ პოზიციას იკავებს. იგი დეტერმინირებულია როგორც ღირებულებათა საერთო სისტემის, ისე სოციალური

სისტემის მიერ. სოციალური სისტემის ერთეულს და ბირთვს სოციალური როლი წარმოადგენს. სოციალური როლი პიროვნების საზოგადოებაში ორიენტაციის მაორგანიზებელი მექანიზმია. როდესაც ურთიერთქმედება "ეგო"-სა და "სხვებს" შორის იძენს მეტ-ნაკლებად მყარ, ორგანიზებულ ხასიათს, ყალიბდება როლებრივი მოლოდინები: "სხვა" ელოდება, რომ ინდივიდი ("ეგო") მოიქცევა განსაზღვრული წესით, მოქმედების ალტერნატივების დიაპაზონის ფარგლებში. სოციალური როლები სხვა არაფერია, თუ არა სოციალურ სისტემაში ინტერნალიზებული, ინსტიტუციონალიზებული ღირებულებები. სოციალური როლები წარმოადგენს იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ღირებულებითი ეტალონები ინსტიტუციონალიზდება სოციალურ სისტემაში, ანუ შეიძენს ემპირიულ გამოხატულებას. ინდივიდის მიერ სოციალურ როლთა ათვისების პროცესს პარსონსი "სოციალიზაციას" უწოდებს.

12. კულტურული და სოციალური სისტემების დეტერმინაციის მიუხედავად, ინდივიდს მაინც რჩება არჩევანის უფლება. ეს არის არჩევანი განსაზღვრულ დილემებს შორის, რომელსაც ინდივიდი "ეჯახება" სიტუაციაში ორიენტირებისას. პარსონსი გამოყოფს ხუთ დილემას (დიხოტომიას), რომელთაც ეტალონურ (ტიპობრივ) ცვლადებს უწოდებს. ეტალონური ცვლადების ხუთი წყვილიდან აქტორმა აუცილებლად უნდა გააკეთოს არჩევანი იმისათვის, რათა სიტუაციამ განსაზღვრული მნიშვნელობა შეიძინოს. ეს ეტალონური ცვლადებია: 1. აფექტურობა – აფექტური ნეიტრალობა. 2. ორიენტაცია საკუთარ თაჭზე – ორიენტაცია კოლექტივზე. 3. უნივერსალიზმი – პარტიკულარიზმი. 4. თვისება – რეზულტატურობა 5. სპეციფიკურობა – დიფუზურობა. სოციალური სისტემის დონეზე ეტალონური ცვლადების ნორმატიული ასპექტები სოციალურ როლებად და როლებრივ მოლოდინებად ინსტიტუციონალიზდება, ხოლო წმინდა პიროვნულ დონეზე მათ შორის არჩევანი მოტივირებულია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ოპტიმიზაციით – სიამოვნების ძიებით და უსიამოვნების თავიდან აცილებით.

13. მართალია, ეტალონური ცვლადები ახდენს ურთიერთქმედების ნებისმიერი სისტემის კონსტრუირებას, მაგრამ მოქმედების ყველა სისტემას წაეყენება განსაზღვრული მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია სოციალური სისტემის თვითშენახვისა და ფუნქციონირებისათვის. პარსონსი გამოყოფს ფუნქციონალურ მოთხოვნათა ოთხ სიდიდეს (ისინი ცნობილია სახელწოდებით - AGIL): 1. ადაპტაცია. 2. მიზნის მიღწევა. 3. .ინტეგრაცია. 4. ლატენტურობა. აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად მოქმედების სოციალური სისტემები დიფერენცირდება ქვესისტემებად.

თითოეული ქვესისტემა თავის კერძო ფუნქციას ასრულებს, რომელიც ეთანადება აღნიშნულ მოთხოვნებს.

14. პარსონსის მოქმედების თეორიას, ძირითადად, აკრიტიკებენ იმის გამო, რომ: ა) ამ თეორიაში აქტიორს დაკარგული აქვს ავტონომიურობა და ინდივიდის მოქმედება დეტერმინირებულია სოციალური და კულტურული სისტემებით; ბ) ეს თეორია ზედმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ღირებულებებს (განსაკუთრებით მორალურ სტანდარტებს) და კულტურულ ეტალონებს. პარსონსი ადგილს აღარ ტოვებს მიზან-რაციონალური ინსტიტუციონალური მოქმედებისათვის (ვებერის პოზიციიდან კრიტიკა); გ) პარსონსი ნაკლებ ყურადღებას უთმობს დევიანტურ ქცევას და სოციალურ კონფლიქტებს.

ძირითადი ცნებები:

"მოქმედების კოორდინატის სისტემა", ერთეული აქტი", "ნორმატიული ორიენტაცია", "ღირებულება", "კოგნიტური, კატექტიური, მორალური ორიენტაციები", "კულტურული, სოციალური და პიროვნული სისტემები", "ინტერნალიზაცია", "სოციალური როლი", "ეტალონური ცვლადები", "AGIL".

ძირითადი კითხვები:

- "ერთეული აქტის" სტრუქტურა
- ნორმატიული ორიენტაცია და ღირებულებითი ორიენტაცია; ღირებულებითი ორიენტაციის სამი - კოგნიტური, შეფასებითი, მორალური - დონე.
- რაში გამოიხატება პარსონსის თეორიის "ვოლუნტარისტული" ხასიათი, რომელიც პოზიტივისტურ-იდეალისტურ უკიდურესობას უპირისპირდება?
- კულტურულ, სოციალურ და პიროვნულ სისტემებს შორის მიმართება.
- და არის ინტერნალიზაციის და ინსტიტუციონალიზაციის პროცესის არსი?
- "ეტალონური ცვლადების" აღწერა და მათი მნიშვნელობა პიროვნული სისტემისათვის.
- დაახასიათეთ სოციალური სისტემის ფუნქციონირებისა და თვითშენახვისათვის აუცილებელი ძირითადი მოთხოვნები.
- პარსონსის თეორიის კრიტიკის ძირითადი აქცენტები.

ტალკოტ პარსონსის (1902-1979) ძირითადი შრომები:

- (1937) სოციალური მოქმედების სტრუქტურა
- (1951) სოციალური სისტემა
- (1956) ეკონომიკა და საზოგადოება
- (1964) სოციალური სტრუქტურა და პიროვნება
- (1967) სოციალური თეორია და თანამედროვე საზოგადოება

დამოწმებული ლიტერატურა:

1. П а р с о н с, Т. 2000а: *Структура Социального Действия,* в книге: О Структуре Социального Действия, Москва, Академический Проект.
2. П а р с о н с, Т. 2000в: *К Общей Теории Действия. Теоритические Основания Социальных Наук,* в книге: О структуре Социального Действия, Москва, Академический Проект.
3. П а р с о н с, Т. 1994: *Система Координат Действия и Общая Теория Систем Действия:Культура,Личность и Место Социальных Систем,* в книге: Американская социологическая Мысл, Москва, МГУ.
4. В е б е р, М. 2000: *Протестантская Этика и Дух Капитализма,* в книге: М. В е б е р, Избранные Произведения, Москва, "Прогорес".
5. C a m i c, CH. 1989: Structure after 50 Years: The Anatomy of a Charter, *American Journal of Sociology*, 95, Number 1 (July), pp. 38-107.
6. C o h e n, I. J. 2000: *Theories of Action and Praxis*, in Bryan S. Turner (ed.), The Blackwell Companion to Social Teory (second edition). Oxford: Blackwell Publishers, pp. 73-111.
7. C r a i b, I. 1992: *Modern Social Theory*, from Parsons to Habermas (second edition). Great Britain: Harvester.
8. D a w e, A. 1979: *Theories of Action*, in T. Bottomore and R. Nisbet (eds.): A History of Sociological Analysis. London : Heineman Educational Books, pp. 362-418.
9. G o u l d n e r, A. W. 1970: *The Coming Crisis of Western Sociology.* New York : Basic Books.
10. L e c h n e r, F. J. 2000: *System Theory and Functionalism*, in Bryan S. Turner (ed.), The Blackwell Companion to Social Theory (second edition). Oxford : Blackwell Publishers, pp. 112-133.
11. M e n z i e s, K. 1977: *Talcott Parsons and the Social Image of Man.* London : Routlege and Kegan Paul.
12. P a r s o n s, T. 1937 (1968): *The Structure of Social Action.* New York : Free Press.
13. R o c h e r, G. 1974: *Talcott Parsons and American Sociology*, Nelson, london.
14. S i m o n, H. A. 1983: *Reason in Human Affairs.* Stanford : Stanford Univrsity Press.

IV

რაციონალური არჩევანის თეორია, რომელიც უტილიტარული რაციონალური მოქმედების პარადიგმა

1. შესავალი

პარსონსის მიზანს წარმოადგენდა ერთიანი სისტემური თეორიის ფარგლებში მოერიგებინა კონტინუუმის ორი ბოლო, ანუ ოპოზიციის ორი მხარე - მოქმედება და სტრუქტურა, ინდივიდი და კოლექტივი. მისი სოციალური მოქმედების თეორია იწყება ვოლუნტარისტული მოცემულობით - ინდივიდუალური აქტით და ამ საწყისი პოზიციიდან ხდება მოძრაობა სოციალური სისტემების ანალიზის მიმართულებით. თუმცა, როგორც ითქვა, პარსონსმა ამ ამოცანას თავი წარმატებით ვერ გაართვა და ვოლუნტარისტული პათოსი კოლექტივის (სოციალური სისტემის) ინტერესებს შეწირა. საერთოდ, საკითხავია, არის თუ არა შესაძლებელი ინდივიდუალური და სისტემური დონეების ერთი თეორიის ფარგლებში შენარჩუნება და მორიგება? ***რაციონალური არჩევანის*** თეორია ამ კითხვას თავისებურად უპასუხებს და ცდილობს, ბოლომდე უერთგულოს მოქმედების ***ვოლუნტარისტულ*** ინტერპრეტაციას. ეს ნიშნავს, რომ ამ თეორიის ფარგლებში საზოგადოებას და სოციალურ სისტემას "ჩამორთმეული" აქვს მადომინირებელი "უფლებები" და ისინი საკუთრივ (დამოუკიდებელ) მნიშვნელობას კარგავენ. თუმცა, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მწვავდება კითხვა: როგორ არის შესაძლებელი გავამართლოთ (დავასაბუთოთ) ***სოციალურ ურთიერთობათა მოდელები***, რომელთა არსებობაც ფაქტს წარმოადგენს?

რაციონალური არჩევანის თეორია თავის საწყის (პირვანდელ) ფორმაში "***გაცვლის თეორიის***" სახელწოდებით არსებობდა (თავის მხრივ, გაცვლის იდეას, როგორც სოციალური სოლიდარობის წყაროს ან საშუალებას, დიდი ხნის ტრადიცია აქვს სოციალურ ან-

გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე ვებერის თვალსაზრისი. კერძოდ, ვებერთან მიზან-რაციონალური მოქმედება შეესაბამება როგორც ფორმალურ, ისე ინსტრუმენტალურ რაციონალობას. რაც შეეხება RAT -ს, მას მიზანრაციონალური მოქმედება დაჰყავს მხოლოდ ***ინსტრუმენტალურ (პრაქტიკულ) რაციონალობაზე***, ანუ ადამიანის მოღვაწეობას (activity) განიხილავს წმინდა პრაგმატულ ინტერესებთან მიმართებაში.

საჭიროა გაკეთდეს კიდევ ერთი აუცილებელი დაზუსტება: RAT-ის არც ერთი ვერსია მიზანთა რაციონალობის მოთხოვნას არ იკვლევს ***სუბსტანციური*** აზრით. აქაც შესაძლებელია, პარალელი გავავლოთ ვებერთან. ვებერის რაციონალობის კონცეფცია მოიცავს სუბსტანციურ რაციონალობას, რომელიც აყალიბებს შეფასებით სტანდარტებს, ანუ მორალური, ესთეტიკური და ა.შ. ღირებულებების საფუძველზე მართავს რეალობას. ეს არის ღირებულებით-რაციონალური მოქმედების მანიფესტაცია, რომელიც მიზან-რაციონალური მოქმედების არაალტრუისტულ ალტერნატივას წარმოადგენს. RAT-ის ფარგლებში აქტორთა მიზნები განიხილება, როგორც ღირებულებითი ეტალონებით და სტანდარტებით ***შეუზღუდავი***, ანუ ის, რაც განისაზღვრება ***ემპირიულად***. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი შესაძლებელია ვილაპარაკოთ რაციონალობის ხარისხებზე, რაც საშუალებას იძლევა, დიფერენცირება მოვახდინოთ RAT-ის ვერსიებს შორის ***ობიექტურ*** ან ***სუბიექტურ*** რაციონალობაზე აქცენტირების შესაბამისად[3].

ობიექტურ რაციონალობაზე აქცენტი ყველაზე ძლიერად RAT-ის ეკონომიკურ ვერსიებში კეთდება. ამ შემთხვევაში რაციონალობაზე "დაკვეთა" იღებს ***ფორმალურ*** სახიათს, რაც დაკავშირებულია წინააღმდეგობის მოხსნის და თანამიმდევრობის მოთხოვნებთან. კერძოდ, RAT-ის ეს ინტერპრეტაცია აღიარებს ტრანზიტული ხასიათის ეკონომიკურ თანამიმდევრობას: თუ აქტორი უპირატესობას ანიჭებს a-ს

[3] RAT-ის ფარგლებში სუბიექტურ და ობიექტურ რაციონალობას შორის განსხვავება არ უნდა აგვერიოს ვებერის შესაბამის დიფერენცირებასთან. RAT-ის მიხედვით, ამ განსხვავებაში მხოლოდ მოქმედების რაციონალობის ხარისხი მოიაზრება, რაც სუბიექტის მიერ საკუთარი რესურსების და კერძო სიტუაციების შესახებ ცოდნის განსხვავებულ ხარისხებს, შესაბამისად, მოქმედების შედეგების ადეკვატური გათვლის და სარგებლობის მაქსიმიზაციის არათანაბარ შესაძლებლობებს გულისხმობს. ვებერის კონცეფციაში აღნიშნულ დიფერენცირებას ინდივიდუალურ და სუპრა-ინდივიდუალურ დონეებს შორის განსხვავება უდევს საფუძვლად: ვებერი მიიჩნევს, რომ სუბიექტურ რაციონალობას საქმე აქვს მენტალურ პროცესებთან, სუბიექტურ განზრახვებთან (ე.წ. "პირველი რიგის" ცოდნასთან), ხოლო ობიექტური რაციონალობა ეხება ინსტიტუციურ ნორმებს და სოციალური მოქმედების რეგულაციებს (ე.წ. "შეორე რიგის" ცოდნას).

b-თან შედარებით და b-ს c-თან შედარებით, მაშინ a-საც უპირატესობა უნდა მიენიჭოს c-თან შედარებით. ამ მოთხოვნებს მათემატიკური ხერხების (ტექნოლოგიის) გაბატონებამდე მივყავართ და მიზნად "უტილიტარული ფუნქციის" პრეზენტაციას ისახავს. მოქმედი სუბიექტი ამ შემთხვევაში "ეკონომიკურ ადამიანად" იქცევა და იძენს ისეთ თავისებურებებს, რომელიც აუცილებლობით არ მიეწერება "რაციონალურ ადამიანს" per se. აღნიშნული ვერსია ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტორები ფლობენ საკუთარი რესურსების და კერძო სიტუაციების "სრულყოფილ ცოდნას" და იყენებენ მას საუკეთესო შესაძლებელი გზით მიზანთა მისაღწევად. ხოლო მიზნები, როგორც ითქვა, ყოველ მოცემულ შემთხვევაში ნაკარნახევია იმით, რომ მოხდეს სარგებლობის (წარმოების შემთხვევაში - მოგების) მაქსიმიზაცია. უფრო მეტი: იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აქტორთა ინფორმირებულობა *ლიმიტირებულია*, ანუ რისკის და გაურკვევლობის სიტუაციებში, ივარაუდება, რომ აქტორებს რჩებათ ინფორმაციის ის მარაგი, რომელიც მათ აძლევს შესაძლებლობას, რომ, მოცემული სიტუაციის შესაბამისად, განახორციელონ ზუსტი გამოთვლები და, ამდენად, უზრუნველყონ სუბიექტურად მოსალოდნელი სარგებლობის გაზრდა.

როგორც ობიექტური რაციონალიზმის კრიტიკოსები (H. A. Simon, 1983: 13-4) აღნიშნავენ, წარმოდგენილი ეკონომიკური ვერსიის მიმდევრები ასკვნიან, რომ აქტორი ამომწურავად განჭვრეტს (განსჯის) ყველაფერს, რაც მის წინაშეა. მას კარგად ესმის, რომ მისთვის ღიაა ალტერნატიულ არჩევანთა სფერო (დიაპაზონი), არა მხოლოდ ამ მომენტისათვის, არამედ მომავლის მთელი პანორამის მანძილზე. მან იცის თითოეული ამ არჩევითი სტრატეგიის შედეგები, სულ მცირე, იმ აზრით, რომ შეუძლია განსაზღვროს სამყაროში მომავალი მდგომარეობების განაწილების ზოგადი ალბათობა. მან მოაწესრიგა ყველა მისი კერძო კონფლიქტური ღირებულება და მოახდინა მათი სინთეზი ერთ უტილიტარულ ფუნქციაში, რომელიც მართავს სამყაროს ყველა ამ მომავალ მდგომარეობას. ამრიგად, მიუხედავად იმისა, ბოლომდე გაცნობიერებულია თუ არა რისკთან და გაურკვევლობასთან დაკავშირებული სირთულეები, ის, რასაც აქტორი აკეთებს, ეკონომიკური რაციონალიზმის თანახმად, წარმოადგენს უტილიტარული თეორიის მიერ ნაკარნახევ რაციონალურ არჩევანს.

მაგრამ სწორედ აქ ჩნდება ეჭვი, რომელსაც რეალობის მიმართ მაღალი ნდობა ასაზრდოებს და რომელიც გვკარნახობს, რომ სინამ-

ფორმალური და ექსპლიციტური "გადაწყვეტილების მიღების პროცედურის" შესრულებიდან.[2]

როგორც აღნიშნავენ (J. H. Goldthorpe, 1998: 169), RAT არ წარმოადგენს მაღალი ხარისხით უნიფიცირებულ სისტემას. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, ვილაპარაკოთ სხვადასხვა სოციოლოგთა "კოლაბორაციონისტულ ალიანსზე", რომლებიც კეთილგანწყობილნი არიან RAT-ის მიმართ და ამ ზოგადი სახელწოდების ქვეშ დიფერენცირებულ მიდგომებს ავითარებენ. RAT-ს ზოგჯერ (Hirch, Michael, Friedman, 1988) საეჭვო მნიშვნელობის მატარებელ ეკონომიკურ დოქტრინასაც უწოდებენ, თუმცა, ამ თეორიის ბევრი სერიოზული მკვლევარი (J. S. Coleman, J. H. Goldthorpe, I. Craib და ბევრი სხვა) ცდილობს დაამტკიცოს, რომ RAT-ს ღრმა ფესვები აქვს გადგმული კლასიკურ სოციოლოგიურ ტრადიციაში.

ინგლისელი მეცნიერი John. H. Goldthorpe (1998: 169) RAT-ის ვარიაციათა დიფერენცირებას ახდენს *სამი* კრიტერიუმის მიხედვით:

ა) რაციონალობაზე მოთხოვნების (rationality requirements) ხარისხის მიხედვით.

ბ) სიტუაციურ თუ პროცედურულ რაციონალობაზე ფოკუსირების მიხედვით.

გ) მოქმედების ზოგადი თუ სპეციფიკური თეორიის უზრუნველყოფის მიხედვით.

განვიხილოთ RAT-ის ძირითადი პრინციპები თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად.

2. მოთხოვნები რაციონალობაზე

რაციონალური მოქმედება RAT-ის ფარგლებში განისაზღვრება (J. H. Goldthorpe, 1998: 169), როგორც ***შედეგზე*** ორიენტირებული, რომლის დროსაც გარკვეული მოთხოვნები თანხვდება ერთმანეთს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართება არსებობს აქტორთა მიზნებს, ამ მიზნებისთვის (მათი განხორციელებისათვის) რელევანტურ შეხედულებებს და მოქმედების რეალურ მსვლელობას შორის. მოთხ-

[2] "რაციონალური მოქმედების თეორიის" ინგლისურ აბრევიატურას წარმოადგენს RAT (Rational Action Theory). რამდენადაც სალექციო კურსის მიზნებისათვის პრინციპული მნიშვნელობის მქონე არ არის, გამოვიყენებთ "რაციონალური არჩევანის" თუ "რაციონალური მოქმედების" ცნებებს, წარმოდგენილი თეორიის აღსანიშნავად ყოველთვის მოვიხმარ აღნიშნულ აბრევიატურას.

ოვნა რაციონალობაზე ყველაზე ძლიერ გამოხატულებას იძენს სწორედ მაშინ, როდესაც არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, აქტორთა ნდობა (დაჯერებულობა) მათ მიმართ და ამ ნდობაზე დაფუძნებული პრაქტიკული ქმედება. მაშასადამე, RAT- ი წარმოადგენს ***მიზან-რაციონალური*** მოქმედების ერთ-ერთ მოდელს, რომელიც, ისევე როგორც სხვა მოდელები, გულისხმობს, რომ სოციალურ აქტორთათვის დამახასიათებელია განსაზღვრულ მიზანთა მიღწევის პერსპექტივა და, რომ, აქტორები მოქმედებენ სასარგებლო და საჭირო შედეგების მისაღებად.

RAT-ის ძირითადი პოსტულატი, რომ ადამიანები მოქმედებენ რაციონალურად, წარმოადგენს უფრო მეტად ***მეტათეორიულ***, ვიდრე ემპირიულ დაშვებას. ეს ნიშნავს, რომ რაციონალური არჩევანის თეორია არ გულისხმობს, თითქოს ყველა მოქმედება რაციონალურია და ყველა ადამიანი რაციონალურად მოქმედებს. ამ თეორიის ფარგლებში გაცხადებულია მხოლოდ ***ორი*** პრეტენზია: ერთი ისაა, რომ საკმარისი რაოდენობის ადამიანები მოქმედებენ რაციონალურად და საკმარისად დიდხანს, რომ არჩევანის პრინციპი გამოსაყენებლად ვარგისი გახდეს. მეორე ისაა, რომ როდესაც ვცდილობთ გავიგოთ ადამიანის მოქმედება, პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ რაციონალურ ახსნას და რაციონალურ მოდელებს.

მიზან-რაციონალური მოქმედების ყველა მოდელი აღნიშნულ მეტათეორიულ დაშვებას ემყარება, მაგრამ RAT-ის განმასხვავებელ ელემენტს წარმოადგენს ***ოპტიმიზაციის*** იდეა: მოქმედებენ რა რაციონალურად, ინდივიდები ალტერნატივათა შორის არჩევანს ახორციელებენ ოპტიმალური გზით, ანუ ახდენენ ***სარგებლობის მაქსიმიზირებას***, ხოლო დანაკარგებს ამცირებენ მინიმუმამდე. ეს ნიშნავს, რომ მათ ხელთ არსებულ უპირატესობებთან თანაფარდობაში (შესაბამისობაში), აქტორები ირჩევენ იმ მოქმედებებს, რომლებიც საუკეთესო შედეგების მომტანია.

საინტერესოა, პარალელი გავავლოთ ვებერის რაციონალობის კონცეფციასთან, უფრო კონკრეტულად, ამ კონცეფციის იმ ნაწილთან, რომელიც მიზანრაციონალურ მოქმედებას ეხება. საქმე ისაა, რომ RAT-ი აღიარებს მხოლოდ რაციონალური მოქმედების ამ ტიპს და მას არანაირი შეხება არა აქვს იმასთან, რასაც ვებერი კონცეპტუალურ ან, მით უფრო, სუბსტანციურ რაციონალობას უწოდებს (იხილე მოცემული სალექციო კურსი, თავი II). მეტიც: თვით მიზან-რაციონალური მოქმედების ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, RAT-ი

თროპოლოგიაში). გაცვლის თეორია წარმოადგენდა ერთ-ერთ რეაქციას პარსონსის "გრანდ-თეორიის" წინააღმდეგ, რომელმაც გავლენა ჰპოვა შეერთებულ შტატებში 1950-იან წლებში და დაუკავშირდა ისეთ მოაზროვნეებს, როგორიცაა ჯორჯ ჰომანსი და პიტერ ბლაუ. ისინი შეეცადნენ, აეგოთ დედუქციური თეორია, რომელიც დაემყარებოდა ბიჰევიორისტული სოციოლოგიიდან ნასესხებ მარტივ პრინციპებს: ადამიანები მიდრეკილნი არიან მოიქცნენ ისე, რაც მათ წარმატებას მოუტანს და დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს (ეს ის დონეა, რომელსაც პარსონსთან უკავშირდება "ერთეული აქტი"). აღნიშნული თეორია საზოგადოებას წარმოიდგენს როგორც ადამიანთა გაცვლითი ქმედებების ასპარეზს იმისათვის, რათა ინდივიდებმა უზრუნველყონ მათი *სარგებლობის მაქსიმიზაცია* და *დანაკარგების მინიმიზაცია*. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ყურადღება ექცევა რაციონალურ პროცედურებს, რომელთა მიხედვითაც ადამიანები იღებენ განსაზღვრულად მოქმედების გადაწყვეტილებას. თუმცა, გაცვლის თეორია მაინც პარსონსისეულ გარემოში განვითარდა და შედარებით მეტ ყურადღებას აქცევდა საზოგადოების იდეას, ვიდრე ამას თანამედროვე რაციონალური არჩევანის თეორია აკეთებს.

როგორც მკვლევრები (I. Craib, 1992: 71) მიუთითებენ, დებულება, რომ "*არ არსებობს ისეთი რამ, რასაც საზოგადოება ჰქვია*" ('There is no such thing as society') - რაციონალური არჩევანის თეორიისათვის წარმოადგენს მტკიცე, შეიძლება ითქვას, დოგმატურ, საწყის წერტილს[1]. ამ თეორიის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ იგი ცდილობს ააგოს განსხვავებული მოდელები იმისა, თუ რას აკეთებს ინდივიდი, როდესაც *კერძო სიტუაციაში* რაციონალურად მოქმედებს. ყოველ ინდივიდს (მეტ-ნაკლებად) აქვს უპირატესობათა სკალა: მან იცის, რამდენია მისი შემოსავალი, რა ქონება და სამსახურის ტიპია მისთვის ხელმისაწვდომი და ა. შ. ინდივიდუალური უპირატესობებიდან გამომდინარე, ინდივიდი *არჩევს*, თუ რა მოუტანს მას ყველაზე მეტ კმაყოფილებას და სარგებლობას და გააჩნია იმის რწმენება ანუ ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს მისი კერძო სიტუაცია (თუმცა, ამასთან დაკავშირებით არსებობს დავა, თუ რა რაოდენობის ინფორმაცია სჭირდება ინდივიდს არჩევანის გასაკეთებ-

[1] ცხადია, ეს დებულება არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. საზოგადოების არსებობა ფაქტია, რომელსაც ვერც რაციონალური არჩევანის თეორია უარყოფს. აქ უტრირებული ფორმით იგულისმება ის, რომ არ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესები, ცალკეული ინდივიდების ეგოისტური ინტერესებისაგან დამოუკიდებლად და კერძო სიტუაციების მიღმა.

ლად). მაშასადამე, რაციონალური არჩევანის თეორიას აქვს მკაფიოდ გამოხატული ***უტილიტარული*** განზომილება. ამ თეორიას სხვანაირად (Н. Абаркромби ..., 1999: 264) ***რაციონალური არჩევანის პარადიგმას*** უწოდებენ. ეს პარადიგმა ამტკიცებს, რომ აქტორები პირველ რიგში საკუთარი კეთილდღეობით უნდა დაკავდნენ. ამდენად, უპირატესობები, რომლებსაც ისინი ფლობენ, ეგოისტური ხასიათისაა. აქტორები ისწრაფვიან, "გაზომონ" და გააკონტროლონ მათ ხელთ არსებული რესურსები, რათა ისინი მათივე კეთილდღეობის წყაროდ აქციონ. ეს კი, როგორც ითქვა, სხვა არაფერია, თუ არა უტილიტარიზმის ტრადიციების გაგრძელება.

რაციონალური არჩევანის თეორია მოქმედების ახსნას ახდენს სუბიექტის განზრახვათა კალაპოტში, რამდენადაც ამტკიცებს, რომ ინდივიდთა სურვილები და შეხედულებები წარმოადგენს მათი მოქმედების მიზეზს და საფუძველს. როგორც ამ თეორიის მომხრეები (J. Elster, 1986) ამტკიცებენ, იგი ამავე დროს ***ნორმატიული*** თეორიაა და მიუთითებს მოცემული მიზნების მიღწევის ყველაზე უფრო ეფექტურ გზებზე მოცემულ სიტუაციაში. მაგალითად, რაციონალური არჩევანი გვკარნახობს, რომ ოჯახში შრომის განაწილების პრინციპი წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს იმისათვის, რათა მოხდეს სარგებლიანობის მაქსიმიზაცია. ეს პრინციპი მომხრეა ოჯახური საქმიანობების განაწილების. თუ, ვთქვათ, მამაკაცებს შეუძლიათ გამოიმუშაონ მაღალი ხელფასი ოჯახის გარეთ, საბაზრო სიტუაციებში, მათთვის რაციონალურს წარმოადგენს ენერგიის დიდი ნაწილი მიუძღვნან სამსახურს, ვიდრე ოჯახს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რაციონალური არჩევანის თეორიის არსს, რამდენადმე ხატოვნად, ასეც გამოხატავენ (I. Craib, 1992: 69): რაციონალური არჩევანის თეორია - "ყველაფერი შეფასებულია" ('The Price of Everything ...').

რაციონალური არჩევანის თეორიას ზოგჯერ ***რაციონალური მოქმედების*** თეორიას უწოდებენ. ასეთი ნომინალური ტრანსფორმაციის მიზეზი შემდეგნაირადაა ახსნილი (J. H. Goldthorpe, 1998: 187): რაციონალური არჩევანი ზოგჯერ გაიგება ძალზე ***ვიწრო*** მნიშვნელობით, როგორც "***გადაწყვეტილების მიღების პროცედურა***" (decision-making procedure). მართალია, რაციონალური მოქმედება იწვევს არჩევანს, რომლის დროსაც მოქმედების ერთი მსვლელობა გახიარებულია მეორესთან შედარებით, მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ რაციონალური მოქმედება ყოველთვის გამომდინარეობს

დვილეში რაციონალობაზე მოთხოვნა არ არის ტრანზიტულობის მსგავსი დედუქცია და იგი შედარებით სუსტია. მთავარი იდეა, რომელიც ამ შემთხვევაში გამომუშავდება არის ***სუბიექტური, როგორც ობიექტურის საპირისპირო, რაციონალობის იდეა***. ამ იდეის არსი ისაა, რომ აქტორებს შეიძლება გააჩნდეთ შეხედულებები და მისდიონ მოქმედებების მსვლელობას მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ამისათვის "კარგი მიზეზები" გააჩნიათ, თუმცა, ისინი შეიძლება ვერც კი აკმაყოფილებდნენ რაციონალიზმის სტანდარტებს, რასაც უტილიტარიზმის თეორია გვთავაზობს.

სუბიექტური რაციონალობის გაგება ხაზს უსვამს რაციონალობის შეზღუდულობას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ოპტიმიზაციის პრინციპის სრული განხორციელება შეუძლებელია. ამასთან, ის, რაც თავად მოქმედი აქტორისათვის რაციონალურია, სხვას შეიძლება არარაციონალური მოეჩვენოს, ამიტომ კამათს იწვევს ის, თუ მოქმედების კოორდინატის რომელი სისტემაა უკეთესი. აქ თავს იჩენს შემდეგი კითხვები: როგორ მოიქცეს მკვლევარი\თეორეტიკოსი - მიიღოს აქტორის არჩევანი, როგორც მოცემულობა და არ შეიტანოს ეჭვი მათ რაციონალობაში? უნდა ჩაითვალოს თუ არა აქტორის არჩევანი რაციონალურად მაშინ, როდესაც არსებობს სხვა უკეთესი ვარიანტები, რომლებიც მან არ გაითვალისწინა? თუ შეზღუდული რაციონალობა დამახასიათებელია როგორც აქტორისათვის, ისე დამკვირვებლისათვის, მაშინ შეუძლია კი ამ უკანასკნელს ადეკვატურად შეაფასოს აქტორის არჩევანის უპირატესობა? ეს კითხვები მოწმობს, რომ შეზღუდული რაციონალობის პირობებში არ არსებობს მკაცრი ***კრიტერიუმი*** რაციონალური არჩევანისათვის და რომ თვით რაციონალური არჩევანის პარადიგმა საკმაოდ განუსაზღვრელია.

J.H. Goldthorpe (1998: 171-2) მიიჩნევს, რომ სუბიექტური რაციონალობის იდეა, მეტ-ნაკლები სიძლიერით, ხორცშესხმულია RAT-ის სხვადასხვა მოდიფიკაციაში. ერთ-ერთ კარგად ნაცნობ მაგალითს წარმოადგენს "შეზღუდული რაციონალიზმის" თეორია, რომელიც დაამუშავეს Simon-მა (1982: vol. 2) და მისმა მიმდევრებმა. ამ თეორიის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აქტორები ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას, სიტუაციათა აშკარა კომპლექსურობამ შეიძლება განაპირობოს სარგებლობის მაქსიმიზაციის შეუძლებლობა და *"რაციონალური"*, აქტორთა თვალსაზრისით, ხდება *"დამაკმაყოფილებელი"*. ამ შემთხვევაში მოქმედება უპასუხებს განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასებას, რომ

მოქმედების მსვლელობა "საკმაოდ კარგია". ხოლო მაშინ, როდესაც აქტორები ფლობენ არასრულ ინფორმაციას (როგორც ეს ხშირად ხდება), აღნიშნული "ჩანაცვლება" (დამაკმაყოფილებელი - რაციონალურის სანაცვლოდ) არის გარდაუვალი. აქედან გამომდინარე (J Elster, 1983b: ch. 1), შეუძლებელი ხდება, შემუშავდეს "ოპტიმალური" კრიტერიუმი ინფორმაციის იმ რაოდენობის გასაზომად, რომელიც უზრუნველყოფდა ობიექტურად რაციონალურ არჩევანს. გადაწყვეტილება ყოველთვის მიიღება სუბიექტურ საფუძველზე, ანუ მოქმედება ხორციელდება იმ ინფორმაციის შესაბამისად, რომელიც ხელთ გვაქვს.

სუბიექტური რაციონალიზმის მიმართულებით RAT-ის მოდიფიცირების კიდევ სხვა გამოსატულებას წარმოადგენს Boundon-ის თვალსაზრისი, რომელსაც თავად Boundon "კოგნიტურ მოდელს" უწოდებს. ამ მოდელის ძირითად ფოკუსს წარმოადგენს ის, თუ როგორ შეუძლიათ ინდივიდებს მისდიონ და იმოქმდონ იმ შეხედულებების (რწმუნებების) შესაბამისად, რომელიც ***ობიექტურად შეცდომაა***. ბუდონი იყენებს ვებერის და ზიმელის არგუმენტს იმის შესახებ, რომ მსჯელობა (აზრი), რომელიც საკმაოდ ვალიდურია თავისთავად, შეიძლება მცდარი შეხედულებების წყარო გახდეს, ვინაიდან განხორციელდეს გარკვეული იმპლიციტური, გამოუცდელი და არარელევანტური სქემის (გეგმის) კონტექსტში. ბუდონი აღნიშნავს, რომ როდესაც ინდივიდები, მცდარი შეხედულებების გამო, მოქმედებენ რაციონალობისაგან გადახრილად, ავტომატურად არ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ეს გამოწვეულია "ცხელი" აფექტების გავლენით, როგორიცაა სურვილი, შიში ან ფრუსტრაცია. ისინი შეიძლება ფორმირდეს "ცივი", არამეცნიერული (გაურკვეველი) პროცედურების მეშვეობით, რომლებიც, კერძო კონტექსტში მათი გამოყენების დროს, ე.ი. შეცდომაში შეყვანამდე, თავისთავად საკმაოდ მისაღებად გამოიყურება. ბუდონი ამტკიცებს, რომ სოციოლოგებმა უნდა ეძიონ ზუსტი მცდარი შეხედულებების ასახსნელად.

სუბიექტური რაციონალობის (თუმცა, ყველაზე *სუსტად* განვითარებულის) კონცეფციას მიაკუთვნებენ, აგრეთვე, პოპერის "სიტუაციური ლოგიკის ანალიზს". სუბიექტური რაციონალობა პოპერის კონცეფციაში რაციონალობის ***სიტუაციური ბუნების*** ტოლფასია. პოპერის მიზანს წარმოადგენს მოქმედების, როგორც რაციონალურის, გაგება იმ აზრით, რომ იგი შესაბამისი და ადეკვატურია აქტორთა მოცემული მიზნების და მოცემული სიტუაციების, რომლებიც

"***ხხვულის გარედან***" აქტორის "***ხხვულის შიგნით***", კერძოდ, ყურადღების ცენტრში ექცევა ინდივიდის გაანგარიშებითი (computational), ანუ ინფორმაციის გადამუშავებითი უნარები და ის მაიძულებელი ზემოქმედება, რასაც ეს უნარები ახდენს.

RAT-ის სხვა წარმომადგენლები შეეცადნენ განევითარებინათ თვალსაზრისი, რომელიც შეითვისებდა ორივე - სიტუაციურ და პროცედურულ - ვავლენას და მოახდენდა მათ ინტერაქციას. ეს მცდელობები ყველაზე სრულყოფილად გამოიხატა Boudon-ის თეორიაში, რომელიც, მართალია, აანალიზებდა სუბიექტურად რაციონალურ შეხედულებებს, მაგრამ, ამავე დროს ამტკიცებდა, რომ ამ პროცესში ჩართული ფსიქოლოგიური პროცესები უკეთესად გაიგება მათი ***სოციალური დეტერმინაციის*** ვათვალისწინებით. Boudon-ის სურვილია, იხილოს ისეთი კოგნიტური ფსიქოლოგია, რომელიც RAT-ს დააფუძნებს ახალ, ალტერნატიულ კოგნიტურ ფსიქოლოგიაზე, რასაც (R. Boudon, 1994: 247) "შემეცნების ახალი სოციოლოგია" უნდა ეწოდოს. მისი ამოცანა იქნება, დაადგინოს ის ტიპიური სიტუაციები, როდესაც სუბიექტური რაციონალობისათვის დამახასიათებელი მენტალური პროცესები, სოციალური გარემოს მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე, მცდარი შეხედულებების წარმოშობის წყაროს წარმოადგენს.

დაბოლოს, როგორც მკვლევრები (J.H. Goldthorpe,1998: 174) აღნიშნავენ, სიტუაციური და პროცედურული რაციონალობის ინტერაქციასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც სუბიექტური რაციონალობის მიმღებლობა (ობიექტურ რაციონალობასთან შედარებით) პრინციპულად თანაარსებობს ***სიტუაციური დეტერმინიზმის*** მოთხოვნებთან. ამის დემონსტრირებას წარმოადგენს პოპერის მიერ ***სიტუაციური ლოგიკის*** ანალიზი. პოპერისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დაასაბუთოს, რომ მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის მიმართ ვალდებულება არავითარ შემთხვევაში არ იწვევს, ამავე დროს, "ფსიქოლოგიზმის" მიმართ ვალდებულებას. ფსიქოლოგისტური პოზიცია მოითხოვს (К. Поппер,1992:гл.14), რომ ნებისმიერი სოციალური მეცნიერება საბოლოოდ დაეფუძნოს და დაყვანილ იქნეს "ადამიანის ბუნების" ფსიქოლოგიური კანონების მოქმედებამდე. ამის საპირისპიროდ პოპერი ამტკიცებს, რომ სოციალური მეცნიერებების მიერ ინდივიდუალური აქტორის მოდელის გამოყე-

ნება (რამდენადაც ეს მოდელი ინდივიდის "შინაგან" მახასიათებლებს მოიცავს), უნდა დავიდეს მინიმუმამდე და რაციონალობის პოზიციიდან აქტორის კვლევა უნდა შემოიფარგლოს მცირე ფსიქოლოგიური დახასიათებით. აქედან გამომდინარე, საჭირო არ არის დიდი ყურადღება მიექცეს გაანგარიშების საკითხებს (რომელზედაც ფოკუსირდება Simon), და ინდივიდთა ფსიქოლოგიური ფუნქციობის რომელიმე სხვა ასპექტებს. ის, რაც ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, არის არა აქტორთა ფსიქო-მენტალური მდგომარეობები, არამედ შეხედულებების შინაარსი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სიტუაციის ***ობიექტურ ცოდნას*** (K. R. Popper, 1994: 169-71), რომელიც სიტუაციურად ხელმისაწვდომია აქტორებისათვის და რომელზეც "მაგრდება" მათი სუბიექტური გაგება. რაციონალობის პრინციპის ***არსი*** სწორედ ისაა, რომ აქტორები მოქმედებენ სიტუაციების (რომლებშიც ისინი საკუთარ თავს აღმოაჩენენ) ადეკვატურად, ანუ, გამომდინარე აქტორთა მიზნებიდან, მოქმედება მიყვება იმას, რასაც ***სიტუაციის მხრიდან ითხოვება*** მოითხოვს და რაც რელევანტურია ცოდნისა *y compris*. სხვანაირად თუ ვიტყვით, რაციონალობის პრინციპი ამ შემთხვევაში "***პრაქტიკული სილოგიზმის***" განხორციელებაა.

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, თუ რატომ ცდილობს პოპერი რაციონალობის პრინციპის დაცვას უფრო მეტად ემპირიულ ნიადაგზე. რაციონალობის პრინციპის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ისაა, რომ არის რა სუბსტანციურად (substantively) "თითქმის ცარიელი", იგი მოითხოვს ყურადღების ფოკუსირებას მოქმედების სიტუაციაზე. პოპერის მიხედვით, მთელი თეორიული ძალისხმევა და ახსნა მიმართული უნდა იყოს სიტუაციის ანალიზზე, რაც ემპირიულ ტესტებს გამოსაყენებელს გახდის.

თუ აღნიშნულ მიდგომებს შევაფასებთ ***სოციოლოგიური კვლევის პერსპექტივის*** თვალსაზრისით, საკითხი იმის შესახებ, RAT-ის რომელი ვერსია - ორიენტირებული სიტუაციურ თუ, პირიქით, პროცედურულ რაციონალობაზე - არის უფრო მეტად რელევანტური სოციოლოგიისათვის, გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება. Goldthorpe-ის (1998: 181) აზრით, ***პროცედურულ*** რაციონალობაზე აქცენტირების ყველაზე ნეგატიურ მხარეს (რაზეც არაერთი სხვა ავტორიც მიუთითებს) ის წარმოადგენს, რომ სოციოლოგიური ახსნა, მაშინაც კი, როდესაც იგი ინდივიდუალურ მოქმედებას ეფუძნება, არ

კერძოდ, "შემკვიდრეობასა და გარემო ვითარებებზე", დაყრდნობით. მაგრამ ამ გზაზე რაციონალობის (*verstehende*) სოციოლოგიის თვალსაწიერი მკაცრად, თუმცა, თვითნებურად, იზღუდება. არ დაიშვება არავითარი კონცეპტუალური სივრცე არა მხოლოდ არარაციონალური ხასიათის მოქმედებისათვის, არამედ - თვით იმ მოქმედებისათვისაც კი, რომელიც, მართალია, არ პასუხობს რაციონალობის სავალდებულო კრიტერიუმებს, მაგრამ შეიძლება მაინც ღია დარჩეს ინტერპრეტაციისათვის, ე.ი. მისი რაციონალობა იყოს გასაგები (დამაჯერებელი) იმ სიტუაციაში, რომელშიც ხდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ სოციოლოგიისათვის უკეთეს პირობებს ქმნის RAT-ის ის ვერსიები, რომლებიც იკვლევს ***სუბიექტური*** რაციონალობის იდეას. ეს იდეა უკავშირდება როგორც შეხედულებებს, ისე მოქმედებას და აჩვენებს, რომ აქტორებს აქვთ "კარგი მიზეზები" ასე და ამგვარად რაიმეს კეთების. გადამწყვეტი კითხვა, რომელიც ამ დროს ჩნდება, ისაა, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული "კარგი მიზეზები". გარდა იმისა, რომ RAT-მა შეიძლება გაუმართლებლად შეზღუდოს *verstehen*-ის შესაძლებლობები (რასაც, როგორც უკვე აღინიშნა, ადგილი აქვს ობიექტური რაციონალობის შემთხვევაში), პრობლემები შეიძლება შეიქმნას იმ შემთხვევაშიც, თუ სუბიექტურად რაციონალური მოქმედების ინტერპრეტაციის პროცესში "გულმოწყალების პრინციპი" ("principle of charity"), როგორც მოქმედების ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია, ძალზე გაზვიადდება. ამრიგად, სიტუაციური ლოგიკის პოპერიანული ანალიზის და შეხედულებათა რაციონალობის უარყოფის შემთხვევაში, ტავტოლოგიის შეცდომაში ჩავარდნა ისევე მოსალოდნელია, როგორც ობიექტური რაციონალობის არარეალისტურობის შემთხვევაში. RAT-ის სუბიექტური რაციონალობის ვერსიებისათვის საერთო ისაა, რომ ისინი ეხება მოქმედების ისეთ სახეებს, რომლებიც წარმატებით არ გამოიკვლევა როგორც რაციონალური, რამდენადაც აქცენტი დასმულია აქტორთა უნარებზე, რომელთაც ევალებათ უპასუხონ კერძო სიტუაციებს, სარგებლობის მიღების მოტივაციიდან გამომდინარე. საბოლოო ჯამში, სუბიექტური ***განზრახვების*** პოზიციიდან მოქმედების დეტერმინაცია, რასაც სუბიექტური რაციონალობის კონცეფცია ასდენს, კონფლიქტში მოდის რაციონალობის იდეასთან, რამდენადაც აქცენტირებულია აქტორთა პერსონალური არჩევანი და პერსონალური კეთილდღეობა.

Goldthorpe (1998: 181) დაასკვნის, რომ ზემოაღნიშნული ორივე - ობიექტური და სუბიექტური რაციონალობის - ხაზი საკმაოდ ღიაა შემდგომში გადამუშავებისათვის. სოციოლოგებს აქვთ შესაძლებლობა, განავითარონ RAT-ის ვერსიები, რომლებიც დაფუძნებულია "*შუალედური*" რაციონალობის მოთხოვნებზე, რასაც, ერთი მხრივ, შეიძლება ჰქონდეს ფართო ახსნითი ჰორიზონტი, და, ამავე დროს, დაცული იყოს საზიანო შედეგების, ანდა ტავტოლოგიების გავლენებისაგან.

3. ფოკუსირება სიტუაციურ ან პროცედურულ რაციონალობაზე

ოპოზიცია რაციონალობის ამ ორ მახასიათებელს შორის, სხვანაირად შეიძლება გამოიხატოს როგორც ოპოზიცია მოქმედების *სიტუაციურ* და *ფსიქოლოგიურად დეტერმინირებულ* რაციონალობას შორის.

თუ აღნიშნული თვალსაზრისით შევაფასებთ RAT-ის ეკონომიკურ ვერსიას, მაშინ მოქმედების რაციონალობა უნდა გავიგოთ, როგორც *სიტუაციაზე* პასუხი (რეაქცია) - ამ შემთხვევაში იგულისხმება საბაზრო სიტუაცია, რომელსაც აქტორები ეჯახებიან. "ეკონომიკური ადამიანის" რაციონალური მოქმედების ბაზა უმთავრესად სიტუაციის მიერ არის "შევიწროვებული", თუმცა მას მაინც რჩება რეალური არჩევანი - არჩევანი მოგების მაქსიმიზაციის სასარგებლოდ. ეს არჩევანი იმდენად ავტომატურია (უფრო ზუსტად, უალტერნატივო), რჩება შთაბეჭდილება, რომ აქტორები ბრმად მიყვებიან მას და არც შეუძლიათ იმის ახსნა, რატომ იქცევიან სწორედ ასე და არა სხვაგვარად. როგორც ერთ-ერთი მკვლევარი (M. Hollis,1994: 185-6) წერს, ეკონომიკური ადამიანი ხდება საკუთარ უპირატესობათა შორის "ჭეშმარიტი გამტარუნარიანი", რომელსაც სჭირდება მხოლოდ ამ უპირატესობათა მოწესრიგება და "ავტომატურად გაანგარიშებადი" არჩევანი, რომელიც უზრუნველყოფს მისი სარგებლობის მაქსიმიზირებას.

ზემოაღნიშნული "ბიჰევიორისტული" ეკონომიკის საპირისპიროდ, RAT-ის სხვა ვერსიაში (რომლის წარმომადგენელია Simon) ანალიტიკური ფოკუსირება ხდება არა მოქმედების სიტუაციაზე, არამედ მოქმედ ინდივიდებზე. ეს არის ინტერესის გადატანა აქტორის

მოიცავს აქტორთა შეხედულებებს. არა მხოლოდ აქტორთა მიზნები, არამედ მათი შეხედულებებიც გამოთავისუფლებულია ობიექტური (ინვარიანტული) რაციონალობის მოთხოვნებისაგან. ის, რაც ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, არის არა შეხედულებათა დიფერენციაცია რაციონალობის ხარისხის მიხედვით (პოპერი უარყოფს, რომ შესაძლებელია შეხედულებების რაციონალური დადასტურება/დასაბუთება), არამედ, უფრო მეტად ის, რომ ეს შეხედულებები არსებობს და გააჩნია სპეციფიკური შინაარსი. ამ თვალსაზრისის მომხრეები ამტკიცებენ, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც აქტორები მოქმედებენ საკმაოდ ირაციონალური შეხედულებების გავლენით, თუმცა, თუ ყურადღებას გავამახვილებთ აქტორის სიტუაციაზე, რომელიც უფრო ფართოა, შესაძლებელია აღმოვაჩინოთ გარკვეული ლოგიკა მათ მოქმედებებში. ამავე დროს, ეს არ ნიშნავს, რომ როდესაც ინდივიდები სიტუაციის ადექვატურად მოქმედებენ, რაციონალობის პრინციპი ჭეშმარიტია, ანუ ***უნივერსალურ*** პრინციპს წარმოადგენს. რაციონალობის "სიტუაციური" ბუნების აღიარება, პოპერის მიხედვით, გამართლებულია მეთოდოლოგიურ საფუძველზე, რამდენადაც წარმოადგენს აუცილებელს მოქმედებების სპეციფიკის ასახსნელად.

მაგრამ, როგორ იქცევა ინდივიდი, როდესაც რაციონალური მოქმედება შეფერხებას ან წარუმატებლობას განიცდის? RAT-ის მომხრეთა (P. Abell, 1991) თანახმად, ამ შემთხვევაში არსებობს ***სტრატეგიათა*** მთელი რიგი, რომელთაც ინდივიდი გამოიყენებს. ეს სტრატეგიები გვთავაზობს შესაძლო რეაქციათა და სუბიექტურ გამოსავალთა ფართო სპექტრს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები აცნობიერებენ, რომელი რესურსების გამოყენებაა მათთვის მიზანშეწონილი და განსჯიან მოქმედებათა მსვლელობას, რათა ისინი განხორციელებადი გახადონ. აქ არსებობს საკმაოდ რთული ვარიანტები, ისეთებიც კი, რომლებმაც შეიძლება ინდივიდის პრაგმატული ინტერესების შეჭლუდვა და არჩევანის "დაბეგვრა" გამოიწვიოს. ასეთ შემზღუდავ ელემენტებს წარმოადგენს, მაგალითად, "სიმპატიის" და "ვალდებულების" იდეები: ვინმე ვალდებული (დავალებული) უნდა იყოს მეორე ადამიანის წინაშე, რათა მისი ინტერესები საკუთარზე წინ დააყენოს. აქედან გამომდინარე, ბევრი, ერთი შეხედვით, კეთილშობილი ქცევა RAT-ის ფარგლებში ინტერპრეტირდება როგორც ინდივიდის კერძო ინტერესის გამოვლინება. თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი სოციალური (და არა კერძო), ან, მით უფრო, მორალური ნორმების შესაბამისად იქცევა, ამის მოტივაციას ისევ და ისევ პირადი კეთილდღეობის დაცვა წარმოადგენს.

ობიექტურ თუ სუბიექტურ რაციონალობაზე ორიენტაციის მიხედვით RAT-ის დიფერენცირებული მიდგომების დახასიათების შემდეგ, Goldthorpe (1998: 177-81) ცდილობს თავად გაანალიზოს, რომელი მიდგომაა აღნიშნული თეორიისათვის უფრო რელევანტური.

RAT-ის ის ვერსიები, რომლებიც ***ობიექტური*** რაციონალობის მიმართ მძაფრი მოთხოვნით გამოირჩევა, მიმზიდველად გამოიყურება, რამდენადაც უფლებას იძლევა მკაფიოდ ვიწინასწარმეტყველოთ, როგორ უნდა მოქმედებდნენ აქტორები მოცემულ სიტუაციებში. ეკონომისტები უსიტყვოდ ენდობიან RAT-ის ამგვარ სახესხვაობებს, რომლებშიც ***პოზიტიური და ნორმატიული***, საბოლოო ჯამში, გაერთიანებულია. თუმცა, Goldthorpe ამ პოზიციის, სოციოლოგიური თვალსაზრისით, ***ორ*** მთავარ ნაკლოვანებაზე მიუთითებს: პირველი ისაა, რომ მსგავსი თვალსაზრისი ***არარეალისტურად*** გამოიყურება და, სხვადასხვა ასპექტში, ემპირიულად დაუსაბუთებელია (არადამაჯერებელია). მეორე, როდესაც RAT-ის ეს ვერსიები წარუმატებლობას განიცდის, "საკომპენსაციო" მცდელობები არ გამოდგება სოციოლოგიური გამოკვლევის საიმედო მეგზურად. მაგალითად, იმ მოქმედებების შემთხვევაში, რომლებიც აშკარად არ შეესაბამება რაციონალობის სავალდებულო კრიტერიუმს, ერთი მარტივი რეაქცია ამაზე ისაა, რომ მოხდეს სიტუაციის მანამდე გაუცნობიერებელი თავისებურებების პოსტულირება, რომელთა მხედველობაში მიღებით, ბოლოს და ბოლოს, მოქმედების გარაციონალურება ხდება. თუმცა, ასეთი გამოსავალი, შემდგომი გამოკვლევის ორგანიზების ხაცვლად, სინამდვილეში, თეორიას ჩაკეტილს და ტავტოლოგიებად დაშლილს ხდის.

განსვავებულ ალტერნატივას წარმოადგენს რეაქცია, როდესაც მოქმედება განიხილება, როგორც ***ანომალია*** და ჩაითვლება "ნარჩენ კატეგორიად". სოციოლოგიური ანალიზის მიზნებისათვის ამ რეაქციის არაადეკვატურობა აღწერა პარსონსმა. ამ შემთხვევაში არსებობს მხოლოდ ორი შესაძლებლობა. ერთი ისაა, რომ მოქმედება ვიკვლიოთ როგორც ***ირაციონალური*** - რომელმაც განიცადა რაციონალურად ყოფნის წარუმატებლობა, ანუ, ვიკვლიოთ, როგორც "უმეცრების ან შეცდომის" შედეგი. ამ დროს, აქცენტი გადაინაცვლებს თეორიის ნორმატიულ ხასიათზე და აქტორი, და არა თეორია, ჩაითვლება მცდარად. სხვა შესაძლებლობას წარმოადგენს ის, რომ მოხდეს მოქმედების რეკონსტრუირება როგორც ქცევისა, რომელიც უნდა აიხსნას ***გარედან*** - სიტუაციის არასოციალურ ასპექტებზე,

უნდა იყოს დამოკიდებული მოქმედი ინდივიდის კომპლექსურ ფსიქოლოგიაზე. საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ, ერთი მხრივ, ***ფსიქოლოგიისათვის*** შესაბამისი ინდივიდის ცნება, როდესაც ორივე - ანალიტიკური (analytic) და ახსნითი (explanatory) - ხარისხი ინდივიდუალურ დონეზე ლაგდება და, მეორე მხრივ, ***სოციოლოგიისათვის*** (ან ეკონომიკისათვის) რელევანტური ინდივიდის ცნება, სადაც ახსნითი ხარისხი ისევ ინდივიდუალურ დონეზეა, მაგრამ ანალიტიკური ხარისხი (მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპზე გავლით) გადაინაცვლებს ***აგრეგატულ***, ანუ ***მაკრო*** დონეზე. პროცედურული რაციონალობის სხვა კრიტიკოსები კიდევ უფრო შორს წავიდნენ, მოითხოვეს რა, რომ RAT-ის კონტექსტში "სოციოლოგიური" ინდივიდი უნდა დარჩეს "ფსიქოლოგიურად ანონიმური". სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ შემთხვევაში რაციონალური აქტორის მოდელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს "სხეულის შიგნითა" თვისებების იმ მინიმუმით, რომლებიც აუცილებელია ახსნითი მიზნებისათვის. თუმცა, ასეთმა მინიმუმმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, არ უნდა იგულისხმოს ვალდებულება რაიმე კერძო ფსიქოლოგიური თეორიის წინაშე.

გაცილებით ***პოზიტიურად*** უნდა ჩაითვალოს თვალსაზრისი, რომ სოციოლოგიისათვის სპეციფიკურად რელევანტურია RAT-ის ის ვერსია, რომელიც გადახრილია უფრო მეტად ***სიტუაციური***, ვიდრე პროცედურული რაციონალობისაკენ. თუმცა, ეს "გადახრა" ხორციელდება იმ პირობებში, როდესაც ობიექტურ რაციონალობაზე მოთხოვნა უარყოფილია. საკითხი, რომელიც ამ დროს იჩენს თავს, არის ის, თუ როგორ შეიძლება მოქმედებამ არ დააკმაყოფილოს ობიექტურობის ***სტანდარტი***, მაგრამ მაინც ღია იყოს გაგებისათვის, როგორც სუბიექტურად რაციონალური. როგორც უკვე აღინიშნა, Simon, რომელიც იძლევა "სხეულის შიგნითა" ინტერპრეტაციას, თვლის, რომ ადამიანის ინფორმაციის გადამუშავებითი უნარები საკმარისად შეზღუდულია იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ ობიექტური რაციონალობის შესაძლებლობა. ამდენად, აქტორები სუბიექტურად რაციონალურნი არიან, როდესაც ისინი აკეთებენ ყველაფერს, რაც შეუძლიათ ამ შეზღუდვის პირობებში ე. ი. მათ მიზანს უფრო მეტად წარმოადგენს დაკმაყოფილება, ვიდრე მაქსიმიზირება. პოპერისათვის, პირიქით, ობიექტური რაციონალობა უმთავრესად შევიწროვებულ-

ია ***ინფორმაციის ნაკლებობით***, ან ცოდნით *per se*. აქტორები არიან სუბიექტურად რაციონალურნი, როდესაც ისინი მოქმედებენ იმ შეხედულებების შესაბამისად, რომლებიც წარმოქმნილია ინდივიდთათვის სიტუაციურად ხელმისაწვდომი ცოდნის საფუძველზე[4].

Abell (1992: 198) მართებულად აღნიშნავს, რომ სოციოლოგებისათვის, რომელთა სურვილია სუბიექტური რაციონალობის გაგება, მთავარ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს აქტორთა "ინფორმაციული" გარემოს მოდელირება. ეს ნიშნავს, რომ სოციოლოგების მიზანს უნდა წარმოადგენდეს აქტორთათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის კვლევა, რომელიც (ინფორმაცია) წარმოადგენს იმ ***სოციალური ურთიერთობების*** პროდუქტს, რომელშიც აქტორები ჩართულნი არიან. Abell-ის პოზიცია ბოლომდე პოპერიანულია, რამდენადაც იგი აცნობიერებს, რომ სიტუაციის არანაკლებ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ცოდნის სოციალური სტრუქტურირება, ვიდრე სხვა, ვთქვათ, მატერიალური ხასიათის წყაროების, სტრუქტურირება. იქ, სადაც ასეთი გასაგები სიტუაციური ანალიზი მიიღწევა, პოპერიანული დასკვნა სახეზეა: სოციოლოგთათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია იმის საჭიროება, რომ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის დონეზე მიმართონ პროცედურული რაციონალობის საკითხებს.

ამრიგად, თუ Simon-ის პროცედურული ინტერესი კვლევით ყურადღებას პირდაპირ ***ინდივიდუალური ფსიქოლოგიის*** ასპექტებზე მიმართავს, პოპერის დაინტერესება სიტუაციური ლოგიკით აშკარად მოიცავს ***სოციოლოგიურ*** საკითხებს. პირველი მიდგომა გამოსადეგია შედარებით ფორმალური "გადაწყვეტილების მიღების" პროცესისათვის, რომელსაც მიმართავენ, მაგალითად, ბიზნესის ან ადმინისტრაციული სფეროს ლიდერები. მეორე მიდგომა უფრო მეტად გამოდგება იმ სახის "გადაწყვეტილების მიღების" პროცესის გასაგებად, რომელიც ნაკლებად ფორმალური და ექსპლიციტურია და რომელსაც ინდივიდები მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმართავენ.

[4] პოპერის ამ თვალსაზრისს ეხმაურება Boundon-ის პოზიციაც. როგორც ადრე აღინიშნა, ბუდონს სურს დაასაბუთოს, როგორც კოგნიტური ფსიქოლოგიისათვის, ისე ახალი კოგნიტური სოციოლოგიისათვის მისაღები სუბიექტური რაციონალობის გაგების საჭიროება. მის მიერ მოყვანილ არგუმენტებში ობიექტური რაციონალობა განიხილება როგორც უფრო მეტადცოდნის ***სიტუაციური*** ლიმიტით, ვიდრე - ინფორმაციის დამუშავების უნარის წარუმატებლობით შეზღუდული. ეს მოსაზრება სოციოლოგიური მნიშვნელობის მატარებელია. იგი საშუალებას იძლევა დავრწმუნდეთ, რომ ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული შეცდომები (რამდენადაც მათ ადგილი აქვთ, სულ მცირე, ყოველდღიურ ცხოვრებაში) უფრო ადვილად ემორჩილება კორექტირებას სოციალური სწავლების პროცესებით, ვიდრე სიტუაციურ ლიმიტირებასთან დაკავშირებული ცდომილებები, რომელთაც სტრუქტურული საფუძველი აქვთ.

სოციოლოგები, რომლებიც RAT-ის ასეთ გაგებას ემხრობიან, ახსნის საფუძვლად იყენებენ აუცილებელ *მაკროსოციალურ რეგულაციებს*. ასეთ რეგულაციებს მიეკუთვნება, მაგალითად, ინდივიდთა გადაწყვეტილებები იმის შესახებ, მიატოვონ თუ დარჩნენ სკოლაში, დაქორწინდნენ თუ არა და - ვისზე, იყოლიონ თუ არა ბავშვები და რამდენი, ხმა მისცენ თუ არა რომელიმე პარტიას სხვასთან შედარებით, მიიღონ თუ არა მონაწილეობა თავისუფალ ასოციაციებში ან სოციალურ მოძრაობებში, დაკავდნენ თუ არა კრიმინალური მოღვაწეობით და ა.შ.

RAT-ის მიერ სიტუაციური დეტერმინიზმის გაზიარება, რომელსაც ინდივიდთა მოქმედებების მაკროსოციალური რეგულაციების აღიარებამდე მივყავართ, განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს საკითხს, თუ როგორ აკეთებენ აქტორები არჩევნს არსებულ ინდივიდუალურ უპირატესობათა პირობებში. სხვანაირად რომ ითქვას, საკითხი ისმის იმის შესახებ, ***ხომ არ ირღვევა ამ შემთხვევაში ინდივიდთა უტილიტარული ინტერესების პრიმატი, რომელიც RAT-ის ამოსავალს წარმოადგენს?*** საბოლოო ჯამში, სიტუაციური დეტერმინიზმის აღიარება ხომ არ არის მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პოზიციის დათმობა სოციალური სისტემების მოთხოვნების სასარგებლოდ? ხომ არ იმეორებს RAT-ი პარსონსის თეორიის გზას?

RAT-ის სავარაუდო პასუხი ამ კითხვებზე ასეთია: ინდივიდუალური უპირატესობები, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება დაფუძნებული იყოს ისეთ ღირებულებებსა და შეხედულებებზე, რომლებიც ცალსახად არ დაიყვანება ეგოისტურ და უტილიტარულ ინტერესებზე. ეს ნიშნავს, რომ უპირატესობები ყალიბდება სოციალიზაციის პროცესში და, ამდენად, კავშირშია კულტურასთან და სოციალურ სტრუქტურებთან. ამ შემთხვევაში რაციონალური არჩევანი ახლდება სოციალური პირობებით და განსაზღვრულია იმ შესაძლებლობათა ნუსხა, რომელიც უზრუნველყოფს აქტორთა მიერ არჩევანის გაკეთებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეგოიზმის როლის შესახებ ჰიპოთეზა კარგავს გავლენას (მნიშვნელობას), რამდენადაც ინდივიდები მოქმედებენ სიტუაციაში სხვა ადამიანთა და ჯგუფთა ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, ეგოიზმის როლის შესახებ ჰიპოთეზის მომხრეები ამტკიცებენ, რომ არჩევანის გაკეთება სხვათა ინტერესების გათვალისწინებით და ნორმების შესაბამისად ***ისევ ეგოისტური ინტერესების*** საფუძველზე უნდა აიხსნას. დროთა განმავლობაში ადამიანები აცნობიერებენ, რომ თა-

ნამშრომლობა და ჯგუფის ინტერესებისათვის ზრუნვა წარმოადგენს რაციონალურ საშუალებას ***საკუთარი*** სარგებლობის მაქსიმალური გაზრდისათვის იმ სიტუაციაში, როდესაც ინდივიდები ურთიერთდამოკიდებულები აღმოჩნდებიან და როდესაც მათ უწევთ სხვისთვის აუცილებელი რესურსების გაკონტროლება.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი (Н. **Аберкромби**... 1999: 265): განვიხილოთ საკითხი პროფკავშირების წევრობის შესახებ. დავუშვათ, რომ პროფკავშირი, რომელიც წარმოადგენს მოსამსახურეთა განსაზღვრულ ჯგუფს, აწარმოებს მოლაპარაკებებს მეპატრონეებთან (სამუშაოს დამკვეთებთან) ხელფასის გაზრდასთან დაკავშირებით და გამოხატავს ამ ჯგუფის თითოეული წევრის ინტერესს. რამდენადაც პროფკავშირებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, მაშინ რატომ აკეთებენ ინდივიდები არჩევანს, რომ შევიდნენ პროფკავშირებში და გადაიხადონ საწევრო გადასახადი? მათ ხომ იციან, რომ თუ მეპატრონეები, პროფკავშირებთან მოლაპარაკების შედეგად გასცემენ მომატებულ ხელფასს, ეს შეეხება ყველას, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი პროფკავშირის წევრები. ერთი შეხედვით ჩანს, რომ, ამ შემთხვევაში, პროფკავშირებში გაწევრიანებისათვის მატერიალური დაინტერესება არ არსებობს. პირიქით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეგოისტი ინდივიდის ერთადერთი რაციონალური არჩევანი უნდა მდგომარეობდეს *free rider*-ის სპეციფიკური როლის ათვისებაში, რომელიც გულისხმობს იმას, რომ არ გადაიხადოს პროფკავშირების წევრობის გადასახადი, თუმცა, მიიღოს მომატებული ხელფასი, რომელიც წარმოადგენს მისი თანამშრომლების (რომლებიც პროფკავშირების წევრები არიან) კოლექტიური ძალისხმევის შედეგს. მაგრამ, ისიც ცხადია, რომ თუ ყველა ინდივიდი ასეთ არჩევანს გააკეთებდა, მაშინ არც პროფკავშირი იარსებებდა და, შესაბამისად, არც მომატებული ხელფასები. როგორც ჩანს, ხდებიან რა პროფკავშირების წევრები, ეს მოქმედებები მაინც უნდა აიხსნას ეგოისტური ინტერესების მქონე აქტორების არჩევანზე დაყრდნობით. თუმცა, ამ შემთხვევაში ეს ინტერესები (შესაბამისად, რაციონალური არჩევანი) თანაფარდობაშია ***სოციალური სისტემის*** მიერ შემოთავაზებულ სტიმულებთან. პრაქტიკაში ბევრი ადამიანი შედის პროფკავშირებში, რამდენადაც სავსებით შეგნებული აქვთ, თუ რა შედეგებს მოიტანს პროფკავშირების დასუსტება მისი წევრების შემცირების გამო და, რომ, თავად მათი გრძელვადიანი ინტერესები მოითხოვს პროფკავშირებში გაწევრიანებას და მისი გავლენის შენარჩუნებას. მაშასადამე, ინდივიდები ახდენენ *ჯგუფური ნორმების ინტერნალიზებას*, რომელთა თანახმად,

პროფკავშირების წევრობა მაღალ შეფასებას იმსახურებს. ამავე დროს, ინდივიდები აღწევენ ინდივიდუალურ უპირატესობებსაც, რამდენადაც წმინდა ობიექტური შედეგის გარდა (ხელფასის მომატება), იმსახურებენ სიმპატიას თანამშრომლების მხრიდან.

ეს მაგალითი მოწმობს, რომ როდესაც სოციოლოგიური ანალიზის ცენტრი ცალკეული ინდივიდუალური ქცევის ფენომენებიდან (მიკრო დონე) გადაინაცვლებს სოციალური ჯგუფების და სისტემების გავლენაზე (მაკრო დონე), ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ინდივიდუალური მოქმედებების მოდელირებასთან, რომელსაც საფუძვლად ისევ ოპტიმიზაციის იდეა და ეგოიზმი უდევს. ამასთან, შესაძლებელია ვილაპარაკოთ მაკრო-დონის შედარებით დამოუკიდებლობაზე ინდივიდებისაგან, იმ თვალსაზრისით, რომ სოციალური სისტემები არ იქმნება უბრალოდ ინდივიდუალურ აქტორთა მოქმედებების შეჯამების გზით. პირიქით, სოციალური სისტემები ფლობს ისეთ თვისებებს, რომლებსაც შეუძლია ინდივიდთა მოქმედებების შეზღუდვა და მათ უპირატესობებზე ზეგავლენის მოხდენა. ამრიგად, RAT-ის ფარგლებში ხდება მცდელობა იმისა, რომ გაერთიანდეს მაკრო-დონეზე სოციოლოგიური ანალიზი მიკრო-დონეზე ანალიზთან და, აქედან გამომდინარე, გადაიჭრას ***დუალიზმი*** - მოდვაწეობა/სტრუქტურა.

საბოლოოდ, Goldthorpe (1998 : 181) დაასკვნის, რომ გაცილებით მომგებიანია ***სიტუაციურ***, ვიდრე პროცედურულ რაციონალობაზე ფოკუსირება, რამდენადაც სიტუაციური რაციონალობა უზრუნველყოფს ახსნას, რომელიც ღიაა კრიტიკიზმის (ფაქტების და ლოგიკის საფუძველზე) მიმართ. ერთი მხრივ, მოქმედების სიტუაციების ანალიზი დამოკიდებულია აქტორებთან დაკავშირებულ კომპონენტებზე (უნარებზე). მეორე მხრივ, აქტორებზე რაციონალობის მიწერა უნდა ჩაითვალოს როგორც პრაქტიკული სილოგიზმის დაგვირგვინება, რომელიც შეიძლება გამოკვლეულ იქნას მენტალური მდგომარეობების დადასტურების გარეშე. კრიტიკა იღებს მოქმედების მოცემული სიტუაციის აღწერას, მაგრამ ცდილობს აჩვენოს, რომ მასში ჩართულ აქტორებს შეუძლიათ რაციონალურად მოიქცნენ იმისაგან განსხვავებული გზით, რაც დაკვირვებაში მოიცემა. მაშასადამე, სიტუაცია არ არის მხოლოდ ერთადერთი მოცემულობა და, რომ, მოვლენების ახსნა არასრულია. უფრო რადიკალურად თუ ვიტყვით, პრაქტიკული სილოგიზმი ბევრი თვალსაზრისით ნაკლოვანია, რამდენადაც სინამდვილეში არ არსებობს ადეკვატური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა დაკვირვებადი მოქმედების, როგორც რაციონალურის, გაგებას. ეს კი ახალი ანალიზის მოსინჯვის შესაძლებლობას იძლევა.

4. მოქმედების ზოგადი თუ სპეციალური (კერძო) თეორია?

RAT-ის ვერსიათა დიფერენცირების წინა ორი კრიტერიუმი ნაწილობრივ გადაიკვეთება მესამე კრიტერიუმის მიერ, რომელიც RAT-ის ვერსიებს განასხვავებს იმის მიხედვით, უზრუნველყოფს მოქმედების ***ზოგად*** თუ ***სპეციალურ*** თეორიას. ეს საკითხი დაკავშირებულია შეზღუდვებთან, რაც რაციონალური არჩევანის პოზიციიდან მოქმედების ***ახსნასთან*** არის დაკავშირებული.

RAT-ის ახსნითი შესაძლებლობების ლიმიტირების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მცდელობა, რომელსაც მოქმედების ცნება დაყავს ***ქცევის*** კატეგორიაზე. ამ უკანასკნელის ქვეშ იგულისხმება ქმედება, რომელიც აიხსნება მხოლოდ "გარედან", ანუ, არ ხდება მისი შინაგანი რეფერენცია ფსიქოლოგიური (ან ბიოლოგიური) თვალსაზრისით[5]. სხვა შემთხვევაში, RAT-ის ვერსიებს შორის განსხვავება მულავნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ხდება მათ მიერ, რაციონალობის საფუძველზე, მოქმედების ტიპების ახსნის ლიმიტირება. J.H. Goldthorpe (1988: 175) ისევე იწყებს RAT-ის ეკონომიკური ვერსიებით.

ეკონომიკის მეცნიერების ისტორიიდან შეიძლება ბევრი მაგალითის მოყვანა, როდესაც RAT-ის ფუნქცია განისაზღვრება მოქმედების გარკვეული სფეროების დახასიათებით ორი - მოტივაციის და/ან ინსტიტუციური კონტექსტის - თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, მოითხოვება, რომ ეკონომიკური ანალიზი შეეხოს, ერთი მხრივ, მოქმედებებს, რომელიც მიმართულია სიმდიდრის მოპოვებაზე, მატერიალური საჭიროებების და სურვილების დაკმაყოფილებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მოქმედებებს, რომლებიც სრულდება ფულზე და ბაზარზე დამყარებულ ინსტიტუციურ გაცვლით სისტემებში. ყველა ამ დონეზე ეკონომიკა განიხილება როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, ხოლო RAT-ი როგორც ***სპეციალური*** თეორია.

ამისაგან განსხვავებით, ზოგიერთი მოაზროვნე (L. Robbins, 1932/1949: chapter 1) გაცილებით შორს მიდის, აცხადებს რა, რომ

[5] RAT-ის წარმომადგენლები (მაგალითად, J. Elster (1983a: chapter 3), J. Goldthorpe (1998: 185) და სხვ.) მოითხოვენ მოქმედების განსხვავებას ქცევისაგან (ანდა, ამის ალტერნატივას წარმოადგენს ის, რომ მოქმედება გამოცალკევებულ იქნეს როგორც ქცევის სპეციფიკური სახე). ამ განსხვავების *არსი* შემდეგშია: მოქმედება არის *ინტენციონალური*, ქცევის საპირისპიროდ, რომლის გაგება მხოლოდ შესაძლებელია, როგორც "გარედან" გამოწვეულის (განპირობებულის). ამის შემდეგ დაწერილებით იხილეთ თავი I.

ეკონომიკური ანალიზი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ "კლასიფიკატორული" ძიებებით და მოქმედების კერძო სფეროებით, არამედ, ***საზოგადოდ***, მოქმედებისთვის დამახასიათებელი ასპექტებით. მათი პირით, ეს ანალიზი გამოიყენება ყოველთვის, როდესაც საკითხი დგება მიზნების და საშუალებების ურთიერთობის შესახებ, უფრო ზუსტად, იმ საშუალებების მოწესრიგების შესახებ, რომელთაც აქვს "ალტერნატიული ღირებულება", კონკურენტული მიზნების დასაკმაყოფილებლად. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, RAT-ის ეს ეკონომიკური ვერსია ცდილობს იყოს მოქმედების რელევანტური თეორია ყველა გარემოებაში, რომელშიც მსგავსი "ეკონომიზაცია" არსებობს. მას არა აქვს არანაირი შეზღუდვა იმ მოქმედებების მიმართ, რომელიც სრულდება კონვენციის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ ინსტიტუტებში ან ურთიერთობებში.

ეს ტენდენცია, რომელიც ცხადად ავლენს მისწრაფებას "ეკონომიკური იმპერიალიზმისაკენ", თავის კულმინაციას G. Becker-ის (1976) ნაშრევში აღწევს. ბეკერის მიხედვით, RAT-ი როგორც უტილიტარული თეორია, უფლებამოსილია წარმოადგენდეს სოციალური მოქმედების ***ზოგად*** თეორიას, რომელიც მოწოდებულია ახსნას ქცევის ისეთი მოდელები, როგორიცაა, მაგალითად, დანაშაული, ეკლესიაში სიარული, ან თვითმკვლელობა. ამ შემთხვევაში ყველა სოციალური მოქმედება შეიძლება და უნდა განიხილებოდეს ინდივიდთა პოზიციიდან (თვალთახედვიდან). ეს ხელს შეუწყობს უპირატესობათა სტაბილური ქსელის შექმნას, აგრეთვე, სიტუაციების (რომლებშიც ინდივიდები ჩართულნი არიან) შესახებ ოპტიმალური ინფორმაციის დაგროვებას. ყველაფერი ამის საფუძველზე კი გაიზრდება ინდივიდთა მიერ სარგებლობის მიღების შესაძლებლობა. ბეკერის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედება გადაიხრება უტილიტარული თეორიის მოლოდინებისაგან, არ არის ნაყოფიერი დასახმარებლად მივმართოთ ახსნას, რომელიც დაეფუძნება ირაციონალობის, კულტურული ტრადიციის, ღირებულებითი ვალდებულების, ღირებულებების გადაფასების და ა. შ. თვალსაზრისებს. ასეთი ახსნა (რომელიც რაციონალური მოქმედების თეორიის საპირისპიროა) მოკლებულია კოჰერენტულ ბაზისს და უპასუხოდ ტოვებს კითხვას, თუ რატომ არის, რომ ადამიანის მოქმედება ზოგჯერ რაციონალური უნდა იყოს, ხოლო ზოგჯერ - არა. ამდენად, იქ, სადაც მსგავსი დევიაციები ჩნდება, საუკეთესო სტრატეგიას წარმოადგენს სიტუაციის ხელახალი ანალიზი, იმის აღიარებით, რომ მისი ზოგიერთი ასპექტი გაუგებარი დარჩა.

RAT-ის სხვა ვერსიები, აგრეთვე, ცდილობენ ეკონომიკური მიდგომის გენერალიზებას (განზოგადებას), თუმცა, ნაკლებად "იმპერიალისტური" გზით, რამდენადაც განიცდიან ბიჰევიორისტული ეკონომიკის (Simon) დიდ გავლენას. ამ თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესოა პოპერი და მისი მიმდევრები, რომლებიც, გარკვეული მოდიფიკაციით, ბეკერის გზას აგრძელებენ. კერძოდ, პოპერი, სიტუაციური ლოგიკის ანალიზის საფუძველზე (რომელიც ეხმიანება ყველა სოციალურ მეცნიერებას, და ჰუმანიტარულსაც, რამდენადაც ჩართულია მოქმედების ახსნაში), ამტკიცებს, რომ მისი მიზანია უტილიტარული თეორიის გენერალიზება (K. R. Popper, 1976: 117-8). პოპერის თანახმად, ჰერმენევტიკული ტრადიციიდან მომდინარე რაციონალობის კონცეფციის სისუსტე ან "სიცარიელე" (რამაც, ამ ტრადიციის ფარგლებში, რაციონალობა "ტოლერანტობის პრინციპით" ჩაანაცვლა) შეიძლება გადაილახოს, რამდენადაც შესაძლებელია დაკვირვებადი მოქმედების, როგორც რაციონალურის, რეკონსტრუირება გარკვეულ სიტუაციებში. ეს უზრუნველყოფს მოქმედების გაგებას უფრო მეტად, ვიდრე ამას წმინდა გარეგანი ახსნა შეძლებდა (თუმცა, ამავე დროს, იგი მიმართავს ტექსტუალური კვლევის და ისტორიოგრაფიის ჰერმენევტიკული ტრადიციის საფუძვლებს (K. R. Popper, 1972: თავი 4), რომელსაც პოპერი მიჰყავს მოქმედების ისეთ შინაარსთან, რომელიც ძნელია გაგებულ იქნეს, როგორც რაციონალური).

როგორც Goldthorpe (1988: 177) დაასკვნის, მიუხედავად ამ ავტორების შესაშური მცდელობისა დაასაბუთონ, რომ RAT-ი უზრუნველყოფს ბევრი ისეთი სოციალური ფენომენის (მაგალითად, მისნობა, იდეოლოგია, პანიკა, ბრბოს ძალმომრეობა, რევოლუციები, ან მთელი რიგი ნორმატიული სტრუქტურები) გამოანგარიშებას (გათვლას), რომელიც არ ამყარებს რაციონალობას უშუალოდ მოქმედების პროცესში - ეს მოაზროვნეები, საბოლოოდ, რწმუნდებიან, რომ RAT-ი სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა *სპეციალური* თეორია. ბეკერის და პოპერის მიმდევართა ყოველი მცდელობა, რომ აღმოაჩინონ რაიმე გზა აღნიშნული მოქმედებების რაციონალობის გადასარჩენად, ისევ და ისევ იმას ამტკიცებს, რომ RAT-ი უნდა განიხილებოდეს არა როგორც ის, რაც თავის თავს აკონსტრუირებს, როგორც მოქმედების ზოგადი თეორია, არამედ როგორც სპეციალური თეორია და გენერალიზება შეიძლება სწორედ ასეთი თეორიის ფარგლებში განხორციელდეს.

Goldthorpe-ის (1998: 183-4) თანახმად, თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ RAT-ი უნდა შეეხოს იმ მოქმედებას, რომელიც გამოკვლეული იქნება როგორც სუბიექტურად რაციონალური, თუმცა, იმის აღიარებით, რომ ფოკუსირება მოხდეს მოქმედების სიტუაციურ გაგებაზე - აქედან გამომდინარეობს, რომ RAT -ის ეს ვერსია ჩაითვლება მოქმედების ***სპეციალურ*** თეორიად. სხვა ავტორებიც (A. Carling, 1986) აღნიშნავენ, რაციონალური არჩევანის თეორია არის კერძო და არა ზოგადი თეორია, რამდენადაც ეხება მოქმედებებს, რომლებიც შეინიშნება მოცემულ კონტექსტში და მოცემული უპირატესობების შესაბამისად.

RAT-ის მიჩნევას მოქმედების სპეციალურ თეორიად უკავშირდება ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ ამოიზრდება და რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია. როგორც აღინიშნა, RAT-ის ინტერპრეტაცია სპეციალურ თეორიად თავიდან იცილებს საპირისპირო ვერსიასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს. ზოგადი თეორიის მომხრეები, რომლებიც ეყრდნობიან ***გენერალიზების*** იდეას, ვერ გაურბიან ტავტოლოგიებს ანდა ნდობას უცხადებენ საეჭვო "ნარჩენ კატეგორიებს". მაგრამ, მეორე მხრივ, თუ RAT-ი განიხილება, როგორც მხოლოდ სპეციალური თეორია, მაშინ სერიოზულ ზეწოლას ახდენს კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ უნდა "იყოფოდეს" მოქმედება ისე, რომ ზოგჯერ. განიხილებოდეს როგორც რაციონალური, ხოლო ზოგჯერ - ***არარაციონალური?***

ყველაზე საიმედო სტრატეგიას საკითხის გადასაჭრელად Goldthorpe ხედავს იმაში, რომ RAT-ის მომხრეებმა თავი შეიკავონ არარაციონალური მოქმედების სახეებისადმი ***ad hoc*** მიმართვისაგან, განავითარონ რა მათი თეორიის შესაძლებლობები უპირატესად იმის ასახსნელად, თუ ***რა პირობებს*** უნდა აკმაყოფილებდეს არარაციონალური მოქმედება, რათა მან ***სოციოლოგიისათვის*** მნიშვნელობა შეიძინოს.

ფუნდამენტური გამოსავალი, რომელიც ამ შემთხვევაში შემოითავაზება, ისაა, რომ მოქმედებამ, რომელიც იღებს ვალდებულებას არარაციონალური, "იმანენტური" ღირებულებების წინაშე, უნდა გადაკვეთოს რაციონალური მოქმედების მოდელები (ნიმუშები). ამ შემთხვევაში იმანენტური ღირებულებები არ არის არც უნივერსალური და არც - იდიოსინკრეტული, არამედ, კანონზომიერად ნაწილდება ადამ-

იანებს შორის - ვთქვათ, სტატუსთან, ეროვნებასთან ან სქესთან მიმართებაში. ამდენად, კვლევა უნდა ფოკუსირდეს მოქმედების პროცესებზე, რომლებიც, ღიაა ინტერპრეტაციისათვის რაციონალობის პოზიციიდან და რომელთა გავლითაც ჰეტეროგენული ღირებულებები ნაწილდება და ინსტიტუციონალიზდება ნორმატიულ სტრუქტურებში. თუ დავუკვირდებით, ის, რასაც ამ შემთხვევაში "ღირებულებითი ვალდებულებების" ჩარევა წარმოადგენს რაციონალურ მოქმედებაში, უეჭველ პარალელს ნახულობს იმასთან, რასაც ბუდონი იკვლევს, როგორც სუბიექტურად რაციონალური მოქმედების "გადახრას" ობიექტური სტანდარტებიდან.

კიდევ უფრო მეტად, აღნიშნული ვხა უახლოვდება მაქს ვებერის თვალსაზრისს "*იდეალური ტიპების*" შესახებ. მართლაც, რაციონალური მოქმედებისათვის პრივილეგიის მინიჭებით და მათ საფუძველზე, RAT-ი ვხას ხსნის მოქმედების არარაციონალური მოტივაციების ასახსნელად: როდესაც აღმოვაჩენთ, რომ რეალობა განსხვავებულია იმისაგან, რაც მოსალოდნელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, ინდივიდებს რომ რაციონალურად ემოქმედათ, შესაძლებელია დავაფიქსიროთ რეალური ქცევის, სულ ცოტა, არარაციონალური ასპექტები. ასეთ მეთოდს RAT-ი არარაციონალური მოქმედების ახსნისათვის ყველაზე ეფექტურად მიიჩნევს (ეს საკითხი ქვემოთ კიდევ იქნება განხილული).

5. RAT - მოქმედების პრივილეგირებული თეორია?!

სამი კრიტერიუმის საფუძველზე RAT-ის განსხვავებული ვერსიების დახასიათებისა და სოციოლოგიისათვის მათი რელევანტურობის განსაზღვრის შემდეგ, Goldthorpe ცდილობს აჩვენოს RAT-ის ***პრივილეგირებულობა*** სხვა თეორიებთან შედარებით. იგი აკეთებს ზოგადი ხასიათის შენიშვნას, რომლის თანახმადაც (J. Goldthorpe, 1998: 177) სოციოლოგიისათვის რელევანტური უნდა იყოს RAT-ის ის მოდელი, რომელსაც ექნება გამოკვეთილი ახსნითი ფუნქცია იმ მოქმედებების მიმართ, რომლებიც, მიკრო და მაკრო კავშირების მეშვეობით, სოციალურ რეგულაციებს (წესებს) ქმნის. ამასთან, ეს მოდელი უზრუნველყოფილი იქნება დამცავი მექანიზმებით მაშინ, როდესაც აღნიშნული ფუნქციის შესრულება ფერხდება.

Goldthorpe მიიჩნევს, რომ RAT-ი წარმოადგენს არა ერთ-ერთ თეორიას სხვა თეორიათა შორის, არამედ თეორიას, რომლისგანაც უნდა დაიწყოს სოციალური მოქმედების ახსნის ყოველი მცდელობა. RAT-ის მხარდამჭერები (ნებისმიერი ვერსიის ფარგლებში), აშკარად თუ ფარულად, იზიარებენ ამ მოსაზრებას (თუმცა, რასაკვირველია, განსხვავებული ინტერპრეტაციით). ამ საერთო პოზიციიდან ისინი მკვეთრად უპირისპირდებიან მოქმედების სხვა თეორიების წარმომადგენლებს, რომლებიც (მეტ-ნაკლებად) საწინააღმდეგო პოზიციებზე დგანან - მაგალითად, მიიჩნევენ, რომ ახსნითი ძალისხმევა პირველ რიგში უნდა ფოკუსირდეს არარაციონალურ მოქმედებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს ღირებულებები ანდა ნაკარნახევია ემოციებით.

Goldthorpe (1998: 185) ცდილობს, ჩამოაყალიბოს RAT-ის როგორც მოქმედების პრივილეგირებული თეორიის დამადასტურებელი ***სამი***, ერთმანეთისაგან განსხვავებული, თუმცა, ურთიერთდაკავშირებული, თვალსაზრისი. ისინი, ამავე დროს, წარმოადგენს გამოხმაურებას იმ დებატებზე, თუ როგორ უნდა მოხდეს RAT-ის მიერ არარაციონალური მოქმედების გათვალისწინება:

პირველი, RAT-ი აღიარებს რაციონალური მოქმედების უალტერნატივო პრიმატს. უნდა ჩაითვალოს, რომ რაციონალური მოქმედების იდეა წარმოადგენს პრიორიტეტულს არა მხოლოდ ირაციონალური, არამედ, აგრეთვე, არარაციონალური მოქმედების მიმართ. რაციონლური მოქმედება წარმოადგენს მოქმედებას, რომელშიც გარკვეული მოთხოვნები თანხვდება აქტორთა მიზნებთან, მათ შეხედულებებთან და მოქმედების კურსთან, აგრეთვე, მათ შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით. რაციონალობის კონცეფციის სიძლიერე ან სისუსტე განისაზღვრება იმის მიხედვით, რამდენად ხდება დაკვეთა ამ მოთხოვნებზე. სხვანაირად რომ ითქვას, საჭიროა არსებობდეს რაციონალობის იდეა, რომლის საფუძველზე იქმნება მოქმედების ეტალონების ჯგუფი და მხოლოდ მათთან მიმართებაში ხდება შესაძლებელი არარაციონალური მოქმედებების ინტერპრეტაცია. ეს ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელთ მნიშვნელობა მხოლოდ რაციონალობის ფონზე ენიჭება. Goldthorpe-ის აზრით, სხვა ბზის მონახვა არარაციონალური მოქმედებების ასასხსნელად რთულია და, ამდენად, მოქმედების სხვა თეორიებმა კონცეპტუალური საფუძველი სწორედ RAT-იდან უნდა აიღონ.

მეორე, RAT-ის კონცეპტუალური უპირატესობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ***ჰერმენევტიკული*** ხასიათის პრივილეგია. ეს ნიშნავს, რომ სოციალური მეცნიერების წარმომადგენლები (ზოგადად, აქტორები) უკეთესად გაიგებენ სხვათა მოქმედებებს, თუ შეძლებენ მათ ***კონსტრუირებას*** რაციონალურ მოქმედებებად. სხვაგვარად თუ ვიტყვით (M. Hollis, 1987: 6-9), რაციონალობის კატეგორიის მეშვეობით (უფრო მეტად, ვიდრე, "მნიშვნელობის" რამდენადმე ბუნდოვანი კატეგორიის მოხმობით) არის შესაძლებელი "სხვა გონებასთან" და "სხვა კულტურასთან" ეფექტური მიახლოება. მხოლოდ რაციონალობა იძლევა საშუალებას განხორციელდეს სოციალური ცხოვრების ადეკვატური ინტერპრეტაცია. ამდენად, Goldthorpe-ის აზრით, ნებისმიერი *Versthende* სოციოლოგიამ საიმედო თავშესაფარი RAT-ის ფარგლებში უნდა ჰპოვოს, განსაკუთრებით, იმ ვერსიაში, რომელიც ორიენტირდება ერთი მხრივ, უფრო ***სუბიექტურ***, ვიდრე ობიექტურ რაციონალობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო ***სიტუაციურ***, ვიდრე პროცედურულ რაციონალობაზე. იქ, სადაც დაკვირვებადი სოციალური რეგულაციები (წესები) ძირითად როლს თამაშობს და აქტორები მათზე დაყრდნობით ახორციელებენ საკუთარ მიზნებს კერძო სიტუაციებში, ასეთი მოქმედება და ინტერაქცია მთელი თავისი მნიშვნელობით გასაგებია, განსხვავებით იმ შემთხვევებისაგან, როდესაც აუცილებელი ხდება ტრადიციისადმი მიმართვა ინდივიდთა არარეფლექსური კონფორმულობის, ანდა ღირებულებითი ვალდებულებების გამო. ამ უკანასკნელ შემთხვევებში თავს იჩენს პრობლემები ინტერპრეტაციულ გაგებასთან დაკავშირებით.

მესამე, RAT-ის კონცეპტუალური პრივილეგია შეიძლება დაუკავშირდეს პრეტენზიას ***ახსნითი*** პრივილეგიის შესახებ, რაც ნიშნავს *Erklaren* (ახსნა) და *Verstehen* (გაგება) შორის კავშირს. ამ კავშირს ასე ახასიათებენ (*J. S. Coleman*, 1986: 1): "რაციონალური მოქმედება არის მისივე თავის ახსნა", რამდენადაც რაციონალურ მოქმედებას აქვს "უნიკალური მიმზიდველობა", იგი ყველაზე მეტად გასაგებია, მის შესახებ სხვა შეკითხვის დასმა საჭირო არ არის. RAT-ი წარუმატებლობას განიცდის მაშინ, როდესაც არ არსებობს რაიმე გზა ირაციონალური ან არარაციონალური მოქმედებების პრევალენტურობის თავიდან ასაცილებლად. მაშასადამე, როდესაც "შავი ყუთები" დარჩენილია და ახსნითი ძალისხმევა არასაკმარისადაა ჩატარებული.

RAT-ის პრივილეგირებულობის ინდიკატორების დახასიათების

შემდეგ, Goldthorpe (1998: 186-7) ახდენს ერთგვარი ***რეზიუმეს*** ფორმულირებას, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს აღნიშნული თეორიის ძირითადი თავისებურებების მანიფესტაციას და გამოდგება RAT-ის ***უახლესი ინტერპრეტაციის*** ნიმუშად:

სოციოლოგები უნდა დაკავდნენ RAT-ის იმ ვერსიით, რომელიც: ა) ფლობს შუალედური (intermediate) სიძლიერის მოთხოვნებს რაციონალობაზე; ბ) აქვს უპირატესად სიტუაციური აქცენტი; გ) მიზნად ისახავს, იყოს სპეციალური თეორია, თუმცა - პრივილეგირებული ხასიათის.

რაციონალობის სუბიექტური კონცეფციიდან (რომელიც RAT-ის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს) გამომდინარე, საჭიროა განხორციელდეს სერიოზული ძალისხმევა, რათა ეს კონცეფცია შეივსოს ორი მიმართულებით:

ჯერ ერთი, საჭიროა იმ პირობების გაანალიზება, რომელთა გავლენითაც აქტორები იწყებენ სისტემატურ (და არა იდიოსინკრეტულ) მოქმედებას იმ გზაზე, რომელიც, მათი აზრით, რაციონალურია. ეს გზა, შესაძლოა, გადახრილი აღმოჩნდეს მოქმედების იმ კურსისაგან, რომელიც ობიექტურ რაციონალობას შეესაბამება.

მეორე, საჭიროა შემოღებულ იქნეს ***კრიტერიუმი,*** რომელზე დაყრდნობითაც ერთმანეთისაგან გამოიყოფა მოქმედება, რომელიც ღიაა სუბიექტური რაციონალობის პოზიციიდან გასაგებად და მოქმედება, რომელიც ასეთ ღიაობას არ ამჟღავნებს - ე.ი. არარაციონალური მოქმედება. ამდენად, უნდა გაანალიზდეს ის პირობები, რომელთა დროსაც სისტემატური ხასიათის არარაციონალური მოქმედების გაჩენა ყველაზე მეტადაა მოსალოდნელი. აღნიშნული მიმართულებით პროგრესი მოითხოვს, რომ სოციოლოგებმა ახსნითი ძალების კონცენტრაცია მოახდინონ მოქმედების სიტუაციაზე, ვიდრე მოქმედი ინდივიდების ფსიქოლოგიაზე. სოციოლოგების მიზანს უნდა წარმოადგენდეს იმის ჩვენება, თუ როგორ ანგრევს სიტუაციის სოციალურ-სტრუქტურული და პროცესუალური მახასიათებლები ობიექტურ რაციონალობას და წარმართავს სუბიექტურად რაციონალურ მოქმედებას, რომელიც გადაიკვეთება სრულიად განსხვავებული მოტივების და მნიშვნელობების მქონე მოქმედებების მიერ.

ასეთი გავრცობილი სახღვრების მიუხედავად, RAT-ი უნდა დარჩეს მოქმედების სპეციალურ თეორიად. მისი წარმომადგენლები უნდა შეეგუონ ამ თეორიის ლიმიტირებულ ხასიათს. ეს ნიშნავს, რომ სოციალურმა რეგულაციებმა მხოლოდ იმ ზომით უნდა მიიღოს მხედ-

ველობაში კულტურული ტრადიციები, ღირებულებები და ნორმები, რამდენადაც ეს შესაძლებელია რაციონალური მოქმედების გათვალისწინებით. მხოლოდ ასეთი რედუქციონიზმი უზრუნველყოფს RAT-ის ჰერმენევტიკულ და ახსნით უპირატესობებს. თუმცა, ამავე დროს, ეს ანალიტიკური პროცესი ყოველთვის საჭიროებს ემპირიულ დადასტურებას.

6. კრიტიკა: RAT-ის რედუქციონიზმი

RAT-ს სხვადასხვა თვალსაზრისით აკრიტიკებენ:

ა) ამ თეორიას ბრალს დებენ "რეალობისაგან გაქცევაში", ანდა რეალობის ***რედუცირებაში*** ერთ განმსაზღვრელ - რაციონალური არჩევანის - პრინციპზე. როგორც კრიტიკოსები (I. Craib, 1992: 76) მიუთითებენ, RAT-ი შორდება იმას, რაც დაკავშირებულია რეალობის ***გაგებასთან***. საქმე ისაა, რომ მოქმედების ინტერპრეტაცია როგორც რაციონალური არჩევანის (გადაწყვეტილების) შედეგისა, ***არ ამოწურავს*** ამ მოქმედების შინაარსს. მაგალითად, სავსებით შესაძლებელია, ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესის, როგორც რაციონალური არჩევანის, მოდელი წარმატებით მუშაობდეს იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა აიხსნას, თუ რატომ ახდენენ ქალები საოჯახო საქმეებზე, ხოლო მამაკაცები - ოჯახის გარეთ ანაზღაურებად სამუშაოზე კონცენტრირებას. თუმცა, შესაძლოა, აღნიშნული მოდელი სინამდვილეში არაფერს ამბობდეს რეალურ აქტორთა ***რეალური მოტივების*** შესახებ. მაგალითად, ის ფაქტი, რომ მამაკაცი მუშაობს, ხოლო მისი მეუღლე სახლში რჩება, ეს შეიძლება იყოს რაციონალური არჩევანის შედეგი, მაგრამ იხიც სრულიად შესაძლებელია, რომ *პრაქტიკაში* ცოლს შეიძლება სურდეს მუშაობა, მაგრამ ქმარი უკრძალავდეს მას ამის გაკეთებას, ისევე როგორც, ცოლს, შემოსავლის გაუმჯობესების პერსპექტივის მიუხედავად, შეიძლება არც სურდეს ოჯახის გარეთ მუშაობა. სხვა შემთხვევაში, მამაკაცს შეიძლება ურჩევნია ცხოვრების დაბალი დონის პირობებში სახლში დარჩეს და ბავშვებს მიხედოს, მაგრამ ცოლმა აიძულოს იგი ოჯახის გარეთ მუშაობისათვის და ა. შ. ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი თავსებადია რაციონალურ ***შედეგთან***, თუმცა, მოტივაციები სრულიად განსხვავებულია.

მაშასადამე; რაციონალური არჩევანის მოდელი წარმოადგენს იმის რაციონალიზაციას, რაც ხდება და იმისაც, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ინდივიდთა რეალური მოტივაციებისაგან დამოუკიდებლად. ამ თეორიის მომხრეები (P. Abell, 1991: xi) მათ მიერვე დასმულ შეკითხვაზე - "შესაძლებელია თუ არა ყოველთვის, ***post hoc***, მოიძებნოს რაიმე მოტივი\უპირატესობა, რომელიც გარემოების შესაფერისი იქნება?" - ისინი უპასუხებენ, რომ ეს შესაძლებელია, თუმცა, დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან, განსაკუთრებით იმ შემთხვევებისათვის, როდესაც აქცენტი დასმულია არა ინდივიდუალურ მოქმედებებზე, არამედ ინდივიდთა ურთიერთდამოკიდებულებებზე. ამრიგად, მოითხოვება, რომ რაციონალური არჩევანის მოდელები წარმოადგენდეს კვლევის საფუძველს, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა მათი წინასწარმეტყველება ან ახსნა იმას, რაც სინამდვილეში ხდება. ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს იდეალური ტიპების შესახებ თეორიასთან ანალოგიაზე.

ბ) კრიტიკა მიმართულია, აგრეთვე, RAT-ის ***შეზღუდულობაზე***, იმ თვალსაზრისით, რომ იგი არის "***სპეციალური***" თეორია, რომელიც მოქმედებას ეხება მხოლოდ მოცემულ ვითარებებში, უპირატესობათა მოცემული ჩამონათვალის პირობებში. ეს თეორია შესაძლებელს ხდის აიხსნას, თუ როგორ სრულდება მოქმედება გარემოებათა ერთი კონკრეტული ქსელის საზღვრებში, როდესაც ეს ქსელი გამოვლინდება სხვისგან დამოუკიდებლად, როგორც კერძო (ემპირიული) სიტუაცია. თუ ადამიანის მთელ ისტორიას ინდივიდთა მიერ განსხვავებულ ურთიერთობებში გაკეთებული რაციონალური არჩევანის თვალსაზრისით გადმოვცემთ, ეს სხვა არაფერი იქნება, თუ არა გარემოებათა მოცემული ქსელების, ანუ სიტუაციების, შეჯამება.

გ) მკვლევრები (I. Craib, 1992: 77; B. Hindess, 1988: 39) მიუთითებენ, რომ RAT-ის მიჯაჭვულობა სიტუაციაზე ("სიტუაციური" ხასიათი) ამ თეორიას ***სტრუქტურული დეტერმინიზმის*** ფორმაში აქცევს. სტრუქტურული დეტერმინიზმი ამ შემთხვევაში მეჯლავნდება სიტუაციის მიმართ დაქვემდებარებაში. ეს სუბორდინაცია შეიძლება განხორციელდეს ***ორი*** გზით (ორივე შემთხვევაში აქტორები არიან მათი სიტუაციების შემოქმედნი და მოქმედებენ სიტუაციების შესაბამისად): ერთ შემთხვევაში აქტორები მიყვებიან მოქმედების, ***მათი აზრით***, ყველაზე უფრო რაციონალურ კურსს, რომელიც მოცემულია კერძო სიტუაციაში და რომელშიც ისინი საკუთარ თავს პოულობენ; მეორე შემთხვევაში, ინდივიდები ახდენენ გარკვეული

ნორმების ***ინტერნალიზებას*** და მოქმედებენ მათ მიხედვით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც რაციონალური არჩევანის ჩარჩოებში ხდება ინტერაქციის განმეორებად ნიმუშებში ჩართული ნორმების გამომჟღავნება და მხედველობაში მიიღება მათი "მუდმივობა". მექანიზმები, რომელთა მიხედვითაც ინდივიდები სუბორდინაციულ მიმართებაში იმყოფებიან სიტუაციების მიმართ, შეიძლება განსხვავდებოდეს ორივე სიტუაციაში, მაგრამ საერთო შედეგები იგივე რჩება.

ეს არის გზა, რომელიც გაიარა პარსონსმა: მან დაიწყო ინდივიდუალური მოქმედებით და შემდეგ გადავიდა სისტემების განვითარებაზე, შესაბამისად, სტრუქტურულ დეტერმინიზმზე. სოციოლოგების (ადამ სმიტიდან მოყოლებული) ტრადიციულ "ცდუნებას", რომ კერძო ინტერესების მქონე ინდივიდები, ამასთანავე, უნდა განიცდიდნენ სოციალურ წესრიგთან (როგორც მთლიანთან) გარკვეული კავშირის გავლენას, ვერც RAT-ი გაექცა. როგორც ზემოთქმულიდან აშკარავდება, ამ თეორიის ფარგლებში მჟღავნდება ***prima case*** შემთხვევა სტრუქტურული დეტერმინიზმის ფორმის არსებობისათვის: ინდივიდებს უჭირავთ პოზიციები სიტუაციაში და მოქმედების განსაზღვრული კურსი (მსვლელობა) მიყვება ამ პოზიციით განსაზღვრულ ***სოციალურ რეგულაციებს*** (ანუ, თუ პარსონსის თეორიას მოვიხმართ, ***"სოციალურ როლებს"***) - ესაა მოქმედებები, რომელთაც რაციონალურს ვუწოდებთ. თუმცა, რაციონალური შედეგი შეიძლება ახლდეს ნებისმიერ (თუნდაც, არარაციონალურ) მოტივაციას.

დ) Hindess (1988: 48-9) ამტკიცებს, რომ შეცდომას წარმოადგენს იმის მიჩნევა (როგორც ამას RAT-ი აკეთებს), თითქოს სოციალურ სამყაროში მხოლოდ ინდივიდები წარმოადგენენ აქტორებს. არსებობენ სხვა "სოციალური აქტორებიც": ბიზნეს-ფირმები, პოლიტიკური პარტიები, ხელისუფლების (მმართველობის) ორგანოები, რომელთა საქმე და მიზნები არ დაიყვანება მათი შემქმნელი ინდივიდების ურთიერთობებსა და მიზნებამდე. ამგვარ "სოციალურ აქტორთა" შიგნით ინდივიდთა ორგანიზაცია უნდა ვიკვლიოთ, როგორც მათივე მოქმედების პირობების ნაწილი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ თუნდაც RAT-ის ფარგლებში შეიძლება შევეხოთ უფრო მეტს, ვიდრე ინდივიდებია - სოციალურ სტრუქტურებს და ორგანიზაციებს.

ე) Hindess აყალიბებს კიდევ სხვა არგუმენტს: ვარაუდი იმის შესახებ, რომ აქტორთა მსჯელობის (აზროვნების) ხერხი არის მხოლოდ რაციონალური, გვართმევს შესაძლებლობას, რომ თვალი მივადევნოთ მსჯელობის (აზროვნების) ტექნიკას, რომელსაც ისინი

იყენებენ. ეს კრიტიკა ეხება არა მხოლოდ RAT-ს, არამედ ინდივიდუალური "*პორტფელის*" (portfolio) ყველა სახეს: ისინი მოქმედებას იკვლევენ, როგორც ინდივიდუალურ შეხედულებათა და სურვილთა პორტფელის (კოლექციის) პროდუქტს, რომელსაც აქტორი "დაატარებს" ერთი სიტუაციიდან მეორეში. აქტორები ახარისხებენ მათი, სიტუაციების მიმართ რელევანტური, შეხედულებების და სურვილების პოტფელებს, რომლებსაც იყენებენ მოქმედების შესაძლო კურსების იდენტიფიკაციისათვის და მათ შორის არჩევანის გასაკეთებლად. ამ მოდელში, აქტორის პორტფელის შინაარსი შეიძლება შეიცვალოს დროის მონაკვეთში, მაგრამ ყოველ მოცემულ მომენტში ისინი შედარებით სტაბილურად მიიჩნევა.

კრიტიკა ეხება სწორედ იმას, რომ ბევრ სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას, ინდივიდები იყენებენ მსჯელობის (ახროვნების) სპეციალურ ხერხებს, რომელთაც ძალიან ცოტა, ან არავითარი შეხება არა აქვთ *პერსონალურ* სურვილებთან ან შეხედულებებთან. მაგალითად, გამოცდილი ბუხჰალტერი ანგარიშებს ამოწმებს იმ პროცედურათა ქსელის შესაბამისად, რომელიც დამოუკიდებელია მისი ინდივიდუალური სურვილებისაგან (გარდა, ალბათ, ყველაზე აბსტრაქტული სურვილისა, რომ გამოიმუშაოს თავისი სარჩენი ფული და იმის რწმენისა, რომ ეს პროცედურები შეცდომებისაგან დაიცავს). ის, რაც ერევა, ერთი მხრივ, აქტორის სურვილს/შეხედულებას და, მეორე მხრივ, მოქმედებას შორის, არის რაციონალობა. ეს არის ჩარევა კონტინუუმის ორ ბოლოს შორის, რომელიც ახდენს რაციონალური და არარაციონალური მოქმედებების განსხვავებას. ამ არგუმენტის მნიშვნელობა ისაა, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ მსჯელობის (ახროვნების) ტექნიკას, შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა არის რაციონალური ან არარაციონალური. ის, რაც შეიძლება რაციონალური იყოს ახროვნების ერთი ხერხისათვის, შეიძლება არ იყოს რაციონალური მეორისათვის.

სხვანაირად ეს არგუმენტი ასე შეიძლება გამოითქვას (I. Craib, 1992: 79): RAT თავს არიდებს ეთნოგრაფიულ დეტალებს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რას ფიქრობენ ადამიანები, როგორ აღიქვამენ და, ფაქტობრივად, ახდენენ იმ სამყაროს კონსტრუირებას, რომელშიც ცხოვრობენ. ეს სამყარო შეიცავს ზზას (მეთოდს, ტექნიკას), რომლის საშუალებითაც ისინი აგებენ თავიანთ შეხედულებას სამყაროს შესახებ, ინფორმაციას, რომელზედაც მათი გადაწყვეტილებებია დაფუძნებული. აქტორის პორტფელის მოდელი მხედველო-

ბაში იღებს მხოლოდ შეხედულებებს და სურვილებს და ეძებს მათ შორის მარტივ კავშირს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება *დავასკვნათ*, რომ თუ RAT-ს განვიხილავთ როგორც უფრო მეტად სპეციალურ, ვიდრე ზოგად თეორიას, მაშინ იგი ჩაითვლება როგორც ადამიანის მოქმედების ერთი განზომილების მომცველი, რომლის მნიშვნელობა დღევანდელი საზოგადოებისათვის ძალზე დიდია. რაციონალობის ის ფორმა, რომელსაც იგი გვთავაზობს და რომელსაც თამამად შეიძლება *ინსტრუმენტალური რაციონალობა* ეწოდოს, წარმოადგენს მოქმედების და აზროვნების ფორმას, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიყენებთ. ინსტრუმენტალური რაციონალობის მიერ აგებული მოდელები უთუოდ გვეუბნება რაღაც მნიშვნელოვანს სამყაროს შესახებ. ადამიანები აქტიურად იყენებენ მათ, რამდენადაც ეს მოდელები გვთავაზობს მოქმედების გზას სოციალურ სამყაროში, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ახდენენ სირთულეებში გარკვევას და წინაღობების გადალახვას. თუმცა, RAT-ი იგნორირებას ახდენს ადამიანის ბევრი სხვა, აგრეთვე მნიშვნელოვანი მოქმედების.

მაგალითად, ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესის მექანიზმი, როგორც RAT-ის ერთ-ერთი მოდელი აღწერს იმას, რაც, რასაკვირველია, შეიძლება ხდებოდეს ზოგიერთ, მაგრამ არა - *ყველა* შემთხვევაში. ეს მოდელი გულისხმობს (უშვებს) ოჯახის წევრთა არჩევანზე სტრუქტურულ დეტერმინაციებს (შეზღუდვებს), რაც, როგორც ითქვა, მოწმობს იმას, რომ RAT-თვის დამახასიათებელია სტრუქტურული დეტერმინიზმი. შეიძლება ითქვას, რომ ეს თეორია აჩვენებს გზას, რომლის მიხედვითაც ურთიერთობათა არსებული სტრუქტურები კვლავწარმოებას მიმართავენ. ეს არის იდეალური ტიპის რაციონალობის შემოტანა, რომლის საფუძველზეც არარაციონალური არჩევანი სრულდება შედეგით, რომელიც რაციონალური მოქმედების რელევანტურია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, თუ როგორ ხდება (I. Craib, 1992: 77) RAT-ის რეინტეგრაცია პარსონსის სისტემასთან. მიუხედავად იმისა, რომ თავის საფუძველში იგი მიისწრაფვის მიზან-რაციონალური მოქმედებისა და მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისაკენ (რაც ვებერიანულ ტრადიციას აგრძელებს), RAT-ი თანდათან იღებს მიმართულებას, რომელიც მხედველობაში იღებს საზოგადოებას, როგორც მთლიანს და გადადის კოლექტივის დონეზე. თუმცა, ამავე ზომით, ეს თეორია კარგავს მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის გავლენას და, აქედან გამომდინარე, საკუთარ თავსაც შორდება.

IV თავის ძირითადი შინაარსი

1. რაციონალური არჩევანის თეორია (სხვანაირად: რაციონალური მოქმედების თეორია - RAT), რომელიც თავიდან ცნობილი გახდა გაცვლის თეორიის სახელით, წარმოადგენდა რეაქციას პარსონსის "გრანდ-თეორიაზე", რომელიც, მართალია, "ერთეული აქტის" განხილვით იწყება, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, სოციალური სისტემის ინტერესებს ანაცვალებს ინდივიდის ვოლუნტარისტულ ავტონომიურობას. RAT-ი, პირიქით, სოციალური სისტემის და კოლექტივის ინტერესებს უგულებელყოფს და ამოსავლად ინდივიდის კერძო ინტერესებს აცხადებს. აღნიშნულ თეორიას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული უტილიტარული ხასიათი: დოგმატური საწყისი პრინციპის - არ არსებობს ისეთი რამ, რასაც საზოგადოების ინტერესები ჰქვია - ფონზე, იგი აღიარებს, რომ ინდივიდები რაციონალურად მოქმედებენ კერძო სიტუაციაში იმისათვის, რათა უზრუნველყონ პირადი სარგებლობის (მოგების) მაქსიმიზაცია და მინიმუმამდე შეამცირონ დანაკარგები. ყოველ ინდივიდს, მეტ-ნაკლებად, გააჩნია საკუთარი უპირატესობების სკალა და ამის შესაბამისად აკეთებს არჩევანს, თუ რა მოუტანს მას მაქსიმალურ კმაყოფილებას.

2. RAT-ის ვარიაციათა დიფერენცირება შესაძლებელია სამი კრიტერიუმის მიხედვით:

ა) რაციონალობაზე მოთხოვნის ხარისხი. RAT-ი ეყრდნობა მეტათეორიულ დაშვებას, რომ ინდივიდები მოქმედებენ რაციონალურად და ორიენტირებულნი არიან შედეგებზე, რომლებიც გამოხატავს თანხვედრას აქტორთა მიზნებს, ამ მიზნების გახორციელების შესახებ წარმოდგენას და მოქმედების რეალურ მსვლელობას შორის. ეს არის მიზან-რაციონალური მოქმედების ტიპი, რომლის სპეციფიკურ მახასიათებელს წარმოადგენს ოპტიმიზაციის იდეა: ინდივიდები ალტერნატივათა შორის არჩევანს ახორციელებენ ოპტიმალური გზით, ანუ მოცემული სიტუაციის და მათთვის ხელმისწვდომი რესურსების შესახებ ცოდნის საფუძველზე ახორციელებენ მეტ-ნაკლებად ზუსტ გამოთვლებს, რათა მაქსიმალურად გაზარდონ ხარგებლობა. იმ შემთხვევაში, როდესაც რაციონალური მოქმედება წარუმატებლობას განიცდის, RAT-ი გვთავაზობს მოქმედების სტრატეგიათა ვარიაციებს, თვით არჩე-

ვანის დიაპაზონის შეზღუდვის ჩათვლით, რათა შენარჩუნდეს პრაგმატული ინტერესების პრიმატი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, RAT-ი ავითარებს მხოლოდ ემპირიული რაციონალობის იდეას (მიზან-რაციონალურ მოქმედებას) და უარყოფს სუბსტანციურ რაციონალობას (ღირებულებით-რაციონალურ მოქმედებას), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინდივიდის მოქმედება არ იზღუდება შეფასებითი სტანდარტებით, ანუ არ იმართება მორალური, ესთეტიკური და ა.შ. ღირებულებების საფუძველზე.

RAT-ის ვერსიები განსხვავდება იმ თვალსაზრისით, რამდენად ალიარებენ მოქმედების რაციონალური გათვლის და სარგებლობის მაქსიმიზაციის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, დიფერენცირება ხდება ობიექტური და სუბიექტური რაციონალობის ვერსიებს შორის. ობიექტური რაციონალობის კონცეფციებში (RAT-ის ეკონომიკური ვერსიები) რაციონალობაზე "დაკვეთა" იღებს ფორმალურ ხასიათს, რაც დაკავშირებულია წინააღმდეგობის მოხსნის და ტრანზიტული ხასიათის ეკონომიკური თანამიმდევრობის მოთხოვნებთან. ეს ინტერპრეტაცია ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტორები ფლობენ საკუთარი რესურსების და კერძო სიტუაციების "სრულყოფილ ცოდნას" და მათემატიკურად ზუსტი გათვლების საფუძველზე იყენებენ საუკეთესო შესაძლებელ გზებს მიზანთა მისაღწევად. სუბიექტური რაციონალობის კონცეფცია (Simon-ის "შეზღუდული რაციონალიზმის" თეორია, Boudon-ის "კოგნიტური ფსიქოლოგია", პოპერის "სიტუაციური ლოგიკის ანალიზი" და სხვ.) ამოდის რეალიზმის პოზიციიდან და ამტკიცებს, რომ რაციონალობაზე მოთხოვნა არ შეიძლება იყოს ტრანზიტულობის მსგავსი დედუქცია და იგი გაცილებით ზუსტია. რაციონალობის იდეა ამ შემთხვევაში ის არის, რომ აქტორები ფლობენ შეხედულებებს და მისდევენ მოქმედებების მსვლელობას მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ამისათვის "კარგი მიზეზები" გააჩნიათ, თუმცა, ისინი შეიძლება ვერც კი აკმაყოფილებდნენ რაციონალიზმის უნივერსალურ სტანდარტებს და "ობიექტურად" შეცდომასაც კი წარმოადგენდეს. მაშასადამე "რაციონალურია" ის, რაც "დამაკმაყოფილებელია" და "ლოგიკურია" ემპირიული სიტუაციიდან გამომდინარე. ეს სხვა არაფერია, თუ არა "სიტუაციური ობიექტურობა". მკვლევრები (Goldthrope) მიიჩნევენ, რომ როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური რაციონალიზმის კოცეფციები გაუმართლებელი ცალმხრივობით ხასიათდება და არ არის დაცული ტაეტოლოგიებისაგან. კერძოდ, ობიექტური რაციონალიზმის პოზიცია არარე-

ალისტურად გამოიყურება და ემპირიულად დაუსაბუთებელია. იმ მოქმედებების შემთხვევაში, რომელიც არ შეესაბამება რაციონალობის სავალდებულო კრიტერიუმებს, "საკომპენსაციო" მცდელობები - მათი გამოცხადება "ანომალიებად" და "ნარჩენ კატეგორიად", ანდა ასეთი მოქმედებების "გარაციონალურების" მოთხოვნა - არადამაჯერებლად გამოიყურება. რაც შეეხება სუბიექტური რაციონალიზმის თვალსაზრისს, გადამწყვეტი კითხვა, რომელიც ჩნდება, არის ის, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული "კარგი მიზეზები", რაც წარმოადგენს მოქმედების რაციონალობის საკმარის მოტივაციას. ამ შემთხვევაში გახვიადება ხდება მოქმედების ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის (კერძოდ, "გულმოწყალების პრინციპის"). საბოლოო ჯამში, სუბიექტური განზრახვების პოზიციიდან მოქმედების დეტერმინაცია კონფლიქტში მოდის რაციონალობის იდეასთან. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ორივე - ობიექტური და სუბიექტური - რაციონალობის ხაზი ღიაა შემდგომი გადამუშავებისათვის და სოციოლოგებმა უნდა განავითარონ RAT-ის ვერსიები, რომლებიც დაფუძნებულია "შუალედური" რაციონალობის მოთხოვნებზე.

ბ) სიტუაციურ ან პროცედურულ რაციონალობაზე ფოკუსირება. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება იმას, რაციონალური არჩევანი უფრო მეტად სიტუაციურად დეტერმინირებულია თუ - ფსიქოლოგიურად. RAT-ის ეკონომიკურ ვერსიებში მოქმედების რაციონალობა გაიგება, როგორც საბაზრო სიტუაციაზე რეაქცია. საბაზრო სიტუაცია ავიწროვებს ალტერნატივათა დიაპაზონს, თუმცა, აქტორებს მაინც რჩებათ "ავტომატურად გაანგარიშებადი" არჩევანი, რომელიც უზრუნველყოფს სარგებლობის მაქსიმიზაციას. ეს პოზიცია ცნობილია "ბიჰევიორისტული" ეკონომიკის სახელწოდებით. RAT-ის სხვა ვერსიაში (Simon), პირიქით, აქცენტი აქტორის "სხეულის გარედან" გადაინაცვლებს "სხეულის შიგნით" და ყურადღების ცენტრში ექცევა ინდივიდის ინფორმაციის გადამუშავების და კალკულირების უნარები. არსებობს მესამე - შუალედური - ვერსიაც, რომელიც ცდილობს მოქმედებაზე როგორც სიტუაციური, ისე პროცედურული ზემოქმედების შეჯერებას. ეს მცდელობა ყველაზე სრულყოფილად გამოიხატა, ერთი მხრივ, "ახალი კოგნიტური ფსიქოლოგიის", როგორც "შემეცნების ახალი სოციოლოგიის" მოთხოვნაში (Boudon), ხოლო, მეორე მხრივ, "სიტუაციური ლოგიკის" (პოპერი) კონცეფციაში. პირველი ამტკიცებს, რომ მოქმედების არჩევანის პროცესში ჩართული ფსიქოლოგიური მექანიზმები უნდა აიხსნას სოციალური დეტერმინაციის გათვალისწინებით. რაც შეეხება

პოპერის თვალსაზრისს, იგი იღებს მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის მიმართ ვალდებულებას, თუმცა, ამავე დროს, შეურიგებელია "ფსიქოლოგიზმის" მიმართ. "სიტუაციური ლოგიკა" მოითხოვს, რომ რაციონალობის პოზიციიდან აქტორის კვლევა შემოიფარგლოს მინიმალური ფსიქოლოგიური დახასიათებით და ფოკუსირება მოხდეს ემპირიული სიტუაციის ობიექტურ ცოდნაზე ("სიტუაციურ ლოგიკაზე"), რომელზეც "დამაგრდება" აქტორთა სუბიექტური გაგება. ეს უზრუნველყოფს სიტუაციის ადექვატურად მოქმედებას, ანუ "პრაქტიკული სილოგიზმის" განხორციელებას, რაც რაციონალიზმის არსს წარმოადგენს.

სოციოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია RAT-ის იმ ვერსიების გაზიარება, რომლებიც აქცენტს უფრო მეტად სიტუაციურ, ვიდრე პროცედურულ, რაციონალობაზე სვამენ. სოციოლოგიური ახსნა ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული მოქმედი ინდივიდის ფსიქოლოგიაზე (უნარებზე). სოციოლოგიისათვის რელევანტურია ინდივიდის მოქმედების ის დონე, სადაც ანალიტიკური ხარისხი ინდივიდის უნარებიდან გადაინაცვლებს აგრეგატულ, ანუ მაკრო დონეზე, თუმცა, მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპზე გავლით. მაშასადამე, სიტუაციურ რაციონალობაზე აქცენტირება არ ნიშნავს, ამავე დროს ობიექტური რაციონალობის აღიარებას, არამედ ხორციელდება სუბიეტური რაციონალობის პირობებში. ამ დროს, რაციონალობა უმთავრესად შეზღუდულია ინფორმაციის ნაკლებობით და აქტორები მოქმედებენ სიტუაციურად ხელმისაწვდომი ცოდნის საფუძველზე.

RAT-ის მიერ "სიტუაციური დეტერმინიზმის" აღიარება მიუთითებს, რომ იგი ცნობს ინდივიდთა მოქმედებების მაკროსოციალური რეგულაციების არსებობას: რაციონალური არჩევანი იზღუდება სოციალური პირობებით (როლებით) და ინდივიდები მოქმედებენ სხვა ადამიანთა და ჯგუფთა ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, ეს ისევე ეგოისტური ინტერესების, ანუ უტილიტარიზმის საფუძველზე უნდა აიხსნას. დროთა განმავლობაში ადამიანები აცნობიერებენ, რომ იმ სიტუაციაში, როდესაც სხვა ინდივიდებზე დამოკიდებულები ხდებიან და უწევთ სხვისი რესურსების გაკონტროლება, თანამშრომლობა და ჯგუფის ინტერესებისათვის ზრუნვა წარმოადგენს რაციონალურ საშუალებას საკუთარი სარგებლობის მაქსიმიზაციისათვის.

გ) მოქმედების ზოგადი თუ სპეციფიკური თეორიის უზრუნველყოფა. ეს საკითხი დაკავშირებულია შეზღუდვებთან, რაც რაციონალური არჩევანის პოზიციიდან მოქმედების ახსნასთან არის დაკავშირებული. ეკონომიკური ვერსიების თანახმად, RAT-ის ფუნქცია უნ-

და განისაზღვროს სპეციფიკურად ეკონომიკური მოქმედებების ანალიზით, რომელიც გაითვალიწინებს მოქმედების მოტივაციას და/ან ინსტიტუციურ კონტექსტს. მოითხოვება, რომ ეკონომიკური ანალიზი შეეხოს, ერთი მხრივ, მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია სიმდიდრის მოპოვებაზე, მატერიალური საჭიროებების და სურვილების დაკმაყოფილებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მოქმედებებს, რომლებიც სრულდება ფულზე და ბაზარზე დამყარებულ ინსტიტუციურ გაცვლით ურთიერთობებში.

ამისაგან განსხვავებით, ზოგიერთი მოაზროვნე (L. Robbins) გაცილებით შორს მიდის, აცხადებს რა, რომ ეკონომიკური ანალიზი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მოქმედების კერძო სფეროებით, არამედ, საზოგადოდ, მოქმედებისათვის დამახასიათებელი ასპექტებით. მათი აზრით, ეს ანალიზი უნდა გამოიყენებოდეს ყოველთვის, როდესაც საკითხი დადგება მიზნების და საშუალებების ურთიერთობის შესახებ, უფრო კონკრეტულად, იმ საშუალებების მოწესრიგების შესახებ, რომელთაც კონკურენტული მიზნების დაკმაყოფილებისათვის ალტერნატიული დირებულება აქვს.

აღნიშნული ტენდენცია "ეკონომიკური იმპერიალიზმისაკენ" თავის კულმინაციას აღწევს მაშინ, როდესაც მოითხოვება (G. Becker), რომ RAT-ი როგორც უტილიტარული თეორია, უფლებამოსილია ახსნას მოქმედების ნებისმიერი მოდელი (მაგალითად, დანაშაული, ეკლესიაში სიარული, ან თვითმკვლელობა), რომელიც შეიძლება და უნდა განიხილებოდეს უტილიტარული თეორიის მოლოდინებიდან გამომდინარე. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს უპირატესობათა სტაბილური ქსელის შექმნას, აგრეთვე, სიტუაციების შესახებ ოპტიმალური ინფორმაციის დაგროვებას. როდესაც მოქმედება გადაიხრება უტილიტარული თეორიის მოლოდინებისაგან, არ არის ნაყოფიერი დასახმარებლად მივმართოთ ახსნას, რომელიც დაეფუძნება ირაციონალობის, კულტურული ტრადიციის, ღირებულებითი ვალდებულების, ღირებულებების გადაფასების და ა. შ. თვალსაზრისებს. დევიაციების შემთხვევაში საუკეთესო სტრატეგიას წარმოადგენს სიტუაციის ხელახალი ანალიზი, იმის აღიარებით, რომ მისი ზოგიერთი ასპექტი გაუგებარი დარჩა.

მკვლევრები (Goldthorpe, Carling), მიიჩნევენ, რომ, რამდენადაც RAT-ი უნდა შეეხოს სუბიექტურად რაციონალურ მოქმედებებს, იმის აღიარებით, რომ ფოკუსირება ხდება მოქმედების სიტუაციურ გაგებაზე - RAT-ი ჩაითვლება მოქმედების სპეციალურ თეორიად. თუმცა,

ამ შემთხვევაში თავს იჩენს კითხვა: ასეთი შეჭღუდვის პირობებში როგორ გავამართლოთ არარაციონალური მოქმედების არსებობა? გამოსავალი, რომელსაც RAT-ი გვთავაზობს, ეხმაურება მაქს ვებერის თვალსაზრისს "იდეალური ტიპების" შესახებ: როდესაც აღმოვაჩენთ, რომ რეალობა განსხვავებულია იმისაგან, რაც მოსალოდნელი იქნებოდა ინდივიდების რაციონალურად მოქმედების შემთხვევაში, შესაძლებელია დავაფიქსიროთ რეალური ქცევის არარაციონალური ასპექტები, ანუ გადახრის ზომა. ეს სხვა არაფერია, თუ არა რედუქციონიზმი რაციონალური ქცევის მოდელებზე.

3. RAT-ის აპოლოგეტები (Goldthorpe, Hollis) ცდილობენ ჩამოაყალიბონ ამ თეორიის პრივილეგირებულობის სამი ინდიკატორი: (1) რაციონალობის იდეა, რომლის საფუძველზე იქმნება მოქმედების ეტალონების ჯგუფი და მხოლოდ მათთან მიმართებაში ხდება შესაძლებელი არარაციონალური მოქმედებების ახსნა; (2) ჰერმენევტიკული ხასიათის პრივილეგია, რომელიც ნიშნავს, რომ სხვათა მოქმედებების უკეთესად გაგება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მოხდება მათი კონსტრუირება რაციონალურ მოქმედებებად; (3) ახსნასა (Erklaren) და გაგებას (Verstehen) შორის კავშირი, როდესაც მოქმედების რაციონალური ახსნა ამავდროულად მის გაგებასაც უზრუნველყოფს.

4. RAT-ს სხვადასხვა თვალსაზრისით აკრიტიკებენ: ა) ამ თეორიას ბრალს დებენ "რეალობისაგან გაქცევაში", ანუ რეალობის რედუცირებაში ერთ განმსაზღვრელ - რაციონალური არჩევანის - პრინციპზე. RAT-ი ხშირად არაფერს ამბობს აქტორთა მოქმედების რეალური მოტივების შესახებ, რომლებიც შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს რაციონალური გადაწყვეტილებისაგან (არჩევანისაგან). ეს არის იდეალური ტიპის რაციონალობის შემოტანა (ვებერის მსგავსად), რომლის "თარგზეც" აიხსნება ყველა მოქმედება; ბ) კრიტიკა მიმართულია RAT-ის შეჭღუდულობაზე, რამდენადაც იგი "სპეციალური" თეორიაა, რომელიც მოქმედებას ეხება მხოლოდ მოცემულ ვითარებებში, უპირატესობათა მოცემული ჩამონათვალის პირობებში. ეს ამ თეორიას სიტუაციაზე მიჯაჭვულს ხდის; გ) RAT-ის "სიტუაციური" ბუნება მას სტრუქტურული დეტერმინიზმის საზღვრებში აქცევს. ეს მჟღავნდება სიტუაციის მიმართ დაქვემდებარებაში არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ აქტორები მიყვებიან მოქმედების ყველაზე უფრო რაციონალურ კურსს, რომელსაც მათ კერძო სიტუაცია კარნახობთ, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ ინდ-

ივიდები ახდენენ ინტერაქციის განმეორებად ნიმუშებში ჩართული ნორმების ინტერნალიზებას და მოქმედებენ მათი მიხედვით. ეს არის პარსონსისეული გზა: ინდივიდებს უჭირავთ პოზიციები სიტუაციაში და მოქმედების კურსი მიყვება ამ პოზიციით განსაზღვრულ სოციალურ რეგულაციებს (ანუ, როგორც პარსონსი იტყვის, "სოციალურ როლებს"); დ) RAT-ი შეცდომით მიიჩნევს, თითქოს სოციალურ სამყაროში მხოლოდ ინდივიდები წარმოადგენენ აქტორებს. არსებობენ სხვა "სოციალური აქტორებიც": ბიზნეს-ფირმები, პოლიტიკური პარტიები, ხელისუფლების ორგანოები, რომელთა საქმე და მიზნები არ დაიყვანება მათი შემქმნელი ინდივიდების ურთიერთობებსა და მიზნებამდე; ე) RAT-ი, როგორც ინდივიდუალური "პორტფელის" თეორიის სახესხვაობა, მოქმედებას იკვლევს, როგორც მხოლოდ ინდივიდუალურ შეხედულებათა და სურვილთა პორტფელის (კოლექციის) პროდუქტს, რომელსაც აქტორი "დაატარებს" ერთი სიტუაციიდან მეორეში. იგი არ ითვალისწინებს იმას, რომ ბევრ სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას, ინდივიდები იყენებენ მსჯელობის (აზროვნების) სპეციალურ ხერხებს, რომელთაც ძალიან ცოტა, ან არავითარი შეხება არა აქვთ პერსონალურ სურვილებთან ან შეხედულებებთან. მაშასადამე, RAT-ი გვართმევს შესაძლებლობას, რომ თვალი მივადევნოთ მსჯელობის (აზროვნების) ტექნიკას, რომელსაც აქტორები იყენებენ.

ძირითადი ცნებები:

რაციონალური არჩევანი, რაციონალური მოქმედება, პროცედურული რაციონალობა, სიტუაციური რაციონალობა, სიტუაციური დეტერმინიზმი.

ძირითადი კითხვები:

• რა არის რაციონალური არჩევანის (მოქმედების) თეორიის არსი, რატომ უწოდებენ მას უტილიტარულ თეორიას?

• რაციონალური არჩევანის (მოქმედების) თეორიის განსხვავებული ვერსიები და მათი დიფერენცირების კრიტერიუმები.

• რაციონალობაზე მოთხოვნის კრიტერიუმი: ინსტრუმენტალური რაციონალობის ობიექტური და სუბიექტური განზომილებები და მათი შეფასება.

• რა შინაარსი მოიაზრება პროცედურულ ან სიტუაციურ რაცი-

ონალობაზე ორიენტაციის ქვშ?

• როგორ ხდება "სიტუაციური დეტერმინზმის" ფარგლებში ინდივიდუალური ქცევიდან (მიკრო-დონე) სოციალურ რეგულაციებზე (მაკრო-დონე) გადანაცვლება?

• რაციონალური არჩევანის (მოქმედების) თეორია: მოქმედების ზოგადი თუ სპეციალური თეორია?

• რატომ საყვედურობენ რაციონალური არჩევანის (მოქმედების) თეორიას რედუქციონიზმს - "გაქცევას რეალობისაგან"?

დამოწმებული ლიტერატურა

1. A b e l l, P. 1992: 'Is Rational Choice Theory a Rational Choice of Theory?' in J. S. Coleman and T.J. Fararo (eds) *Rational Choice Theory: Advocacy and Critique*, Newbury Park: Sage.

2. B e c k e r, G. 1976: *The Economic Approach to Human Behavior*, Chicago: Chicago University Press.

3. B o u d o n, R. 1994: *The Art of Self-Persuasion*, Cambridge, Polity Press.

4. C a r l i n g, A. 1986: 'Rational choice Marxism', New Left Review, no. 186, pp.24-62.

5. C o l e m a n, J. S. 1986: *Individual Interests and Collective Action*, Cambridge: Cambridge University Press.

6. C o l e m a n, J. S. 1990: *Foundations of Social Theory*, Cambridge, Mass.; Belknap Press.

7. C r a i b, I. 1992: *Modern Social Theory (From Parsons to Habermas)*, second edition, Bodmin, Cornwall.

8. E l s t e r, J. 1983a: *Explaining Technical Change*, Cambridge: Cambridge University Press.

9. E l s t e r, J. 1983b: *Sour Grapes*, Cambridge University Press.

10. E l s t e r, J. 1986: *Rational Choice*, Basil Blackwell, Oxford.

11. G o l d t h o r p e, J.H. 1998: 'Rational Action Theory for Sociology', *Sociology* Volume no. 49 Issue no. 2 June, London School of Economics.

12. H i n d e s s, B. 1988: *Choice, Rationality and Social Theory*, Unwin Hyman, London.

13. H i r s h, P., M i c h a e l s, S. and F r i e d m a n, R. 1987: ' "Dirty Hands" versus "Clean Models": Is Sociology in Danger of being Seduced by Economics?', *Theory and Society* , no.16, pp. 317-36.

14. H o l l i s, M. 1987: *The Cunning of Reason*, Cambridge: Cambridge University Press.

15. H o l l i s, M. 1994: *The Philosophy of Social Science*, Cambridge University Press.

16. P o p p e r, K. R. 1994: 'Models, Instruments and Truth' in *The Myth of the Framework*, London: Routledge.

17. P o p p e r, K. R. 1972: *Objective Knowledge*, Oxford: Clarendon Press.

18. P o p p e r, K. R. 1976: 'The Logic of the Social Sciences' in T. W. Adorno et. Al., *The Positivist Dispute in German Sociology*, London: Heinemann.
19. R o b b i n s, L. 1932: *The Nature and Significance of Economic Science*, London: Macmillan.Simon, H. A. 1982: *Models of Bounded Rationality*, Cambridge, Mass.: MIT Press.
20. S i m o n, H. A. 1983: *Reason in Human Affairs*, Oxford: Blackwell.
21. П о п п е р, К. 1992: Открытое Общество и Его Враги, Т 1-2. Москва.
22. А б е р к р о м б и, Н., Х и л л, С., Т е р н е р С. Б. 1999: Социологический Словарь. Москва, Экономика.

V სიმბოლური ინტერაქციონიზმი: სოციალური მოქმედება, როგორც "როლების ათვისების" პროცესი

1. შ ე ს ა ვ ა ლ ი: სიმბოლური ინტერაქციონიზმის ძირითადი პრინციპები

სიმბოლური ინტერაქციონიზმი წარმოიშვა როგორც ფუნქციონალიზმის და სოციალურ სისტემათა თეორიის - განსაკუთრებით, პარსონსის სტრუქტურული ფუნქციონალიზმის - ალტერნატივა. პარსონსის სოციალური მოქმედების თეორიაში სოციალური აქტორი მიზნებსა და საშუალებებს შორის არჩევანს ახორციელებს სოციალური ნორმების და კულტურული ღირებულებების საფუძველზე, რომელთა ინტერნალიზაციასაც ახდენს ინდივიდი სოციალიზაციის პროცესში. მართალია, პარსონსი იწყებს ერთეული აქტით და ინდივიდის ვოლუნტარიზმით, მაგრამ, საბოლოო ჯამში, პიროვნული სისტემა აღმოჩნდება დაქვემდებარებული სოციალური და კულტურული სისტემების მიმართ. როგორც ცნობილია, პარსონსი უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალური შინაარსისაგან განყენებულ სისტემურ მიდგომას და აყალიბებს ეტალონურ ცვლადებს, რომლებიც განსაზღვრავს სოციალურ მოქმედებას და ურთიერთობას საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ, სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს მაკროსოციოლოგიურ თეორიას უწოდებენ (იხ. Н. Смелзер, 1998: 23-4).

ამისაგან განსხვავებით, სიმბოლური ინტერაქციონიზმი ***მიკროსოციოლოგიური*** თეორიაა. იგი უარს ამბობს სისტემურ მიდგომაზე და ანალიზის ფოკუსირებას ახდენს ერთეულ აქტებსა და მათ შორის ინტერაქციაზე. ინტერაქციონიზმისათვის სოციალური სისტემა არსებობს მხოლოდ ინდივიდუალურ აქტებზე გავლით და მათგან დამოუკიდებლად ფიქციას წარმოადგენს.

სიმბოლური ინტერაქციონიზმი ჩამოყალიბდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში. მისი წარმოშობა დაკავშირებუ-

ლია ე.წ. "ჩიკაგოს სკოლასთან", რომელმაც რამდენიმე ახალ სოციოლოგიურ მიმართულებას დაუდო სათავე. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქის სოციოლოგია და სიმბოლური ინტერაქციონიზმი. ამ უკანასკნელის ძირითადი "არქიტექტორია" ჯორჯ ჰერბერტ მიდი, რომლის ნაშრევიც წარმოადგენს აღნიშნული მიმდინარეობის ყველაზე გავლენიან გამოხატულებას. არსებობს სიმბოლური ინტერაქციონიზმის სხვა ფორმებიც. მათ შორის აღსანიშნავია 'Iowa School' (მანფრედ კუნი), "როლების თეორია" (რალფ ტერნერი), "დრამატურგიული მიდგომა" (ერვინგ გოფმანი).

მოცემულ თავში განხილული იქნება ჯორჯ მიდის, ჯონ დიუის და ჰერბერტ ბლუმერის თვალსაზრისები.

ბლუმერი (1969: 2) ახასიათებს სიმბოლური ინტერაქციონიზმის *სამ* ძირითად წანამძღვარს:

1. ადამიანები საგნების მიმართ მოქმედებენ იმ ***მნიშვნელობების*** საფუძველზე, რომლებიც ამ საგნებს მათთვის აქვს. საგნები მოიცავს ყველაფერს, რისი აღნიშვნაც შესაძლებელია ადამიანურ სამყაროში: ფიზიკურ ობიექტებს (მაგ., ხეები, სკამები და ა.შ.); სხვა ადამიანებს (დედა, მაღაზიის მოხელე და სხვ.); ადამიანთა განსაზღვრულ კატეგორიებს (მეგობრები, მტრები და ა.შ.); ინსტიტუტებს (როგორიცაა მაგ., სკოლა ან მთავრობა); სახელმძღვანელო იდეებს (ინდივიდუალური დამოუკიდებლობა, პატიოსნება და ა.შ.); სხვათა საქმიანობებს (მათ ბრძანებებს და თხოვნას); სიტუაციებს (როგორიცაა მაგ., ინდივიდუალური შეჯახებები ყოველდღიურ ცხოვრებაში).

2. საგანთა მნიშვნელობები მიღებულია (წარმოქმნილია) ***სოციალური ინტერაქციებიდან***, რომელთაც ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ. სხვანაირად თუ ვიტყვით, საგანთა მნიშვნელობები წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული სოციალური ინტერაქციის პროდუქტს.

3. ეს მნიშვნელობები განიმარტება და მოდიფიცირდება ***ინტერპრეტაციული*** პროცესების წყალობით. ამ პროცესებს ინდივიდი იყენებს იმ საგნებთან მიმართებაში, რომლებსაც იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში ეჯახება.

მოკლედ დავახასიათოთ თითოეული წანამძღვარი:

1. ბლუმერის აზრით, ერთი შეხედვით მარტივი თვალსაზრისი, რომ ადამიანები საგნების მიმართ მოქმედებენ მათთვის მინიჭებული ***მნი-***

შვნელობების საფუძველზე, იგნორირებულია ფსიქოლოგების და სოციოლოგების მიერ.[1] მნიშვნელობა ან განიხილება როგორც ის, რაც თავისთავად ნაგულისხმევია და, ამდენად, არ იმსახურებს ყურადღებას, ანდა ის მიიჩნევა მხოლოდ როგორც ნეიტრალური მაკავშირებელი, ერთი მხრივ, იმ ფაქტორებს, რომლებიც ადამიანის ქცევებს განსაზღვრავს და, მეორე მხრივ, იმ ქცევას შორის, რომელიც ამ ფაქტორების შედეგს წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში არსებობს ტენდენცია, რომ ადამიანის ქცევა იკვლიონ როგორც განსხვავებული ფაქტორების პროდუქტი. ფსიქოლოგებსა და სოციოლოგებს შორის განსხვავება მხოლოდ ფაქტორების არჩევანშია. ფსიქოლოგები აქცენტს სვამენ ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა სტიმულები, დამოკიდებულებები, ცნობიერი და არაცნობიერი მოტივები, წარმოდგენები და კოგნიციები და ა.შ. რაც შეეხება სოციოლოგებს, ისინი ნდობას უცხადებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სოციალური პოზიცია, სტატუსური ვალდებულებები, სოციალური როლები, კულტურული სტანდარტები, ნორმები და ღირებულებები, სოციალური ზემოქმედება და ა.შ. ორივე შემთხვევაში ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ახსნა იგნორირებას ახდენს საგანთა მნიშვნელობების და ქცევას განიხილავს, როგორც კერძო ფაქტორების ზემოქმედების პროდუქტს.

სიმბოლური ინტერაქციონიზმის პოზიცია, ბლუმერის (1969: 3) თანახმად, პრინციპულად განსხვავებულია: ათვლის წერტილს ამ შემთხვევაში წარმოადგენს საგანთა მნიშვნელობები, რომლებსაც ისინი ინდივიდებისაგან იძენენ.

2. რაც შეეხება მეორე ძირითად წანამძღვარს, რომელიც საგანთა მნიშვნელობების წარმოშობის წყაროს ეხება, ამ შემთხვევაში, არსებობს ორი ტრადიციული მიდგომა. ერთი მიდგომის თანახმად, მნიშვნელობა ჩაითვლება საგნების მიმართ ***შინაგანად*** (Intrinsic), როგორც საგანთა ობიექტური შემადგენლობის ბუნებრივი ნაწილი. მაგალითად, სკამი არის სკამი თავისთავად, ღრუბელი არის ღრუბელი თავისთავად და ა.შ. წარმოადგენს რა საგნის ხელშეუვალ (ობიექტურ) მახასიათებელს, მნიშვნელობა საჭიროებს მხოლოდ გამოცალკევებას (გამოთავისუფლებას) ობიექტურ საგანზე დაკვირვების მეშვეობით. მნიშვნელობა ემანირებს საგნიდან და საჭიროა მხოლოდ გაცნობიერება, რომ იგი არსებობს საგანში. როგორც ბლუმერი (1969: 4)

[1] ბლუმერს მხედველობაში აქვს XX ს. პირველი მეოთხედის ამერიკული ფსიქოლოგია და სოციოლოგია.

აღნიშნავს, მსგავსი მიდგომა ეხმიანება ფილოსოფიაში "რეალიზმის" სახელით ცნობილ პოზიციას, რომელიც იდეათა ობიექტურ არსებობას ამტკიცებს. მეორე ტრადიციული მიდგომის თანახმად, მნიშვნელობა ჩაითვლება როგორც საგანზე ფსიქიკური "დამატება", რომელიც მასში ინდივიდს შეაქვს. ეს დამატება წარმოადგენს ინდივიდის ფსიქიკური ორგანიზაციის შემადგენელ ელემენტებს: შეგრძნებებს, გრძნობებს, იდეებს, მეხსიერებას, მოტივებს და დამოკიდებულებებს ("ატიტუდებს"). საგნის მნიშვნელობა არის სწორედ ამ ელემენტების გამოხატულება.

სიმბოლური ინტერაქციონიზმი, ბლუმერის თანახმად, მნიშვნელობას იკვლევს, როგორც წარმოშობილს სრულიად განსხვავებული წყაროდან, ვიდრე ეს შეიძლება იყოს საგანთა შინაგანი ბუნების ემანაცია, ანდა პიროვნების ფსიქოლოგიურ ელემენტებთან გაერთიანება. ნაცვლად ამისა, ინტერაქციონიზმი ამტკიცებს, რომ ***მნიშვნელობა წარმოიშობა ადამიანებს შორის ინტერაქციის პროცესში***. ინდივიდისათვის საგნის მნიშვნელობა ამოიზრდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი ადამიანი მოქმედებს მეორეს მიმართ საგნის მხედველობაში მიღებით. ამ დროს ინდივიდი ოპერირებს მოქმედებებით, რათა განსაზღვროს საგანი პიროვნებისათვის. ამრიგად, სიმბოლური ინტერაქციონიზმი მნიშვნელობას განიხილავს როგორც სოციალურ პროდუქტს, რომელიც ფორმირდება ინტერაქციაში ჩართულ ადამიანთა განსაზღვრული საქმიანობების მეშვეობით.

3. რაც შეეხება მესამე წანამძღვარს, ბლუმერი (1969: 5) ამ შემთხვევაშიც მიუთითებს სიმბოლური ინტერაქციონიზმის თავისებურებაზე სხვა მიდგომებისაგან განსხვავებით. იმის ხაზგასმა, რომ საგანთა მნიშვნელობები ფორმირდება სოციალური ინტერაქციის კონტექსტში, არ ნიშნავს, რომ ინდივიდის მიერ საგანთა მნიშვნელობის გამოყენება საკუთარ მოქმედებაში არ წარმოადგენს უფრო მეტს, ვიდრე ***უკვე ჩამოყალიბებული (დადგენილი) მნიშვნელობების*** გამოწვევა და გამოყენებაა. ეს შეცდომა ბევრი მეცნიერის ხარვეზს წარმოადგენს. ისინი ვერ ხედავენ იმას, რასაც სიმბოლური ინტერაქციონიზმი ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს - ***ადამიანთა მიერ მნიშვნელობების გამოყენება საკუთარ ქცევაში შესაძლებელია მხოლოდ ინტერპრეტაციული პროცესის მეშვეობით***. ამ პროცესს აქვს *ორი* განსხვავებული საფეხური: ***პირველ*** საფეხურზე აქტორი თავისთვის აღნიშნავს იმ საგნებს, რომელთა მიმართაც ის მოქმედებს. ინდივიდი საკუთარ თავს მიუთითებს იმ საგნებზე, რომელთაც აქვს მნი-

შვნელობები. მსგავსი აღნიშვნების გაკეთება წარმოადგენს ინტერნალიზებულ სოციალურ პროცესს, რომლის დროსაც აქტორი ინტერაქციას ამყარებს (ურთიერთობს) საკუთარ თავთან. ეს ინტერაქცია საკუთარ თავთან, ბლუმერის აზრით, უფრო განსხვავებულია, ვიდრე ფსიქოლოგიური ელემენტების ურთიერთქმედება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პიროვნება ჩართულია საკუთარ თავთან კომუნიკაციის პროცესში. ***მეორე*** საფეხურზე, საკუთარ თავთან კომუნიკაციის პროცესის წყალობით, ინტერპრეტაცია წარმოდგება მნიშვნელობათა განმარტების პროცესის სახით. აქტორი არჩევს, ამოწმებს, ეჭვი შეაქვს, გადააჯგუფებს და სახეს უცვლის მნიშვნელობებს იმ სიტუაციის შესაბამისად, რომელშიც ის იმყოფება და იმ მოქმედების მიმართულებით, რომელსაც ასრულებს. შესაბამისად, ინტერპრეტაცია წარმოადგენს არა უბრალოდ ჩამოყალიბებულ (დადგენილ) მნიშვნელობათა ავტომატურ გამოყენებას, არამედ, ***ფორმაციის*** (შექმნის) პროცესს, რომელშიც მნიშვნელობები გამოიყენება და გადაისინჯება (გადამუშავდება) როგორც მოქმედების განხორციელების და მართვის ინსტრუმენტები. მაშასადამე, აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ მნიშვნელობები მოქმედებაში მონაწილეობს თვითინტერაქციის პროცესის საშუალებით.

ზემოთ აღნიშნული სამი წანამძღვრის საფუძველზე სიმბოლური ინტერაქციონიზმი განავითარებს (H. Blumer, 1969: 6) საზოგადოების და ადამიანის ქცევის ***ანალიტიკურ სქემას***. ეს სქემა მოიცავს საფუძველმდებარე იდეებს, ანუ, როგორც ბლუმერი უწოდებს, "ფესვ-ხატებს" ("root images"). მათ შორის მოიაზრება შემდეგი: ა) ადამიანთა ჯგუფები ან საზოგადოებები; ბ) სოციალური ინტერაქცია; გ) ობიექტები; დ) ადამიანი როგორც აქტიორი; ე) ადამიანის მოქმედება და მოქმედების ხაზების ურთიერთკავშირი. ერთად აღებული, ეს "ფესვ-ხატები" წარმოადგენს იმ გზას, რომლის საშუალებითაც სიმბოლური ინტერაქციონიზმი განიხილავს საზოგადოებას და ადამიანის ქცევას.

მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

ა) ***ადამიანთა ჯგუფები ან საზოგადოება.*** ჯგუფი შედგება ადამიანებისაგან, რომლებიც ჩართულნი არიან მოქმედებაში. მოქმედება შედგება მრავალრიცხოვანი აქტებისაგან, რომელთაც ინდივიდები მიმართავენ. ჯგუფის წევრთა ყოველდღიური ცხოვრების გზები გადაკვეთს ერთმანეთს, რაც სხვადასხვა დაპირისპირებულ სიტუაციას

წარმოქმნის. ინდივიდებს შეუძლიათ იმოქმედონ მარტო, კოლექტიურად, ანდა, სხვა ჯგუფის სასარგებლოდ. აქედან ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: ადამიანთა ჯგუფები ან საზოგადოება არსებობს *მხოლოდ* მოქმედებაში და დანახულ უნდა იქნეს მხოლოდ მოქმედების მნიშვნელობით. ბლუმერი მიიჩნევს, რომ საზოგადოების ასეთი სურათი ამოსავალი უნდა იყოს ნებისმიერი სქემისათვის, რომელიც მიზნად ისახავს, ემპირიულად იკვლიოს და გაანალიზოს საზოგადოება. საზოგადოების ნებისმიერი გაგება - საზოგადოება როგორც კულტურა და როგორც სოციალური სტრუქტურა - უნდა დაეყრდნოს იმ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოებულია ადამიანთა ერთმანეთის მიმართ ემპირიული მოქმედების საფუძველზე. ნებისმიერი ემპირიულად ვალიდური სქემა შეთავსებადი უნდა იყოს ადამიანთა სოციალური მოქმედების ბუნებასთან.

ბ) ***სოციალური ინტერაქციის ბუნება.*** ბლუმერი (1969, 7) თვლის, რომ ჯგუფის ცხოვრება აუცილებლად გულისხმობს ჯგუფის წევრებს შორის ინტერაქციას. ეს ზუსტად იგივეა თუ ვიტყვით, რომ საზოგადოება შედგება ერთმანეთთან ინტერაქციაში მყოფი ინდივიდებისაგან. სიმბოლური ინტერაქციონიზმისათვის სოციალური ინტერაქციის მნიშვნელობა ისაა, რომ იგი წარმოადგენს პროცესს, რომელიც ***აყალიბებს*** (ქმნის) ადამიანის ქცევას, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ იყოს ადამიანთა ქცევის რელიზაციისა და გამოხატვის საშუალება. მარტივად რომ ითქვას, ერთმანეთთან ინტერაქციის პროცესში ჩართულ ადამიანებს უხდებათ მხედველობაში იქონიონ ის, თუ რას აკეთებენ სხვები და საკუთარი ქცევა მიმართონ, ანდა თავიანთი სიტუაციები მართონ სხვათა ქმედებების გათვალისწინებით. ამრიგად, სხვათა საქმიანობები წარმოადგენს პოზიტიურ ფაქტორს ინდივიდებისათვის საკუთარი ქცევის ფორმაციის პროცესში. სხვათა ქცევების პირისპირ ინდივიდმა შეიძლება უარი თქვას საკუთარ განზრახვებზე ან მიზნებზე, მოახდინოს მათი რევიზია, ეჭვი შეიტანოს ან შეამოწმოს, გააძლიეროს ან შეცვალოს ისინი. ინდივიდი იძულებულია, შეუსაბამოს ქცევის საკუთარი მსვლელობა სხვათა მოქმედებებს. ამაში მდგომარეობს სწორედ სოციალური ინტერაქციის არსი. აქედან გამომდინარე, ბლუმერი (1969: 9) ამტკიცებს, რომ სოციალურ ინტერაქციაში ჩართული ინდივიდები იძულებულნი არიან ***აითვისონ ერთმანეთის როლები.*** იმისათვის, რათა ინდივიდმა მიუთითოს სხვას, თუ რა გააკეთოს, მან ეს მითითება ამ "სხვის" თვალთახედვის გათვალისწინებით უნდა განახორციელოს. მოვიყვანოთ მაგალითი:

იმისათვის, რათა მძარცველმა თავის მსხვერპლს უბრძანოს ხელების თავს ზემოთ აწევა, მან უნდა "დაინახოს" მისი პასუხი იმ სახით, როგორც ამას მსხვერპლი აკეთებს. შესაბამისად, მსხვერპლმა მის მიმართ ნაბრძანები უნდა "დაინახოს" მძარცველის პოზიციიდან, ანუ იგი უნდა მიხვდეს მძარცველის განზრახვას და მის შემდგომ მოქმედებას. როლების ამგვარი ორმხრივი ათვისება წარმოადგენს კომუნიკაციის *sine qua non* და ეფექტურ სიმბოლურ ინტერაქციას.

გ) ***ობიექტთა ბუნება***. ბლუმერის თანახმად, სიმბოლური ინტერაქციონიზმი აღიარებს, რომ ის "სამყარო", რომელიც ადამიანებისათვის ანდა ჯგუფებისათვის არსებობს, შედგენილია "ობიექტებისაგან" და რომ ეს ობიექტები წარმოადგენს სიმბოლური ინტერაქციის პროდუქტს. ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაზეც შეიძლება მიეთითოს (indicated), რაც აღინიშნება, ანდა რასთანაც შეიძლება შეხება გვქონდეს - წიგნი, ღრუბელი, საკანონმდებლო ხელისუფლება, ბანკირი, რელიგიური დოქტრინა და ა.შ. მოსახერხებელია, ობიექტები დაიყოს ***სამ კატეგორიად*** (H. Blumer, 1969: 10-11): ა) ფიზიკური ობიექტები, როგორიცაა სკამები, ხეები და ა.შ. ბ) სოციალური ობიექტები, მაგალითად, სტუდენტები, სასულიერო პირები, პრეზიდენტი, დედა, მეგობრები და სხვ. გ) აბსტრაქტული ობიექტები, როგორიცაა მორალური პრინციპები, ფილოსოფიური დოქტრინები, ანდა სამართლის, ექსპლოატაციის, თანაგრძნობის და სხვ. იდეები. ნებისმიერი ობიექტის ბუნება გულისხმობს იმას, რომ იგი შეიცავს ***მნიშვნელობას***, რომელსაც ობიექტი ფლობს იმ ადამიანისათვის, რომლისთვისაც იგი ობიექტს წარმოადგენს. მნიშვნელობა ადგენს იმ ფასს, რომელზეც ინდივიდი "ხვდავს" ობიექტს, ემზადება მის მიმართ მოქმედებისათვის და შესაძლებლობა ეძლევა მასზე რეფლექსია მოახდინოს. ერთ ობიექტს შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს სხვადასხვა ინდივიდისათვის: ხე განსხვავებული ობიექტი იქნება ბოტანიკოსისათვის, ტყის მჩეხავისათვის, პოეტისათვის, მებაღისათვის. რას ნიშნავს, რომ ობიექტები სოციალური ინტერაქციის პროდუქტს წარმოადგენს? ბლუმერი ხაზს უსვამს, რომ ობიექტთა მნიშვნელობები ინდივიდისათვის წარმოიქმნება იმ სახით, როგორც ამას მისთვის განსაზღვრავენ ***სხვები***, ვისთანაც ინდივიდი ურთიერთობს. ამრიგად, სხვათა მითითებების (indications) საშუალებით ჩვენ ვსწავლობთ, რომ სკამი არის სკამი, რომ ექიმები გარკვეულ პროფესიას ფლობენ, რომ აშშ-ს კონსტიტუცია ლეგალური დოკუმენტია და სხვ. მხოლოდ ორმხრივი მითით-

ების შედეგად ჩნდება საერთო ობიექტები, რომელთაც აქვთ იგივეობრივი მნიშვნელობა ადამიანთა გარკვეული ერთობლიობისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბლუმერი (1969: 11-12) დაასკვნის: ა) ობიექტები გვაძლევს განსხვავებულ სურათს ადამიანთა გარემოს შესახებ. სხვანაირად, ადამიანური გარემო შედგება ***მხოლოდ*** იმ ობიექტებისაგან, რომელთაც ეს ადამიანები აღიარებენ და იცნობენ. ადამიანური გარემო არსებობს როგორც მნიშვნელობათა სამყარო, რომელსაც ობიექტები ფლობენ სწორედ ადამიანთა წყალობით. ამდენად, ადამიანებს და ჯგუფებს, რომლებიც ერთ სივრცით არეალში ცხოვრობენ, შესაძლოა, ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული გარემო ჰქონდეთ. ამას ბლუმერი სხვადასხვა "სამყაროში" ცხოვრებასაც უწოდებს; ბ) ობიექტები, მათი მნიშვნელობების გათვალისწინებით, უნდა განიხილებოდეს როგორც სოციალური ნაწარმოებნი (შემონაქმედნი), რამდენადაც ისინი ფორმირდებიან ინტერპრეტაციის პროცესში, რომელიც ადამიანთა შორის სოციალური ინტერაქციის დროს მიმდინარეობს. ნებისმიერი ობიექტის მნიშვნელობა ექვემდებარება ფორმირებას, შესწავლას და გადაცემას მითითების სოციალური პროცესის წყალობით. ობიექტებს არა აქვთ რაიმე ***უცვლელი*** სტატუსი, ისინი "სტატუსს" - მნიშვნელობას იძენენ სწორედ მითითების და განსაზღვრის საშუალებით, ხოლო, ეს უკანასკნელი პროცესები რელატიურია და ცვალებადი. მაგ., ვარსკვლავი ცაში წარმოადგენს სრულიად განსხვავებულ ობიექტს თანამედროვე ასტროფიზიკოსისათვის, ვიდრე ის იყო, ვთქვათ, ბიბლიური დროის მწყემსისათვის; ქორწინება განსხვავებულ ობიექტს წარმოადგენდა გვიანდელი რომაელისათვის, ვიდრე ძველი რომის სახოგადოების წევრისათვის.

დ) ***ადამიანი როგორც მოქმედი სუბიექტი.*** ბლუმერის თანახმად, სიმბოლური ინტერაქციონიზმი აღიარებს, რომ ადამიანთა ბუნება უნდა შეესაბამებოდეს სოციალური ინტერაქციის ბუნებას. ადამიანი განხილულ უნდა იქნეს როგორც ორგანიზმი, რომელიც არა მხოლოდ არასიმბოლურ დონეზე უპასუხებს სხვებს, არამედ მითითებებს ახდენს სხვებზე და მათი მითითებების ინტერპრეტაციასაც ახდენს. როგორ ახერხებს ამას ადამიანი? ბლუმერი იმოწმებს ჯორჯ მიდს, რომლის მიხედვითაც, სოციალური ინტერაქციის შესაძლებლობას განაპირობებს ის, რომ ინდივიდები ფლობენ "***თვითობას***" ('self'). ეს, უბრალოდ, ნიშნავს იმას, რომ ადამიანს შეუძლია იყოს საკუთარი თავის ობიექტი: შეუძლია შეიმეცნოს (გააცნობიეროს) საკუთარი

თავი, მაგალითად, რომ იგი არის მამაკაცი, ახალგაზრდა, სტუდენტი, მაღალი ფენის ოჯახის წარმომადგენელი, ექიმობის პროფესიის დაუფლების მოსურნე და ა.შ. ყველა ამ შემთხვევაში ინდივიდი არის საკუთარი თავის ობიექტი, მოძრაობს საკუთარი თავის მიმართულებით და საკუთარ თავს აკონტროლებს სხვებთან მიმართებაში. მაგრამ, საკუთარი თავის ობიექტად ყოფნა შესაძლებელია მხოლოდ სოციალური ინტერაქციის წყალობით. უფრო ზუსტად: იმისათვის, რათა გახდეს საკუთარი თავის ობიექტი, ინდივიდმა იგი უნდა დაინახოს "***გარედან***", ანუ, საკუთარი თავი უნდა ჩააყენოს ***სხვათა პოზიციაში*** და ამ პოზიციიდან "შეხედოს" საკუთარ თავს. ეს სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდის მიერ ***სხვათა როლების*** ათვისების პროცესი.[2] ბლუმერი (1969: 13-14) კიდევ ერთი კუთხით ახასიათებს ინდივიდის მიერ საკუთარ თავთან ურთიერთობის ფენომენს: თვითინტერაქცია არსებობს როგორც საკუთარ თავზე მითითებების გაკეთების და ამ მითითებებზე პასუხის გაცემის პროცესი. რაიმეზე მითითებების გაკეთება, როგორც ადრე გავარკვიეთ, ამ რაიმეს ობიექტად ყოფნას გულისხმობს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ყოველთვის შეიცავს მნიშვნელობას. შესაბამისად, საკუთარ თავზე მითითება, მისთვის რაიმე მნიშვნელობის მინიჭებას გულისხმობს, ეს კი სხვათა როლების ათვისების საშუალებით ხორციელდება.

ე) ***ადამიანის მოქმედების ბუნება***. ბლუმერის თანახმად, ადამიანის უნარი, მიუთითოს საკუთარ თავზე, სპეციფიკურ დატვირთვას აძლევს მის მოქმედებას. ინდივიდის მოქმედება არ არის უბრალოდ პასუხი მასზე მოქმედი ფაქტორების ზემოქმედებაზე. ინდივიდი მუდმივად უპირისპირდება იმ სამყაროს, რომლის ინტერპრეტაციაც უნდა განახორციელოს. ინტერპრეტაციის პროცესში იგი ეჯახება სიტუაციებს, რომელშიც უწევს მოქმედება, ახდენს რა სხვათა მოქმედებების მნიშვნელობების განსაზღვრას და მოქმედების საკუთარი ტხის დაგეგმვას. ამდენად, ინდივიდი იძულებულია, "ააგოს" და გაუძღვეს საკუთარ მოქმედებას და არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ ზემომქმედ ფაქტორებზე რეაქციებით. ადამიანის მოქმედება მხედველობაში იღებს განსხვავებულ საგნებს, რომელთაც იგი აღნიშნავს და ქცევის იმ გეზს, რომლის საფუძველზეც ახდენს საგანთა ინტერპრეტაციას. საგნები, რომელთაც ინდივიდი მხედველობაში იღებს, შეესაბამება მის სურვილებს, მიზნებს, მიზანთა მიღწევის არსებულ საშუალებებს,

[2] ამ პროცესს და, საერთოდ, "თვითობის" თავისებურებებს უფრო დაწვრილებით მოგვიანებით განვიხილავთ, როდესაც ჯ. მიდის კონცეფციას შევეხებით.

სხვათა ნავარაუდევ მოქმედებებს, ინდივიდის წარმოდგენას საკუთარ თავზე და მოქმედების მოცემული ფზის მოსალოდნელ შედეგებს. ადამიანის ქცევა ფორმირდება და იმართება მითითების და ინტერპრეტაციის პროცესების წყალობით. ამ პროცესში მოქმედების ესა თუ ის ფზა იწყება, ან, პირიქით, წყდება, გადაიდება, შეიცვლება და ა. შ.

ადამიანის მოქმედების შესახებ ეს თვალსაზრისი თანაბარი წარმატებით გამოიყენება ერთობლივი ან კოლექტიური მოქმედების შემთხვევაში, რომელშიც ადამიანთა განსაზღვრული რიცხვია ჩართული. ამ ტიპის მოქმედებები სოციოლოგიის ინტერესების სფეროში შემოდის ჯგუფური ქცევის, ინსტიტუტების, ორგანიზაციების და სოციალური კლასების სახით. სოციეტალური ქცევის მსგავსი დონეების ფარგლებში ინდივიდები ერთმანეთს უთანადებენ მოქმედებების მსვლელობას. ამ შემთხვევაში ინტერპრეტაციული პროცესი ხორციელდება მონაწილეების მიერ არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ ერთმანეთის ქცევებზე მითითებით.

3) ***მოქმედების ურთიერთკავშირი.*** როგორც აღინიშნა, ადამიანთა ჯგუფების არსებობის წესი გულისხმობს მოქმედების მსვლელობათა შესაბამისობას ერთმანეთთან, რასაც ჯგუფის წევრები ახდენენ. მოქმედების ფზათა მსგავსი შეერთება ქმნის "***ერთობლივ მოქმედებას***" - სხვადასხვა ინდივიდების განსხვავებულ ქცევათა სოციეტალურ ორგანიზაციას. ერთობლივ მოქმედებასთან საქმე გვაქვს, როდესაც ლაპარაკია, მაგალითად, ქორწინებაზე, სავაჭრო გარიგებაზე, საპარლამენტო დისკუსიაზე, ან საეკლესიო მომსახურებაზე. მსგავსად ამისა, შეიძლება ვილაპარაკოთ ერთობლივ მოქმედებაში ჩართულ კოლექტივებზე, მათი ინდივიდუალური წევრების იდენტიფიკაციის მოთხოვნის გარეშე. ასეთ კოლექტივებს წარმოადგენს ოჯახი, ბიზნესის კორპორაცია, უნივერსიტეტი, ერი და სხვ.

ბლუმერი (1969: 17-18) გვთავაზობს ***სამ*** დაკვირვებას, რომლებიც მოქმედების ურთიერთკავშირის იმ ფორმას ეხება, რაც ერთობლივ მოქმედებას აყალიბებს. ***პირველი*** ის არის, რომ ერთობლივი მოქმედება ***განმეორებადი და სტაბილურია***. საზოგადოებაში სოციალური მოქმედების დომინანტურ ნაწილს წარმოადგენს სწორედ ერთობლივი მოქმედების განმეორებადი მოდელები. უმრავლეს სიტუაციაში, როდესაც ადამიანები ერთმანეთის მიმართ მოქმედებენ, მათ აქვთ წინასწარ ჩამოყალიბებული გაგება იმისა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ თავად და იმისაც, თუ როგორ მოიქცევიან სხვა ადამიანები. საზოგადოების წევრები იზიარებენ საერთო და წინასწარ გან-

საზღვრულ მნიშვნელობებს, რომელთა დაცვის მოლოდინიც სხვა წევრთა მხრიდან არსებობს. შესაბამისად, ერთობლივი მოქმედების თითოეულ წევრს შეუძლია მართოს საკუთარი ქცევა საერთო მნიშვნელობების საფუძველზე. ცნებები "კულტურა" და "სოციალური წესრიგი" სწორედ ერთობლივი მოქმედების შინაარსს ატარებს. სოციოლოგიური სქემები ეყრდნობა რწმენას, რომ საზოგადოების არსებობის წესი გულისმობს ცხოვრების დადგენილი წესის მიყოლას, რომელიც ეფუძნება კანონების, ღირებულებების და სანქციების ნაკრებს. თუმცა, როგორც ბლუმერი მიუთითებს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ერთობლივი მოქმედების ფარგლებში არ წარმოიშობა ***ახალი*** სიტუაციები. ახლის წარმოშობა მუდმივი პროცესია, რომელსაც ყოველთვის ახლავს პრობლემები, რამდენადაც არსებული წესების მიმართ არაადეკვატურია. უფრო მეტი: იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე გვაქვს წინასწარ განსაზღვრულ და განმეორებად ერთობლივ მოქმედებასთან, მისი ყოველი ცალკეული შემთხვევა ხელახალ ფორმირებას (განახლებას) მოითხოვს აღნიშვნის და ინტერპრეტაციის პროცესების საშუალებით.

მოქმედებათა ურთიერთკავშირზე ***მეორე*** დაკვირვება, რაც ერთობლივ მოქმედებას აყალიბებს, ეხება (H. Blumer, 1969: 19) მოქმედებათა ***გაფართოებულ კავშირს*** (extended connection), რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ჯგუფის არსებობას. აქ იგულისხმება მოქმედების ფართო და კომპლექსური ქსელები, რომლებიც შეიცავს განსხვავებული ადამიანების განსხვავებულ მოქმედებათა ურთიერთკავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას. ამის მაგალითს წარმოადგენს შრომის განაწილების ქსელური მექანიზმი, რომელიც გაშლილია ფერმერის მიერ მარცვლეულის მოყვანიდან, ვიდრე მაღაზიაში პურის გაყიდვამდე. ასეთი ფართო ქსელი ადასტურებს, რომ ჯგუფის ცხოვრებას ***სისტემური*** ხასიათი აქვს.

მესამე დაკვირვება, ბლუმერის (1969: 20) თანახმად, ისაა რომ ერთობლივი მოქმედების ნებისმიერი შემთხვევა, ახლად ფორმირებული თუ დიდი ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებული, აუცილებლად წარმოიშობა ჯგუფის წევრთა წინა მოქმედებების ფონზე. ინდივიდები, რომლებიც ჩართულნი არიან ახალი ერთობლივი მოქმედების ფორმირებაში, ყოველთვის შეიარაღებულნი არიან ობიექტებით, მნიშვნელობების ნაკრებით და ინტერპრეტაციის სქემებით, რომლებსაც ისინი უკვე ფლობენ. ეს მათი გამოცდილებაა, როგორც წინა ერთობლივი მოქმედების პროდუქტი. ეს უკანასკნელი იქცევა იმ

კონტექსტად, რომელთანაც კავშირშია ახალი ერთობლივი მოქმედების ფორმირება. ყველაზე უფრო რადიკალურად განსხვავებულ და სტრესულ სიტუაციებშიც კი, როდესაც ინდივიდებს უწევთ განავითარონ ერთობლივი მოქმედების ახალი ფორმები, რომლებიც შესამჩნევად განსხვავდება იმისაგან, რაშიც ისინი ადრე იყვნენ ჩაბმულნი - გარკვეული კავშირები და უწყვეტობა მაინც არსებობს, რომელთა გათვალისწინების გარეშე ახალი ფორმების გაგება შეუძლებელია. ამრიგად, ბლუმერის აზრით, ერთობლივი მოქმედება ყოველთვის გამოხატავს არა მხოლოდ ჰორიზონტალურ კავშირებს ჯგუფის წევრთა ქმედებებში, არამედ, ***ვერტიკალურ*** კავშირებსაც წინა ერთობლივ მოქმედებებთან.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, ბლუმერი (1969: 20-21) ახდენს ***შეჯამებას***: სიმბოლური ინტერაქციონიზმი სახოგადოებას განიხილავს როგორც სოციალურ ცხოვრებას, რომელიც ურიცხვ მოქმედებათა პროცესების ასპარეზია. ამ პროცესის მონაწილე ინდივიდები მრავალრიცხოვან სიტუაციებში (რომლებთანაც უწევთ შეჯახება) განავითარებენ მოქმედების საკუთარ გეზს. თუმცა, აქტორები მონაწილეობენ ინტერაქციის ფართო პროცესში, რომელიც მათგან ითხოვს მოქმედების შეთანადებას სხვებთან. ინტერაქციის პროცესი მოიცავს სხვებზე მითითებების გაკეთებას და სხვების მიერ გაკეთებული მითითებების ინტერპრეტაციას. აქტორები ცხოვრობენ ობიექტთა სამყაროში და თავიანთ მოქმედებებში იმართებიან ამ ობიექტთა მნიშვნელობებით. ობიექტები ფორმირდება და ტრანსფორმირდება სოციალური ინტერაქციის პროცესში. ეს ზოგადი პროცესი დიფერენცირებულად უნდა განიხილებოდეს იმასთან კავშირში, რომ ადამიანები დაყოფილები არიან სხვადასხვა ჯგუფებად, ეკუთვნიან სხვადასხვა გაერთიანებებს და იკავებენ განსხვავებულ პოზიციებს. შესაბამისად, ისინი ერთმანეთთან დიფერენცირებულად ურთიერთობენ, განსხვავებულ სამყაროებში ცხოვრობენ და მნიშვნელობათა განსხვავებულ ნაკრებს იყენებენ საკუთარი მოქმედებების სახელმძღვანელოდ. ამის მიუხედავად, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ის, რასაც კოლექტივი და მისი საქმიანობა გულისხმობს. ეს შესაძლებელია აღნიშვნის და ინტერპრეტაციის პროცესების წყალობით.

2. სიმბოლური ინტერაქციონიზმი - სოციალური პრაქსისის თეორია?

თუ გავითვალისწინებთ მოქმედების თეორიების იმ კლასიფიკაციას, რომელიც მათ საკუთრივ სოციალური მოქმედების, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქსისის თეორიებად დაყოფს, ამ კლასიფიკაციის მომხრენი (I. J. Cohen), სიმბოლური ინტერაქციონიზმის მიდგომას მიიჩნევენ ***პრაქსისის*** თეორიის პირველ გამოკვეთილ ინდიკატორად. ამ პოზიციას შემდეგნაირად ასაბუთებენ (I. J. Cohen, 2000: 83-84): როდესაც ვებერი "მოქმედებას" განსაზღვრავს, როგორც სუბიექტური საზრისის მატარებელ ქცევას, ეს განსაზღვრება მხედველობაში არ იღებს ქცევის სხვა განზომილებას, კერძოდ, ქცევის ***შესრულებას*** (პერფორმაციას) ან ***ქმნადობას***. სოციალური მოქმედების თეორია ეხება იმას, თუ რა მნიშვნელობას გულისხმობენ, ან რას განიზრახავენ აქტორებში საკუთარ ქცევაში, ხოლო პრაქსისის თეორია ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ "აკეთებენ" აქტორები იმას, რასაც სჩადიან. მოქმედების მნიშვნელობის ნაცვლად, პრაქსისი აქცენტს სვამს მოქმედების მსვლელობაზე, პროცესზე.

დეკარტეს ცნობილი პრინციპიდან - "ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ" - მოყოლებული, მოქმედების სუბიექტური თეორიები გადაჭარბებულ პრივილეგიას ანიჭებენ ცნობიერებას (გონებას). პრაქსისის თეორიტოკოსებს სურთ დაასაბუთონ, რომ ადამიანის გონებას არ შეუძლია ჰქონდეს მოქმედების მართვის შეუზღუდავი და სუვერენული ძალაუფლება. ეს პოზიცია პირველად, ყველაზე გამოკვეთილი სახით სწორედ სიმბოლურ ინტერაქციონიზმში, კერძოდ, ჯონ დიუისთან და ჯორჯ ჰერბერტ მიდთან გამყოფავნდა. დიუი და მიდი პრაგმატისტები არიან. პრაგმატიზმის მიხედვით, სოციალური აქტორი, იმისათვის რათა იმოქმედოს, უნდა იყოს ***განსხეულებული*** (embodied). სწორედ ამას ივიწყებენ სოციალური მოქმედების თეორიტიკოსები, ამტკიცებენ რა, რომ გონება სხეულზე მეტია. პრაგმატისტებისათვის ამოსავალია არა "ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ", არამედ ის, რომ ინდივიდები მოქმედებენ მათი სხეულებით, რომელზეც რეაგირებს გარესამყარო, ხოლო გონება ახდენს ამ რეაქციის რეგისტრაციას და უპასუხებს მას. სხეული და გონება წარმოადგენს ორ განსხვავებულ ფაზას მოქმედების განვითარებაში.

პრაგმატული თეორია სოციალურ ქცევას "ამაგრებს" სიტუაციებ-

ზე. სიტუაცია წარმოადგენს კონტექსტს განსხვავებულ ქცევათა შესაძლებლობებისათვის. ეს სიტუაციები ინდივიდის სხეულებზე "გადის", უფრო ზუსტად, უკავშირდება ინდივიდის ორგანულ და კუნთოვან (მუსკულატურ) რეაქციებს, რომელთაც ინახავს მეხსიერება. ნებისმიერი სიტუაცია, რომელშიც კი აქტორი ერთვება, დაკავშირებულია სხეულებრივი რეაქციების - დაძაბულობის, აღგზნების, ყოყმანის, მგძნობელობის და ა. შ. - ნაკრებთან. ეს არის ე. წ. "წინაკოგნიტური" მოლოდინები იმისა, თუ რა მოხდება და როგორი იქნება ინდივიდის მოქმედება. მაგალითად, ლექტორი, როდესაც იგი აუდიტორიაში ლექციის წასაკითხად ემზადება, განიცდის ფიზიკურ შფოთვას (მოუსვენრობას). ანდა, მელომანი გრძნობს ფიზიკურ აღელვებას, ვიდრე მისი საყვარელი არიის შესრულება დაიწყება.

მაგრამ, როგორც თანამედროვე პრაგმატისტები (H. Joas, 1992: 133) მიუთითებენ, სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი წინაკოგნიტური მოლოდინები არ ასრულდეს. მაგალითად, ლექტორმა, რომელიც ელოდება აუდიტორიაში წარმატებით გამოსვლას, შესაძლოა, ფრუსტრაცია განიცადოს, რადგან თავისი ჩანაწერების წამოღება დაავიწყდა; მელომანს შეიძლება იმედი გაუცრუვდეს, რადგან მისი საყვარელი არია ცუდად შესრულდა. თუმცა, მოლოდინების იმედგაცრუება ხსნის ახალ შესაძლებლობებს ახალი ტიპის რეაქციებისათვის, რაც შემოქმედებითობის საფუძველს წარმოადგენს. პრაგმატისტები ამას "***სიტუაციურ შემოქმედებითობას***" ("stuated creativity") უწოდებენ. დავუბრუნდეთ იგივე მაგალითს: ლექტორმა შეიძლება ლექციის იმპროვიზაციას მიმართოს, ხოლო მელომანის რეაქცია წარმოდგენის მიმართ კრიტიკულ შენიშვნებში გამოიხატოს. შემოქმედებითობა თავს იჩენს სწორედ მაშინ, როდესაც მოცემულ სიტუაციაზე რუტინული რეაქციები არაადეკვატურად გამოიყურება და სიტუაციის მოულოდნელი განვითარება ინდივიდის გონებრივი და წარმოსახვითი უნარების დაძაბვას იწვევს ადეკვატური რეაქციის უზრუნველსაყოფად. ამგვარი განახლება (ანუ ახალ კალაპოტში "გადაწყობა") არ ხდება სხეულებრივი რეაგირებისაგან დამოუკიდებლად. ინდივიდი გრძნობს ფიზიკურ დაძაბულობას, როდესაც ქმედება არ არის მოლოდინის შესატყვისი, მისი სხეული ეძებს "გასაღებს" მოვლენათა ახალი განვითარებისათვის და გრძნობს შვებას, როდესაც მას დმოაჩენს. მაშასადამე "სიტუაციური შემოქმედებითობა" მოიცავს ორივეს - სხეულს და გონებას.

ისმის კითხვა: ის, რაც პრაგმატისტების მიერ მოქმედების

განსხვეულებაზე ითქვა, რა კავშირშია "სიმბოლური ინტერაქციონიზმის" თვალსაზრისთან? მიდი და დიუი ტერმინს "ინტერაქცია" რამდენადმე არაორთოდოქსული გზით იყენებენ. კერძოდ, ეს ტერმინი მათთან მოიხმარება გაცილებით ფართო (განზოგადებული) მნიშვნელობით, ვიდრე, ვთქვათ, ბლუმერთან, რომელიც ინტერაქციას მოიაზრებს, როგორც პირისპირ (face to face) ქცევას. დიუი და მიდი აღნიშნულ ტერმინს განიხილავენ როგორც "***შეგუების***" (accommodation) და "***ადაპტაციის***" სინონიმს და მისით აღნიშნავენ ყველა ტიპის არსებულთა შორის ურთიერთობას, დაწყებული ატომებიდან და უჯრედებიდან, ვიდრე საზოგადოების წევრებამდე (Dewey, 1925: 145). მაშასადამე, ინტერაქციის პროცესში ჩართულია როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური სამყაროს ძალები. ამ თვალსაზრისით, ინტერაქციის გაგება უახლოვდება ადაპტაციის ევოლუციური თეორიისათვის (დარვინი) დამახასიათებელ გაგებას, რომლის თანახმადაც ადამიანები, ისევე როგორც ხეებისმიერი სხვა სახეობები, ისწრაფვიან, განახორციელონ თავიანთი ქცევის ადაპტირება იმ ზომით, რომ მიაღწიონ სტაბილურ და კოორდინირებულ თანამშრომლობას ყველასთან, ვისთანაც მოცემულ სიტუაციაში უწევთ ურთიერთობა.

ინტერაქციის უნივერსალურობის დასამტკიცებლად მიდი (1934: 185) გვთავაზობს მაგალითს, რომელიც ააშკარავებს ურთიერთობას, რაც ადამიანსა და ბუნებრივ ძალებს შორის შეიძლება არსებობდეს: ინჟინერი, რომელიც აგებს ხიდს, ურთიერთობს, "საუბრობს" ბუნებასთან ისევე, როგორც სუბიექტი სუბიექტთან, განიცდის გარკვეულ ფიზიკურ ზეწოლას (ზემოქმედებას) და დაძაბულობას. ისინი მომდინარეობს ხიდისაგან, რაც სხვა არაფერია, თუ არა "პასუხი" (რეაქცია) ინჟინრის მოქმედებაზე. ინჟინრის მარეგულირებელი მოქმედებების კვალად, ხდება დაძაბულობის შენელება და ცვლილებების მიმართ შეგუება. საბოლოო ჯამში, ხიდისაგან გამოწვეული დაძაბულობა აღწევს იმ დონეს, რომელიც აკმაყოფილებს ინჟინერს და უზრუნველყოფს სტაბილურობას - ბუნებასთან კოოპერაციას. ცხადია, ამ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს სრულყოფილ ადამიანურ ინტერაქციასთან. ინჟინერი, როგორც აქტორი, უნდა განვასხვავოთ ხიდისაგან, როგორც ობიექტისაგან, რომელიც მოკლებულია რაიმე მენტალურ უნარს სიტუაციის გასაცნობიერებლად. ამდენად, ხიდის "რეაქცია" ინჟინრის ქმედებებზე წმინდა მექანიკური ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ინტერაქციასთან, რამდენადაც არსებობს ზემოქმედების და რეაგირების პროცესი, არსებობს

დაძაბულობის ფაქტორი და მისი მოხსნის ძალისხმევა, როგორც ინდივიდის მარეგულირებელი მოქმედება, რაც ადაპტაციის აუცილებელ დონეს უზრუნველყოფს. მაშასადამე, ინტერაქციის ცნება დიუისთან და მიდთან აღნიშნავს რეგულირების ყველა ფორმას და არა მხოლოდ იმ ფორმებს, რომლებშიც მარტოოდენ ცნობიერი რეაქციებია ჩართული.

რაც შეეხება წმინდა ადამიანურ ინტერაქციას, იგი ასეთად იქცევა ადამიანის ***მენტალური*** უნარების წყალობით, როგორიცაა განსჯა, წარმოსახვა, რეფლექსია და ა. შ. აღნიშნული უნარები უზრუნველყოფს განსხვავებულ სიტუაციებზე კონტროლს და მათი რეგულირების უნიკალურ შესაძლებლობებს. პრაგმატისტები ამას ინტერაქციის მენტალურ ფაზას უწოდებენ, როდესაც ქცევაში ჩართულია ცნობიერება (ეონება).

თუმცა, ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ინტერაქცია მხოლოდ ცნობიერ ხასიათს ატარებს და მის ფარგლებში არ მოიძებნება ადგილი ჩვეულებებისათვის (habits). ინტერაქციონისტები, ამ თვალსაზრისით, პრინციპულად ემიჯნებიან ვებერს. როგორც ადრე ვნახეთ, ვებერი ტრადიციულ მოქმედებას, რომელიც ხანგრძლივ ჩვევაზე დაფუძნებული ურთიერთობაა, "მძიმედ" მიაკუთვნებს სოციალური მოქმედების კატეგორიას და მას "სოციალურობის ზღვარზე" მყოფს უწოდებს. ამის მიზეზი კი, როგორც ცნობილია, ისაა , რომ, ვებერის აზრით, ჩვეულებები, შესაძლოა, შესრულდეს თავისთავად ნაგულისხმევი მნიშვნელობის ან ნახევრადცნობიერი განზრახვის ეზით. ეს კი სოციალურობისაგან გადახრას წარმოადგენს. როგორც მკვლევრები (I. J Cohen, 2000: 86) მიუთითებენ, დიუისაც აქვს პრობლემები ჩვეულების "უფლებამოსილებასთან" დაკავშირებით, მაგრამ ეს პრობლემები უფრო ***ნორმატიულია***, ვიდრე ანალიტიკური. კერძოდ, დიუი (1922: part I) ახდენს ჩვეულებების შერჩევას, მათ ნორმატიულ შეფასებას. შერჩევის და შეფასების პირობად აღებულია ის, თუ რამდენად უწყობს ხელს ესა თუ ის ჩვეულება სოციალური პირობების გაუმჯობესებას, რამდენად აძლევს იგი ბიძგს ისეთ შემოქმედებით ინოვაციებს, რომლებიც ფრუსტრირებული სოციალური ცხოვრების რეგულირებას წაადგება. აქედან გამომდინარე, დიუი უარყოფს მონოტონურ ჩვეულებებს (მაგ. დაზეპირების პრაქტიკა სკოლებში, ანდა საამწყობრო კონვეიერული წარმოება ინდუსტრიულ საზოგადოებაში), რომლებიც გზას ულობავს შემოქმედებით ინოვაციებს და აფერხებს პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული აზროვნების განვითარებას.

ამდენად, დიუს (1922: 31-2) ყურადღება გადატანილია ისეთ ჩვეულებებზე, რომლებიც წარმოადგენს არა მექანიკურ, არამედ დინამიკურ დისპოზიციებს, რაც ხელს უწყობს სოციალური ცხოვრების რეგულირებას. თუ ზოგადად შევაფასებთ, უნდა ითქვას, რომ დიუის თეორია, რეფლექსური ცნობიერების და ქცევითი ცვლილებების გარდა, ჩვეულებათა ციკლების შესახებ თეორიას წარმოადგენს. ადამიანები, უბრალოდ, მოკლებულნი არიან უნარს, რომ მოახდინონ მათ მიერ შესრულებული ყველა ქმედების რეფლექსია, თვალი მიადევნონ ყველა საქმიანობას, რომელსაც ისინი ქმნიან დროის გარკვეულ მონაკვეთში. სოციალური ცხოვრება შეუძლებელია ყოველთვის თავიდან იშვას რეფლექსური ცნობიერების გზით. კვლავწარმოების პროცესი ხშირად რუტინული, იმპლიციტურად ნაგულისხმევი პროცესია, რაც სწორედ ჩვეულებათა ნაკრებისაგან შედგება. როდესაც ხდება წყვეტა ჩვეულებათა შესრულებაში, ეს იწვევს მოლოდინების ფრუსტრაციას, რასაც ფსიქიკური სტრესი მოსდევს. თუმცა, დიუისათვის ამგვარი ვითარება სრულიად ნორმალურია და მისაღებიც, რამდენადაც იგი წარმოადგენს სტიმულს მენტალობისათვის ქცევითი ცვლილებების გასახორციელებლად. რასაკვირველია, სტრესულ სიტუაციებზე რეაქცია შეიძლება ემოციების მოზღვავებაში გამოიხატოს, ანდა მისი განეიტრალება მოხდეს, ვთქვათ, ნარკოტიკული საშუალებებით. მაგრამ, ამგვარ დევიაციებს უდავოდ აქვთ ალტერნატივა, რაც რაციონალური საშუალებებით ფრუსტრაციის ჩანაცვლებაში გამოიხატება.

ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რის გამოც სიმბოლურ ინტერაქციონიზმს პრაქსისის, ანუ პერფორმატორულ თეორიად მიიჩნევენ, უკავშირდება ***პროცესს,*** რასაც როლების ათვისება და საკუთარ თავთან ინტერაქცია გულისხმობს (ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი).

3. სიმბოლური ინტერაქცია - "როლების ათვისების" პროცესი

თუ დიუი ყურადღებას ამახვილებს, როგორ ერთვება რეფლექსური გონება ჩვეულებებში, მიდი უფრო მეტად აქცენტირდება პერსონალური ცნობიერების როლზე სოციალურ ინტერაქციაში. მიდის წინაშე (ისევე როგორც დიუისთან) დგას კითხვა: რა განაპირ-

ობებს წესრიგს ინტერაქციაში? მიდი (1934: 62-4) პასუხობს, რომ ადამიანები ერთმანეთის ქცევას არეგულირებენ მათთვის *მნიშვნელადი სიმბოლოებით*. ძირითადი სიმბოლოებია *სიტყვები* (მეტყველება). ენობრივი ნიშნები წარმოადგენს მნიშვნელადი სიმბოლოს იმ ტიპს, რომელიც ადამიანებს ცხოველებისაგან განასხვავებს. ცხოველები ერთმანეთთან კომუნიკაციას ამყარებენ ჟესტების მეშვეობით, რომელიც იმით განსხვავდება ადამიანთა შორის კომუნიკაციისაგან, რომ არ არის დაკავშირებული გაგების ფენომენთან. მოვიყვანოთ მაგალითი (I. Craib, 1992: 87): როდესაც ერთი ძაღლი მეორეს ულრენს და მეორე უკან იხევს, პირველი გამოხატავს აგრესიას, ხოლო მეორე - შიშს. მაგრამ აქ არ არსებობს ურთიერთგაგება. ამისაგან განსხვავებით, როდესაც ლექტორს სურს შენიშვნა მისცეს სტუდენტს, რომელიც მას ძალზე ბევრ დროს ართმევს, იგი არ უჩვენებს მას კბილებს და არ იღრინება, არამედ სტუდენტს უსხნის და იმედოვნებს, რომ სტუდენტი ამას გაიგებს. ცხოველის ქცევისაგან განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მნიშვნელადი სიმბოლო, ცხოველის ჟესტისაგან განსხვავებით, იწვევს იგივე რეაქციას ლექტორში, რასაც სხვაში.

ის, რომ ადამიანთა ინტერაქცია გაჯერებულია მნიშვნელადი სიმბოლოებით, არ ნიშნავს, რომ ინტერაქცია *მხოლოდ* სიმბოლური შეიძლება იყოს. მიდი განასხვავებს სოციალური ინტერაქციის ორ დონეს: ერთს იგი უწოდებს "ჟესტებით საუბარს", ხოლო მეორეს - "მნიშვნელადი სიმბოლოების გამოყენებას". ბლუმერი, რომელიც ახდენს მიდის ძირითადი პრინციპების გადმოცემას და ინტერპრეტაციას, აღნიშნულ ორ დონეს არასიმბოლურ და სიმბოლურ ინტერაქციებს უწოდებს (H. Blumer, 1969: 8, 65-6) *არასიმბოლური* ინტერაქციის დონეზე ინდივიდები პირდაპირ რეაგირებენ ერთმანეთის ჟესტებზე ან მოქმედებებზე. ამგვარი ინტერაქცია უმეტესად რეფლექტორულ (უნებლიე) რეაქციებში მჟღავნდება. მაგალითად, ასეთი რეაქცია აქვს ბოქსიორს რინგზე, როდესაც ავტომატურად მაღლა სწევს თავის მკლავს, რათა მოწინააღმდეგის დარტყმა მოიგერიოს. ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება სავსეა არასიმბოლური ინტერაქციებით, რამდენადაც მათ უწევთ დაუყონებლივ და არარეფლექსურად უპასუხონ ერთმანეთის სხეულებრივ მოძრაობებს, გამონათქვამებს, ხმის ტონს და სხვ. რაც შეეხება *სიმბოლურ* ინტერაქციას, ამ დროს ინდივიდები ავტომატურად კი არ რეაგირებენ სხვათა მოქმედებებსა და ჟესტებზე, არამედ ახდენენ მათ *ინტერპრეტაციას*,

ანუ აძლევენ მათ ***მნიშვნელობებს***. იგივე მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, თუ ბოქსიორი ახდენს რეფლექსიას იმაზე, რომ გამოიცნოს მოსალოდნელი დარტყმა, როგორც მოწინააღმდეგის გამიზნული ფანდი მის წინააღმდეგ, ეს უკვე სიმბოლური ინტერაქციაა. ამ შემთხვევაში ბოქსიორი ცდილობს, გამოარკვიოს დარტყმის მნიშვნელობა - ის, თუ რას გამოხატავს (ნიშნავს) დარტყმა მისი მოწინააღმდეგის გეგმის მიხედვით.

როგორც ბლუმერი (1969: 9) აღნიშნავს, მიდი სიმბოლურ ინტერაქციას განიხილავს, როგორც ჟესტების (სიმბოლოების) და ამ ჟესტების მნიშვნელობებზე პასუხის პრეზენტაციას. ***ჟესტი*** მიმდინარე მოქმედების ნებისმიერი ნაწილი ან ასპექტია, რომელიც გამოხატავს უფრო ფართო მოქმედებას (რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს). მაგალითად, მუშტის ქნევა წარმოადგენს შესაძლო თავდასხმის ინდიკატორს. ისეთი მოვლენები, როგორიცაა თხოვნა, ბრძანება, რეპლიკები, დეკლარაცია და ა. შ. წარმოადგენს ჟესტებს, რომლებიც ადამიანს გადასცემს (ატყობინებს) იმ აქტორის განზრახვას და შემდგომი მოქმედების გეგმას, რომელიც ამ ჟესტების პრეზენტაციას ახდენს. ეს უკანასკნელი იყენებს ჟესტებს როგორც ინდიკატორებს ან ნიშნებს იმისა, თუ რის გაკეთებას გეგმავს, ანდა რა სურს მას რესპონდენტისაგან. მეორე მხრივ, ინდივიდი, რომელიც პასუხს სცემს ამ ჟესტებს, ამას აკეთებს იმ საფუძველზე, თუ რა მნიშვნელობას ატარებენ ისინი მისთვის. ამრიგად, ჟესტებს აქვთ მნიშვნელობა ორივესათვის - ინდივიდისათვის, რომელიც მათ წარმოადგენს და ინდივიდისათვის, რომლის მიმართაც ისინი მიმართულია. როდესაც ჟესტს აქვს იგივეობრივი მნიშვნელობა ორივესათვის, ეს უზრუნველყოფს ინდივიდებს შორის ურთიერთგაგებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიდის დასკვნა, ისევ და ისევ, ასეთია: ურთიერთობის (ინტერაქციის) პროცესში ყოველი ადამიანი საკუთარ თავს ***სხვის პოზიციაში*** აყენებს. სხვანაირად რომ ითქვას, ინტერაქციის პროცესში გამოყენებულ სიმბოლოებთან დაკავშირებით არსებობს იმპლიციტური მოლოდინები: შემსრულებელი ელოდება, რომ მის მიერ გამოყენებულ ჟესტებზე სხვა (თანამონაწილე) რეაგირებას მოახდენს ეანსაზღვრული გზით. ამდენად, იგი იღებს (ითვალისწინებს) ***სხვის როლს***, როგორც გარკვეულად მოსალოდნელ ქცევას. პირუკუ, თანამონაწილეს ("სხვას") შეუძლია გამოიცნოს, თუ პასუხის (რეაქციის) რა ტიპი აქვს გონებაში პერფორმატორს. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს პერფორმატორისა და

თანამონაწილის დისპოზიციათა ერთგვაროვნებას. ეს არის კონცეპტუალური მოძრაობა, რომელიც აღნიშნავს უნიკალურ კომუნიკაციას სტიმულებსა და პასუხებს (რეაქციებს) შორის. როგორც ითქვა, ინტერაქციონისტები (G. Mead, 1934: 76) ამგვარ კომუნიკაციას ***მნიშვნელობის*** მქონეს უწოდებენ. უფრო ზუსტად: თუ სიმბოლო (ჟესტი), როგორც სტიმული, სხვა ორგანიზმის (თანამონაწილის) მიმართ აღნიშნავს ამ ორგანიზმის შემდგომ ქცევას, ეს ნიშნავს, რომ იგი მნიშვნელობის მქონეა. მაშასადამე, ურთიერთობა მოცემულ სტიმულს (ჟესტს) და სოციალური ქმედების მომდევნო ფაზებს შორის, როდესაც ჟესტი წარმოადგენს საწყის ფაზას, აყალიბებს მნიშვნელობის მქონე სფეროს. მიდი ასეთ ურთიერთობას ***სამფა*** (სამფა) მიმართებას უწოდებს, რომლის წევრებს ანუ მაკავშირებლებს წარმოადგენს: ა) ორგანიზმი, რომელიც იძლევა სიმბოლოს (ჟესტს) და, ამდენად, სტიმულს; ბ) სხვა ორგანიზმი, რომელიც პასუხობს (რეაგირებს) ამ სიმბოლოზე (ჟესტზე) და გ) სოციალური ქმედება, რომლის საწყის ფაზას წარმოადგენს სტიმული, ხოლო მომდევნოს - ამ სტიმულზე რეაქცია.

აღნიშნულ ტრიადას ბლუმერი (1969: 9) ასე ამარტივებს: 1. ჟესტი აღნიშნავს იმას, თუ რა უნდა გააკეთოს ინდივიდმა, ვისკენაც ეს ჟესტია მიმართული; 2. იგი გამოხატავს იმას, თუ რას გეგმავს ინდივიდი, რომელიც ამ ჟესტს იყენებს; 3. იგი გამოხატავს ერთობლივ მოქმედებას, რომელიც წარმოიშობა ორივე მხარის მოქმედებების შეერთების შედეგად. მივმართოთ მაგალითს: როდესაც მძარცველი თავის მსხვერპლს უბრძანებს, რომ ხელები მაღლა ასწიოს, მისი ეს ბრძანება (ჟესტი) წარმოადგენს: ა) იმის ინდიკატორს, თუ რა უნდა მოიმოქმედოს მსხვერპლმა; ბ) იმის ინდიკატორს, თუ რას გეგმავს მძარცველი (ანუ, წარმოადგენს მსხვერპლისათვის ფულის წართმევის მაჩვენებელს); გ) ამ შემთხვევაში ფორმირებული ერთობლივი მოქმედების - გაძარცვის - ინდიკატორს. თუ მნიშვნელობის სფეროს ამ სამ პარამეტრს შორის რომელიმე არასწორად იქნა გაგებული, კომუნიკაცია არაეფექტური ხდება, ინტერაქციას ხელი ეშლება და ერთობლივი მოქმედების ფორმირება ფერხდება. აღნიშნული სამფა ურთიერთობა ერთგვარი მატრიცაა, რომლის ფარგლებშიც ყალიბდება სწორედ მნიშვნელობის მქონე სოციალური ინტერაქცია და ის, რასაც ადამიანური - სუბიექტური სამყარო ქვია. მაგიდა, ობიექტურად, ხის ნაჭერია, მაგრამ ადამიანურ სამყაროში მას ენიჭება მნიშვნელობა, ანუ სიტყვა "მაგიდა" აღნიშნავს იმ როლს, რასაც იგი ასრულებს ინდივ-

იდთა ინტერაქციაში. ეს როლი სრულიად განსხვავებულია: მაგიდა ინდივიდთა მიერ გამოიყენება როგორც ის, რაზეც შეიძლება ისადილო, იმუშაო და ა. შ. ეს მნიშვნელობები შეიძლება შეიცვალოს და განვითარდეს, რაც, თავის მხრივ, ადამიანური სამყაროს შეცვლასა და განვითარებაზე მიუთითებს.

მიდი (1934: 77–81) ხაზს უსვამს იმას, რომ მნიშვნელობა უნდა განვასხვავოთ ***რეფლექსური*** აზროვნებისაგან. საქმე ისაა, რომ როდესაც მნიშვნელადი სიმბოლოები გამოავლენს ქცევის ხაზოგადოდ მოსალოდნელ ფორმებს, ქცევის მთელი პროცესი, შესაძლებელია, ***ჩვეულების*** სახით განხორციელდეს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა მხოლოდ ***ნაგულისხმევი*** სახით (tacitly) არსებობს გარემოში. მაშასადამე, ცნობიერება არ არის აუცილებელი იმისათვის, რომ მნიშვნელობა მონაწილეობდეს (არსებობდეს) სოციალურ პროცესებში (ამ შემთხვევაში მიდი ვებერის პოზიციაზე დგას). ნებისმიერ მოცემულ სოციალურ ქმედებაში ორგანიზმის რომელიმე ნაწილის ჟესტმა შეიძლება სხვა ორგანიზმის ნაწილის მხრიდან რეაქცია (პასუხი) გამოიწვიოს, როგორც პირველი ორგანიზმის ქმედების შედეგი. ყველაფერი ეს კი განხორციელდეს მანამდე, ვიდრე ამ პროცესში ჩაერთვება ცნობიერება (მაშასადამე, ვიდრე მნიშვნელობის მქონე ქცევა, ამავდროულად, გაცნობიერებულ ქმედებად იქცევა). სრულყოფილი სახით ამგვარი რამ ჩვეულებების სახით არსებულ მოქმედებებში ხორციელდება, როდესაც რეფლექსური აზროვნების სრული გადაფარვა ხდება.

თუმცა, აქ აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ერთი ფაქტორი, რაც მკვლევრების (I. J. Cohen, 2000, 87- 88) აზრით, მიდის ნააზრევის ბიოლოგიურ განზომილებას წარმოადგენს. კერძოდ, მიდის (1934: 98) თანახმად, რეფლექსურ, ინსტინქტურ თუ ნაგულისხმევ საფუძველზე წარმოქმნილ ქცევას აქვს ერთი ალტერნატივა, როდესაც ქცევის მადეტერმინირებელ პირობას წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის ***ფიზიოლოგიური*** მექანიზმები. ამ მექანიზმების წყალობით ადამიანის ჭკუა (inteligence), წინასწარი განზრახვით, რამოდენიმე ალტერნატიულ პასუხთა შორის (რომლებიც შესაძლებელია მოცემულ პრობლემურ გარემო სიტუაციაში) შეარჩევს ერთ რომელიმე პასუხს, რომელიც წარმოადგენს ამ პრობლემის ყველაზე ადეკვატურ და ჰარმონიულ გადაწყვეტას. ცენტრალური ნერვული სისტემის მიერ უზრუნველყოფილ რეაქციას მიდი უწოდებს – "დაგვიანებულ (შენელებულ) რეაქციას", როგორც დაპირისპირე-

ბულს უშუალო რეაქციისადმი. შესაძლო მომავალ რეაქციათა შორის არჩევითობა აუცილებლად გულისხმობს დაგვიანებულ რეაქციას. ამ-გავარი რეაქციის გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს ქცევაზე კონტროლი და მისი დეტერმინაცია. ცენტრალური ნერვული სისტემა უზრუნველყოფს სწორედ ამ პროცესისათვის აუცილებელ ფიზიოლოგიურ მექანიზმებს, რომლებიც აკონსტიტუირებს ჭკუას (intelligence). ეს უკანასკნელი, არსებითად, წარმოადგენს უნარს, რომ მოცემული ქცევის პრობლემები გადაიჭრას მისი მომავალი შესაძლო შედეგების გათვალისწინებით, რაც, თავის მხრივ, წარსული გამოცდილების გათვალისწინებას გულისხმობს. მიდი (1934: 100) წერს, რომ ეს უნარი მოიცავს როგორც წარსულის მეხსიერებას, ისე მომავლის წინასწარგანჭვრეტას. დაგვიანებული რეაქცია, როგორც ალტერნატიული რეაქცია, თავს იჩენს მაშინ, როდესაც ხდება მნიშვნელად სიმბოლოებზე სახოგადოდ გასაგები პასუხების ბლოკირება, რაც გამოწვეულია თანამონაწილის წარუმატებლობით პასუხი გასცეს სტიმულებს მოსალოდნელი გზით. ცენტრალური ნერვული სისტემა ნებას დართავს ინდივიდს, გაითვალისწინოს მის მიმართ სხვათა დამოკიდებულება ("ატიტუდი") და აქციოს იგი საკუთარ ობიექტად. ეს სხვა არაფერია, თუ არა ქცევის მიზნობრივი (purposive) ელემენტი. მიდი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ამ ელემენტს ფიზიოლოგიური საფუძველი აქვს და არააუცილებელია, იგი იყოს ცნობიერი ან ფსიქიკური მოტივაცია, როგორც ამას ტრადიციული მიდგომა გვთავაზობს.

4. თვითობა: "me" და "I"

როგორც ითქვა, სოციალური ინტერაქციის პროცესში "წარმოებული" მნიშვნელობები მოდიფიცირდება და განიმარტება ინტერპრეტაციული პროცესების საშუალებით, რასაც ყოველი ინდივიდი მიმართავს მაშინ, როდესაც აწყდება გარკვეულ წინააღმდეგობებს. ინტერაქცია ორი ტიპის კომუნიკაციას, "საუბარს" გულისხმობს. "გარეგანი საუბარი" ეს არის ინტერაქციის პროცესი, როდესაც ინდივიდები, სხვებთან ერთად, ქმნიან თანახიარ სამყაროს. მაგრამ, როდესაც მნიშვნელადი სიმბოლოები გადაყვანილია ინდივიდუალური ქცევის "რეჟიმში", ამას მიდი (1934: 167) "***თვითობას***" ("self") უწოდებს. როგორც ბლუმერი (1969: 62) აღნიშნავს, როდესაც მიდი ამტკიცებს, რომ ადამიანს აქვს თვითობა, იგი უბრალოდ

გულისხმობს, რომ ადამიანი არის ***საკუთარი თავის ობიექტი***. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია ჩაწვდეს (percieve) საკუთარ თავს, ჰქონდეს წარმოდგენები საკუთარი თავის შესახებ, იქონიოს კომუნიკაცია საკუთარ თავთან და იმოქმედოს საკუთარი თავის მიმართულებით. საბოლოო ჯამში, ეს არის ინტერაქცია საკუთარ თავთან - მიმართვა საკუთარ თავზე, პასუხი ამ მიმართვაზე და ხელახალი მიმართვა. ასეთი თვითინტერაქცია იღებს საკუთარ თავზე მითითებების ფორმას ამ მითითებებზე რეაგირებას. ინდივიდს შეუძლია განსაზღვროს საგნები თავისთვის - თავისი სურვილები, ტკივილი, მიზნები, მის გარშემო არსებული საგნები, სხვათა არსებობა, მათი მოქმედებები და ა.შ. საკუთარ თავთან შემდგომი ინტერაქციით, მას შეუძლია განსაჯოს, გაანალიზოს და შეაფასოს ის საგნები, რომლებიც მან თავისთვის განსაზღვრა. საკუთარ თავთან ინტერაქციის გაგრძელებით, მას შეუძლია დაგეგმოს და ორგანიზება გაუკეთოს თავის მოქმედებას იმის გათვალისწინებით, თუ რა განსაზღვრა და შეაფასა. მაშასადამე, თვითობის ქონა უზრუნველყოფს ადამიანს თვითინტერაქციის მექანიზმით, რომელიც გამოიყენება მისი ქცევის ფორმირებასა და მართვაში.

ხასგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, მიდის თანახმად, სხვა ობიექტთა მსგავსად, თვითობა როგორც "თვით-ობიექტი" ჩნდება ***სოციალური ინტერაქციის*** პროცესში, რომლის დროსაც ***სხვა*** ადამიანები განსაზღვრავენ პერსონას თავისთვის. ეს არის იგივე გზა, რასაც მიდი "როლების ათვისების" მექანიზმს უწოდებს. კერძოდ, იმისათვის, რომ გახდეს ობიექტი თავისთვის, ინდივიდმა საკუთარი თავი გარედან უნდა დაინახოს. ამის გაკეთება კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ინდივიდი საკუთარ თავს ჩააყენებს სხვათა პოზიციაში და ამ პოზიციიდან განიხილავს საკუთარ თავს ან იმოქმედებს საკუთარი თავის მიმართულებით.

ის როლები, რომელთაც ინდივიდი ითვისებს, შეიძლება კლასიფიცირდეს ***სამ*** კატეგორიად (G. Mead, 1934: 158-61): 1. ცალკეულ ინდივიდთა როლები. ეს არის "თამაშის საფეხური" ("play stage"); 2. ცალკეულ ორგანიზებულ ჯგუფთა როლები. ეს არის "ერთობის საფეხური" ("game stage"); 3. აბსტრაქტული ერთობის როლები ("გენერალიზებული სხვა"). აღნიშნული როლების მიღებით ინდივიდი იმყოფება პოზიციაში, რომელიც საშუალებას აძლევს, მიმართოს ან მიუახლოვდეს საკუთარ თავს. მაგალითად, ახე იქცევა ახალგაზრდა გოგონა, რომელიც თამაშობს რა დედის როლს, ესაუბრება საკუთარ თავს ისე, როგორც ამას მისი დედა გააკეთებდა. საკუთარი თავის

ფორმირება ობიექტად ხდება სწორედ ასეთი - როლების ათვისების - პროცესის მეშვეობით.

თვითინტერაქციის პროცესი, რასაც მიდი აანალიზებს, არ წარმოადგენს ფსიქოლოგიური სისტემის ორ ან მეტ ნაწილს შორის ინტერაქციას, როგორც ეს, მაგალითად, ფროიდის სქემაშია, რომელიც მოიცავს "id"-ისა და "ego"-ს შორის ურთიერთობას. პირიქით, თვითინტერაქცია, მიდის თანახმად, ***სოციალური*** პროცესია, კერძოდ, კომუნიკაციის ფორმაა, რომელსაც ინდივიდი იყენებს მაშინ, როდესაც საკუთარ თავს მიმართავს და თავადვე პასუხობს კიდეც. ასეთი კომუნიკაცია ხშირად ხდება, მაგალითად, როდესაც ინდივიდი უბრაზდება საკუთარ თავს, ან როდესაც საკუთარ თავს რაიმეს ახსენებს, ან მაშინ, როდესაც საუბრობს საკუთარ თავთან მოქმედების განსაზღვრული გეგმის შესამუშავებლად.

ბლუმერი ხასგასმით აღნიშნავს, რომ მიდი თვითობას განიხილავს როგორც ***პროცესს*** და არა როგორც ***სტრუქტურას***. ამ თვალსაზრისით, მიდის თეორია განსხვავდება სხვა მიდგომებისაგან, რომლებიც ან თვითობის იდენტიფიცირებას ახდენენ "ეგოსთან", ან მიიჩნევენ, რომ თვითობა წარმოადგენს მოთხოვნილებათა, მოტივთა და დამოკიდებულებათა ("ატიტუდთა") ორგანიზებულ სხეულს, ან იცვლევენ მას როგორც ინტერნალიზებულ ნორმათა და ღირებულებათა სტრუქტურას. ბლუმერის (1969: 63) აზრით, მსგავსი სქემები აზრს მოკლებული ხდება, რამდენადაც ისინი ყურადღების გარეშე ტოვებს რეფლექსიის პროცესს, რომელიც თვითობის არსს შეადგენს. იმისათვის, რომ რაიმე სტრუქტურა თვითობად იქცეს, იგი უნდა ამოქმედდეს - მიმართოს საკუთარ თავს და უპასუხოს ამ მიმართვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იქნება არააქტივიზებული ორგანიზმი. მიდი აქცენტს სვამს თვითობაზე როგორც მხოლოდ რეფლექსურ პროცესზე, რომელიც საშუალებას აძლევს პიროვნებას, მიუთითოს საკუთარ თავზე, აღნიშნოს საგნები და განსაზღვროს მათი მნიშვნელობა მოქმედებისათვის.

თვითინტერაქციის მექანიზმების წყალობით, ადამიანი გადაწყვეტს იყოს უბრალოდ მოპასუხე ორგანიზმი, რომლის ქცევაც არის გარეგანი ან შინაგანი ძალების "თამაშის" პროდუქტი. ნაცვლად ამისა, ადამიანი მოქმედებს თავის სამყაროსთან შემხვედრი მიმართულებით, ახდენს იმის ინტერპრეტაციას, რაც ამ სამყაროსთან კონფრონტაციაშია, ამ ინტერპრეტაციის საფუძველზე ახდენს თავისი მოქმედების ორგანიზებას. მაგალითად: ტკივილთან ადამიანის იდენტიფიცირება და მისი ინტერპრეტაცია აბსოლუტურად განსხვავდება

მარტივი ორგანული (ბიოლოგიური) გრძნობისაგან და წარმოადგენს საფუძველს განსაზღვრული ქმედების ჩასადენად, რომელიც განსხვავდება მარტივი ორგანული რეაქციისაგან. როგორც ეს მაგალითი აჩვენებს, თვითინტერაქციის პროცესი ადამიანს საკუთარ სამყაროსთან დაპირისპირებაში ამყოფებს, აიძულებს მას, "თვალი გაუსწოროს" და მართოს ეს სამყარო განსაზღვრული პროცესებით (ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ იყოს მოპასუხე), აგრეთვე, აიძულებს ინდივიდს, ააგოს თავისი მოქმედება, იმის ნაცვლად, რომ, უბრალოდ მოახდინოს მისი რეალიზება.

თვითობის როგორც რეფლექსური პროცესის წყალობით შესაძლებელი ხდება მნიშვნელადი სიმბოლოების ინტერპრეტაცია. ინტერპრეტაცია "შინაგანი საუბარია", რომელიც მიმდინარეობს ***თვითობის ორ ფაზას*** შორის. ეს ფაზებია: 'me' და 'I'.[2] რას წარმოადგენს თითოეული მათგანი?

მიდი (1934: 174-5) განმარტავს, რომ 'me' ***თვითობის ის ფაზაა, როდესაც ინდივიდი საკუთარ თავს უყურებს სხვების პოზიციიდან.*** 'me' წარმოადგენს სხვათა დამოკიდებულების ორგანულ ნაკრებს, რომელსაც ინდივიდი თავად უშვებს (ვარაუდობს). თვითობის მეორე ფაზა - 'I'- ***წარმოადგენს პროცესს, როდესაც ინდივიდი საკუთარ თავს უყურებს არა სხვათა***, არამედ საკუთარივე პოზიციიდან. უფრო ზუსტად: 'I' არის ინდივიდის პასუხი სხვათა დამოკიდებულებებისადმი ("ატიტუტებისადმი"). ის რეაქციაა სხვათა დამოკიდებულებების საფუძველზე კონსტრუირებულ 'me'-ზე. 'me'-სა და 'I'-ს შორის მიმართება ასეც შეიძლება დახასიათდეს: 'me' ეხება ჩვეულებრივ ან მოსალოდნელ პასუხებს მნიშვნელად სიმბოლოებზე, რომლებსაც ჯგუფის (ერთობის) ყველა წევრი წვდება (ტებულობს). კონცეპტუალური აზრით, ეს სხვა არაფერია, თუ არა "***განზოგადებული (გენერალიზებული) სხვა***". ინდივიდი, როგორც "გენერალიზებული სხვა"-ს ნაწილი, არ არის შემოქმედი, ორიგინალური და სპონტანური (იმპროვიზატორი). ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ თვითობის იმ ფაზის წყალობით, რასაც წარმოადგენს 'I'. მიდის (1934: 176-8) მიხედვით, 'I'-ს მიეწერება ახლის შექმნაში გადამწყვეტი ფუნქცია. 'I' ახიჭებს აზრს თავისუფლებას და ინიციატივას. აქედან გამომდინარე, მიდი აღნიშნავს, რომ 'me' ჩნდება გარკვეული მოვალეობის შესასრულებლად. იგი განსაზღვრულია და ინდივიდისაგან მოითხოვს

[2] "me" და "I" შეიძლებოდა გვეთარგმნა როგორც "მე-ობიექტი" და "მე-სუბიექტი". ასეთი თარგმნისაკენ აღნიშნული ცნებების შინაარსი გვიბიძგებს

სრულიად გარკვეულ პასუხს (რეაქციას). რაც შეეხება 'I'-ს, იგი ყოველთვის, მეტ-ნაკლებად, გაურკვეველია (განუსაზღვრელია). 'I' არასოდეს შეიძლება იყოს ბოლომდე კალკულირებადი. წარმოვიდგინოთ, რომ ინდივიდი ხვდება სოციალურ სიტუაციაში, რომელიც მან წესრიგში უნდა მოიყვანოს. იგი საკუთარ თავს ხედავს ჯგუფში შემავალი ინდივიდების თვალსაზრისებიდან გამომდინარე. ეს ინდივიდები, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი, ინდივიდს გარკვეულ თვითობას ანიჭებენ. ის, თუ როგორ მოიქცევა ინდივიდი, ბოლომდე არც თავად ინდივიდმა იცის და არც ვინმე სხვამ. ცხადია, ამ შემთხვევაში არსებობს 'me'-დან გამომდინარე მოლოდინები, რომელიც ინდივიდისაგან მოითხოვს, მოიქცეს მოვალეობის შესაბამისად და დაიცვას განსაზღვრული კურსი. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ინდივიდის პასუხი აღნიშნულ მოლოდინებს პასუხობს, შედეგი ყოველთვის იქნება თუნდაც მცირედ განსხვავებული, ვიდრე ამას უკვე არსებული გამოცდილება გულისხმობს. ამდენად, 'I'-ს არასოდეს გადაფარავს 'me', არამედ ყოველთვის დარჩება რაღაც, რაც 'me'-ში მოცემული არ არის.

თვითობის კონცეფცია შეიცავს აგრეთვე ***სოციალიზაციის*** პროცესის აღწერას. სოციალიზაციის საწყის ეტაპზე - ბავშვის ცხოვრებაში -სიმბოლოებით ოპერირება შეჭღუდულია, რამდენადაც ბავშვი ეს-ესაა იწყებს იმ ნიშნების გაცნობიერებას, რასაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს სხვებისათვის. თანდათან, თამაშის პროცესში, მოზარდი სწავლობს სხვა ინდივიდების როლის ათვისებას და ასაკის მატებასთან ერთად იგი სწავლობს, თუ როგორ მოახდინოს თავისი საქმიანობების სხვებთან კოორდინირება და იმას, რომ საკუთარი თავი დაინახოს ისე, როგორც მას ჯგუფი ხედავს. ეს ჯგუფები თანდათან ფართოვდება, ვიდრე არ მიაღწევს იმ დონეს, რასაც საზოგადოება ქვია. სოციალიზაციის ამ ეტაპზე ხდება სწორედ ის, რასაც მიდი "გენერალიზებული სხვის" როლის ათვისებას უწოდებს. ამ შემთხვევაში ინდივიდი უკვე განიხილავს საკუთარ თავს იმ პოზიციიდან, რასაც საზოგადოება აყალიბებს მასთან მიმართებაში.

5. კრიტიკა

სიმბოლურ ინტერაქციონიზმს ძირითადად იმის გამო აკრიტიკებენ (I. Craib, 1992: 90), რომ იგი ***სოციალური სტრუქტურის*** და მისი ***ობიექტური*** (დიურკჰაიმისეული გაგებით) თავისებურებების იგნო-

რირებას ახდენს და, ამდენად, არაფრის თქმა არ შეუძლია ძალაუფლების, კონფლიქტის და ცვლილებების შესახებ. კრიტიკა მიმართულია იმისკენაც, რომ სიმბოლური ინტერაქციონიზმის მიერ გაკეთებული თეორიული ფორმულირებები იძლევა ინდივიდის ***არასრულ*** სურათს.

ინტერაქციონალისტები სოციალური სტრუქტურის, როგორც "სოციალური ფაქტის" (დიურკჰაიმი), მხედველობაში მიღებას ღიად და პრინციპულად უპირისპირდებიან. მათი აზრით, სოციალური სტრუქტურა აბსტრაქტული არსია. სტრუქტურების განხილვით ვერასოდეს მივიღებთ რამდენადმე დამაკმაყოფილებელ ინფორმაციას, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რა თავისებურებები ახასიათებს ცოცხალ და უშუალო ინტერაქციას. ზოგი მკვლევარი (P. Rock, 1979: 227-8) უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ აბსოლუტურად უსაფუძვლოა იმაზე ფიქრი, რომ საზოგადოება და მისი სტრუქტურები რაღაც ორგანიზებულ მთელს წარმოადგენს. მათ შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ან ანალიზურად აპრიორული ვარაუდების საფუძველზე, რომლებიც ყოველთვის გაურკვეველი დარჩება, ან, სინთეზურ-აპრიორულად, რაც სრულიად არამეცნიერულია. ამდენად, სოციოლოგი უნდა მოერიდოს სტრუქტურაზე ანალიტიკურ რეფლექსიას. უკეთეს შემთხვევაში მან საზოგადოება უნდა წარმოადგინოს, როგორც ფლუიდურ ცვლილებათა კონგლომერატი.

ასეთ უკიდურეს პოზიციას თვით სიმბოლური ინტერაქციონიზმის ბევრი წარმომადგენელი (განსაკუთრებით, "ჩიკაგოს სკოლის") არ გაიზიარებდა. იმის მტკიცება, რომ საზოგადოება წმინდა წყლის ფიქციაა, ნიშნავს, რომ სრულიად უარვყოთ საზოგადოების მხრიდან გარკვეული გავლენების არსებობა, რაც იმავე ყოველდღიურ ინტერაქციებში მჟღავნდება. მეტიც: ინტერაქციონისტების **მნიშვნელოვანი** ნაწილი არ უარყოფს ფართო თუ მცირე სტრუქტურული კონტექსტების არსებობას. სტრუქტურული კონტექსტი აქცენტს სვამს სოციალურ ურთიერთობათა ***შეთანხმებად*** (negotiated) წესრიგზე ამ კონტექსტების ფარგლებში. შეთანხმების იდეა გამოიყენება სიტუაციათა კლასიფიკაციისათვის და, მისი მეშვეობით შესაძლებელია, მაგალითად, ვაჩვენოთ, თუ როგორ მოქმედებს ძალაუფლებითი მიმართებები ინტერაქციის მსვლელობაზე და თუ როგორ ხდება სოციალურ წესრიგზე შეთანხმება მიმდინარე სოციალური ცვლილებების პროცესში. სიმბოლური ინტერაქციონიზმი ინტერაქციას განიხი-

ლავს, როგორც შეთანხმებად რეალობას, რომელშიც ერთ პარტნიორს გაცილებით მეტი ძალაუფლება აქვს სხვასთან შედარებით. ხოლო ძალაუფლების ასეთი გადანაწილება უკვე ნიშნავს, რომ სტრუქტურის არსებობა წინასწარ ივარაუდება. "როლების მიღების" პროცესი, რომელსაც ინტერაქციონისტები ასეთ დიდ მნიშვნელობას აძლევენ, მათი მიდგომის ყველაზე უფრო სტრუქტურულ ასპექტს წარმოადგენს. სოციალური როლი ხომ სოციალური ქცევის ***განმეორებადი*** მოდელების, ე.ი. სტრუქტურების, გამოხატულებას წარმოადგენს, თუნდაც შეზღუდულ - კონტექსტუალურ - დონეზე.

რაც შეეხება სიმბოლური ინტერაქციონიზმის მიმართ წაყენებულ მეორე საყვედურს, რომ იგი არ იძლევა ინდივიდის სრულყოფილ სურათს, როგორც მკვლევრები (K. Plummer, 1975) მიუთითებენ, ეს, საზოგადოდ, სოციოლოგიის "ნაკლია", რამდენადაც მას არ შეუძლია ინდივიდი განიხილოს იმავე წესით, როგორც ამას ფსიქოლოგია აკეთებს. და მაინც, საყვედური ეხება იმას, რომ ინტერაქციონისტული მიდგომა სათანადო ყურადღებას არ იჩენს ინდივიდის ემოციების მიმართ და მისთვის ძირითადია პიროვნების კოგნიტური განზომილება - აზროვნებითი პროცესები. ინტერაქციონისტების თანასმად, ადამიანების გაგება შესაძლებელია მაშინ, როდესაც გვესმის მათი ქმედებების მნიშვნელობები. მართალია, მნიშვნელობა არ უიგივდება რეფლექსურ აზროვნებას, მაგრამ პრიორიტეტულია მისთვის. ინტერაქციონიზმი მაქსიმალურად არიდებს თავს არაცნობიერი პროცესების გათვალისწინებას, პიროვნების არაცნობიერ დონეს და სოციალურ ურთიერთობაში გამეფდავნებულ მენტალურ პროცესებზე (განსჯა, წარმოსახვა, რეფლექსია) აქცენტირდება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას (I. Craib, 1992: 94), რომ სიმბოლური ინტერაქციონიზმი წარმოადგენს სოციალური მოქმედების და ინდივიდის თეორიას, რომელიც არ ცდილობს, ამავე დროს, გახდეს ***საზოგადოების*** შესახებ თეორია. მის მიერ მოქმედების ახსნა რამდენადმე გამარტივებულია, მაგრამ ეს ცნობიერი არჩევანია, რათა რეალური სიტუაციების კომპლექსურობის ადაპტირება გახდეს შესაძლებელი.

V თავის ძირითადი შინაარსი

1. სიმბოლური ინტერაქციონიზმი ჩამოყალიბდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში. მისი წარმოშობა დაკავშირებულია

ე.წ. "ჩიკაგოს სკოლასთან" (ჯორჯ მიდი). სიმბოლური ინტერაქციონიზმი წარმოიშვა როგორც სტრუქტურული ფუნქციონალიზმის და სოციალურ სისტემათა თეორიის ალტერნატივა. სტრუქტურული ფუნქციონალიზმი მაკროსოციოლოგიური თეორიაა, რომლის ფარგლებშიც პიროვნული სისტემა აღმოჩნდება დაქვემდებარებული სოციალური და კულტურული სისტემების მიმართ. ამის საპირისპიროდ, სიმბოლური ინტერაქციონიზმი მიკროსოციოლოგიური თეორიაა. იგი უარს ამბობს სისტემურ მიდგომაზე და ანალიზის ფოკუსირებას ახდენს ერთეულ აქტებსა და მათ შორის ინტერაქციაზე. სოციალური სისტემა არსებობს მხოლოდ ინდივიდუალურ აქტებზე გავლით და მათგან დამოუკიდებლად ფიქციას წარმოადგენს.

2. სიმბოლური ინტერაქციონიზმი ვყრდნობა სამ ძირითად წანამძღვარს: ა) ადამიანები საგნების მიმართ მოქმედებენ იმ მნიშვნელობების საფუძველზე, რომლებიც ამ საგნებს მათთვის აქვთ; ბ) საგანთა მნიშვნელობები მიიღება სოციალური ინტერაქციების საფუძველზე, რომელთაც ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ; გ) ეს მნიშვნელობები განიმარტება და მოდიფიცირდება ინტერპრეტაციული პროცესების წყალობით. ინტერპრეტაციას ინდივიდი მიმართავს იმ საგნებთან მიმართებაში, რომლებსაც იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში ეჯახება.

3. განასხვავებენ სოციალური ინტერაქციის ორ დონეს: არასიმბოლურს და სიმბოლურს. არასიმბოლური ინტერაქციის დონეზე ინდივიდები პირდაპირ რეაგირებენ ერთმანეთის ჟესტებზე ან მოქმედებებზე. ამგვარი ინტერაქცია უმეტესად რეფლექტორულ (უნებლიე) რეაქციებში მჟღავნდება. რაც შეეხება სიმბოლურ ინტერაქციას, ამ დროს ინდივიდები ავტომატურად კი არ რეაგირებენ სხვათა ჟესტებზე, არამედ ახდენენ მათ ინტერპრეტაციას, ანუ აძლევენ მათ მნიშვნელობებს. ჟესტი/სიმბოლო წარმოადგენს მიმდინარე მოქმედების ნებისმიერ ნაწილს ან ასპექტს, რომელიც გამოსატავს უფრო ფართო მოქმედებას (რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს). ჟესტები ადამიანს გადასცემენ იმ აქტიორის განზრახვას და შემდგომი მოქმედების გეგმას, რომელიც ამ ჟესტების პრეზენტაციას ახდენს. ინდივიდი, რომელიც პასუხს სცემს ამ ჟესტებს, ამას აკეთებს იმ საფუძველზე, თუ რა მნიშვნელობას ატარებენ ისინი მისთვის. ამრიგად, ჟესტებს აქვთ მნიშვნელობა ორივესათვის - ინდივიდისათვის, რომელიც მათ წარმოადგენს და ინდივიდისათვის, რომლის მიმართაც ისინი

მიმართულია. როდესაც ჟესტს აქვს იგივეობრივი მნიშვნელობა ორივესათვის, ეს უზრუნველყოფს ინდივიდებს შორის ურთიერთგაგებას. ძირითად ჟესტებს/სიმბოლოებს წარმოადგენს სიტყვები (მეტყველება). ენობრივი ნიშნები მნიშვნელადი სიმბოლოს ის ტიპია, რომელიც ადამიანებს ცხოველებისაგან განასხვავებს.

4. ურთიერთობას მოცემულ ჟესტს, როგორც სტიმულს, და სოციალური ქმედების მომდევნო ფაზებს შორის, რაც მნიშვნელობის მქონე სფეროში მომდინარეობს, მიდი სამმაგ მიმართებას უწოდებს, რომლის წევრებს ანუ მაკავშირებლებს წარმოადგეს: ა) ორგანიზმი, რომელიც იძლევა სიმბოლოს (ჟესტს) და, ამდენად, სტიმულს; ბ) სხვა ორგანიზმი, რომელიც უპასუხებს (რეაგირებს) ამ სიმბოლოზე (ჟესტზე) და გ) სოციალური ქმედება, რომლის საწყის ფაზას წარმოადგენს სტიმული, ხოლო მომდევნოს – ამ სტიმულზე რეაქცია. აღნიშნული ტრიადა ასეც შეიძლება გამოიხატოს (ბლუმერი): 1. ჟესტი აღნიშნავს იმას, თუ რა უნდა გააკეთოს ინდივიდმა, ვისკენაც ეს ჟესტია მიმართული; 2. იგი გამოხატავს იმას, თუ რას გეგმავს ინდივიდი, რომელიც ამ ჟესტს იყენებს; 3. იგი გამოხატავს ერთობლივ მოქმედებას, რომელიც წარმოიშობა ორივე მხარის მოქმედებების შეერთების შედეგად. თუ მნიშვნელობის სფეროს ამ სამ პარამეტრს შორის რომელიმე არასწორად იქნა გაგებული, კომუნიკაცია არაეფექტური ხდება, ინტერაქციას ხელი ეშლება და ერთობლივი მოქმედების ფორმირება შეფერხდება.

5. ინტერაქციონისტები მნიშვნელობას ასხვავებენ რეფლექსური აზროვნებისაგან. როდესაც სიმბოლოები გამოავლენს ქცევის საზოგადოდ მოსალოდნელ ფორმებს, ქცევის მთელი პროცესი, შესაძლებელია, ჩვეულების სახით განხორციელდეს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა მხოლოდ ნაგულისხმევი სახით (tacitly) არსებობს ინტერაქციაში. მაშასადამე, ცნობიერება არ არის აუცილებელი იმისათვის, რომ მნიშვნელობა მონაწილეობდეს სოციალურ პროცესებში. ნებისმიერ მოცემულ სოციალურ ქმედებაში ორგანიზმის რომელიმე ნაწილის ჟესტმა შეიძლება სხვა ორგანიზმის ნაწილის მხრიდან რეაქცია (პასუხი) გამოიწვიოს, ეს კი განხორციელდეს მანამდე, ვიდრე ამ პროცესში ცნობიერება ჩაერთვება. სრულყოფილი სახით ამგვარი რამ ჩვეულებების სახით არსებულ მოქმედებებში ხორციელდება, როდესაც რეფლექსური აზროვნების სრული გადაფარვა ხდება.

6. სოციალური ინტერაქციის მნიშვნელობა ისაა, რომ იგი წარმოადგენს პროცესს, რომელიც აყალიბებს ადამიანის სოციალურ ქცევას. ინტერაქციის პროცესში მყოფ ადამიანებს უხდებათ მხედველობაში იქონიონ ის, თუ რას აკეთებენ სხვები და საკუთარი ქცევა ააგონ სხვათა ქმედებების გათვალისწინებით. ინდივიდი იძულებულია შეუსაბამოს ქცევის საკუთარი მსვლელობა სხვათა მოქმედებებს. აქედან გამომდინარე, ინტერაქციაში ჩართული ინდივიდები იძულებულნი არიან აითვისონ ერთმანეთის როლები. ეფექტური სოციალური ინტერაქცია როლების ორმხრივ ათვისებას წარმოადგენს.

7. სოციალური ინტერაქციის შესაძლებლობას განაპირობებს ის, რომ ინდივიდები ფლობენ "თვითობას" ("self"). თვითობის უნარი ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია იყოს საკუთარი თავის ობიექტი, შეუძლია შეიმეცნოს (გააცნობიეროს) საკუთარი თავი. იმისათვის, რათა გახდეს საკუთარი თავის ობიექტი, ინდივიდმა იგი უნდა დაინახოს "გარედან", ანუ, საკუთარი თავი უნდა ჩააყენოს სხვათა პოზიციაში და ამ პოზიციიდან "შეხედოს" საკუთარ თავს. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდის მიერ სხვათა როლების ათვისების პროცესი. მაშასადამე, საქმე გვაქვს ორმაგ დიალექტიკასთან: სოციალური ინტერაქცია დამოკიდებულია ადამიანის უნარზე, წარმოიდგინოს თავი სხვა სოციალურ როლში, ხოლო, სხვა როლის ათვისება დამოკიდებულია ინდივიდის უნარზე, შინაგანი დიალოგი აწარმოოს საკუთარ თავთან.

8. თვითობის როგორც რეფლექსური პროცესის წყალობით შესაძლებელი ხდება მნიშვნელადი სიმბოლოების ინტერპრეტაცია. ინტერპრეტაცია "შინაგანი საუბარია", რომელიც მიმდინარეობს თვითობის ორ - 'me' და 'I' - ფაზას შორის. 'me' თვითობის ის ფაზაა, როდესაც ინდივიდი საკუთარ თავს უყურებს სხვების პოზიციიდან. თვითობის მეორე ფაზა - 'I' - წარმოადგენს პროცესს, როდესაც ინდივიდი საკუთარ თავს უყურებს არა სხვათა, არამედ საკუთარივე პოზიციიდან. 'I' არის ინდივიდის პასუხი სხვათა დამოკიდებულებებისადმი. ამ ორ ფაზას შორის მიმართება ასეც შეიძლება დახასიათდეს: 'me' ეხება ჩვეულებრივ ან მოსალოდნელ პასუხებს მნიშვნელად სიმბოლოებზე, რომლებსაც ჯგუფის ყველა წევრი წვდება. იგი არის "გენერალიზებული სხვა". ინდივიდი, როგორც "გენერალიზებული სხვა"-ს ნაწილი, არ არის შემოქმედი, ორიგინალური და სპონტანური (იმპროვიზატორი). ასეთი რამ

შესაძლებელია მხოლოდ 'me'-ს დონეზე. მას მიეწერება ახლის შექმნაში გადამწყვეტი ფუნქცია. იგი ყოველთვის, მეტ-ნაკლებად, გაურკვეველია და არასოდეს შეიძლება იყოს ბოლომდე კალკულირებადი.

9. მიდი თვითობას განიხილავს როგორც პროცესს და არა როგორც სტრუქტურას. თვითობა არ წარმოადგენს მოთხოვნილებათა, მოტივთა და დამოკიდებულებათა ("ატიტუდთა") ორგანიზებულ სხეულს, ანდა ინტერნალიზებულ ნორმათა და ღირებულებათა სტრუქტურას. ასეთი მიდგომები ყურადღების გარეშე ტოვებს რეფლექსიის პროცესს, რომელიც თვითობის არსს შეადგენს. იმისათვის, რომ რაიმე სტრუქტურა თვითობად იქცეს, იგი უნდა ამოქმედდეს - მიმართოს საკუთარ თავს, აღნიშნოს საგნები და განსაზღვროს მათი მნიშვნელობა მოქმედებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იქნება არააქტივიზებული ორგანიზმი.

10. ის როლები, რომელთაც ინდივიდი ითვისებს, შეიძლება კლასიფიცირდეს სამ კატეგორიად: 1. ცალკეულ ინდივიდთა როლები. ეს არის "თამაშის საფეხური" ("play stage"); 2. ცალკეულ ორგანიზებულ ჯგუფთა როლები. ეს არის "გართობის საფეხური" ("game stage"); 3. აბსტრაქტული ერთობის როლები ("გენერალიზებული სხვა").

ძირითადი ცნებები:

„სიმბოლური ინტერაქცია", „თვითობა", „როლების ათვისება", „გენერალიზებული სხვა", "me", "I".

ძირითადი კითხვები

- სიმბოლური ინტერაქციონიზმის ძირითადი წანამძღვრები და "ფესვ-ხატები".
- რატომ მიიჩნევენ სიმბოლურ ინტერაქციონიზმს პრაქსისის თეორიად?
- რა განსხვავებაა სიმბოლურ და არასიმბოლურ ინტერაქციას შორის?
- რაში მდგომარეობს სხვათა "როლების ათვისების" მექანიზმის მნიშვნელობა სოციალური ურთიერთობისათვის?
- "თვითობა" როგორც რეფლექსიის პროცესი და სოციალური ინტერაქციის პირობა.
- სიმბოლური ინტერაქციონიზმის კრიტიკა.

დამოწმებული ლიტერატურა

1. B l u m e r, H. 1969: *Symbolic Interactionism*. Berkeley; University of California Press.

2. C o h e n, I. J. 2000: Theories of Action and Praxis, in Bryan S. Turner (ed.), *The Blackwell Companion to Social Teory* (second edition). Oxford: Blackwell Publishers, pp. 73-111.

3. D e w e y, J. 1922: *Human Nature and Conduct*. New York:Henry Holt.

4. J o a s, H. 1992 (1996): *The Creativity of Action*. Trans. J. Gaines and P. Keast. Chicago: University of Chicago Press.

5. M e a d, G.H. 1934: *Mind, Self and Society From the Standpoint of a Social Behaviorist*. Ed. C. W. Morris. Chicago: University of Chicago Press.

6. P l u m m e r, K. (ed.) 1991: *Symbolic Interactionism*. Edward Elgar, Aldershot, Hants.

7. R o c k, P. 1979: *The Making of Symbolic Interactionism*, Macmillan, Basing-stoke.

8. С м е л з е р, Н. 1998: Социология, Москва, Феникс.

VI სოციალური მოქმედება ენტონი გიდენსის სტრუქტურაციის თეორიაში

1. შესავალი

სოციალური თეორიის განვითარების ყველა ეტაპზე ცენტრალურ ადგილს იჭერდა საკითხი ადამიანის მოქმედების (მოღვაწეობის) და სოციალური სტრუქტურის კავშირის შესახებ (ამაში წინა თავებში ჩატარებულმა ანალიზმაც დაგვარწმუნა). როგორც ცნობილი დასავლელი მკვლევრები (M. S. Archer, 1982: 455) აღნიშნავენ, სოციოლოგებისათვის (უკიდურესი "ექსტრემისტების" - ჰოლისტების და ფსიქოლოგისტების - გარდა) სოციალური სტრუქტურა, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს ადამიანის პროდუქტს, თუმცა, ეს პროდუქტი, თავის მხრივ, განსაზღვრავს ინდივიდებს და გავლენას ახდენს მათ ინტერაქციაზე. მოღვაწეობასა და სტრუქტურას შორის ასეთი *დიალექტიკური* კავშირის აღიარების მიუხედავად, თეორიული კვლევა ყოველთვის იხრებოდა ხან მოქმედების და ხან სტრუქტურის მიმართულებით. ეს ნიშნავს, რომ ერთ-ერთი ელემენტი ხდებოდა დომინანტური, ხოლო მეორე - დაქვემდებარებული. მაგალითად, ადრეული ფუნქციონალიზმის ფარგლებში ადამიანის მოღვაწეობა ხდებოდა უმნიშვნელო და უფერული, მაშინ როდესაც, ვთქვათ, ფენომენოლოგიის აყვავების ხანაში სტრუქტურის გავლენა ხდებოდა მყიფე და ნაკლებმნიშვნელოვანი. პოსტთეორიებმა კიდევ უფრო გაამძაფრა ეს დაპირისპირება: ერთი მხრივ, მაგალითად, სტრუქტურალისტურმა მარქსიზმმა და ნორმატიულმა ფუნქციონალიზმმა მოქმედი სუბიექტი უსიცოცხლო მოცემულობად აქცია სტრუქტურულ კომპონენტებთან მიმართებაში. მეორე მხრივ, ინტერპრეტაციულმა სოციოლოგიამ ადამიანის მოღვაწეობა გახადა სუვერენული, ხოლო სოციალური სტრუქტურა დაიყვანა უმნიშვნელო პლასტიკურ მოცემულობამდე, მისი შედგენილი ბუნების გამო.

ზემოთქმულის მიუხედავად, აღნიშნული ორი წყალგამყოფი

თვალსაზრისის აპოლოგეტები ინტენსიურად განიცდიდნენ კრიტიკას იმ თვალსაზრისით, რომ დაესაბუთებინათ როგორც სტრუქტურის, ისე მოქმედების ტოლძალოვნად გათვალისწინების აუცილებლობა სოციოლოგიური ახსნისათვის. აღნიშნული ძალისხმევა დაიწყო 60-იანი წლებიდან და მის ერთ-ერთ ძალზე სერიოზულ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს ენტონი გიდენსის ***სტრუქტურაციის თეორია***, დაფუძნებული ***პრაქსისის*** (praxis) ცნებაზე, რომელმაც დღის სინათლე პირველად 1976 წელს იხილა[1]. მანამდე გიდენსი ითვლებოდა ეთნომეთოდოლოგიური პრობლემების მკვლევრად. სტრუქტურაციის თეორიით იგი შეეცადა გაეფართოებინა პრაქსისის კონცეფცია და მის საფუძველზე აეხსნა სოციალური ცხოვრების ძირითადი მახასიათებლები.

გიდენსი (1984: 2) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სტრუქტურაციის თეორიის თანახმად, სოციალური მეცნიერებების შესწავლის ძირითად სფეროს არ წარმოადგენს არც მხოლოდ ინდივიდუალური აქტიორის გამოცდილება და არც მხოლოდ სოციეტალური ერთობლიობის ნებისმიერი ფორმა, არამედ დროსა და სივრცეში მოწესრიგებული ***სოციალური პრაქტიკები*** (social practices). თუმცა, პრაქტიკები შეიძლება ორი მხრიდან იქნეს დანახული (ერთ ასპექტზე კონცეტრაციისას ხდება მეორე ასპექტის "ფრჩხილებში" ჩასმა): ერთ შემთხვევაში კონცენტრაცია ხდება "სტრატეგიულ ანალიზზე", რომელიც კონცენტრირდება იმაზე, თუ რას აკეთებენ აქტორები, როგორ აგებენ ისინი რეფლექსურად მათ საქმიანობას, რომელ იმპლიციტურ წესებს მისდევენ ისინი. მეორე შემთხვევაში აქცენტი კეთდება "ინსტიტუციურ ანალიზზე", ანუ სოციალურ სისტემათა ანალიზზე. მაშასადამე, სტრუქტურაციის თეორიისათვის ამოსავალია არა სოციალური მოქმედების ცნება, რომელიც მოქმედებაში ნაგულისხმევ ***სუბიექტურ მნიშვნელობას*** (საზრისს) იკვლევს, არამედ ***მოქმედება, როგორც "სოციალური პრაქტიკა"***, რომელიც უნდა შეისწავლოს სოციოლოგიამ, რათა გადაჭრას ***დუალიზმი*** - მოქმედება/სტრუქტურა.

მიუხედავად იმისა, რომ გიდენსის სტრუქტურაციის კონცეფცია ცდილობს გაექცეს სოციეტალურ ერთობლიობებზე პრიორიტეტულ

[1] M. S. Archer (1982: 455) აღნიშნავს, რომ მეორე პერსპექტივას აღნიშნული დისკუსიის დაძლევის გზაზე წარმოადგენს მორფოგენეტიკური მიდგომა, რომლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია Walter Buckley. სტრუქტურაციის თეორიის მსგავსად, აღნიშნულ მიდგომა (რომელიც საკუთარ თავს "არაფუნქციონალურ მანიფესტს" უწოდებს), ამტკიცებს, რომ "მოქმედება" და "სტრუქტურა" ურთიერთგანმაპირობებელი სოციალური ერთეულებია, თუმცა, სტრუქტურაცია და მორფოგენეტიკული მიდგომა განსხვავდებიან იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ახდენენ სოციალურ სისტემათა სტრუქტურირებას.

აქცენტირებას და, ამ თვალსაზრისით, განსვავდება პარსონსის თეორიისაგან, მას მაინც მიიჩნევენ (I. Craib, 1992: 111-12) უფრო მეტად სტრუქტურული ფუნქციონალიზმის მოზიარედ, რამდენადაც წარმოადგენს მცდელობას, რომ შეინარჩუნოს ***საზოგადოება***, როგორც ***მთლიანობა***. თუ ვებერის თვალსაზრისი, სიმბოლური ინტერაქციონიზმის მიდგომა, რაციონალური არჩევანის თეორია, ეთნომეთოდოლოგია და ფენომენოლოგიური სოციოლოგია, მეტ-ნაკლები ხარისხით, მაგრამ მაინც იცავენ პოზიციას, რომ "არ არსებობს ისეთი საგანი, როგორიცაა საზოგადოება", ანუ იწყებენ (და ხშირად ამთავრებენ კიდეც) ინდივიდუალური მოქმედებით და სოციალური მოქმედებით, გიდენსი აშკარად ცდილობს, რომ, გარკვეულწილად, გადაარჩინოს საზოგადოების იდეა. იგი სიამოვნებით საუბრობს სოციალური სტრუქტურების და სოციალური სისტემების შესახებ, თუმცა ამავე დროს, ამტკიცებს, რომ საზოგადოება იქმნება (იწარმოება) და რეპროდუცირდება მხოლოდ ადამიანის მოქმედების მეშვეობით. ამდენად, გიდენსი უარყოფს სტრუქტურული ახსნის ნებისმიერ ფორმას და საზოგადოების ნებისმიერ გაგებას, რომელიც საზოგადოებას და სოციალურ სტრუქტურებს წარმოიდგენს როგორც ინდივიდებისაგან განყენებულს და მათ გარეშე არსებულს. მეტიც: გიდენსი შორდება ყველა ინტერპრეტაციას, რომელიც საზოგადოებას მიაწერს ემერჯენტულ თვისებებს (emergent properties), ან აღიარებს საზოგადოების დეტერმინაციას ინდივიდუალური მოქმედების მიმართ. სტრუქტურაციის თეორია, ამ თვალსაზრისით, არსებითად ***შორდება*** ფუნქციონალისტურ და ევოლუციონისტურ თეორიებს. მაშასადამე, რამდენადაც, ერთი მხრივ, გიდენსი იყენებს სოციალური სისტემის და სტრუქტურის კატეგორიებს და, მეორე მხრივ, მათ შენარჩუნებას ცდილობს მოქმედების თეორიის ფარგლებში, მისი პოზიცია ერთგვარი ***ამბივალენტობით*** ხასიათდება, რაც მახვილგონივრულად გამოხატა ერთ-ერთმა დასავლელმა მკვლევარმა (I. Craib, 1992: 111), აღწერა რა გიდენსის თეორია შემდეგნაირად: "სტრუქტურაციის თეორია: არსებობს ისეთი საგანი, როგორიც საზოგადოებაა; არ არსებობს ისეთი საგანი, როგორიც არის საზოგადოება" ("Structuration Theory: There is such a thing as Society; There is no such thing as Society").

როგორც აღინიშნა, სტრუქტურაციის თეორია დაფუძნებულია "სოციალური პრაქსისის" ცნებაზე. ამდენად, პირველ რიგში მიხანშეწონილია ამ ცნების შინაარსის გადმოცემა.

2. სოციალური პრაქსისის კონცეფცია

სტრუქტურაციის თეორიას ზოგიერთი ცნობილი მკვლევარი (I. J. Cohen, 1989: 11, 17), *"პოტენციალთა ონტოლოგიას"* ("ontology of potentials") უწოდებს. აქ იგულისხმება ამ თეორიის პოსტპოზიტივისტური (ან ანტიპოზიტივისტური) ხასიათი, რამდენადაც სტრუქტურაციული ონტოლოგია უპირატესად მიმართულია სოციალური ცხოვრების ფუნდამენტურ პოტენციალებზე (შესაძლებლობებზე) - იმ საერთო ადამიანურ უნარებსა და ფუნდამეტურ პირობებზე, რომელთა მეშვეობითაც სოციალურ პროცესთა და მოვლენათა მიმდინარეობა და შედეგები იწარმოება და იქმნება (ფორმას იძენს) ყველაზე მრავალფეროვანი სახით, რასაც კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს. მოკლედ თუ ვიტყვით, პოტენციალთა ონტოლოგია ეხება ადამიანთა უნარებს - შექმნან და შეცვალონ სოციალური სამყარო. აქედან გამომდინარე, სტრუქტურაციის თეორია კონცენტრირდება სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტის ***ქმნადობაზე,*** რაც ***სოციალური პრაქსისის*** არსს შეადგენს. სრულიად აშკარაა აღნიშნული თეორიის დაპირისპირება პოზიტივისტურ თვალსაზრისთან. ამ უკანასკნელის მიხედვით, სოციალური სამყარო კონსტრუირდება არა ადამიანთა სუბიექტური უნარების, არამედ ბუნებისმეცნიერული მეთოდების - ემპირიული დაკვირვების და გაზომვის - გამოყენებით მიღებული ცოდნის საფუძველზე.

რა არის "პრაქსისის" ცნების უნიკალური მნიშვნელობა სტრუქტურაციის თეორიისათვის? მკვლევრები (I. J. Cohen, 1989: 11-2) სავსებით სამართლიანად მიუთითებენ, რომ პრაქსისი თავისი პირველდაწყებითი მნიშვნელობით აღნიშნავს სოციალური აგენტების მიერ წარმოებული ქცევის და ინტერაქციის ნიმუშებს. სტრუქტურაციის თეორიაში ეს ცნება კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს: ***პრაქსისი წარმოადგენს სოციალური ცხოვრების კონსტიტუციის (ქმნადობის) სინონიმს.*** პრაქსისის ქვეშ მოიაზრება იმ ხელსაყრელი წესების (სერხების) და მეთოდების ერთობლიობა, რომელთაც ფლობენ აგენტები და რომელთა მეშვეობითაც იწარმოება და სრულდება (პერფორმირდება) სოციალური ცხოვრების ყველა ელემენტი, ასპექტი და განზომილება - მარტივი ქცევების ნიმუშებიდან დაწყებული, კოლექტივების გაცილებით რთული და ფართო ტიპებით დამთავრებული. მაშასადამე, ***პრაქსისი ხხვა არაფერია, თუ არა სოციალური ცხოვრების წარმოების პროცესი.***

გიდენსის მიხედვით, თუ სოციალურ სამყაროს (საზოგადოებას) განვიხილავთ მხოლოდ როგორც ***შედეგს***, როგორც მოცემულობას (ანუ იმას, რაც უკვე შექმნილია), მაშინ ბოლომდე ვერასოდეს გავიგებთ საზოგადოების არსს. ამის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სოციალური სამყარო განვიხილოთ წარმოების პროცესში, ე.ი. პრაქსისის თვალსაზრისით. კითხვა იმის შესახებ, თუ ***როგორ*** ვაკეთებთ, გაცილებით მნიშვნელოვანია სტრუქტურაციის თეორიის ფარგლებში, ვიდრე ის, თუ ***რას*** ვაკეთებთ. ამდენად, ორიენტაცია მხოლოდ სოციალურ მოვლენათა მნიშვნელობაზე (meaning), რასაც, ვებერიდან დაწყებული, მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის მიდგომა გვთავაზობს, საკმარისი არ არის. მნიშვნელობაზე აქცენტირება, მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის ფარგლებში, არის აქცენტირება შედეგზე, როდესაც ხდება ამ უკანასკნელის სუბიექტური ინტერპრეტაცია, რაც, საბოლოო ჯამში, სოციალური მოქმედების ან ურთიერთობის გაგებას უზრუნველყოფს. გიდენსის აზრით, საჭიროა აქცენტი დაისვას არა შედეგზე, არამედ შედეგის ქმნადობის (წარმოების) პროცესზე. მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: როდესაც უცხო ენაზე დაწერილ ტექსტს ვკითხულობთ, ჩვენს წინაშეა მზა მოცემულობა, ანუ შედეგი, რომლის გაგებასაც (ანუ, სუბიექტურ ინტერპრეტაციას) ვახდენთ. მაგრამ როდესაც თავად გვსურს ტექსტის გადმოცემა, ამ შემთხვევაში ვმონაწილეობთ მისი ქმნადობის (წარმოების) პროცესში. რასაკვირველია, ამ პროცესსაც თავისი მნიშვნელობა (საზრისი) გააჩნია, მაგრამ სტრუქტურაციის თეორია ფოკუსირდება წარმოების პროცესის, და არა ამ პროცესის რეზულტატის, მნიშვნელობაზე. პრაქსისის ცნება გამოიყენება სწორედ ქმნადობის პროცესის აღსანიშნავად.

გიდენსის (1976: 15) თანახმად, პრაქსისი წარმოადგენს იმ ფენომენს, რომელიც საზოგადოებას ბუნებისაგან განასხვავებს: ბუნება არ არის შექმნილი ინდივიდის მიერ, და, მიუხედავად იმისა, რომ არც საზოგადოებას ქმნიან ცალკეული პიროვნებები, იგი შექმნილია და კვლავქმნილია (recreated afresh) სოციალური ურთიერთობების მონაწილე სუბიექტების მიერ. საზოგადოების ქმნადობა წარმოადგენს დახელოვნებულ (კვალიფიციურ) პერფორმაციას, რომელსაც მხარს უჭერენ და ახორციელებენ ადამიანური არსებები. საზოგადოება, ბუნებისაგან განსხვავებით, არ ხასიათდება ***ერთგვაროვნებით*** (როგორც ამას პოზიტივისტები ამტკიცებენ). სხვა შრომებშიც გიდენსი (1984: 9; 1979: 92, 267) არაერთხელ ამტკიცებს, რომ ნებისმიერი სოციალური ქცევის მიმდინარეობის ნებისმიერ ფაზაში,

ნებისმიერ აგენტს შეეძლო ემოქმედა იმისაგან რამდენადმე განსხვავებული გზით, ვიდრე იმოქმედა. პრინციპში, სოციალური ქცევის ნებისმიერი მოცემული ნიმუში შეიძლება შეიცვალოს იმავე აქტორთა მიერ, რომლებიც მის ქმნადობას ახორციელებენ. ეს არ ნიშნავს იმის უარყოფას,რომ სოციალურ ცხოვრებაში არსებობს ქცევის ***რეგულაციები***, მაგრამ ისინი არ უნდა მივიჩნიოთ სოციუმის ერთგვაროვნების ტრანსისტორიული წესრიგის ელემენტებად. სოციალური წესრიგი, ბუნებრივი წესრიგისაგან განსხვავებით, შეცვლადია (სრულიად ამკარა პარალელია პოპერის "კრიტიკული დუალიზმის" თვალსაზრისთან). სწორედ ესაა სტრუქტურაციის თეორიის ***ანტიუნიფორმატული*** (anti-uniformitarian) ხასიათი.

პრაქსისი, როგორც ქცევების და ურთიერთობების წარმოების პროცესი, მოიცავს აგრეთვე ***ფიზიკურ*** (არავერბალურ) ***პირობებს***, რომლებიც ფორმას აძლევს და აადვილებს ამ პროცესს და უზრუნველყოფს სოციალური ცხოვრების წარმოების უწყვეტობას. მიუხედავად იმისა, რომ პირველ მიახლოებას ქცევის წარმოქმნადობასთან ახდენს პრაქსისის ეთნომეთოდოლოგიური თეორიების პოზიციებიდან, გიდენსი თანდათან შორდება მათ და იკვლევს (A. Giddens, 1984: 110-19) მატერიალურ პირობებს, რომლებიც ფორმას აძლევს (ქმნის) სოციალურ ინტერაქციას როგორც პრაქსისს, ანუ განაპირობებს ინტერაქციის შესაძლებლობას აგენტების მიერ. მაგალითად, ხალხმრავალი ავტობუსის ხმაურის და მოძრაობის პირობებში ძნელია პირისპირ (face to face) ინტერაქციის განხორციელება (ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდებით).

პრაქსისის ცნება თანაბრად რელევანტურია, ერთი მხრივ, მოქმედების კონსტიტუციის, ხოლო, მეორე მხრივ, კოლექტივების კონსტიტუციის მიმართ, რაც სოციალურ პრაქსისს აქცევს ***მედიუმად*** ინდივიდუალიზმსა და კოლექტივიზმს შორის. პრაქსისის ცნების საფუძველზე გიდენსს სურს განახორციელოს ინდივიდის და კოლექტივის სინთეზი, მისთვის ამოსავალს წარმოადგენს არც მხოლოდ ინდივიდი (რაზეც სუბიექტური თეორიები ფოკუსირდება) და არც მხოლოდ კოლექტივი (რაზეც, მაგალითად, მარქსი ან დიურკჰაიმი სვამენ აქცენტს), არამედ, მათი სინთეზი, რომელიც პრაქსისის ცნების "შუამავლობით" უნდა განხორციელდეს. აქედან გამომდინარე, გიდენსი თავის სტრუქტურაციის თეორიას წარმოადგენს როგორც გზას, რომელმაც უნდა დაძლიოს ორი სახის კონცეპტუალური ***დუალიზმი*** ან განსეთქილება (I. J. Cohen, 2000: 93): პირველი, ეს არის ***სუბიექტ/ობიექტის*** დუალიზმი, რომელიც ერთმანეთისაგან

მიჯნავს ცნობიერების მქონე სუბიექტს და სოციალურ კოლექტივებს; მეორე სახის დუალიზმს წარმოადგენს *სტრუქტურა/მოღვაწეობა* (structure/agency), როგორც უთანხმოება მოქმედებასა და სოციალური ცხოვრების კოლექტიურ ფორმებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ კოლექტივების ცნება მონაწილეობს ორივე ფორმის დახასიათებაში, დუალიზმის აღნიშნული სახეები ერთმანეთისაგან განსხვავებულია: სუბიექტ/ობიექტის დუალიზმი მოქმედების ლოკუსად მოიაზრებს ცნობიერების მქონე აგენტს, მაშინ როდესაც სტრუქტურა/მოღვაწეობის დუალიზმი მოქმედების ცენტრად მიიჩნევს ქცევის დადგენილ ფორმებს[2].

სტრუქტურაციის თეორია ვითარდება სწორედ იმ მიმართულებით, რომ მოარიგოს, ერთი მხრივ, ცნობიერების მქონე აგენტი (სუბიექტი) და საზოგადოება, ხოლო, მეორე მხრივ, ინდივიდუალური მოქმედება და კოლექტიური სოციალური ცხოვრების მყარი ფორმები. ორივე შემთხვევაში მედიუმს წარმოადგენს სოციალური პრაქსისის ცნება. როგორც უკვე აღინიშნა, ეს თეორია იწყება საღი ახრის მატარებელი დებულებით, რომ ყველაფერი, რაც სოციალურ ცხოვრებაში ხდება ან არსებობს, გენერალიზდება ქცევის დადგენილ ფორმებში. სოციალური ცხოვრების წარმოების (და რეპროდუქციის) პროცესში აგენტები, მათი შემეცნების უნარების გამომჟღავნებისას, აუცილებლად იყენებენ ***სოციალურ*** თვისებებსაც. ამასთან ერთად, სიმბოლური ინტერაქციონისტებისაგან ან ეთნომეთოდოლოგებისაგან განსხვავებით, გიდენსი მიიჩნევს, რომ პრაქტიკა უფრო მეტია, ვიდრე ლოკალურად განფენილი ქცევა. კერძოდ, ყველა პრაქტიკა ხელს უწყობს აგრეთვე ***სისტემური ურთიერთობების*** და ***სტრუქტურული ნიმუშების*** (ეტალონების) შექმნას (წარმოებას) და რეპროდუცირებას.

3. სოციალური ინსტიტუტები

გიდენსი აღიარებს განმეორებადი პრაქტიკების ანუ, ეთნომეთოდოლოგიის ენაზე - ჩვეულებების არსებობას, რაც პრაქტიკათა ***რეპროდუცირების*** მაჩვენებელია. რეპროდუცირება შესაძლებელია

[2] სხვა მკვლევრები (M. S. Archer, 1982: 456) აღნიშნავენ, რომ სტრუქტურაციის თეორია ცდილობს გადაჭრას სხვა ტიპის დუალიზმებიც: დაპირისპირება ვოლუნტარიზმსა და დეტერმინიზმს შორის და სინქრონია/დიაქრონიის დიხოტომია, რომელიც აცალკევებს სტატიკას დინამიკისაგან (ამ საკითხებს მოგვიანებით დაუბრუნდებით).

მაშინ, როდესაც აქტორები თავიანთ ქცევას განიხილავენ როგორც ***თავისთავად ნაგულისხმევს*** (taken for granted). სოციალური ინსტიტუტები (ანუ, რუტინები) (A. Giddens, 1979: 80; 1981:164; 1984:17) ***ისეთი წარმოებული (წარმოქმნილი) სოციალური პრაქტიკებია, რომლებიც ახდენს სწორედ სოციალური ცხოვრების ცნობილი (ჩვეული) ფორმების რეპროდუქციას.*** მოკლედ რომ ითქვას, სოციალური ინსტიტუტები სხვა არაფერია, თუ არა რეპროდუცირებული პრაქტიკები, ანუ, სხვანაირად - ქცევის სისტემატურად განმეორებადი ფორმები. ამ ფორმებს, გიდენსის თანახმად, ტრანსსიტუაციური ბუნება აქვთ (თუმცა, გიდენსი აღიარებს იმასაც, რომ რუტინის შეწყვეტა აუცილებელია სოციალური ***ცვლილებებისათვის***, მაგრამ ამაზე ქვემოთ).

რეპროდუცირებული სოციალური პრაქტიკების შესახებ თავის კონცეფციას გიდენსი (1979: 81; 1981: 164-5) "***ყოველდღიური ცხოვრების ინსტიტუციურ თეორიას***" უწოდებს. როგორც ჩანს, ტერმინი "ინსტიტუციური" განსაკუთრებული, კერძოდ, პროგრამული მნიშვნელობის მატარებელია სტრუქტურაციის თეორიაში. ამ ტერმინის ქვეშ გიდენსი არ გულისხმობს სოციალურ ***ორგანიზაციებს***. კიდევ ერთხელ ვამუსტებთ, რომ სოციალური ინსტიტუტების ცნება სპეციფიკურად ეხება მხოლოდ რუტინულ პრაქტიკებს, რომელთაც ახორციელებს და აღიარებს კოლექტივის წევრთა უმრავლესობა (სწორედ ესაა მათი ტრანსსიტუაციური ბუნება). როგორც ზოგიერთი ავტორი (I. Craib, 1992: 114) ახასიათებს, სოციალური ინსტიტუტები წარმოადგენს დროსა და სივრცეში მოწესრიგებულ იმპლიციტურ წესებს (სტრუქტურებს). აქედან გამომდინარე, ვთქვათ, ქორწინება ჩაითვლება ინსტიტუტად, რამდენადაც წარმოადგენს პრაქტიკას, რომელსაც ღრმად აქვს ფესვი გამდგარი ისტორიულ დროსა და სივრცეში. აქ საჭიროა გაკეთდეს გარკვეული განმარტება: გასასხვავებს რა ერთმანეთისაგან სოციალურ ინსტიტუტებს და სოციალურ ორგანიზაციებს, გიდენსი არ გულისხმობს იმას, რომ ამ ორ ფენომენს ერთმანეთთან გადაკვეთის წერტილი არ შეიძლება ჰქონდეთ. ამ განსხვავების აზრი ისაა, რომ სოციალური ინსტიტუტების არსებობა არ მოითხოვს ამავე დროს სოციალური ორგანიზაციის ფორმით არსებობას. აქ იგულისხმება ორი შესაძლებლობა: (1) არსებობს უამრავი სოციალური ინსტიტუტი, ანუ განმეორებადი და რეპროდუცირებადი სოციალური პრაქტიკა, რომლებსაც ორგანიზაციის ფორმა ***არასოდეს*** მიუღიათ. ასეთია რუტინულ ქცევათა, ანუ ჩვეულებათა დიდი

ნაწილი; (2) გარდა ამისა, სავსებით მოსალოდნელია, არსებობდეს სოციალური ორგანიზაციები, რომელნიც არაინსტიტუციონალიზებულია, ანუ მათ ფარგლებში არ ხდება სოციალურ პრაქტიკათა რეპროდუქცია. როგორც წესი, ასეთია ის სოციალური ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია ***ერთჯერადი*** მიზნებისათვის, ხანმოკლე ვადით.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სოციალური პრაქტიკების რეპროდუქციის, ანუ რუტინიზაციის პროცესი ეკვივალენტურია იმისა, რასაც სოციალურ მეცნიერებებში ***სოციალიზაციას*** უწოდებენ. მაგრამ, ეს ასე არ არის. სოციალიზაციის პროცესის კონტექსტი არ მოითხოვს ქცევის განსაზღვრული მოდელების იმპლიციტურ რეპროდუქციას ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რაც სტრუქტურაციის თეორიაში სოციალური ინსტიტუტების არსებობის პირობას წარმოადგენს. მოვიყვანოთ მარტივი მაგალითი: როდესაც მშობელი შვილს ჭადრაკის თამაშს ასწავლის, ეს სოციალიზაციის განხორციელებაა, მაგრამ, სრულიადაც არ გულისმობს, ამავე დროს, მოცემული პრაქტიკის რეპროდუქციის მოთხოვნას, ვინაიდან შეიძლება მოხდეს, რომ შვილმა ჭადრაკის თამაში ***აღარ გააგრძელოს***. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული პრაქტიკა არ იქცევა ინდივიდის (შვილის) ყოველდღიური ცხოვრების ქმედებაში გამოხატულ რუტინად, სოციალური კონტექსტის რეგულარულ ნაწილად.

სტრუქტურაციის თეორიის მკვლევრები (1. J. Cohen, 1989: 39) აღნიშნავენ, რომ სოციალურ მეცნიერებათა ბევრი წარმომადგენელი მიუთითებს ყოველდღიური პრაქტიკების ხანგრძლივად განმეორებადობის ფენომენზე გვაროვნულ საზოგადოებებში და სხვა მცირემასშტაბიან ჯგუფებში. მაგრამ, თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციაში სოციალურ პრაქტიკათა უჩვეულო მრავალფეროვნება აძნელებს ინსტიტუციურ რუტინათა ჩამოყალიბებას. ამის მიუხედავად, შესაძლებელია მიეთითოს ქცევის განსაზღვრულ სახეებზე, რომელთა რეპროდუცირებამ შეიძინა გამოკვეთილი სიმყარე თანამედროვე დასავლურ (და არა მხოლოდ) საზოგადოებებში. ასეთია, მაგალითად, ხელფასიდან და მოგებიდან გადასახადების გადახდა სახელმწიფოებრივი ღონისძიებების დასახმარებლად, სამუშაო კონტრაქტების შემოღება დამქირავებლებს და მშრომელებს (მოსამსახურეებს) შორის, ავტომობილის გამოყენება და მისთ. სხვა ისეთი რუტინები, როგორიცაა ფორმალური პოლიტიკური პროცედურები, კულინარული ჩვეულებები და ა.შ. წარმოადგენს სოციალურ მოვლენათა მიმდინარეობის და ციკლურობის აუცილებელ პირობებს სპეცი-

ფიკურ საზოგადოებებში ან საზოგადოების პატარა ჯგუფებში. ქცევის ინსტიტუციური ფორმების რეპროდუცირებას ადგილი აქვს, აგრეთვე, ისეთ შედარებით ნაკლებად გავრცობილ სფეროებში, როგორიცაა სოციალური კლასები, განსხვავებული ასაკობრივი, სქესობრივი, ეთნიკური და რეგიონული ჯგუფები.

გიდენსი (1979: 83-4; 1984:119, 373) აღნიშნავს, რომ სოციალური ინსტიტუტების სახით აგენტები ქმნიან სოციალური ქცევის მნიშვნელად კონტექსტს. სხვანაირად ეს ნიშნავს იმას, რომ სოციალური ინსტიტუტები, შესაძლოა, ფლობდეს რეფლექსურ ***კონტექსტუალობას***, რომელიც სოციალური შეჯახებების (შეხვედრების) და ინტერაქციების მაინტეგრირებელ ელემენტს წარმოადგენს. კონტექსტუალობას გიდენსი განსაზღვრავს, როგორც დროსივრცული ინტერაქციის ადგილმდებარეობით მახასიათებელს (situated character), რომელიც მოიცავს ინტერაქციის ფარგლებს, აქტორთა თანაყოფნას და მათ შორის კომუნიკაციას. მიუხედავად ამისა, გიდენსი აღნიშნავს იმასაც, რომ კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები კონტექსტუალობის შეზღუდული ხარისხით წარმოების საშუალებას აძლევს იმ აგენტებს, რომლებიც ფიზიკურად თანამყოფნი არ არიან. ამისაგან განსხვავებით, კონტექსტუალობის კარგად განვითარებულ სახეთა უმრავლესობა იწარმოება იმ სუბიექტების მიერ, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო სიახლოვეში იმყოფებიან. ამ შემთხვევაში (A. Giddens, 1984: 67-73) აგენტები იძენენ პოზიციას, რომელიც საშუალებას აძლევს მათ ჩაწვდნენ (აღიქვან) სხვათა საქციელს და იმასაც, რომ სხვებიც ამავე პოზიციაში იმყოფებიან მათ მიმართ. ამ ნიადაგზე იქმნება კონტექსტის გაცილებით ინტენსიური ფორმები, რომლებიც ორმხრივად - ***ვერბალური და არავერბალური*** პროცედურების მიერ - ნაწარმოებია პირისპირ შეჯახებისას (შეხვედრებისას) და ინტერაქციებში. რაც შეეხება არავერბალურ პროცედურებს: ინსტიტუციური საქმიანობების რეპროდუცირებისათვის საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად სტრუქტურაციის თეორია (A. Giddens, 1976: 106-7; 1979: 206-7) შეუცვლელ როლს ანიჭებს სოციალური გარემოს ***ფიზიკურ*** ასპექტებს. გიდენსი იზიარებს თვალსაზრისს, რომ ფიზიკური ობიექტების ბუნება და მოხაზულობა (კონტურები) ფორმას აძლევს და აადვილებს როგორც კონტექსტის, ისე ქცევის რეპროდუქციას. მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, გიდენსი მიიჩნევს, რომ ფიზიკური გარემოებები ყოველთვის ჩართულია სოციალურ რუტინების სახით რეპროდუცირებულ

პრაქტიკებში. ეს ნიშნავს, რომ ფიზიკური ასპექტები არ ახდენს უარყოფით გავლენას სოციალურ ქცევაზე. პირიქით, ისინი დადებითად მობილიზდება სოციალური მოქმედების და ინტერაქციის მსვლელობის პროცესში.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, სოციალური რეპროდუქცია გულისხმობს იდეალური და მატერიალური, ვერბალური და არავერბალური ფაქტორების სინთეზს. სოციალურ შეჯახებებზე (შეხვედრებზე) რეფლექსია, რომელიც ვერბალურ პროცედურებს უკავშირდება, შეიძლება გამოიხატოს (ფორმულირდეს) იდეალურ ტერმინებში. ის, რაც პერცეფციულ ვერბალურ პროცედურებს სოციალური ქცევის მატერიალურ ფაქტორებთან აერთიანებს, სტრუქტურაციის თეორიაში (A. Giddens, 1976: 106-7; 1979: 206-7; 1984: 118-19) გამოიხატება ***ლოკალურობის*** (locale) ცნებით. ეს ცნება კონტექსტუალობის სუბკატეგორიას წარმოადგენს. მისი მეშვეობით აღინიშნება ფიზიკური რეგიონი, რომელიც ჩართულია ინტერაქციაში (როგორც ამ პროცესის შემადგენელი ნაწილი) და ფლობს განსაზღვრულ საზღვრებს, რაც ეხმარება ინტერაქციის კონცენტრაციას ამა თუ იმ სახით. სხვანაირად თუ ვიტყვით, ლოკალურობის ცნება გიდენსთან სპეციფიკურად ეხება იმას, თუ როგორ გამოიყენება სოციალური გარემოს მატერიალური ასპექტები რუტინათა მიმდინარეობის პროცესში. ასეთი გზა გვთავაზობს ვარიაციათა შესაძლებლობას, თუ რომელი მატერიალური ვითარებები ახდენს გავლენას ქცევის შესრულებაზე. მაშინ როდესაც ბევრი პრაქტიკა ჩვეულებრივად შეიცავს საგანთა გამოყენებას სპეციფიურ გარემოებებში (მაგ., სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული წარმოება), სხვა პრაქტიკები შეიძლება შეიცავდეს ისეთი საგნების გამოყენებას, რომლებიც არ არის "მიბმული" ერთ რომელიმე სივრცით ადგილთან. თუმცა, თუნდაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საჭიროა მატერიალური საზღვრების დეტერმინაცია, რათა აგენტებმა აამუშავონ რეფლექსური ცნობიერება და მისდიონ დისკურსს. მაგალითად (I. J. Cohen, 1989: 41), მეცნიერებს უძნელდებათ შექმნან კონტექსტი მათი ლექციებისათვის, თუ აუდიტორიის სივრცე იმდენად ჰატარაა, რომ მსმენელებს უხდებათ ოთახის გარეთ დგომა.

4. სოციალური სისტემები

სტრუქტურაციის თეორიაში სპეციფიკური მნიშვნელობის მქონეა საკითხი სოციალურ სისტემებთან და სტრუქტურულ ეტალონებთან პრაქსისის ინტეგრაციის შესახებ. გიდენსი (1984: 377) ***სისტემას*** განსაზღვრავს, როგორც რეპროდუცირებული პრაქტიკების სახით მოცემული ***სოციალური ურთიერთობების მოდელირებას დროში და სივრცეში***. ტერმინი "სისტემა" ეხება ყველა სახის ჯგუფის შიგნითა ურთიერთობების ეტალონებს (ნიმუშებს) - პატარა, ინტიმური ჯგუფებიდან დაწყებული, სოციალური ქსელებით და ფართო ორგანიზაციებით დამთავრებული. სისტემური რეპროდუქცია, როგორც წესი, წარმოიქმნება და შენარჩუნდება რეპროდუცირებული ურთიერთობების ციკლებით, რომლებშიც არსებული პრაქტიკები ქმნიან კავშირებს, ანუ ინტეგრირდებიან. გიდენსი ერთმანეთისაგან განასხვავებს ***სოციალურ*** ინტეგრაციას და ***სისტემურ*** ინტეგრაციას. სოციალური ინტეგრაცია მოიცავს წესრიგს, რომელიც შექმნილია პირისპირ (face to face) ინტერაქციის შედეგად. ბევრი სოციალური სისტემა, დაწყებული ნუკლეარული ოჯახებით და დამთავრებული არისტოკრატიული ერთობებით, შედგება ურთიერთობებისაგან, რომლებიც უმთავრესად რეპროდუცირებულია სოციალური ინტეგრაციის მნიშვნელობით. თუმცა, გიდენსი (1984: chapter 3) ამტკიცებს, რომ აქტორები შეიძლება ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებდნენ არაპირდაპირი გზებით, რომლებიც გაშუალებულია ფიზიკური დისტანციით და/ან დროითი ინტერვალით. გიდენსი აყალიბებს ***დრო-სივრცული დისტანცირების*** ცნებას, რომლის შუქზეც აანალიზებს აქტორთა შორის ურთიერთობების კომპლექსურ ვარიაციებს. მას შემდეგ, რაც შეიქმნა ელექტრონული კომუნიკაციის და მექანიკური ტრანსპორტირების საშუალებები, სოციალური ინტერაქცია გაცდა ლოკალური მოცემულობას, გაფართოვდა და გადაინაცვლა სფეროში, რომელიც მოიცავს "***არდამსწრე***" ("არმყოფ") აგენტებს შორის ურთიერთობათა ქსელს. რასაკვირველია, სისტემები მოიცავენ ლოკალურ, პირსპირ ინტერაქციებსაც, მაგრამ სისტემური ინტეგრაციის ცნების ქვეშ გიდენსი გულისხმობს დისტანციახე ურთიერთობის პროდუქტს და, ამდენად, პრაქსისი თეორიის ფარგლებში ქმნის ფართომასშტაბიანი თანამედროვე ორგანიზაციების მორფოლოგიის თეორიულ სურათს.

როგორც მკვლევრები (I. Craib, 1992: 116) მიუთითებენ, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ის, როგორ არის შესაძლებელი ***გადასვლა*** პირისპირ ინტერაქციიდან დრო-სივრცულ ინტერაქციაზე, ანუ, მოქმედებიდან - სისტემებზე. ამ პროცესში ჩართულია ფაქტორთა მთელი რიგი: იმპლიციტური ცოდნა იმისა, თუ როგორ ვიმოქმედოთ, რუტინული ქცევები, რეფლექსური ცოდნა, საკუთარი მოქმედებების რეფლექსური მონიტორინგი და სხვ. მექანიზმი, რომელსაც გიდენსი აღწერს, მისივე აღიარებით, მსგავსია იმისა, რასაც გოფმანი (1974) გვთავაზობს თავის შრომაში: "ურთიერთქმედების ჩარჩოების ანალიზი" ("Frame Analysys"). გოფმანი იკვლევს საკითხს, თუ როგორ ხდება მოწესრიგება, ანუ "ჩარჩოში" მოქცევა ყოველდღიური ცხოვრებისთვის თანმდევი ფრაგმენტული ინტერაქციების, მოულოდნელი შეხვედრების, "გავლითი" საუბრების, წყვეტადი მოქმედებების და ა. შ., როგორ ხდება იმის გამოხატვა, როდესაც მოცემულ მომენტში რაღაცა იწყება და მთავრდება? ამ კითხვებს არა მხოლოდ ეთნომეთოდოლოგიურ ძიებებამდე მივყავართ, არამედ სოციალურ სისტემათა განხილვის განსხვავებულ გზაზეც მიგვანიშნებს. თუ პარალელს გავავლებთ გიდენსთან, სტრუქტურაციის თეორია აგრეთვე ცდილობს შექმნას დროსა და სივრცეში ადამიანთა ყოველდღიური მოძრაობების მოდელები. ეს პროცესი, ზოგად ხაზებში, ასე შეიძლება აღიწეროს (Stinchombe, 1990: 50): ინსტიტუციური როლი არის არა ინდივიდუალური, არამედ დრო-სივრცული ერთეული, ***თანყოფნის სიტუაცია*** (the situation of co-presence). ადამიანები ფლობენ ცოდნას არა იმის შესახებ, თუ როგორ ითამაშონ როლი, არამედ - თუ როგორ უპასუხონ და დაეუფლონ სიტუაციის პრაქსისს. შესაბამისად, სოციალური სტრუქტურის ძირითად ერთეულებს არ წარმოადგენს ინდივიდთა სტატუსები ან როლები, არამედ - განსაზღვრული პრაქსისის შემცველი სიტუაციები, რომელშიც ადამიანები შედიან და გამოდიან და რომელთა მიხედვითაც ახდენენ მოცემული ქცევებისათვის ფორმის მიცემას. მორალური და პრაქტიკული წესრიგის შემცველი ინსტიტუციური სიტუაციები ახდენს ინდივიდთა მოვალეობების და უფლებების, აგრეთვე, საქმიანობების ქმნადობას. ამდენად, ეხინი (და არა როლები) არიან კაუზალური მნიშვნელობის მქონე. აქედან გამომდინარე, სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს იმის დანახვა, რომ იმპლიციტური ცოდნა იმის შესახებ, როგორ ვიმოქმედოთ და შევინარჩუნოთ ხანიერება (მოქმედების ერთგვაროვნება), ეხმარება საზოგადოებას (სოციალურ ჯგუფებს) სოციალურ სისტემის სახით გამოხატვაში. გიდენსის თანახმად, საზოგადოება არ წარმოადგენს გეოგ-

რაფიული სახღვრების მქონე მთლიანობას, არამედ, მეტ-ნაკლებად ღია სისტემას, რომელიც კვეთს გეოგრაფიულ სახღვრებს.

5. სტრუქტურის ცნება და სტრუქტურის ორობითობა

სტრუქტურაციის იდეა უკავშირდება იმას, რასაც გიდენსი (1984: 25) "***სტრუქტურის ორობითობას***" (duality of structure) უწოდებს. ხაზი უნდა გაესვას, რომ გიდენსი შეგნებულად ხმარობს ტერმინს "ორობითობა" [3] და არა ტერმინს - "დუალიზმი". საქმე ისაა, რომ მას მხედველობაში აქვს სტრუქტურის არა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი თვისება (სწორედ ამ შემთხვევაში მივიღებდით დუალიზმს), არამედ ერთი და იგივე პროცესის ორი ანალიტიკური განზომილება. აქვე უნდა გაეცეს პასუხი კითხვას, თუ რატომ იყენებს გიდენსი ტერმინს "***სტრუქტურაცია***" და არ კმაყოფილდება ტერმინით "სტრუქტურა". საქმე ისაა, რომ სტრუქტურაცია აღნიშნავს სოციალურ ურთიერთობათა რეპროდუქციას, როგორც ***პროცესს*** დროისა და სივრცის გადასწვრივ. მაშასადამე, ***რეალურად*** არსებობს მხოლოდ სტრუქტურაციის პროცესი. რაც შეეხება სტრუქტურას, იგი (A. Giddens, 1984: 17, 377) მხოლოდ ვირტუალურად არსებობს, როგორც ანალიტიკური აბსტრაქცია, როგორც "მეხსიერების ნაკვალევი". ამ თვალსაზრისით, იგი ადამიანის "***შემეცნებითუნარიანობის***" ("knowledgeability") საფუძველს წარმოადგენს, რომელიც მოქმედებაში მეყსეულად ერთვება. სრულიად სამართლიანად მიუთითებენ მკვლევრები (P. Sztompka, 1994: 39), რომ სვამს რა აქცენტს სოციალური რეალობის ფლუიდურ, მუდმივად ცვალებად და სრულიად გაუთვალისწინებელ ბუნებაზე, რომლის ერთადერთ ჭეშმარიტ ონტოლოგიურ სუბსტრატს წარმოადგენს ადამინურ სუბიექტთა მოქმედებები და ინტერაქციები, გიდენსი განიხრახავს, რომ გარდაქმნას სტრუქტურის ***სტატიკური*** ცნება სტრუქტურაციის ***დინამიკურ*** კატეგორიად, რომელიც აღწერს ადამიანის კოლექტიურ ქცევას.

როგორ განსაზღვრავს გიდენსი სტრუქტურას? რამდენადაც სოციალური სისტემები ჯგუფებს ეხება, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ტერმინი "სტრუქტურა" ზედმეტი ხდება. სინამდვილეში (I. J. Cohen,

[3] "duality" შეიძლებოდა გვეთარგმნა აგრეთვე როგორც "დუალურობა", თუმცა, მაინც "ორობითობა" ვამჯობინეთ

2000: 95) სტრუქტურა უზრუნველყოფს კოლექტიურობის იმ ელემენტს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან "დამატებას" წარმოადგენს ქცევის რეპროდუქციის უზრუნველსაყოფად. წარმოვიგინოთ, მაგალითად, ასეთი რუტინული (შაბლონური) პრაქტიკა: ინსპექტორი აწესრიგებს გზაზე მოძრაობას პიკის საათებში. ინსპექტორის მინიშნებები მძღოლების მიმართ არის სწრაფი, დამაჯერებელი და მთლიანად რუტინული (დადგენილი). განმეორებადი ჟესტებით იგი უცვლის მანქანებს მიმართულებას და ხელოვნურად აწესრიგებს მოძრაობას. შეიძლება თუ არა, რომ ეს პრაქტიკა სრულად იყოს გასაგები, თუ ინსპექტორს მუშაობის პროცესში დავაკვირდებით? ცხდია, არა. ინსპექტორმა წინასწარ უნდა აითვისოს ხერხების აუცილებელი რაოდენობა, რათა უსაფრთხოდ გასცეს მითითებები მძღოლების მისამართით და ზიანი არ მიაყენოს როგორც მათ, ისე საკუთარ კეთილდღეობას. მეტიც, ეს ხერხები არ არის საგზაო ინსპექტორის მიერ გამოგონილი. საგზაო კონტროლის გაჩენიდან მოყოლებული, ყველა კომპეტენტური ინსპექტორი ვალდებულია, აითვისოს ჩვევები (ხერხები), რათა შეასრულოს (ანუ, რეპროდუცირება მოახდინოს) იგივეობრივი პროცედურების.

როგორც აღნიშნული მაგალითიდან ჩანს, გიდენსი "სტრუქტურის" ცნებაში განსხვავებულ მნიშვნელობას მოიაზრებს, ვიდრე სტრუქტურული ფუნქციონალიზმი. კერძოდ, იგი სტრუქტურას განსაზღვრავს "***წესების და რესურსების***" თვალსაზრისით. განსაკუთრებული მნიშვნელობა სტრუქტურისათვის ენიჭება ***წესებს***. გიდენსი (1979: 65, 82; 1984: 18) სტრუქტურის ორობითობის კონცეფციის ფარგლებში აფართოებს თავის თვალსაზრისს იმის შესახებ, თუ როგორ ერთვება წესები სოციალურ პრაქტიკათა პერფორმაციაში. წესებს ენიჭება მაწარმოებელის ფუნქცია და წარმოადგენს იმ პროცედურათა ასპექტებს, რომლებიც ახდენს პრაქსისის რეგულაციათა რეპროდუქციას. რეპროდუქციის პროცესი, თავის მხრივ, ახდენს ამ წესების, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული სფეროების მყარი მახასიათებლების, რეგენერირებას. გიდენსის აზრით (1984: 19), ყველაზე აუცილებელ წესებს წარმოადგენს ისინი, რომლებიც ემსგავსება მათემატიკურ მწკრივებს, როგორიცაა 2, 4, 6, . . ., როდესაც სირთულეს არ წარმოადგენს მსგავსი პროგრესიის გაგრძელება. ასეთია, მაგალითად, ლეგალური კოდები, ბიუროკრატიული რეგულაციები და სხვა წესები, რომლებიც ფორმულირებულია დისკურსიული გზით. თუმცა, მათ გარდა, საჭიროა ისეთი წესების ცოდნაც, რომელთაც

ვასრულებთ, მაგრამ მათ შესახებ მკაფიო წარმოდგენა არა გვაქვს. ეს ემსგავსება წესებს, რომელთაც საუბრის დროს ვიცავთ, თუმცა, იშვიათად ვფლობთ ცოდნას მათ შესახებ. მაშასადამე, სტრუქტურა მოიცავს ისეთ წესებსაც, რომლებიც იმპლიციტურად იგულისხმება რუტინულ მოქმედებებში, ანუ სოციალურ პრაქტიკებში.

საბოლოო ანგარიშით, სტრუქტურის გიდენსისეული ცნება მოიცავს პროცედურათა ანალიტიკურ დეკონსტრუქციას ***ოთხი ელემენტის*** სახით (ყოველი სტრუქტურირებული პრაქტიკა აერთიანებს ოთხივე ელემენტს):

ა) პროცედურული წესები (ანუ, თუ როგორ სრულდება პრაქტიკა);

ბ) მორალური წესები ხელსაყრელი (სათანადო) ქმნადობის უზრუნველსაყოფად;

გ) მატერიალური (ლოკალიზებული) (Allocative) რესურსები;

დ) ავტორიტეტული (Authoriative) რესურსები.

მივმართოთ შედარებით მარტივ მაგალითს (თუმცა, უმრავლეს სიტუაციაში საქმე გვაქვს უფრო რთულ სტრუქტურებთან) (I. J. Cohen, 2000: 95): ერთ-ერთ სტრუქტურის მქონე პრაქტიკას წარმოადგენს ფულის ნიშნების გაცვლა საქონლის ან მომსახურებისათვის. აღნიშნული პრაქტიკა შეიცავს განსხვავებულ სტრუქტურულ რეკვიზიტებს, როგორიცაა, მაგალითად, ფულის ნიშნების სახით წარმოდგენილი მატერიალური რესურსები; ადმინისტრაციული რესურსები, რომლებიც ეხმარება გაცვლის პროცესს; მორალური კოდები (მოცემულ შემთხვევაში, ქცევის ეტიკეტი, რომელიც ახლავს ამ პროცედურას); იმ ჩვევების (ხერხების) ცოდნა, რომლებიც აუცილებელია, რომ შესრულდეს (პერფორმირდეს) გაცვლის პროცესი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სტრუქტურული ელემენტების ფუნქციონირება შეფერხდება - მაგალითად, თუ საჭვოა ფულის ერთეულის მატერიალური ღირებულება, დარღვეულია მორალური ეტიკეტი ანდა აქტორი არ ფლობს გაცვლისათვის აუცილებელ ხერხებს - მაშინ პრაქტიკა წარუმატებლობას განიცდის და ჩაშლა ემუქრება.

გიდენსი აღიარებს, რომ ქცევის წესები ***არარედუცირებადია***, ანუ არ დაიყვანება რომელიმე სპეციფიკურ სიტუაციამდე. ეს მიუთითებს ამ წესების ტრანსსიტუაციურ ბუნებაზე. ეს კი ნიშნავს, რომ წესები ჩართულია ქცევის იმ ფორმებში, რომლებიც ა) რეპროდუცირებულია და აღიარებულია დიდი ხნის განმავლობაში რუტინული საქმიანობების სახით, რომლებსაც კოლექტივის (ჯგუფის) წევრები მისდე-

ვენ; ბ) რეპროდუცირებული და აღიარებულია თავად ამ ჯგუფის ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდის მანძილზე. როდესაც ეს კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია, ქცევის წესები ჩაითვლება კოლექტიურობის ტრანსსიტუაციურ თვისებებად, რომლებიც მონაწილეობენ ინსტიტუციური ქცევის რეპროდუქციაში.

კონცეფცია ქცევის წესების შესახებ უკავშირდება (A. Giddnes, 1976: 88-9; 1979: 73, 84, 251-3; 1984: 4) ***საზიარო (საერთო) ცოდნის*** (mutual knowledge) ცნებას, რომელიც მარტივად გულისხმობს ცოდნას იმისა, თუ "როგორ გავაკეთოთ რაიმე" ანუ, "როგორ მოვიქცეთ". საზიარო ცოდნას ინაწილებს ყველა, ვინც ფლობს იმის კომპეტენციას, რომ ჩაერთოს სოციალური პრაქტიკის სათანადო დონეზე შესრულებაში. წმინდა ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, გიდენსი (1979: 64-8, 82-3) გვთავაზობს მოქმედების წესების შესახებ საზიარო ცოდნის სემანტიკური და ნორმატიული ასპექტების გათვალისწინებას. ***სემანტიკური*** ასპექტი ეხება პრაქტიკათა თვისებრივ და პროცედურულ მნიშვნელობას. აგრეთვე, მათი შესრულების ადგილმდებარეობას (ლოკალიზაციას) და ზოგიერთ მოსალოდნელ შედეგს. საზიარო ცოდნის ***ნორმატიული*** ასპექტი იმავე პრაქტიკებს, ლოკალიზაციას და შედეგებს განიხილავს უფლებების და მოვალეობების პოზიციიდან, რომელიც ადგენს მათ ლეგიტიმურ ან არალეგიტიმურ ხასიათს, ისევე როგორც - პრაქტიკათა შესრულების ხელსაყრელ და არახელსაყრელ ვზებს. საბოლოო ჯამში, ორივე ასპექტი ხელს უწყობს სოციალური პრაქტიკების სათანადო დონეზე განხორციელებას. საზიარო ცოდნის თვისებები დამახასიათებელია ინსტიტუციური პრაქტიკებისათვის, რომელთა რეპროდუცირებას ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავი აგენტი მრავალჯერ მიმართავს. მაშასადამე, ეს ცოდნა ბოლომდე არასოდეს დაიყვანება ქცევის რომელიმე სპეციფიკურ სიტუაციამდე. ერთსა და იმავე მომენტში უამრავმა აგენტმა, სრულიად განსხვავებულ გარემოებებში, შეიძლება გამოიყენოს საზიარო ცოდნის ერთი და იგივე ფორმა, რათა (ზოგადად) იმავე ტიპის საქმიანობის რეპროდუცირება მოახდინოს.

რაც შეეხება ***რესურსების*** ცნებას. ქცევის წესების მსგავსად, გიდენსი (1984: 15-6) რესურსებსაც განიხილავს როგორც კოლექტივების სტრუქტურულ მახასიათებლებს. რამდენადაც აგენტის მოღვაწეობა ჩართულია სოციალურ მოვლენათა ტრანსფორმაციაში, ანუ ახდენს მათ წარმოებას, საჭიროა არსებობდეს სოციალურ მოვლენათა განზომილება, რომელიც უზრუნველყოფს ამ გავლენის განხო-

რციელებას (გამომჟღავნებას). რესურსები ეხება სწორედ ***ძალაუფლების შესაძლებლობებს*** და საფუძვლებს, რომლებზედაც აგენტებს სელი მიუწვდებათ და რომელთა მანიპულირებითაც ისინი გავლენას ახდენენ ინტერაქციების მიმდინარეობაზე. რესურსებით მანიპულირება არ ხდება დისკრეტულ პრაქტიკებში. მათი მობილიზება ყოველთვის მოიცავს სახიარო ცოდნის ორივე - სემანტიკურ და ნორმატიულ ასპექტებს. და პირუკუ, რესურსები უზრუნველყოფს საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება სემანტიკური და ნორმატიული წესების აქტუალიზება. გიდენსი (1984: 258, 373) ერთმანეთისაგან განასხვავებს რესურსების ***ორ*** კატეგორიას, რომლებიც ჩაქსოვილია კონკრეტულ პრაქტიკებში: ***ავტორიტეტული*** რესურსები არამატერიალური რესურსებია, რომლებიც წარმოადგენს შესაძლებლობას იმისას, რომ აგენტებმა გავლენა იქონიონ (მოიპოვონ, შექმნან) პიროვნებებზე. მათ მიეკუთვნება: სოციალური დროისა და სივრცის ორგანიზაცია, ჯგუფის წარმოება/რეპროდუქცია (ადამიანთა ორმხრივი ურთიერთობების ორგანიზება), სასიცოცხლო, კერძოდ, თვითგანვითარების და თვითგამოხატვის შანსების ორგანიზება. ***ლოკალიზებული*** რესურსები, პირიქით, მატერიალური რესურსებია. ისინი წარმოადგენს შესაძლებლობებს იმისას, რომ აგენტებმა გავლენა მოიპოვონ ("აწარმოონ") მატერიალურ ობიექტებზე, ბუნებაზე. ასეთი რესურსებია: ნედლი მასალები, წარმოების/რეპროდუქციის საშუალებები (წარმოების ინსტრუმენტები, ტექნოლოგია), წარმოებული საქონელი (რომელიც შექმნილია ნედლი მასალების და ტექნოლოგიის ურთიერთობის შედეგად).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტრუქტურირებული პრაქტიკები უზრუნველყოფს სოციალური რეპროდუქციის და სოციალური ცვლილების ***ანალიზის*** ერთეულებს. მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ სტრუქტურირებული პრაქტიკები, უბრალოდ, ჩაითვალოს არსებულად, მხედველობის გარეშე დარჩეს მათი რეპროდუქციის ფაქტი და ისიც, რომ არსებობს პრაქტიკების შეცვლის შესაძლებლობა. ადამიანები ხშირად მსჯელობენ ინსტიტუციური პრაქტიკების შესახებ აღნიშნული საშიშროების კონტექსტში. ასე ხდება, მაგალითად, როდესაც მსჯელობები ეხება ეკონომიკურ გაცვლას in abstracto, სამუშაოს მიღებას, ქორწინებაში შესვლას, იმ რეალური ქმედებების აღნიშვნის გარეშე, რომელთა საშუალებითაც ეს ინსტიტუტები რეპროდუცირდება.

სწორედ ამას უკავშირდება გიდენსთან "***რეფლექსურობის***" ცნე-

ბა. რეფლექსია წარმოადგენს გზას, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვახდენთ საკუთარი სოციალური სამყაროს კონსტიტუირებას. სტრუქტურაციის თეორიას იგი სხვანაირად "რეფლექსურ სოციოლოგიასაც" უწოდებს, რამდენადაც სოციოლოგია ახდენს იმ სამყაროს "მშენებლობას", რომელსაც სწავლობს (რეფლექსურობის ცნება მოგვიანებით უფრო დაწვრილებით იქნება განხილული).

როგორც ითქვა, სტრუქტურაციის პროცესი ხორციელდება ***სტრუქტურის ორობითობის*** სახით. მკვლევრები (M. S. Archer, 1982: 457) სამართლიანად უწოდებენ მას სტრუქტურაციის თეორიის "კვინტესენციას", რამდენადაც იგი წარმოადგენს მექანიზმს, რომელმაც უნდა გააერთიანოს აღწერილი დუალიზმების დაპირისპირებული მხარეები. როგორია ამ მექანიზმის არსი?

სოციოლოგია, ჩვეულებრივ, სტრუქტურას განიხილავს როგორც იმას, რაც ზღუდავს ან განსაზღვრავს სოციალური ცხოვრების მახასიათებლებს. მაგრამ გიდენსი თვლის, რომ სტრუქტურა, ამავე დროს, უფლებასაც იძლევა რაღაცის გასაკეთებლად. შესაძლებელია მივმართოთ ანალოგიას ენასთან: ენა შემოფარგლავს იმას, რისი გამოთქმაც შეგვიძლია, მაგრამ, ამავე დროს, იგი რაიმეს თქმის უფლებასაც გვაძლევს. გიდენსის მიხედვით, სტრუქტურები "გახვეულია" მოქმედებებში: ისინი არსებობს მხოლოდ მოქმედების შიგნით და მათი საშუალებით. მოქმედება ქმნის, რეპროდუქციას ახდენს (კვლავ აწარმოებს) და ცვლის სტრუქტურებს. სტრუქტურის ორობითობა გიდენსთან ნიშნავს ***ინსტიტუციურ პრაქტიკათა რეპროდუქციას***, რამაც უნდა უზრუნველყოს მოქმედების და სტრუქტურის "შერიგება". სხვანაირად თუ ვიტყვით, გიდენსის (1979: 5; 1984: 25, 374) თანახმად, სტრუქტურის ორობითობა ეხება სოციალური პრაქტიკების სახით ჩამოყალიბებული სოციალური ცხოვრების აუცილებელ განახლებას (recursiveness[4]) : ***სტრუქტურა წარმოადგენს პრაქტიკათა რეპროდუქციის როგორც საშუალებას (მედიუმს), ისე შედეგს.***

[4] სტრუქტურის ორობითობის და, საერთოდ, სტრუქტურაციის პროცესის არსის ასახსნელად გიდენსი ხშირად და ძირითადად იყენებს ტერმინს recursive (ან recursiveness). ამდენად, მნიშვნელოვანია, მოიძებნოს ამ ტერმინის ადექვატური ქართული თარგმანი. ეს არცთუ ადვილი აღმოჩნდა: არ არსებობს სპეციალური - სოციოლოგიურ ტერმინთა - ქართულ-ინგლისური ლექსიკონი (თუმცა, აღნიშნული ტერმინი შეიძლება არც ჩაითვალოს სოციოლოგიურ ტერმინად), ხოლო "ჩვეულებრივ" ლექსიკონებში საერთოდ ვერ მოვაკლიე ამ ტერმინის ქართულ ვარიანტს. ვინაიდან ვერ შეირჩა ამ ტერმინის უნიფიცირებული თარგმანი, იგი განსხვავებულად ითარგმნა სტრუქტურაციის თეორიის ფარგლებში მოცემული ამა თუ იმ კონტექსტის შესაბამისად. თუმცა, ნებისმიერი კონტექსტისათვის შერჩეული ტერმინი ("განახლება", "უკუკავშირი" და სხვა) იგივეობრივი შინაარსის მატარებელია და გამოხატავს *პროცესს, როდესაც რაიმე ერთ დროულად ქმნის საკუთარ თავს, არც იგივეობრივად აბდებს საკუთარი თავის გაშეორებას.*

სტრუქტურა არის სოციალურ პრაქტიკათა კონსტიტუციის ("სხეულის") შემადგენელი ნაწილი და, ამავდროულად, "იმყოფება" ამ კონსტიტუციის წარმოების მომენტებშიც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გიდენსის კონცეფცია სტრუქტურის ორობითობის შესახებ აქცენტს სვამს სტრუქტურის და პრაქსისის *შინაგან კავშირზე* (ალიანსზე). სტრუქტურის ორობითობა ეხება ფაქტს, რომ სტრუქტურირებული პრაქტიკის რეპროდუცირებისათის აუცილებელია, აგენტებმა გამოიყენონ წესების მათ მიერ (წინდაწინ) შეძენილი ცოდნა და რესურსები. მაგრამ, სწორედ იმდენად, რამდენადაც აგენტებს პრაქტიკის რეპროდუცირებისათვის სჭირდებათ იმის იმპლიციტური ცოდნა, თუ როგორ სრულდება პრაქტიკა, პრაქტიკის შესრულებასთან (პერფორმირებასთან) ერთად, ისინი ახდენენ ცოდნის რეპოდუცირებასაც, განავითარებენ რა მას დროის ახალ მომენტში და ხელახლა აცნობიერებენ, რომ პრაქტიკა (და მისი რესურსები) არსებობს. მოკლედ თუ ვიტყვით, ყოველდღიურ ცხოვრებაში, რუტინული მოქმედებების შესასრულებლად აგენტები იყენებენ სტრუქტურის (წესების და რესურსების) შესახებ ცოდნას, როგორც *მედიუმს*, თუმცა, ამავე დროს, ახდენენ ამ ცოდნის (ე. ი. სტრუქტურის) კვლავწარმოებას - *შედეგის* სახით. თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითს დავუბრუნდებით, როდესაც ადგილი აქვს ნაღდი ფულის გაცვლას, ამავე დროს ხდება გაცვლისათვის რელევანტური სარესურსო შესაძლებლობების, მორალური წესების და პროცედურული წესების რეპროდუცირებაც. ეს მაგალითი ტრივიალურია ყოველდღიური სოციალური ცხოვრების შემთხვევაში, მაგრამ თუ აგენტები მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში მოკლებულნი იქნებიან შესაძლებლობას, რომ განახორციელონ ფულის გაცვლის რეპროდუქცია (ეს ხდება მაშინ, როდესაც, ვთქვათ, ნაღდი ფულის ადგილს მთლიანად იჭერს კრედიტის ელექტრონული ინსტრუმენტები) - ფულის ხელით გადაცემის პროცესში ჩართული ეტიკეტი, რესურსები და ჩვევები გაქრება ყოველდღიური ცხოვრებიდან (ამგვარმა გადანაცვლებამ შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანოს. მაგალითად, კრედიტებით საქმის წარმოება განაპირობებს ნაკლებ ანონიმურობას, ვიდრე არამაიდენტიფიცირებელი ფულის გაცვლა).

როდესაც გიდენსი ეხება სოციალურ სისტემათა სტრუქტურულ თვისებებს, მას შეუძლია აბსტრაქცია მოახდინოს სოციალურ ურთიერთობათა ფარგლებში არსებული განსხვავებული პრაქტიკებიდან. ეს განსაკუთრებით ეხება (A. Giddens, 1979: 93) ძალაუფლებითი

ხასიათის ურთიერთობებს, რომლებიც არსებობს ზემდგომს (დამქვემდებარებელს) და ხელქვეითს (დაქვემდებარებულს) შორის. ამ ურთიერთობებში შეინიშნება ***კონტროლის დიალექტიკა***, როგორც ძალაუფლების განაწილების მექანიზმი: ზემდგომნი ინარჩუნებენ თავიანთ უპირატესობას იმის წყალობით, რომ მათთვის ხელმისაწვდომია საუკეთესო საშუალებები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხელქვეითნიც ინარჩუნებენ ბერკეტებს ზემდგომთა წინააღმდეგ, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარონ (მინიმალური დოზით მაინც) ზემდგომთათვის "განკუთვნილი" რესურსები. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კონტროლის დიალექტიკა უკიდურესად უწონასწორობა (დაუბალანსებელია), ხელქვეითებმა შეიძლება მიაღწიონ გარკვეულ შეღავათებს, ვინაიდან ზემდგომნი დამოკიდებულნი არიან ძირითადი წესების მიმართ მათ დათმობებზე. კონტროლის დიალექტიკა ინგრევა, როდესაც ზემდგომებს არაფერი აიძულებთ სიცოცხლე შეუნარჩუნონ ხელქვეითებს (როგორც ეს ხდება, მაგალითად, გენოციდის დროს). მაშასადამე, აღნიშნული კონცეფცია ძალაუფლებითი ურთიერთობების ანალიზს მიმართავს ბატონობის და დაქვემდებარების მარტივი წარმოდგენის მიღმა, აქცენტს სვამს რა სტრუქტურულ კომპონენტებზე.

6. მოქმედი სუბიექტის კონცეფცია

სრულიად აშკარაა, რომ სტრუქტურაციის თეორიისათვის ცენტრალური საკითხს წარმოადგენს პრაქსისის ფენომენი, ანუ ონტოლოგიური პრიორიტეტი ენიჭება ისტორიის "კეთების" და სოციალური ცხოვრების წარმოების პროცესს, ისტორიის "მკეთებლებთან" და სოციალური ცხოვრების მწარმოებლებთან - აგენტებთან - შედარებით. შესაბამისად, გიდენსი პრაქტიკებს განიხილავს, როგორც მისი კვლევის ძირითად ერთეულებს. ამის მიუხედავად, სტრუქტურაციის თეორია მოიცავს ***მოქმედი სუბიექტის*** კონცეფციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სოციალური ცვლილებების არსში შეღწევა. კერძოდ, აღნიშნულმა თეორიამ უნდა უპასუხოს ***ორ კითხვას*** (I. J. Cohen, 2000: 96): რატომ მიმართავენ აქტორები ასე დაჟინებით რუტინული ქცევების რეპროდუქციას? და მეორე, რატომ ახორციელებენ ისინი სოციალურ ცვლილებებს?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, აუცილებელია რამდენიმე არსებითი წინასწარი შენიშვნის გაკეთება. მოქმედი სუბიექტის შესახებ გიდენსის კონცეფცია მიუთითებს მის მიზანზე (A. Giddens, 1984: 1-2), რომ სოციალური პრაქსისის ფარგლებში ერთმანეთთან შეაჯეროს, ერთი მხრივ, ინდივიდუალური აქტიორის, ხოლო, მეორე მხრივ, სოციეტალური ტოტალურობის ცნებები. ამ მიზნიდან გამომდინარე, ეს კონცეფცია ცდილობს საფუძვლიანად დაშორდეს აგენტის (ანუ, მოქმედი სუბიექტის) როგორც ***კოლექტივისტურ*** ინტერპრეტაციებს, ისე ჰერმენევტიკულ ***ვოლუნტარისტულ*** ტრადიციას. კოლექტივისტური თეორიები, დიურკჰაიმიდან დაწყებული, თანამედროვე ფუნქციონალისტების, მორფოლოგისტების და სტრუქტურალისტების ჩათვლით, აგენტებს განიხილავს როგორც სოციალური ცხოვრების დამყოლ და მანიპულირებად შემადგენელ ნაწილებს, რომელთა ქცევა მართვადია სუპრა-ინდივიდუალური ძალების და გარემოებების მიერ. ასეთი ძალების გაკონტროლება აგენტებს არ შეუძლიათ, ამდენად, ისინი ქვემდებარის პოზიციას იკავებენ. რაც შეეხება ჰერმენევტიკულ ვოლუნტარისტულ თვალსაზრისს, რომელიც სათავეს, სულ მცირე, დილთაის თეორიიდან იღებს, იგი აგენტს იკვლევს, როგორც მოქმედ სუბიექტს და მისი მოქმედება შეიცავს მნიშვნელობას (სუბიექტურ საზრისს), რომელსაც აგენტები ინდივიდუალურად მიაწერენ ისტორიულ, კულტურულ და სოციალურ მოვლენებს. ეს თვალსაზრისი უარყოფს სტრუქტურული კონტექსტის გავლენას ინდივიდთა ქცევაზე.

როგორც აღინიშნა, გიდენსს სურს გადალახოს ამ ტიპის - დეტერმინიზმი/ვოლუნტარიზმი - დუალიზმიც (რომელიც შინაგანად დაკავშირებულია სუბიექტ/ობიექტის დუალიზმთან). დეტერმინიზმის საპირისპიროდ, იგი (1984: 181) აცნობიერებს და აღიარებს, რომ, ინდივიდი წარმოადგენს ერთადერთ "მოძრავ არსებას" სოციალურ ურთიერთობებში (საერთოდ, ყველა სახის საქმიანობაში) და, ამდენად, შეუძლებელია მხედველობის არის გარეშე დარჩეს აქტორთა სუბიექტურობა. შესაბამისად, აგენტთა მოტივები და სურვილები ჩართული უნდა იქნეს სოციალური ქცევის წარმოდგენისას. მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურაციის თეორია (A. Giddens, 1979: 44-5; 94-5; 1984: 213-21) უარყოფს მეორე უკიდურეს - მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პოზიციას, რომელიც სოციალური მოქმედების იდენტიფიცირებას ახდენს სუბიექტურ ორიენტაციებთან. ამის საპასუხოდ, გიდენსი ახ-

დენს აქტორის "*დეცენტრალირებას*" (decentering) (თუმცა, არა დეკონსტრუქციას) და ცენტრალურ ადგილას სვამს პრაქსისის ფენომენს.

სტრუქტურაციის თეორიის მიერ აქტორის დეცენტრალირების გამოხატულებას წარმოადგენს თვალსაზრისი აქტორის ავტონომიურობის შეზღუდვის შესახებ, როგორც სოციალური, ისე მატერიალური ფაქტორებით. ადრე აღინიშნა, რომ გიდენსი პრინციპულად უშვებს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში აგენტთა "სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას", რითაც სურს გავმიჯნოს პოზიტივისტურ თვალსაზრისს და აჩვენოს სოციალური წესრიგის პრინციპული განსხვავება ბუნებრივი წესრიგისაგან. ამ თვალსაზრისმა ზოგიერთ მკვლევარს (M. Archer, 1982: 459-60) უბიძგა სტრუქტურაციის თეორია ეკვლია იმ მიმართულებით, რომ ეს თეორია აქტორებს თავისუფლების მაღალ ხარისხს ანიჭებს მათ ქცევებში. თუმცა, სხვა ავტორები (I. J. Cohen, 1989: 25, chapter 6) მიუთითებენ, რომ გიდენსის მიერ "სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობის" აღიარება მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ ეგი უარყოფს მოქმედების (მოლვაწეობის) ***სრულ დეტერმინაციას***, რომელიც აქტორს აიძულებს ავტომატური რეაქციების განსახორციელებლად. თუმცა, მეორე მხრივ, სრული დეტერმინაციის უარყოფა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს შეუზღუდავი თავისუფლების აღიარებას. სტრუქტურაციის თეორიის თანახმად (A. Giddnes, 1979: 6, 149; 1984: 16, 374), აგენტის თავისუფლება ყოველთვის შეზღუდულია *ორი* თვალსაზრისით: ჯერ ერთი, ყოველ სოციალურ ურთიერთობაში არსებობს ***კონტროლის დიალექტიკა***, რომელიც გულისხმობს რესურსების ასიმეტრიულ ხელმისაწვდომობას (განაწილებას) და მანიპულაციას, რაც ძალაუფლების განსხვავებულ ხარისხს ანიჭებს აგენტებს და, შესაბამისად, უფლებას აძლევს მათ ზეგავლენა მოახდინონ ერთმანეთის ქცევაზე. ამდენად, სოციალურ ინტერაქციაში ჩართული აგენტები არასოდეს არიან ბოლომდე ავტონომიურები. მეორე, მოქმედების თავისუფლების ხარისხი დიდად არის დამოკიდებული იმ პრაქტიკათა დიაპაზონზე, რომელთა შესრულება (პერფორმაცია) აქტორებს ხელეწიფებათ. რაც არ უნდა ფართო იყოს ეს დიაპაზონი, შეუზღუდავი თავისუფლების მიღწევა მაინც შეუძლებელია, რამდენადაც არც ერთ აგენტს არ ძალუძს საკმარისად დახელოვნდეს ყველა იმ პრაქტიკის შესრულებაში, რასაც სხვა აქტორები შეიძლება ფლობდნენ. მაშასადამე, აგენტის თავისუფლებას ყოველთვის ზღუდავს მისთვის ხელმისაწვდომ პრაქტიკათა ამპლიტ-

უდა, ასე სურს გიდენსს თავი აარიდოს ორ პოლარობას - ერთი მხრივ, აქტორის სრულ დეტერმინაციას, ხოლო, მეორე მხრივ, აქტორის შეუზღუდავ თავისუფლებას. თუმცა, უშვებს ამ პოლარობათა შორის ვარიაციის ყველა შესაძლებლობას.

მოქმედი სუბიექტის შესახებ გიდენსის (1984: chapter 2, 1991: chapter 2) თეორია გამოყოფს ***სუბიექტურობის*** სამ დონეს:

ა) ***დისკურსიული*** ცნობიერების დონე, რომელსაც ძირითადად იკვლევენ მოქმედების სუბიექტური თეორიის წარმომადგენლები (მაგალითად, ვებერი და პარსონსი). ეს არის მსჯელობის (დასაბუთების) და ეგზისტენციური მნიშვნელობის, მოკლედ თუ ვიტყვით - ***აქტიურად*** რეფლექსური[1] ცოდნის დონე. გიდენსი (1979: 57, 73; 1984: 4-7) აღნიშნავს, რომ დისკურსიული ცნობიერება გამოხატავს ინდივიდის უნარს, აქციოს საგნები (მოვლენები) სიტყვებად;

ბ) ***პრაქტიკული*** ცნობიერების დონე, რომელიც ეხება ქცევის რუტინული ფორმების ნაგულისხმევ (tacit), ***იმპლიციტურ*** ცოდნას. ასეთ ცოდნას ვფლობთ, როდესაც ვმოქმედებთ წესების, ანუ სტრუქტურის მოთხოვნების შესაბამისად ისე, რომ მათზე ***აქტიურ*** რეფლექსიას არ ვახდენთ (დავუბრუნდეთ ძველ მაგალითს: საუბრისას ვიცავთ ენის წესებს, თუმცა, მათ შესახებ აქტიურ ცოდნას არ ვფლობთ). ამრიგად, ეს დონე გულისხმობს, რომ აქტორთა გამოცდილება მოიცავს მათ მონაწილეობას ჩვეულებების (რუტინების) სახით არსებულ პრაქტიკებში ***თავისთავად ნაგულისხმევი*** (taken-for-granted) ფორმით. პრაქტიკული ცნობიერება (იმპლიციტური ცოდნა) შესაძლებელს ხდის (A. Giddnes, 1979: 59, 218; 1984: 6), რომ პრაქტიკები შესრულდეს პირდაპირი (უშუალო) მოტივაციის არსებობის გარეშე (ამ საკითხს ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევეხებით). პრაქტიკული ცნობიერების კალაპოტში თავსდება ყოველდღიური ქცევების დიდი ნაწილი (თუმცა, რასაკვირველია, სრულიად შესაძლებელია, რომ ქცევის ხერხების იმპლიციტური ფლობა მოექცეს დისკურსიული ყურადღების ცენტრში, როდესაც ამის საჭიროება დგება).

განსხვავება პრაქტიკულ და დისკურსიულ ცნობიერებას შორის შეიძლება ასეც გამოითქვას (I. Craib, 1992: 111): პირველი წარმოადგენს "ცოდნას იმისა, თუ ***როგორ***" ("knowledge of how"), ხოლო მეორე - "ცოდნას იმისა, თუ ***რა***" ("knowledge of what").

[1]ერთი შეხედვით ტავტოლოგიას წარმოადგენს რეფლექსურობასთან მიმართებაში გამოვიყენოთ პრედიკატი "აქტიური", მაგრამ ეს კურსივი მიანიშნებს სწორედ იმაზე, რომ გიდენსი აღიარებს ***პასიურ*** რეფლექსურობასაც, როდესაც საქმე პრაქტიკული ცნობიერების დონეს ეხება.

გ) სუბიექტურობის ***არაცნობიერი*** დონე, რომელიც უნიკალურია სტრუქტურაციის თეორიისათვის, რამდენადაც ადგენს, თუ რატომ მიმართავენ აქტორები პრაქტიკების რეპროდუცირებას ან შეცვლას. აღნიშნული დონე არ ახდენს მოქმედებების ყოველდღიური რეპროდუქციის მექანიზმების პრეზენტაციას, იგი უფრო მეტად უზრუნველყოფს ზოგად (გენერალიზებულ) მოტივაციას. კერძოდ, გიდენსის თანახმად, ადრეული ბავშვობიდან აქტორებს უჩნდებათ პრიმორდიალური, არაცნობიერი მოთხოვნილება იმისა, რომ განიცადონ სიახლოვე და პრაქტიკულად დაეუფლონ მათი სოციალური სამყაროს სტაბილურ (მყარ) მახასიათებლებს.

(სოციალური აქტორის აღნიშნულ სამ მოდელს გიდენსი (1984: 6-7) ადარებს ფროიდის კლასიფიკაციას პიროვნების სამი - იდი, ეგო და სუპერ-ეგო - დონის შესახებ. მართლაც, გიდენსი არცთუ იშვიათად გვთავაზობს ფსიქოანალიტიკურ იდეებს მოქმედი სუბიექტის შესახებ თავის კონცეფციაში).

როგორც უკვე ითქვა, გიდენსს სურს გაექცეს ორივე - კოლექტივისტურ-სტრუქტურალისტურ და ინდივიდუალისტურ-ვოლუნტარისტულ - უკიდურესობას და ***აგენტი (მოქმედი სუბიექტი) განიხილოს უპირველესად როგორც იმ პროცესებში ჩართული არსება, რომელთა მეშვეობითაც ხდება სოციალური ცხოვრების კონსტიტუირება*** (ანუ, აგენტი განიხილოს როგორც სტრუქტურაციის პროცესში ჩართული არსება). ამდენად, "მოქმედების სუბიექტის კონცეფცია" აქცენტს სვამს აქტორზე, როგორც აგენტზე, რომელიც "აკეთებს" ანუ აწარმოებს სოციალურ მოვლენებს. აღნიშნული კონცეფციის ძირითად პარამეტრებს, ანუ (როგორც თავად უწოდებს) "აგენტის სტრატიფიკაციულ მოდელს" გიდენსი (1979: 56; 1984: 5) წარმოადგენს ფიგურალურად, სქემის სახით:

ფიგურა №1



როგორც წარმოდგენილ მოდელიდან ჩანს, მის ცენტრში გიდენსი ათავსებს სამ ცნებას: მოქმედების რეფლექსური მონიტორინგი; მოქმედების რაციონალიზაცია და მოქმედების მოტივაცია. სამივე ცნება წარმოადგენს აგენტის სუბიექტურობის ასპექტებს. მაგრამ, ხაზი უნდა გაესვას იმას (I. J. Cohen, 1989: 49), რომ ესაა არა გონების *მდგომარეობები*, არამედ ისეთი სუბიექტური *პროცესები*, რომლებსაც აგენტები ეწევიან და უკავშირებენ მოქმედების სელას (მიმდინარეობას) განუზრახველი შედეგებიდან მოქმედების არააღიარებული პირობებისაკენ.

ახლა უფრო დაწვრილებით აღნიშნული მოდელის ამ დინამიკური პარამეტრების შესახებ:

ა) ***მოქმედების რეფლექსური მონიტორინგი და რაციონალიზაცია***

გიდენსი მოქმედების ამ ორ სუბიექტურ პარამეტრს ერთ კალაპოტში განიხილავს და განასხვავებს მათ მოქმედების მოტივაციისაგან. ამ განსხვავების არსებითი მაჩვენებელი ისაა (A. Giddens, 1984: 6), რომ პირველი ორი ეხება მოქმედების საფუძვლებს, მაშინ როდესაც მოტივაცია ეხება სურვილებს, რომლებიც მონიტორინგის და რაციონალიზაციის მაპროვოცირებელია (ბიძგის მიმცემია). უფრო კონკრეტულად, რა შინაარსს დებს გიდენსი თითოეულ მათგანში? ***მოქმედების რეფლექსური მონიტორინგი ეხება პროცესებს, რომელთა საშუალებითაც აგენტები მიყვებიან და ყურადღებას მიმართავენ სოციალური ცხოვრების მიმდინარეობაზე.*** მონიტორინგის რეფლექსურობა მოიცავს რამდენიმე, ანალიტიკურად განსხვავებულ, მაგრამ რეალურად ერთმანეთთან დაკავშირებულ პროცედურას. ერთი მხრივ, აგენტები ყურადღებას მიმართავენ საკუთარ ქცევაზე, რომლის მონიტორინგი ემყარება მოქმედების რაციონალიზაციას. მეორე მხრივ, რეფლექსური მონიტორინგის პროცედურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე აგენტების მიერ ყურადღებას მიმართვა სხვების მოქმედებებზე, ისევე როგორც სოციალური გარემოს კონტექსტუალური ასპექტების მნიშვნელობებზე, რაც სათანადო პირობებს ქმნის ქცევის სპეციფიკური სახეების შესასრულებლად. მონიტორინგის თითოეული პროცესი, ცალკე აღებული, საკმაოდ კომპლექსური პროცედურაა, თუმცა, ისინი ინარჩუნებენ ერთმანეთთან რეფლექსურ კავშირს. კერძოდ, სოციალურ კონტექსტთა და მოვლენათა მონიტორინგი გავლენას ახდენს აგენტთა მიერ საკუთარი ქცევების მონიტორინგზე, ხოლო ეს უკანასკნელი "ქმნის" განსხვა-

ვებებს როგორც სხვათა მოქმედებებისაგან, ისე კონტექსტთა ერთობლივი წარმოებისაგან.

გიდენსი (1976: 74-5, 78-9; 1984: 5-6) აღნიშნავს, რომ აგენტების შესაძლებლობები შეზღუდულია იმისათვის, რათა დისკურსიული ცნობიერების ველში მოაქციონ როგორც საკუთარი, ისე სხვისი ქცევების უაღრესად მრავალფეროვანი ასპექტები. ამდენად, რეფლექსური მონიტორინგის დიდი ნაწილი წარმოებს ***იმპლიციტურად*** და ხორციელდება პრაქტიკული ცნობიერების საფესურზე. აქედან გამომდინარე, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სოციალური მოღვაწეობის რეფლექსური მონიტორინგის (გიდენსი ამ პროცესს "მოქმედებათა იდენტიფიკაციასაც" უწოდებს) ***დისკურსიული და ნაგულისხმევი (იმპლიციტური) პროცედურები.*** მოქმედებათა დისკურსიული იდენტიფიკაცია წარმოებს მაშინ, როდესაც სდება ***შეწყვეტა*** ან ***პაუზა*** სოციალურ პროცესთა მიმდინარეობაში. ამ დროს ინდივიდები ყურადღებას, ანუ დისკურსს მიმართავენ იმაზე, რაც უკვე გაკეთდა (ახლო ან შედარებით დისტანცირებულ წარსულში), ან რისი გაკეთებაც მომავალში იგეგმება. მაშასადამე, გიდენსის თანახმად, აქტორები არ ახდენენ ქცევის მნიშვნელობაზე ეგზისტენციურ რეფლექსიას მათი ყოველდღიური ცხოვრების ყოველ მოცემულ მომენტში. აქტიური რეფლექსიის და დასაბუთების (მსჯელობის) უნარი, ანუ ის, რასაც გიდენსი დისკურსიულ ცნობიერებას უწოდებს, მობილიზდება მხოლოდ ***რუტინათა შეწყვეტის*** ან (განსაკუთრებულ შემთხვევებში) - ***კრიტიკული მხხვრევის*** დროს. ეს პროცესი ზოგჯერ წინასწარმეტყველებადია (მაგალითად, უნივერსიტეტის დასრულება ან სამსახურიდან გადადგომა), ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, რუტინათა შეჩერება (შეწყვეტა) სდება გაუფრთხილებლად (მაგალითად, უმუშევრობის ან სერიოზული დაავადების დროს). ყველა შემთხვევაში აქტორები მობილიზებას უკეთებენ საკუთარი ძალებს და ახროვნების ფოკუსირებას ახდენენ პრობლემების გადასაჭრელად, რაც გააუვნებელყოფს შფოთვას და რასაც, საბოლოო ჯამში, სოციალური ცვლილებები მოაქვს.

დისკურსიული მონიტორინგის გვერდით იმპლიციტური რეფლექსურობის აღიარება სტრუქტურაციის თეორიისათვის ფუნდამენტური, მეტიც, გარკვეული ახრით, პრიორიტეტული მნიშვნელობის მქონეა. გიდენსი აფართოებს რეფლექსურობის გაგებას და უშვებს, რომ მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს ლატენტურად (ფარულად), შეიძლება ითქვას, არაფორმალურად, პრაქტიკული ცნობიე-

რების დონეზე. მაშასადამე, დისკურსიული მონიტორინგისაგან განსხვავებით, მოქმედებათა იმპლიციტური იდენტიფიკაცია (მონიტორინგი) წარმოებს სოციალურ პროცესთა უწყვეტი ნაკადის (ხანიერი მიმდინარეობის) პირობებში, როდესაც არ ხდება ***ყურადღების დანაწილება*** (დაშლა) ცალკეულ მომენტებად. როგორც ითქვა, იმპლიციტური მონიტორინგის დისკურსიულით შეცვლის საჭიროება, გიდენსის (1976: 80-1; 1979: 55) აზრით, დგება მაშინ, როდესაც ფერხდება გარკვეულ მოვლენათა და გარემოებათა ადეკვატური გაგების და რელევანტური მოქმედების უზრუნველყოფა და ამისათვის აუცილებელია გაირკვეს მათი როგორც სემანტიკური, ისე ნორმატიული მნიშვნელობები.

რაც შეეხება აგენტის სუბიექტურობასთან დაკავშირებულ მეორე ასპექტს - ***მოქმედების რაციონალიზაციას***, არც იგი წარმოადგენს, გიდენსის (1984: 8-14) თანახმად, განსჯითი ქცევის ან, თუნდაც, სხვათა დარწმუნების შესაძლებლობის ეკვივალენტურს. ეს თვისებები მოქმედების რაციონალიზაციას მხოლოდ დისკურსიული ცნობიერების დონეზე უკავშირდება. მეტიც: მოქმედების რაციონალიზაცია უპირატესად არსებობს პრაქტიკული ცნობიერების საფეხურზე, როდესაც აგენტი საკუთარი ქცევის მონიტორინგს ახდენს მისივე ***განზრახვების*** (intentions) პოზიციიდან. რას გულისხმობს გიდენსი განზრახულობის ("ინტენციონალობის") ცნების ქვეშ? აღნიშნული ცნება ეხება (A. Giddens, 1976: 76-7; 1984: 10) სუბიექტთა ცოდნას ან რწმენას იმის შესახებ, რომ პრაქტიკათა გარკვეულ სახეებს აღმოაჩნდება კერძო თვისება (მახასიათებელი) ან მოიტანს გარკვეულ შედეგს, და მოქმედების სუბიექტი გამოიყენებს ამ ცოდნას, რათა მოიცვას ეს თვისება ან მიაღწიოს შედეგს. ეს ცოდნა, ძირითადად, იმპლიციტურ (ნაგულისხმევ) ხასიათს ატარებს და მიმართებაშია იმასთან, რასაც გიდენსი "საზიარო ცოდნას" უწოდებს. მაშასადამე, მოქმედების რაციონალიზაცია სუბიექტის შესახებ კონცეფციაში წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც აგენტები ინარჩუნებენ იმის ცოდნას, თუ რისი ***მიღწევა შეუძლია*** მათ ქმედებებს სოციალურ ცხოვრებაში. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მოქმედების რაციონალიზაცია უზრუნველყოფს აგენტთა მოქმედების შედეგების ***სრულ გათვლას***? არავითარ შემთხვევაში. გიდენსი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ არც ინტენციონალობის ცნება და არც მოქმედების რაციონალიზაცია არ გულისხმობს, რომ აგენტები ფლობენ, ან შესაძლოა ოდესმე დაეუფლონ. ცოდნას (იმპლიციტურს ან დისკურსიულს) მათი საქმია-

ნობის ყველა შედეგის შესახებ. ასე შემოდის მოქმედი სუბიექტის კონცეფციაში (საერთოდ, სტრუქტურაციულ ონტოლოგიაში) ***გაუზრახველი*** (გაუთვალისწინებელი) ***შედეგების*** ცნება. ამგვარი შედეგები წარმოადგენს სოციალური ცხოვრების არა მხოლოდ სავარაუდო, არამედ განმეორებად, შეიძლება ითქვას, ***ქრონიკულ*** მახასიათებლებს.

მოვიყვანოთ მაგალითი (I. J. Cohen, 1989: 50-1) იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მიმართება არსებობს მოქმედი სუბიექტის რეფლექსურ მონიტორინგსა და მოქმედების რაციონალიზაციას შორის (ორივე პროცედურა მუდმივად სრულდება ინსტიტუციურ რუტინებში აგენტთა მონაწილეობის დროს): წარმოვიდგინოთ, რომ აგენტი ჩართულია თანამედროვე ცხოვრების ყველაზე უფრო პრიზაულ საქმიანობაში - იხდის ფულს ფართო მოხმარების საქონლის შესაძენად. მაშინ, როდესაც ფასები ფიქსირებულია და პროცედურული ურთიერთობა მაღაზიის მოხელესთან (გამყიდველთან) წარმოადგენს რუტინას, აგენტის ქცევა მოჩანს როგორც სპონტანური (დაუგეგმავი) და ადვილად გასახორციელებელი. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც კი აგენტი იმპლიციტურად ჩართულია მოქმედებათა რთულ სისტემაში. პირველ რიგში, იგი ახორციელებს ფასებზე მონიტორინგს, აკონტროლებს მისთვის ხელსაყრელი დასახარჯი თანხის რაოდენობას, ორგანიზებას უკეთებს შეძენილი საქონლის გადატანას - ყველაფერი ეს მოითხოვს დისციპლინირებულ ყურადღებას სისრულეში მოსაყვანად. თავის მხრივ, ეს ყურადღება დაფუძნებულია აგენტების ცოდნაზე იმის შესახებ, რომ ფულადი ანგრიშსწორება (გარიგება) წარმოადგენს რაიმეს ყიდვისა და მფლობელობის პროცედურის შედეგს, ყველა იმ უფლების, შესაძლებლობის და პასუხისმგებლობის დაცვით, რასაც აღნიშნული პროცედურები მოითხოვს.

მაშასადამე, რეფლექსური მონიტორინგის და მოქმედების რაციონალიზაციის წყალობით სუბიექტი იძენს დისციპლინირებული, მოხერხებული და მიზანდასახული აგენტის რეპუტაციას, მაშინაც კი, როდესაც იგი დაკავებულია რუტინული მოღვაწეობით, რომლის შესრულება მან დიდი ხნის წინ დაიწყო. სოციალურ პრაქტიკათა სწორედ რუტინული ბუნების გამო, აგენტებს მეტწილად არ უხდებათ სხვებისთვის იმ ზრახვების დისკურსიული ახნა, რასაც ისინი ყოველდღიურ საქმიანობაში ახორციელებენ. თუმცა, ზოგჯერ თავს იჩენს შემთხვევები (A. Giddens, 1984: 6), როდესაც აგენტის ქცევა სხვებისათვის ***გაუგებარი*** ხდება, რაც უბიძგებს მათ, დაინტერესდნენ აგე-

ნტის ამგვარად მოქცევის მიზეზებით. თუმცა, აგენტის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებები უნდა განვასხვავოთ მოქმედების რაციონალიზაციისაგან. საქმე ისაა, რომ ქცევის მიზეზების დისკურსიული ანგარიში (შემოთავაზებული აგენტის მიერ), შესაძლოა, სხვადასხვა თვალსაზრისით - არასრული ანგარიშის შედგენა, სიმულაცია და ა.შ. - დაცილდეს ქცევის რაციონალიზაციას. მიუხედავად ამისა, გიდენსის (1984: 4) აზრით, აგენტების მიერ შემოთავაზებული მიზეზები წამოადგენს მთავარ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც სხვები ახდენენ მოქმედი სუბიექტების კომპეტენტურობის შეფასებას.

ბ) ***მოქმედების მოტივაცია***

როგორც აღინიშნა, მოქმედების მოტივაცია შეხებაშია სუბიექტის სურვილებთან, რომლებიც რეფლექსური მონიტორინგის და მოქმედების რაციონალიზაციის მაპროვოცირებელს (ბიძგის მიმცემს) წარმოადგენს. ეს მიუთითებს (A. Giddens, 1976: 85-6; 1984: 6), რომ მოტივაცია (რეფლექსურობისა და რაციონალიზაციისაგან განსხვავებით) არ არის უშუალოდ "მიბმული" მოქმედების უწყვეტობასთან, ანუ სოციალურ ქცევათა ნაკადთან. ყოველდღიურ ცხოვრებაში სოციალური პრაქტიკები ძირითადად პირდაპირი მოტივაციის გარეშე სრულდება. ეს ხდება მაშინ, როდესაც აგენტები მიმართავენ ცოდნის იმპლიციტურად გასაგებ ფორმებს. გიდენსის აზრით, მოტივაცია უფრო მეტად ეხება ***ქცევის პოტენციურობას*** (შესაძლებლობას), ვიდრე იმ წესს, რომლის მიხედვითაც მოქმედება უცვლელად (ქრონიკულად) სრულდება აგენტის მიერ. მოტივებს მოქმედების პირდაპირი (უშუალო) მოცვა შეუძლია მხოლოდ შედარებით უჩვეულო ვითარებებში, კერძოდ, სიტუაციებში, როდესაც რუტინათა ***დარღვევას*** (შეწყვეტას) აქვს ადგილი. ამდენად, უმრავლეს შემთხვევაში, მოტივები უზრუნველყოფს მხოლოდ საერთო (ზოგად) "გეგმებს" ან "პროგრამებს", რომელთა ფარგლებშიც წარმოიქმნება ქცევათა განსაზღვრული რიგი.

აღნიშნული თვალსაზრისიდან გამომდინარე, როგორც მკვლევრები (I. J. Cohen, 1989: 52) მიუთითებენ, ჩნდება ფუნდამენტური კითხვა: თუ ყოველდღიური პრაქტიკების უმრავლესობა არ არის უშუალოდ მოტივირებული, მაშინ რატომ *აგრძელებენ* აგენტები რუტინების ქრონიკულ (უცვლელ) შესრულებას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სტრუქტურაციის თეორია მოითხოვს, შევეხოთ *არაცნობიერ* მოტივებს, რომლებიც *არაპირდაპირ* არეგულირებს იმას, რომ აგენტებმა მისდიონ ქცევის ინსტიტუციურ ფორმებს.

სწორედ აქ ერთვება სუბიექტურობის მესამე - არაცნობიერი - დონე, იმ რეპრესიული მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ეხმიანება აგენტთა არაცნობიერ კოგნიციებს და მიდრეკილებებს. გიდენსის (1979: 58-9; 1984: 4-5, 49-50) თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ არაცნობიერ სუბიექტურობას ძალუძს არაპირდაპირ "დაეუფლოს" და მოიცვას მოქმედება, იგი იშვიათად ახდენს უარყოფით ეფექტს მოქმედების მონიტორინგსა და რაციონალიზაციაზე. გიდენსი ეყრდნობა ეგო-ფსიქოლოგისტებს (Erik Erikson, Abram Kardiner და სხვები), რომლებიც მიიჩნევენ, რომ არაცნობიერის საფუძველში დევს შფოთვის გაუქმების (მოხსნის) და თვითპატივისცემის დაცულობის ფუნდამენტური ორიენტაცია. ეს ორიენტაცია უპირატესად ვითარდება პირველადი სოციალიზაციის პროცესში, როდესაც არასრულწლოვანს (ბავშვს), მშობლიურ აგენტთან ინტერაქციის პროცესში, უყალიბდება "ძირითადი უსაფრთხოების სისტემა". აღნიშნული სისტემა შედგება არაცნობიერი მექანიზმების ქსელისაგან, რომლებიც აგენტს იცავენ არასასიამოვნო სტიმულებისაგან, როგორიცაა უნდობლობა, სირცხვილი, ეჭვი, ბრალეულობა და სხვ.

მთავარი მიზეზი, რატომაც არაცნობიერ მოტივაციასთან დაკავშირებული "ძირითადი უსაფრთხოების სისტემა" ზრდასრულებს რუტინული მოქმედებებისათვის გახაწყობს, ის არის (A. Giddens, 1984: 54-5), რომ, ბავშვების მსგავსად, ზრდასრულებისთვისაც შფოთვაზე კონტროლი წარმოადგენს ადამიანის ქცევის ყველაზე ზოგად (მაგენერალიზებელ) მოტივაციურ წყაროს. თუმცა, ინფანტილურობის მომწიფებასთან ერთად, შფოთვის თავიდან აცილებასთან დაკავშირებული არაცნობიერი მოტივები მშობლისეული ფორმების გავლენით ჩამოყალიბებული წინასწარმეტყველებადი რუტინებიდან გადაინაცვლებს ყოველდღიური ცხოვრების ნაკლებად შეჭღუდულ ქცევათა წინასწარმეტყველებად რუტინებზე. ბონების სუბიექტურ მდგომარეობას, რომელსაც ამაგრებს (ინახავს) რუტინათა წინასწარმეტყველება, გიდენსი (1979: 219; 1984: 50) "***ონტოლოგიურ უსაფრთხოებას***" ("ontological security") უწოდებს. ონტოლოგიური უსაფრთხოება უზრუნველყოფს სოციალური სამყაროს მიმართ სიახლოვის არაცნობიერ განცდას, რომლის სრულყოფილ რეალიზაციას აქტორები, საბოლოო ანგარიშით, ახორციელებენ (აღწევენ) ზრდასრულ ასაკში, რუტინათა რეპროდუქციაში მათი მონაწილეობის მეშვეობით. მაშასადამე, "ონტოლოგიური უსაფრთხოება" უკავშირდება აქტორთა ვანცდას იმის შესახებ, რომ სამ-

ყაროს და მასში მყოფი ადამიანების მოქმედების მნიშვნელობა მეტნაკლებად იგივეობრივი რჩება ყოველ მოცემულ მომენტში. გარდა ამისა, სოციალური რეპროდუქციის პროცესი ახალ ძალას მატებს აქტორთა კომპეტენტურობას და განამტკიცებს მათ ნდობას სოციალური სამყაროს წესრიგის მიმართ. ამდენად, რუტინათა შესრულება არა მხოლოდ სოციალური პრაქსისის შესრულებისათვის და სოციალური ცხოვრების ინსტიტუციური ფორმების "მშენებლობისათვის" არის აუცილებელი, არამედ აგენტის პიროვნულობის ჩამოყალიბების მექანიზმების მნიშვნელოვან ნაწილსაც წარმოადგენს. გიდენსი (1984: 61-4; 1991: 36-7) მიიჩნევს, რომ რუტინული პრაქტიკის რეპროდუცირების ალტერნატივა ონტოლოგიური უსაფრთხოების განცდის დაკარგვაზე მიუთითებს, რასაც ყოველთვის სასურველ ან არასასურველ ანომიამდე მივყავართ. ამას ადგილი აქვს კრიტიკულ (ექსტრემალურ) სიტუაციებში, როდესაც ინდივიდებს აღარ აქვთ მტკიცე რწმენა რუტინათა წინასწარმეტყველურობის მიმართ და კარგავენ მოქმედების ავტონომიურობის განცდას. მეტიც: უკიდურეს შემთხვევებში აგენტებმა შეიძლება დაკარგონ თვით საკუთარ ფიზიკურ მოძრაობებზე კონტროლის ყველაზე ფუნდამენტური განცდაც კი. გიდენსი აღწერილ პროცესს "***დერუტინიზაციას***" უწოდებს.

*გ) **მოქმედების განუზრახველი შედეგები და არაადიარებული პირობები***

გიდენსის მიერ აღწერილ სქემაში (ფიგურა №1) რეფლექსური მონიტორინგი, მოქმედების რაციონალიზაცია და მოტივაცია უკავშირდება განუზრახველი შედეგების წარმოშობას, რომელიც პირუკუ (recursively) მყლავნდება როგორც მოქმედების არაადიარებული პირობები. სხვანაირად თუ ვიტყვით (A. Giddens, 1984: 8), ქცევას შეიძლება ჰქონდეს განუზრახველი შედეგები, რომლებიც, ამავე დროს, სისტემატური უკუკავშირის წყალობით, წარმოადგენს არაადიარებულ (ანონიმურ) პირობებს მომავალი ქცევებისათვის. ასე მაგალითად, როდესაც კორექტულად ველაპარაკობთ ან ვწერთ, ამ პროცესის რეგულარულ შედეგს წარმოადგენს ის, რომ ვახორციელებთ (მთლიანობაში) ამ ენის რეპროდუქციას. ის ფაქტი, რომ ამ ენაზე სწორად ვმეტყველებთ, წარმოადგენს განზრახულ რეზულტატს, თუმცა, ის, რომ ამასთან ერთად ვეწევით ენის რეპროდუქციას - აღნიშნული ქცევის განუზრახველი შედეგია, რომელიც, პირუკუ, წარმოადგენს იმპლიციტურ პირობას ყოველი ახალი საუბრისათვის.

განუზრახველი შედეგების ცნება გიდენსთან, მისივე აღიარებით (A. Giddens, 1984: 12), ნათესაურ მიმართებაშია მერტონის მიერ "***ლატენტური ფუნქციების***" გაგებასთან, რომელთაც იგი "აშკარა ფუნქციებისაგან" განასხვავებს. მერტონის თანახმად, სტანდარტულ (განმეორებად) ქცევებს, როგორც ჩვეულებებს, აშკარა შედეგების გვერდით, შეიძლება ჰქონდეს ისეთი ფარული ობიექტური შედეგებიც, რომლებიც არ იყო წინასწარ განზრახული და გაცნობიერებული მოქმედი სუბიექტის მიერ. მაგალითად, ინდივიდთა ერთობლივი საქმიანობის პროცესმა, ამ საქმიანობის უშუალო მიზნის განხორციელების გარდა (რაც, ცხადია, ინდივიდების განზრახვაში შედიოდა), შეიძლება ლატენტურად გამოიწვიოს ჯგუფის წევრებს შორის სოლიდარობის და ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა, რაც წინასწარ დაგეგმილი და განზრახული არ ყოფილა.

ჩნდება კითხვა: რატომ არის შესაძლებელი, რომ განუზრახველი შედეგები, უკუკავშირის ძალით (recursively), გამყარავნდეს როგორც მომავალი ქცევების უზრუნველყოფის ანონიმური პირობები? (როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთ ასეთ პირობას წარმოადგენს ონტოლოგიური უსაფრთხოების განცდა). მაშასადამე, საკითხი დადგება განუზრახველ შედეგებსა და არააღიარებულ პირობებს შორის ***კავშირის ხასიათის*** შესახებ. უფრო მარტივად საკითხი ასე დაისმის (I. J. Cohen, 1989: 54): უნდა განიზრახონ თუ არა აგენტებმა ინსტიტუციური ქცევის სტრუქტურული თვისებების რეპროდუქცია იმისათვის, რათა ეს პროცესი (რეპროდუქცია) განხორციელდეს? მაგალითად, საუბრის დროს, უნდა განიზრახონ თუ არა აგენტებმა ლინგვისტური პრაქტიკის წესების რეპროდუქცია? ანდა, ფართო მოხმარების საქონლის შეძენისას, საჭიროა თუ არა აგენტებმა, თუნდაც იმპლიციტურ საფუძველზე (ანუ, პრაქტიკული ცნობიერების დონეზე), განიზრახონ ფულადი ერთეულის, როგორც ინსტიტუციური რესურსის, თვისებების რეპროდუქცია? აშკარაა, რომ რეალურად საქმის ვითარება სრულიად სხვაგვარია. კერძოდ, არაპროფესიონალ აგენტებს, სოციალური დარგის მეცნიერთაგან განსხვავებით, შეიძლება არასოდეს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდეთ, რომ სოციალურ რუტინებში მათი მონაწილეობა უზრუნველყოფს სოციალური სტრუქტურების რეპროდუქციას, რომელიც მოითხოვს მათი ცნობიერების, აგრეთვე, სხვათა ცნობიერების "განახლებას", რაც ფაქტობრივად წარმართავს სოციალურ ცხოვრებას მოცემულ გარემოებებში.

მაშასადამე, არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, რომ მოქმედების ყველა მოსალოდნელი შედეგი თავიდანვე იყოს განზრახული აგენტების მიერ და მხოლოდ ამ საფუძველზე იყოს შესაძლებელი მომავალი ქცევების განხორციელება. ამ შემთხვევაში მოქმედებს *იგივე* მექანიზმი, რასაც გიდენსი ახასიათებს სტრუქტურის ორობითობის სახით. როგორც ცნობილია, ზოგად მაპროვოცირებელ ფონს ამ მექანიზმის მოქმედებისათვის წარმოადგენს "ონტოლოგიური უსაფრთხოების" განცდა. მისი *არსი* ასეთია: რამდენადაც ქცევის სტრუქტურული თვისებები შეიძლება არაგანზრახულად რეპროდუცირდეს, ისინი, ამავე დროს, შეიძლება მოქმედების გაუცნობიერებელ (აუდიარებელ) პირობებს წარმოადგენდეს (მოკლედ: მოქმედების შედეგი, როგორც მომავალი მოქმედების პირობა). ამ მექანიზმის ემპირიული ინტერპრეტაცია ასე გამოიყურება: აგენტები შეიძლება სხვადასხვა ხელობით დაკავდნენ და არ გააცნობიერონ (აღიარონ), რომ ეს ხელობები სოციალურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის პირობებს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სტრუქტურის ორობითობის თვალსაზრისი ასეც შეიძლება ჩამოყალიბდეს: იგი გულისხმობს ***გაუცნობიერებელი სტრუქტურული პირობების არაგანზრახულ რეპროდუქციას***. თუმცა, აქ კიდევ ერთხელ საჭიროა გავიხსენოთ მნიშვნელოვანი დაზუსტება: სტრუქტურაციის კონცეფციიდან (როგორც "პოტენციალთა ონტოლოგიიდან") გამომდინარე, ის, რაც მოცემულ ეტაპზე წარმოადგენს მოქმედების განუზრახველ შედეგებს და გაუცნობიერებელი პირობებს, გარკვეული ისტორიული დროიდან შეიძლება გახდეს დისკურსიულად გაცნობიერებული, როგორც აგენტთა ქცევის მოსალოდნელი შედეგი. ეს პოტენცია უშუალოდ უკავშირდება ***სოციალური ცვლილებების*** შესაძლებლობებს: გარკვეულ შემთხვევებში აგენტები, რომლებიც ხედებიან, რომ მათი საქმიანობა ხელს უწყობს სოციალურ ინსტიტუტთა დამთრგუნველი და არასასურველი ქსელის შენარჩუნებას (შენახვას), იწყებენ მიზანმიმართული ზომების გატარებას და ახორციელებენ ცნობიერ ძალისხმევას, რათა შეცვალონ საკუთარი ქცევის წინა ფორმები. თუმცა, ცხადია, სოციალური ცვლილებების მასშტაბი ყოველთვის დამოკიდებულია არსებულ შესაძლებლობებზე *in situ*.

არაგანზრახული შედეგების ფაქტორი სტრუქტურის ორობითობაში წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს, თუ რატომ ანიჭებს გიდენსი (1976: 110-11; 1979: 88; 1984: 14-6) სოციალურ ცხოვრებაში უპირატესობას"***განსხვავების შექმნის***" ("make differ-

ence") ძალაუფლებას, აგენტის ნებისმიერ სხვა ძალისხმევასთან შედარებით. სტრუქტურაციის თეორიაში ადამიანის ქცევის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს უნარი იმისა, რომ ჩაერიოს მოვლენათა მსვლელობაში. "განსხვავების შექმნა" არის "სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობის" გამოხატულება (ამაზე ზემოთ უკვე აღინიშნა), კერძოდ, უნარი იმისა, რომ აგენტმა განახორციელოს სოციალური პროცესის ან მოვლენის ზოგიერთი ასპექტის ტრანსფორმაცია. მაშასადამე, აგენტის მოღვაწეობა სოციალურ მოვლენათა ტრანსფორმაციის შესაძლებლობას შეიცავს - ამაში მდგომარეობს მისი ძალაუფლება. გიდენსი ამტკიცებს, რომ ინდივიდის მოქმედება შეუძლებელია აღნიშნული უნარის ქონის გარეშე - კავშირი აგენტის მოღვაწეობას და ***ძალაუფლებას*** შორის ***ლოგიკურად*** უსწრებს და ამზადებს სოციალური პრაქტიკების შესრულებას. ამდენად, სოციალური მოღვაწეობა სხვა არაფერია, თუ არა ***აქტორთა მიერ "განსხვავების შექმნის" ძალაუფლების გამომჟღავნება განსაზღვრულ შედეგთა წარმოების პროცესში***, მაშინაც კი, როდესაც მათ მიერ არ არის განზრახული (ან, გაცნობიერებული) ამ შედეგთა არსებობა. ასეთი ზოგადი მნიშვნელობით, ძალაუფლება ლოგიკურ უპირატესობას ინარჩუნებს მოქმედების რეფლექსურ მონიტორინგთან და სუბიექტურობის სხვა ფორმებთან შედარებით.

გიდენსი აღიარებს დაძაბულობის და კონტრადიქციების მოსალოდნელობას ქცევის ფართომასშტაბიან კოლექტიურ მოდელებში, რაც წარმოადგენს რუტინათა მსხვრევის წყაროს და ახდენს დისკურსიული რელექსიისა და მსჯელობის პროვოცირებას სოციალური ცვლილებების დასაფიქსირებლად. თუმცა, გიდენსი არ თვლის, რომ პრობლემების გადაჭრის შედეგად აუცილებლად მიიღწევა ***უკეთესი*** კომპრომისი აქტორსა და გარემოს შორის, ვიდრე ეს მანამდე არსებობდა. ის, რაც აქტორებს სოციალური ცვლილებებისათვის აქეზებს, არის არა იმპულსი კომპრომისისათვის, არამედ, უფრო მეტად, არაცნობიერი მოთხოვნილება ყოველდღიური რუტინისა, რომელიც, რაღაც მიზეზების გამო, ირღვევა და აუცილებელი ხდება ცნობიერი ძალისხმევის გამოჩენა ახალ საფუძველზე პრაქტიკათა რუტინულობის აღსადგენად.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ცვლილებებისადმი მიმართვა მოკლებულია ***ნორმატიულ*** საფუძველს - იქნება ეს სწრაფვა სახოგადოებრივი სოლიდარობის, დემოკრატიული შეთანხმების ან სხვა რაიმე ნორმატიული, სოციალური ***იდეალის*** დასამკვიდრებლად.

როგორც მკვლევრები (I. J. Cohen, 2000: 97-8) აღნიშნავენ, გიდენსის პრაქსისის თეორია არ გულისხმობს ადამიანის ქცევის და სოციალური ურთიერთობების ***სუბსტანციურ*** (substantive) ხედვას. პრაქსისის მორალური მნიშვნელობა არის ის, რასაც აქტორი აკეთებს, არც მეტი, არც ნაკლები. ეთიკური ღირებულებების და ნორმაატიული იდეალების უარყოფით გიდენსს სურს გადაარჩინოს მისი კონცეფცია "ონტოლოგიური უსაფრთხოების" შესახებ. საქმე ისაა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოქმედების ანალიზი განხორციელდა იმ პერსპექტივის და გეგმების გათვალისწინებით, რასაც "***კარგი საზოგადოების***" ნორმები გვკარნახობს, მაშინ "ონტოლოგიური უსაფრთხოება" დამარცხდება, რამდენადაც მას ამ ნორმების დაკმაყოფილება არ შეუძლია.

გარდა იმისა, რომ გიდენსის თეორია ვერ უზრუნველყოფს საფუძველს სოციალურ იდეალთა რწმენისათვის, პრაქსისის თეორიას აკრიტიკებენ იმასთან დაკავშირებითაც, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს კოლექტიური იძულების (ზეწოლის) ადეკვატურ აღწერას. საზოგადოდ, კოლექტიური იძულება წარმოადგენს დაბრკოლებას, რომელიც ხელს უშლის აქტორებს მათი სურვილების დაკმაყოფილებაში. გიდენსის მიერ პრაქსისის დაკავშირება "ონტოლოგიური უსაფრთხოების" საჭიროებასთან, პასუხის გარეშე ტოვებს კითხვას იმის შესახებ, განიცდიან თუ არა აქტიორები ზეწოლას სხვათა სურვილების დაკმაყოფილების მხრიდან. ამ შემთხვევაშიც, კოლექტივის მხრიდან ზეწოლის მოთხოვნა ეწირება "ონტოლოგიური უსაფრთხოების" კონცეფციის გადარჩენას.

VI თავის ძირითადი შინაარსი

1. ენტონი გიდენსის "სტრუქტურაციის თეორია" მოწოდებულია, გადაჭრას ტრადიციული დუალიზმი: მოქმედება/სტრუქტურა (და მასთან დაკავშირებული სხვა დუალზმები: სუბიექტი/ობიექტი, ვოლუნტარიზმი/დეტერმინიზმი...). ამდენად, მისთვის ამოსავალი ხდება არა აღნიშნული დიხოტომიური წყვილის რომელიმე წევრი (სოციალური მოქმედება ან სტრუქტურა), არამედ მათი მედიუმი - სოციალური პრაქტიკის ცნება. ეს უკანასკნელი ფოკუსირდება არა მოქმედების (მოღვაწეობის) შედეგზე, არამედ - მოქმედების პროცესზე, რომელიც წარმოადგენს სოციალური ცხოვრების წარ-

მოებას და რეპროდუქციას (კვლავწარმოებას). სტრუქტურაციის კონცეფცია სხვა არაფერია, თუ არა პრაქსისის კონცეფცია, რომელიც აქცენტს სვამს სოციალურ მოვლენათა ქმნადობის (პერფორმაციის) მიმდინარეობაზე.

2. როდესაც სოციალური პრაქტიკების რეპროდუქცია იღებს იმპლიციტურ (თავისთავად ნაგულისხმევ) ხასიათს და გრძელდება (გავრცობილია) დროსა და სივრცეში, იგი ფორმირდება სოციალური რუტინების, ანუ ინსტიტუტების სახით. სოციალური ინსტიტუტები ქმნის რეფლექსურ კონტექსტს. კონტექსტუალობა დაკავშირებულია დრო-სივრცული ინტერაქციის განლაგებასთან (მყოფობასთან) და მოიცავს ინტერაქციის საზღვრებს, აქტორთა თანაყოფნას (ძირითადად, ფიზიკურს, თუმცა, შესაძლოა, ვირტუალურსაც) და მათ შორის კომუნიკაციას. მაშასადამე, კონტექსტუალობა გულისხმობს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური (მატერიალური) პროცედურების გამოყენებას ინტერაქციის, ანდა სოციალური შეჯახებების (შეხვედრების) პროცესში.

3. სოციალურ სისტემას გიდენსი განსაზღვრავს, როგორც რეპროდუცირებული პრაქტიკების, ე. ი. სოციალური ინსტიტუტების, მოდელირებას დროში და სივრცეში. სისტემა ეხება ჯგუფებს (პატარა ან დიდ) შიგნით არსებული ურთიერთობების ეტალონებს (მოდელებს), რომლებიც უზრუნველყოფს ურთიერთობათა ციკლების ინტეგრაციას. არსებობს ინტეგრაციის ორი დონე - სოციალური და სისტემური. სოციალური ინტეგრაცია აწესრიგებს პირისპირ ინტერაქციებს სოციალურ ჯგუფებში, რომლის წევრები ფიზიკურად თანამყოფნი არიან. სისტემური ინტეგრაცია ეხება ჯგუფის შიგნით არაპირდაპირ ურთიერთობებს, რომლებიც გაშუალებულია დრო-სივრცული დისტანციით (მაგალითად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით) და აწესრიგებს ფიზიკურად "არდამსწრე" აგენტებს შორის ურთიერთობათა ქსელს.

4. სტრუქტურას გიდენსი განსაზღვრავს, როგორც მოქმედების წესების და რესურსების ქსელს, რომელიც ჩართულია ინსტიტუციურ პრაქტიკათა წარმოებასა და რეპროდუქციაში. სტრუქტურა მხოლოდ ვირტუალურად არსებობს, როგორც ანალიტიკური აბსტრაქცია (რეალურად არსებობს მხოლოდ სტრუქტურაციის პროცესი). ეს ნიშნავს, რომ აგენტი ფლობს წესების (პროცედუ-

რული და ნორმატიული) და რესურსების (მატერიალური და ავტ-ორიტეტული) ცოდნას (დისკურსიულს ან იმპლიციტურს), რომელიც წარმართავს მოქმედების შესრულებას. ეს არის საზ-იარო (საერთო) ცოდნა იმისა, თუ "როგორ მოვიქცეთ".

5. სტრუქტურაციის პროცესის, ანუ, სოციალურ პრაქტიკათა წარმოების და რეპროდუქციის, არსს გამოხატავს თვალსაზრისი "სტრუქტურის ორობითობის" შესახებ. ეს უკანასკნელი წარმოად-გენს გასაღებს იმისა, რომ გადაიჭრას დუალიზმი სტრუქტურასა და მოქმედებას, სუბიექტსა და ობიექტს, ინდივიდსა და კოლექ-ტივს, ვოლუნტარიზმსა და დეტერმინიზმს შორის. "ორობითობა" აღწერს არა სტრუქტურაციის ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდე-ბელ თვისებას (სწორედ ეს იქნებოდა დუალიზმი), არამედ ერთი და იგივე პროცესის ორ "ჰიპოსტასს": სტრუქტურა წარმოადგენს საშ-უალებას მოქმედების წარმოებისათვის (და კვლავწარმოებისათ-ვის), ხოლო, ამავდროულად, არის აღნიშნული პროცესის შე-დეგიც. სხვანაირად: აგენტები იყენებენ (ცნობიერად ან იმპლიცი-ტურად) წესების და რესურსების (ე. ი. სტრუქტურის) შესახებ ცოდნას მოქმედების პერფორმაციისათვის, ხოლო, პერფორ-მაციის პროცესში ხელახლა ახდენენ ამ ცოდნის განახლებას (რეპ-როდუქციას). მოკლედ: სტრუქტურა ქმნის მოქმედებას და ამავდ-როულად კვლავიქმნება მოქმედების პროცესში.

6. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურაციის თეორიაში ონტოლოგიური პრიორიტეტი ენიჭება სოციალური ცხოვრების წარმოების პროცესს (სოციალური ცხოვრების მწარმოებლებთ-ან შედარებით), ეს თეორია შეიცავს მოქმედი სუბიექტის კონცეფ-ციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სოციალური ცვლილებების არსის დადგენა. გიდენსი გაურბის მოქმედი სუბიექტის - აგენტის - როგორც კოლექტივისტურ (დეტერმინისტულ), ისე ვოლუნ-ტარისტულ ინტერპრეტაციებს. ერთი მხრივ, იგი აღიარებს, რომ მოქმედი სუბიექტი წარმოადგენს ერთადერთ "მოძრავ" არსებას სოციალურ ურთიერთობებში და შეუძლებელია, მხედველობის გა-რეშე დარჩეს მისი სუბიექტურობა (მოტივები, სურვილები და ა.შ.), თუმცა, მეორე მხრივ, გიდენსი ახდენს აქტორის "დეცენტრალი-რებას", რომელიც გამოიხატება აქტორის ავტონომიურობის შეზ-ღუდვაში როგორც სოციალური, ისე მატერიალური ფაქტორებ-ით. აგენტის თავისუფლება ყოველთვის შეზღუდულია ორი თვალსაზრისით: ჯერ ერთი, ყოველ სოციალურ ურთიერთობაში

არსებობს კონტროლის დიალექტიკა, რომელიც გულისხმობს რესურსების ასიმეტრიულ ხელმისაწვდომობას და მანიპულაციას, რაც აგენტებს ძალაუფლების განსხვავებულ ხარისხს ანიჭებს და, შესაბამისად, უფლებას აძლევს მათ ზეგავლენა მოახდინონ ერთმანეთის ქცევაზე. მეორე, მოქმედების თავისუფლების ხარისხი დამოკიდებულია აგენტთათვის ხელმისაწვდომ პრაქტიკათა დიაპაზონზე. ეს დიაპაზონი არასოდეს არის აბსოლუტურად შეუზღუდავი, ვინაიდან არც ერთ აგენტს არ ძალუძს საკმარისად დახელოვნდეს ყველა იმ პრაქტიკის შესრულებაში, რასაც სხვა აქტორები შეიძლება ფლობდნენ.

7. სტრუქტურაციის თეორია გამოყოფს სუბიექტურობის სამ დონეს:

ა) დისკურსიული ცნობიერების (ცოდნის) დონე, რომელიც მსჯელობის, დასაბუთების, ანუ ვერბალური გამოხატვის დონეა, როდესაც აგენტი ახორციელებს პრაქტიკათა შესრულებაზე აქტიურ რეფლექსიას;

ბ) პრაქტიკული ცნობიერების დონე, რომელიც ეხება ქცევის რუტინული ფორმების იმპლიციტურ ცოდნას. ასეთ ცოდნას ვფლობთ, როდესაც ვიქცევით წესების, ანუ სტრუქტურის მოთხოვნების შესაბამისად, მათზე აქტიური რეფლექსიის განხორციელების გარეშე (მაშასადამე, აღნიშნულ დონეზე აგენტი ახორციელებს პასიურ, არაფორმალურ რეფლექსიას). პრაქტიკული ცნობიერების კალაპოტში თავსდება ყოველდღიური ქცევების დიდი ნაწილი (რუტინული ქცევები). თუმცა, სრულიად შესაძლებელია, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ქცევის ხერხების იმპლიციტური ფლობა მოექცეს დისკურსიული ცნობიერების ველში;

გ) სუბიექტურობის არაცნობიერი დონე, რომელიც ადგენს, თუ რატომ მიმართავენ აქტორები პრაქტიკების რეპროდუცირებას ან შეცვლას. აღნიშნულ დონეზე არ ხორციელდება კონტროლი რუტინათა ყოველდღიურ რეპროდუქციაზე, იგი უზრუნველყოფს ზოგად მოტივაციას, რომელიც გულისხმობს აქტიორთა ადრეული ბავშვობიდან წამოსულ არაცნობიერ მოთხოვნილებას იმისა, რომ განიცადონ სიახლოვე და პრაქტიკულად დაეუფლონ სოციალური სამყაროს სტაბილურ მახასიათებლებს.

8. გიდენსი აყალიბებს აგენტის სტრატიფიკაციულ მოდელს, რომელიც შემდეგ პარამეტრებს მოიცავს:

ა) მოქმედების რეფლექსური მონიტორინგი. იგი წარმოადგენს

პროცედურას, რომლის საშუალებითაც აგენტები ყურადღებას მიმართავენ სოციალური ცხოვრების მიმდინარე ნაკადზე. ეს გამოიხატება როგორც საკუთარი ქცევაზე, ისე სხვების მოქმედებებზე კონტროლის დაწესებაში, აგრეთვე, რეფლექსია ხდება სოციალური გარემოს კონტექსტუალურ ასპექტებზე, რაც სათანადო პირობებს ქმნის ქცევის სპეციფიკურ [illegible]ხვების შესასრულებლად. რეფლექსური მონიტორინგი [illegible]დი ნაწილი წარმოებს იმპლიციტურად და ხორციელდება პოაქტიკული ცნობიერების საფეხურზე. მაშასადამე, არსებობს რეფლექსური მონიტორინგის დისკურსიული და იმპლიციტური პროცედურები. მოქმედებათა დისკურსიული იდენტიფიკაცია "ირთვება" მაშინ, როდესაც ხდება შეწყვეტა ან პაუზა რუტინათა მიმდინარეობაში, რაც სოციალური ცვლილებების წყაროა.

ბ) მოქმედების რაციონალიზაცია. იგი გულისხმობს აგენტის მიერ საკუთარი ქცევის მონიტორინგს მისივე განზრახვების პოზიციიდან. განზრახულობის ცნება ეხება სუბიექტთა ცოდნას (იმპლიციტურს ან დისკურსიულს) იმის შესახებ, რომ პრაქტიკათა გარკვეულ სახეებს აღმოაჩნდება კერძო თვისება ან მოიტანს გარკვეულ შედეგს, ხოლო აგენტი ამ ცოდნას გამოიყენებს, რათა მოიცვას ეს თვისება ან მიაღწიოს განზრახულ შედეგს. მოქმედების რაციონალიზაცია ხდება ორივე - პრაქტიკული და დისკურსიული (უპირატესად, პრაქტიკული) - ცნობიერების საფეხურზე. მისი წყალობით აგენტები განსაზღვრავენ, თუ რისი მიღწევა შეუძლია მათ ქმედებებს სოციალურ ცხოვრებაში. თუმცა, მოქმედების რაციონალიზაცია ვერ უზრუნველყოფს აგენტთა მოღვაწეობის შედეგების სრულ გათვლას - აგენტები არ ფლობენ და ვერც ოდესმე შეძლებენ დაეუფლონ ცოდნას (იმპლიციტურს ან დისკურსიულს) მათი საქმიანობის ყველა შედეგის შესახებ.

გ) მოქმედების მოტივაცია. იგი შეხებაშია სუბიექტის სურვილებთან, რომლებიც რეფლექსური მონიტორინგის და მოქმედების რაციონალიზაციის მაპროვოცირებელს წარმოადგენს. მათგან განსხვავებით, მოტივაცია არ არის უშუალოდ "მიბმული" სოციალურ ქცევათა ნაკადთან. ყოველდღიურ ცხოვრებაში რუტინული სოციალური პრაქტიკები, ძირითადად, პირდაპირი მოტივაციის გარეშე, კერძოდ, არაცნობიერი მოტივების გავლენით სრულდება. სწორედ აქ ერთვება სუბიექტურობის მესამე - არაცნობიერი - დონე. იგი გამოხატავს აგენტთა არაცნობიერ კოგნიციებს და

მიდრეკილებებს, რომელთაც გიდენსი, ზოგადად, "ონტოლოგიური უსაფრთხოების" განცდას უწოდებს. იგი წარმოადგენს სოციალური სამყაროს მიმართ სიახლოვის (ნდობის) არაცნობიერ განცდას და რწმენას იმისა, რომ სამყაროს და მასში მყოფი ადამიანების მოქმედებების მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად იგივეობრივი რჩება ყოველ მოცემულ მომენტში. ამ განცდის სრულყოფილ რეალიზაციას აქტორები ახორციელებენ ზრდასრულ ასაკში, რუტინათა რეპროდუქციაში მათი მონაწილეობით. ამ პროცესის ყოველი ალტერნატივა ონტოლოგიური უსაფრთხოების განცდის დაკარგვაზე (მოცემულ შემთხვევაში) მიუთითებს, როდესაც ინდივიდებს აღარა აქვთ რუტინათა უცვლელობის მტკიცე რწმენა. ეს არის "დერუტინიზაციის" პროცესი, რასაც ყოველთვის ანომიამდე და ცვლილებებამდე მივყავართ.

დ) არაგანზრახული შედეგები და არააღიარებული პირობები. გიდენსი ამტკიცებს, რომ არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, მოქმედების ყველა მოსალოდნელი შედეგი თავიდანვე იყოს განზრახული და მხოლოდ ამ საფუძველზე იყოს შესაძლებელი მომავალი ქცევების განხორციელება. სოციალური პრაქტიკები წარმოშობს განუზრახველ შედეგებს, რომლებიც, ამავდროულად, მოქმედების არააღიარებული პირობებს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მოქმედებს "სტრუქტურის ორობითობის" მექანიზმი: მოქმედების შედეგი იქცევა მომავალი მოქმედების პირობად. ზოგად მაპროვოცირებელ ფონს ამ მექანიზმის მოქმედებისათვის "ონტოლოგიური უსაფრთხოების" განცდა წარმოადგენს.

ის, რაც მოცემულ ეტაპზე წარმოადგენს მოქმედების განუზრახველ შედეგებს და გაუცნობიერებელ პირობებს, გარკვეული ისტორიული დროიდან შეიძლება გახდეს დისკურსიულად გაცნობიერებული, როგორც აგენტთა ქცევის მოსალოდნელი შედეგი. ეს პოტენცია უშუალოდ უკავშირდება სოციალური ცვლილებების შესაძლებლობას: აგენტები, რომლებიც ხვდებიან, რომ მათი საქმიანობა ხელს უწყობს სოციალურ ინსტიტუტთა დამთრგუნველი და არასასურველი ქსელის შენარჩუნებას, იწყებენ მიზანმიმართული ზომების გატარებას, რათა შეცვალონ საკუთარი ქცევის რუტინული ფორმები (თუმცა, სოციალური ცვლილებების მასშტაბი ყოველთვის დამოკიდებულია არსებულ შესაძლებლობებზე *in situ*).

9. სტრუქტურაციის თეორიაში აგენტის ქცევის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს უნარი იმისა, რომ ჩაერიოს მოვლენათა მსვლელობაში, "შექმნას განსხვავება". "განსხვავების შექმნა" თავისუფალი ქცევის გამოხატულებაა, უნარი იმისა, რომ აგენტმა განახორციელოს სოციალური პროცესის ან მოვლენის ტრანსფორმაცია. ესაა მისი ძალაუფლება. კავშირი აგენტის მოღვაწეობას და ძალაუფლებას შორის ლოგიკურად უსწრებს და ამზადებს სოციალური პრაქტიკების შესრულებას. სოციალური მოღვაწეობა სხვა არაფერია, თუ არა აქტორთა მიერ "განსხვავების შექმნის" ძალაუფლების გამომჟღავნება განსახღვრულ შედეგთა წარმოების პროცესში, მაშინაც კი, როდესაც ეს არაგანზრახულ ხასიათს ატარებს. ასეთი ზოგადი მნიშვნელობით, ძალაუფლება ლოგიკურ უპირატესობას ინარჩუნებს მოქმედების რეფლექსურ მონიტორინგთან და სუბიექტურობის სხვა ფორმებთან შედარებით.

10. გიდენსი აღიარებს დაძაბულობის და კონტრადიქციების მოსალოდნელობას ქცევის ფართომასშტაბიან კოლექტიურ მოდელებში, რაც წარმოადგენს რუტინათა მსხვრევის წყაროს და ახდენს დისკურსიული რელექსიის პროვოცირებას სოციალური ცვლილებების დასაფიქსირებლად. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემების გადაჭრის შედეგად აუცილებლად მიიღწევა აქტიორსა და გარემოს შორის უკეთესი კომპრომისი, ვიდრე ეს მანამდე არსებობდა. სოციალური ცვლილებებისადმი მიმართვა მოკლებულია ნორმატიულ საფუძველს - იქნება ეს სწრაფვა საზოგადოებრივი სოლიდარობის, დემოკრატიული შეთანხმების ან სხვა რაიმე ნორმატიული, სოციალური იდეალის დასამკვიდრებლად. პრაქსისის მორალური მნიშვნელობა არის ის, რასაც აქტიორი აკეთებს - არც მეტი, არც ნაკლები. ეთიკური დირებულებების და ნორმატიული იდეალების უარყოფით გიდენსს სურს გადაარჩინოს კონცეფცია "ონტოლოგიური უსაფრთხოების" შესახებ, რამდენადაც ამ კონცეფციას "კარგი საზოგადოების" ნორმების დაკმაყოფილება არ შეუძლია.

ძირითადი ცნებები:

სტრუქტურაცია, პრაქსისი, სოციალური ინსტიტუტი, სოციალური სისტემა, სტრუქტურა, სტრუქტურის ორობითობა, დისკურსიული ცნობიერება, პრაქტიკული ცნობიერება, არაცნობიერი

სუბიექტურობა, ონტოლოგიური უსაფრთხოება, რეფლექსური მონიტორინგი, მოქმედების რაციონალიზაცია, მოქმედების მოტივაცია, განუზრახველი პირობები, არადიარებული შედეგები, დერეტინიზაცია.

ძირითადი კითხვები

• რა არის სტრუქტურაციის თეორიის არსი და რატომ ცდილობს იგი დაძლიოს სტრუქტურა/მოღვაწეობის ტრადიციული დუალიზმი

• დაახასიათეთ პრაქსისი, როგორც სოციალური ცხოვრების წარმოებისა და რეპროდუქციის პროცესი

• როგორ განსაზღვრავს გიდენსი სოციალურ ინსტიტუტებს?

• სოციალური სისტემები, როგორც დროსა და სივრცეში მოდელირებული რეპროდუცირებული სოციალური ურთიერთობები

• რა გამოარჩევს სტრუქტურის ანალიტიკურ/ვირტუალურ კატეგორიას გიდენსთან?

• აღწერეთ "სტრუქტურის ორობითობის" მექანიზმი: სტრუქტურა როგორც მოქმედების საშუალება და შედეგი.

• დაახასიათეთ სტრუქტურაციის თეორიაში მოქმედი სუბიექტის კონცეფცია: სუბიექტურობის სამი - დისკურსიული, პრაქტიკული, არაცნობიერი - დონე; აგენტის სტრატიფიკაციული მოდელი: მოქმედების რეფლექსური მონიტორინგი და რაციონალიზაცია; მოქმედების მოტივაცია და "ონტოლოგიური უსაფრთხოების" განცდა; მოქმედების არაგანზრახული შედეგები, როგორც ქცევის არააღიარებული პირობები;

• რა არის დერეტინიზაციის პროცესი, როგორც სოციალური ცვლილებების წყარო?

ენტონი გიდენსის (დაიბადა 1938 წელს) ძირითადი შრომები:

• (1976) სოციოლოგიური მეთოდის ძირითადი წესები: ინტერპრეტაციული სოციოლოგიის პოზიტიური კრიტიკა

• (1979) სოციალური თეორიის ცენტრალური პრობლემები: მოქმედება, სტრუქტურა და სოციალური ანალიზის წინააღმდეგობა

• (1981) ისტორიული მატერიალიზმის თანამედროვე კრიტიკა

• (1984) საზოგადოების კონსტიტუირება: სტრუქტურაციის თეორიის მონახაზი

• (1987) სოციალური თეორია და თანამედროვე სოციოლოგია

• (1990) მოდერნიზმის შედეგები

• (1991) მოდერნიზმი და თვითიდენტურობა: თვითობა (self) და საზოგადოება გვიანდელი მოდერნიზმის ხანაში

• (1992) ინტიმურობის ტრანსფორმაცია: სექსუალობა, სიყვარული და ეროტიზმი მოდერნისტულ საზოგადოებებში

დამოწმებული ლიტერატურა

1. A r c h e r, M. S. 1982: "Structuration versus Morphogenesis: On Combining Structure and Action". *British Journal of Sociology*, 33 (4), pp. 445-83.

2. C o h e n, I. J. 1989: *Structuration Theory: Anthony Giddens and the Constitution of Social Life*. London: Macmillan.

3. C o h e n, I. J. 2000: "Theories of Action and Praxix", in Bryan S. Turner (ed.), *The Blackwell Companion to Social Teory* (second edition). Oxford: Blackwell Publishers, pp. 73-111.

4. C r a i b, I. 1992: *Modern Social Theory (From Parsons to Habermas)* (second edition). Bodmin, Cornwall.

5. G i d d e n s, A. 1976: *New Rules of Sociological Method: A Positive Critique of Interpretative Sociologies*. London: Hutchinson/ New York: Basic Books.

6. G i d d e n s, A. 1979: *Central Problems in Social Theory: Action, Structure and Contradiction in Social Analysis*. London: Macmillan/Berkely: University of California Press.

7. G i d d e n s, A. 1981: "Agency, Institution, and Time-Space Analysis", in *Advances in Social Theory and Methodology: Toward an Integration of Micro- and Macro- Sociologies*, edited by K. Knorr-Cetina and A. V. Cicourel. Boston: Routledge & Kegan Paul, pp. 161-74.

8. G i d d e n s, A. 1984: *The Constitution of Sciety: Outline of the Theory of Structuration*. Cambridge: Polity Press/Berkley: University of California Press.

9. S t i n c h c o m b e, 1990: Clark, J., Modgil, C. and Modgil, F. (eds), *Anthony Giddens: Consensus and Controversy*. Falmer Press, Sussex.

10. S z t o m p k a, P. 1994: "Evolving Focus on Human Agency in Contemporary Social Theory", in P. Sztompka (ed), *Agency and Structure, Reorienting Social Theory*. Gordon and Breach, pp. 25-

VII სოციალური მოქმედება ანტირედუქციონისტული თეორიის შუქზე

1. "ანტირედუქციონისტული თეორიის" ძირითადი დისკურსები

სოციალური თეორიის ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი (R. Sibeon) გარკვეული ტიპის მოდერნისტულ თეორიებს "***ანტირედუქციონისტული სოციოლოგიის***" სახელწოდების ქვეშ აერთიანებს. ანტირედუქციონისტული სოციოლოგია, მათი აზრით, ზოგადი მეტათეორიული ჩარჩოა, რომელშიც თავსდება არატრადიციული (არაკლასიკური) ინტერპრეტაციების მრავალფეროვანი სპექტრი.

რედუქციონისტული თეორია გაიაზრება (R. Sibeon, 1999: 317) როგორც თეორია, რომელიც მოწოდებულია სოციალური ცხოვრება (საზოგადოებრივი მოვლენები) ახსნას ***ერთი, უნიფიცირებული პრინციპის საფუძველზე***. ამ შემთხვევაში აქცენტირება ხდება ერთ ან ორ ფაქტორზე, რომელთაც ენიჭება განმსაზღვრელი კაუზალური მნიშვნელობა. ასეთი უნიფიცირებული პრინციპი შეიძლება იყოს, მაგალითად, "კაპიტალიზმის ინტერესები", "პატრიარქატი", "გლობალიზაცია", "რაციონალური არჩევანი" და სხვ. რედუქციონისტული ტიპის თეორიებად მოიაზრება მარქსისტული თეორია, ფუნქციონალიზმი ("ფუნქციონალური ტელეოლოგია"), ესენციალიზმი (esentialism), რეიფიკაცია (reification), აგრეთვე, თანამედროვე თეორიები, როგორიცაა, მაგალითად, რადიკალური ფემინისტური თეორიები, ზოგიერთი პოსტფორდისტული თეორია და ა.შ.

რედუქციონისტულ თეორიებს ზოგიერთი მკვლევარი (N. Mouzelis, 1993: 684) "***ოვითმყოფადი გენერალიზაციის***" ("substantive generalisation") თეორიებსაც უწოდებს, განასხვავებს რა მათ "მეთოდოლოგიური გენერალიზაციის" ("methodological generalisation")

თეორიებისაგან, რომლებიც ანტირედუქციონისტული სულისკვეთების მატარებელია. "თვითმყოფადი (სუბსტანციური) გენერალიზაციის" თეორიები ყოველთვის მიკერძოებულია, რამდენადაც სოციალური ფენომენების ახსნა დაჰყავს უნიტარულ, ტოტალურ მოდელზე, რომელსაც დაკარგული აქვს ემპირიული ახსნითი (ან, ემპირიულად ახსნადი) ღირებულება. ესენციალიზმი, მაგალითად, ეფუძნება სოციალური ფენომენების ჰომოგენურობის წარმოდგენას. იგი ამოდის კულტურის, სოციალური ინსტიტუტების, ან გარკვეული კოლექტივების (ქალები, მამაკაცები, თეთრკანიანები, შავკანიანები, მუშათა კლასი და ა.შ.) ჰომოგენურობის აღიარებიდან *a priori*, ანუ სოციალური ფენომენების ერთგვაროვნებას (რომელიც, ცხადია, არსებობს) არ განიხილავს როგორც სოციალური პროცესების ემპირიულად გამყოფავნებულ შედეგს, როგორც მეთოდოლოგიურ რეზულტატს.

ფუნქციონალური თეორიაც "თვითმყოფადი გენერალიზაციის" უკანონო მცდელობას აწარმოებს, რამდენადაც სოციალური ფენომენების ახსნა მხოლოდ მათი ფუნქციონალური (ანუ, პოზიტიური, მაინტეგრირებელი) შედეგებიდან გამომდინარე სურს. სწორედ ამიტომ აქვს მას ტელეოლოგიური ხასიათი (ეს საყვედური, არსებითად, ეხება ადრეულ ფუნქციონალიზმს, პარსონსის ჩათვლით).

რედუქციონისტული თეორიების კრიტიკოსების თანახმად, ანტირედუქციონისტული სოციოლოგიის მეტათეორიული ჩარჩო უარყოფს ***უნიფიცირებული*** (ტოტალური) პრინციპის გამოყენებას სოციალურ მოვლენათა ასახსნელად და აღიარებს ***მულტიინტერპრეტაციის*** პრინციპს, როდესაც სოციალური რეალობა კონსტრუირდება განსხვავებულ დისკურსთა საფუძველზე. ანტირედუქციონისტული სოციოლოგია ფოკუსირებას ახდენს შემდეგ ცნებებზე (დისკურსებზე) (R. Sibeon, 1999: 317): ***"აქტორი", "მოქმედების პირობები" ("სტრუქტურა"), "სოციალური შემოხვევა", "მაკრო-მიკრო", "დროსივრცე"***. ეს დისკურსები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მათი სინთეზი "ონტოლოგიურად მოქნილ", "მგრძნობიარე" თეორიულ მოდელს ქმნის ("ონტოლოგიური მოქნილობა" და "მგრძნობელობა" ის მახასიათებლებია, რომლებმაც ანტირედუქციონისტულ სოციოლოგიას თვითკმარ, ტოტალურ სისტემად განიხილვის პერსპექტივა უნდა ააცილოს).

ანტირედუქციონისტული სოციოლოგია მოიცავს შემდეგ თეორიებს: ფიგურატიული სოციოლოგია (Figurational Sociology) (N.

Elias), ანუ პროცესის სოციოლოგია; ბერგერის და ლუკმანის კონსტრუქტივიზმი; ფუკოს ძალაუფლების სოციოლოგია და ძალაუფლების პოსტფუკოსეული წარმოდგენები; წესრიგის სოციოლოგია (J. Law), Hindess-ის ანტირედუქციონისტული პერსპექტივა; გიდენსის თვალსაზრისი სტრუქტურაზე და დრო-სივრცეზე; აქტორი-ქსელის (actor-network) და თარგმანის თეორია (M. Callon, B. Latour), ინდეტერმინიზმის და დრო-სივრცული ცვალებადობების პოსტმოდერნული თეორიები (G. Mclennan, C. Bryant, D. Layder, R. Stones, N. Mouzelis)

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ანტირედუქციონისტული მეტათეორიის დისკურსები:

2. აქტორი

"აქტორის" ან "აგენტის" ცნება ერთ-ერთი ფუნდამენტურია ანტირედუქციონისტულ სოციოლოგიაში. მკვლევრები (B. Hindess, 1986ა: 115) "აქტორს" განსაზღვრავენ, როგორც "***გადაწყვეტილების და მოქმედების ლოკუსს, სადაც მოქმედება არის აქტორის გადაწყვეტილების შედეგი***". გამოიყოფა აქტორის ორი ტიპი: ***ინდივიდუალური*** აქტორები და ***სოციალური*** აქტორები. ეს უკანასკნელი მოიცავს ორგანიზაციებს (სამთავრობო სააგენტოებს, კერძო ფირმებს, პროფესიულ ასოციაციებს და ა.შ.), მცირემასშტაბიან მიკრო-ჯგუფებს (ოჯახი, ლოკალური კომიტეტები და სხვ.). სოციალური აქტორები, რომელთაც სხვანაირად "ორგანიზაციულ" ან "კორპორაციულ" აქტორებსაც უწოდებენ, ახორციელებენ ისეთ მოქმედებებს, რომლებიც არ დაიყვანება ადამიანთა ინდივიდუალურ მოქმედებებზე. სოციალურ აქტორად ყოფნა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: იგი უნდა იყოს დროში ხანიერი, უნდა დაიკავოს განსაკუთრებული (მყარი) ადგილი სივრცეში და აუცილებლად უნდა ფლობდეს ***მიზეზობრივ (კაუზალურ) ძალაუფლებას***. სხვაგვარად თუ ვიტყვით, სოციალური აქტორები ინსტიტუციონალიზებულ მოქმედებებს ახორციელებენ, რომლებიც არ დაიყვანება მათში მონაწილე ინდივიდუალური წევრების დონეზე. მაგალითად, საზოგადოებრივ სექტორში ესა თუ ის ფორმალური კომიტეტი ან ორგანიზაცია ფლობს ლეგიტიმაციის, სახსრების მოზიდვის და გადაწყვეტი-

ლების მიღების ისეთ მექანიზმებს, რომლებიც უფრო მეტია, ვიდრე ინდივიდუალური წევრების აქტივობა. სოციალური აქტორების ამგვარი დისტანციურობა ინდივიდებისაგან შეიძლება დაიძებნოს სოციალური პროცესების *მაკრო* დონეზეც. მაგალითად, საერთო კულტურული ღირებულებები და ნორმები ობიექტივირდება ყოველდღიურ სოციალურ პრაქტიკაში და ორგანიზაციულ რეჟიმებში. ამ ღირებულებათა და ნორმათა განმარტება (უფრო ზუსტად, რევიზია) არ წარმოადგენს ცალკეული ინდივიდების კომპეტენციას (ეს ისევ სოციალური აქტორის კომპეტენციაა, რომელიც ინდივიდუალურ მოქმედებათა ეაერთიანების სპეციფიკური შედეგია). სოციალური აქტორების მსგავსად, ინდივიდუალური აქტორებიც ფლობენ მიზეზობრივი (კაუზალური) ძალაუფლების გარკვეულ ხარისხს. საერთოდ, ***ძალაუფლების*** ფლობა შესაძლებელია იმიტომ, რომ როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ აქტორებს გააჩნიათ არსებულ სოციალურ ვითარებაზე ***პასუხისმგებლობის*** აღების და ***გადაწყვეტილების*** მიღების უნარი. აქედან გამომდინარე, მხოლოდ მათ შეუძლიათ სოციალური ვითარების რეორგანიზაცია (კვლავწარმოება) და შეცვლა. ისეთი "ტაქსონომიური" (taxonomic) კოლექტივები, როგორიცაა „საზოგადოება", „კლასები", „ქალები", „მამაკაცები", „შავკანიანები", „თეთრკანიანები" და ა. შ. არ შეიძლება წარმოადგენდნენ აქტორებს. საქმე ისაა, რომ ისინი იმ სოციალურ აგრეგატებს მიეკუთვნებიან, რომლებიც არ იდენტიფიცირდებიან გადაწყვეტილების მიღების და, შესაბამისად, სოციალურ ვითარებაზე პასუხისმგებლობის აღების მოლოდინთან. მაგალითად, მოსაზრება იმის შესახებ, რომ "მამაკაცები" წარმოადგენენ აქტორებს, რომლებსაც ძალუძთ რელიგიური, სქესობრივი, ან სხვა რაიმე უთანასწორობის დაძლევა, წინდა წყლის სოფისტიკაა და მოკლებულია ემპირიულ ღირებულებას.

მკვლევრებს შორის არ არსებობს ერთსულოვნება იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენენ თუ არა აქტორებს კლასები, ან სოციალური მოძრაობები. ზოგიერთი სოციოლოგი (მაგ. Touraine, Mouzelis, Layder და სხვ.) მათ სოციალურ აქტორებად მიიჩნევს, სხვები (მაგ. Sibeon და სხვ.) ამას უარყოფენ. ასეთი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისინი ერთსულოვანნი არიან აქტორის განსაზღვრაში, როლმლის თანახმადაც (როგორც უკვე აღინიშნა) აქტორი გადაწყვეტილების და მოქმედების სინთეზია, როდესაც მოქმედება სრულდება აქტორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. სტრუქტურა

ანტირედუქციონისტული სოციოლოგია სტრუქტურის ცნებას განსაზღვრავს (R. Sibeon, 1999: 323), ***როგორც დროში და სივრცეში გაშლილ სოციალურ პირობებს (სოციალურ გარემოს), რაც, მეტ-ნაკლებად, გაელვენას ახდენს აქტორის აზროვნების, გადაწყვეტილების და მოქმედების ფორმებზე და ეხმარება ან აიძულებს მას, მიაღწიოს განსაზღვრულ მიზნებს***. სტრუქტურას ე.ი. სოციალურ პირობებს (სოციალურ გარემოს), ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, მოქმედების პირობებსაც უწოდებენ, რამდენადაც იგი მოიცავს მხოლოდ იმ საზღვრებს, რომელშიც აქტორი მოქმედებს. ის, თუ რისი გაკეთება სურთ აქტორებს, რა გადაწყვეტილებას იღებენ ისინი და რისი გაკეთება შეუძლიათ - დამოკიდებულია (თუმცა, მთლიანად განსაზღვრული არ არის) მოქმედების პირობებზე.

რას გულისხმობს სოციალური პირობები შინაარსობრივი თვალსაზრისით, ანუ ემპირიულ ინდიკატორებზე მითითებით? მაგალითად, თუ მოქმედების სუბიექტებად განვიხილავთ ეროვნული სოციალური პოლიტიკის აქტორებს, რა იქნება მათთვის რელევანტური სტრუქტურა ანუ სოციალური პირობები (სოციალური გარემო)? ასეთ პირობებს წარმოადგენს: პოლიტიკური, ბიუროკრატიული, და პროფესიული დისკურსები; ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკური პრაქტიკა; სხვა აქტორები - ინდივიდუალური ან სოციალური (ორგანიზაციული); ახლანდელი და წინა პოლიტიკური პროგრამების განზრახული თუ განუზრახველი შედეგები; საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებს ეროვნულ პოლიტიკურ პროცესებზე; კანონმდებლობა, რესურსების განაწილება და პოლიტიკური ძალაუფლების კონფიგურაციები; საზოგადოებრივი აზრი და მასმედია და ა.შ.

ანტირედუქციონისტული სოციოლოგიის წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სოციალური სტურქტურისათვის (სოციალური პირობებისათვის) დამახასიათებელია ***პროცესუალობა***. ეს ნიშნავს, რომ სოციალური პირობები, რომელთა ზეგავლენასაც განიცდიან აქტორები (დახმარების ან ძალდატანების ფორმით), ცვალებადია და, გარკვეული აზრით, ***შემოხვევითიც***: ისინი არაწინასწარგანზრახულად (არამიზანმიმართულად) იქმნება, რეპროდუცირდება, ტრანსფორმირდება, ან, შესაძლოა, არსებობაც კი შეწყვიტოს. ანტირედუქციონისტული მიდგომის ძირითადი პათოსი სწორედ ეს არის,

რომ იგი უარყოფს ***ერთწესრიგიან*** (single-order) თეორიებს, რომელთა თანახმადაც აქტორები იმართებიან რაღაც ძირითადი ანალიტიკური მამოძრავებელი ძალის მიერ, როგორიცაა, ვთქვათ "კაპიტალიზმის ინტერესები", "პატრიარქატი", "პოსტკოლონიალიზმი", "გლობალიზაცია", "ინფორმაციული საზოგადოება" და სხვ. სოციალური პირობები, ანტირედუქციონისტების თანახმად, არ წარმოადგენს უნიტარულ ფენომენს, რომელიც განსაზღვრულია რომელიმე ერთი ტოტალური მამოძრავებელი მიზეზით (ასეთი აზროვნება და ხედვა რედუქციონისტულია). პირიქით, მათი აზრით (როგორც უკვე აღინიშნა), სოციალური პირობები (სტრუქტურა) ცვალებადია - მასში ჩართულია სხვადასხვა აქტორთა მიზნები, მოქმედების სხვადასხვა შედეგები, განხორციელებული როგორც წინა, ისე ამჟამად მოქმედი აქტორის მიერ. ეს მრავალგანზომილებიანი მოძრაობაა და საკითხი იმის შესახებ, შეძლებს თუ არა სოციალური პირობების რომელიმე კერძო ნაკრები ***შენარჩუნდეს*** დროისა და სივრცის ფართო განფენილობაში - სრულიად გაუთვალისწინებელ შედეგს წარმოადგენს იმ დიაქრონული და სინქრონული ურთიერთკავშირისა, რომელიც არსებობს აქტორსა და სოციალურ სტრუქტურას შორის.

მკვლევართა აზრით, სტრუქტურა, როგორც სოციალურ პირობათა გაუთალისწინებელი (განუზრახველი) და რეპროდუცირებადი ნაკრები, შეიძლება არსებობდეს სოციალური პროცესთა როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეებზე. თუმცა, ამ თვალსაზრისით, არ არსებობს ერთსულოვნება: ზოგიერთი სოციოლოგი (გიდენსი, Mouzelis) თვლის, რომ სტრუქტურა უკავშირდება მხოლოდ მაკრო დონეს, ხოლო მიკრო დონეზე არსებობს მხოლოდ ლოკალური ინტერაქციები (ეს არის ცნობილი ოპოზიცია მაკრო- და მიკრო-სოციოლოგიურ თეორიებს შორის). რიგი მოაზროვნეებისა (R. Sibeon, 1999: 324) ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. მათ მოყავთ ასეთი მაგალითი: წარმოვიდგინოთ ინტერაქცია, რომელიც მიმდინარეობს მასწავლებელსა და მოწაფეს შორის საკლასო ოთახში. გადრა იმისა, რომ ეს ინტერაქცია უნიკალური, თუმცა, დროითი თვალსაზრისით რეპროდუცირებადი, ლოკალური ძალაუფლებითი ურთიერთობების ნაკრებია, ე. ი. მიმდინარეობს მიკრო დონეზე, აღნიშნული ინტერაქცია, ამავე დროს, სულ მცირე, ახდენს განათლებასთან დაკავშირებული მაკრო-სოციალური ინსტიტუტებისა და როლებრივი წესების რეფლექსიას (ასახვას).

4. "სოციალური შემთხვევა" (Social Chance)

აგენტის და სტრუქტურის ცნებებთან ერთად, ანტირედუქციონისტული სოციოლოგიის წარმომადგენლები აუცილებლად მიიჩნევენ ***სოციალური შემთხვევის*** კატეგორიის შემოტანას. როგორც ზოგი მკვლევარი (R. Boudon, 1986 : 173) წერს, მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიას გულმოდგინედ უარყოფენ, როგორც ყველაზე "არასასურველ სტუმარს", იგი ვირტუალურად ყველგან იმყოფება.

ანტირედუქციონისტული მიდგომა სოციალურ შემთხვევას განსაზღვრავს, როგორც "***გაუთვალისწინებელ ხდომილობას***", რომელიც ორი ტიპისაა. პირველ ტიპს წარმოადგენს ***დისკრეტულ მოვლენათა შემთხვევითი შეერთება***, ანუ მოქმედებისა და სოციალური მოდელების დისკრეტული თანამიმდევრობა. ამ კონტექსტში ტერმინი "შემთხვევითი" გამოიყენება იმის აღსანიშნავად, რომ საქმე გვაქვს ***კაუზალურად*** ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენების შეერთებასთან.

გაუთვალისწინებელ ხდომილობათა ***მეორე*** ტიპი, თავის მხრივ, შედგება ორი სუბტიპისაგან: ა) ინტერსუბიექტურობის და ინტერაქციის გაუთვალისწინებელი შედეგებისაგან და ბ) არაინტერსუბიექტური პირობების ქვეშ მოქმედებათა შედეგების გაუთვალისწინებელი შეერთებისაგან. პირველი სუბტიპის მაგალითს წარმოადგენს ინტერორგანიზაციული პოლიტიკური ურთიერთობების ქსელში რელატიური, გაუთვალისწინებელი მოქმედებების არსებობა; ხოლო, მეორე ქვეტიპის შემთხვევაში საქმე გვაქვს უამრავი ინდივიდუალური აქტორის გადაწყვეტილებების თავმოყრასთან რაიმე გაუთვალისწინებელ პოლუციაში.

კავშირი აგენტს, სტრუქტურასა და სოციალურ შემთხვევას შორის განაპირობებს ***სოციალური ცხოვრების ინდეტერმინულობას.*** ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სოციალური სამყარო ***მთლიანად შემთხვევითი და ქაოტურია? ეს ფუნდამენტური*** კითხვაა მთელი ანტირედუქციონისტული სოციოლოგიისათვის, რომელიც ასეთ პასუხს იძლევა (M. Callon and B. Latour, 1981: 282; R.Sibeon, 1999: 328): ***არ არსებობს არავითარი ქაოსი,*** მაგრამ არ არსებობს არც არავითარი ***მყარი სოციალური სისტემა.*** სოციალური ცხოვრება მუდამ ***პოტენციურად დიაა*** იმისათვის, რომ ***შეიცვალოს.*** ცვალებადობამ, რომელიც მსჭვალავს დროს და სოციალურ სივრცეს, შეიძლება შედეგად

მოიტანოს როგორც ***სტაბილურობა*** და ***უწყვეტობა***, ისე ***წყვეტადობა*** და ***არასტაბილურობა***. ამდენად, სოციალური ცხოვრების სტაბილურობა-წყვეტადობა ემპირიული ცვლადია, რომელიც ***ვარირებს*** სოციალური გარემოს (სტრუქტურის) შეცვლასთან ერთად. არ არსებობს არავითარი ***სტრუქტურული პრედეტერმინაცია***, საზოგადოება ყოველთვის პოტენციურად ინდეტერმინულია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ცხოვრების ზოგიერთი სეგმენტი შეიძლება მეტ-ნაკლებად სტაბილური გახდეს, არსებობს მოლოდინი, რომ სტაბილური ვითარება ყოველთვის შეიძლება შეწყდეს - სტაბილურობა უპირატესად ***პროცესუალურია*** და მისი ხანგრძლივობის გათვალისწინება (წინასწარგანსაზღვრა) შეუძლებელია

გაუთვალისწინებელი ხდომილობები დაიკვირვება როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე. როდესაც სოციალური შემთხვევის ზოგიერთი შედეგი (ორივე დონეზე) გაიშლება დროსა და სივრცეში, ისინი სტრუქტურის ელემენტები ხდება, ანუ წყვეტს არსებობას როგორც მაკრო ან მიკრო შემთხვევის ნაწილები და მაკრო და მიკრო *სტრუქტურის* ნაწილებად იქცევა. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სტრუქტურა პროცესუალური ბუნებისაა, ამდენად, მისი სიმყარე რელატიურია.

5. მიკრო-მაკრო და დრო-სივრცე

მიკროსა და მაკროს შორის განსხვავებას გამოხატავს დროისა და სივრცის სხვადასხვა განფენილობის კვლევისა და ანალიზის მასშტაბები. მიკრო ანალიზი მოიცავს მცირემასშტაბიანი, პირისპირ (face-to-face) ინტერაქციების ფარგლებში არსებულ მნიშვნელობებს (სახრისებს), პოზიციებს (სტატუსებს) და როლებს, აქტორთა ურთიერთობებს და სხვ. მაკრო ანალიზი მოიცავს აქტორთა, სოციალური პირობათა, "მასალათა", აგრეთვე, სოციალური სისტემათა და ქსელთა ფართო დრო-სივრცული განფენილობის შესწავლას. "მასალის" ქვეშ იგულისხმება დისკურსების (ტექნიკური, რელიგიური, პროფესიული, პოლიტიკური დისკურსები, ან მათი კომბინაცია), კანონების, წესების, წერილობითი მასალების, პოლისების, სოციალური ჩვევების და ა.შ. ერთობლიობა, რომლებიც, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია ყოველდღიური ცხოვრების რუტინასთან. ზოგიერთი "მასალის" დრო-

სივრცული მობილობის და გამძლეობის ხარისხი დაბალია, ანუ ისინი აგენტს, სტრუქტურასა და სოციალური შემთხვევას შორის ინტერაქციის ზედმეტად გაუთვალისწინებელ შედეგს წარმოადგენს. ზოგი "მასალა", პირიქით, შედარებითი მყარი, ინსტიტუციონალიზებული და, ამდენად, განფენილი ხდება დრო-სივრცეში.

მიკრო და მაკრო დონეები რელატიურად ავტონომიურია. ეს ნიშნავს, რომ მოვლენები ერთი დონიდან ვერ ახდენს მეორე დონეზე მყოფი მოვლენების დეტერმინაციას. თუმცა, შესაძლებელია, არსებობდეს გაუთვალისწინებლად ხანგრძლივი ურთიერთობები მათ შორის. ამ ურთიერთობების გამოხატულებაა, მაგალითად ის, რომ ზოგიერთი "მასალა", ან მისი ასპექტი (როგორც მაკრო დონის ერთეული), შესაძლოა, ლოკალიზდეს მიკრო დონეზე, თუნდაც პერსონალური ბიოგრაფიის მასშტაბით. მასალების დრო-სივრცული დიფუზია წარმოადგენს ნაყოფიერ ნიადაგს ანალიტიკური პროცედურებისათვის, რაც მოითხოვს კვლევის მოქნილი მეთოდების შემუშავებას.

VII თავის ძირითადი შინაარსი

1. ანტირედუქციონისტული სოციოლოგია ზოგადი მეტათეორიული ჩარჩოა, რომელიც აერთიანებს არატრადიციულ (არაკლასიკურ) სოციოლოგიურ თეორიებს და ინტერპრეტაციებს. რედუქციონისტული თვალსაზრისი მოწოდებულია სოციალური ცხოვრება ახსნას ერთი, უნიფიცირებული პრინციპის საფუძველზე, რომელსაც ენიჭება განმსაზღვრელი კაუზალური მნიშვნელობა. ასეთი უნიფიცირებული პრინციპი შეიძლება იყოს "კაპიტალიზმის ინტერესები", "პატრიარქატი", "გლობალიზაცია", "რაციონალური არჩევანი" და სხვ. ანტირედუქციონისტული სოციოლოგია უარყოფს უნიფიცირებული პრინციპის გამოყენებას სოციალურ მოვლენათა ასახსნელად და აღიარებს მულტიინტერპრეტაციის პრინციპს, როდესაც სოციალური რეალობა კონსტრუირდება განსხვავებულ დისკურსთა საფუძველზე. იგი ფოკუსირდება შემდეგ ცნებებზე:"აქტორი", "მოქმედების პირობები" ("სტრუქტურა"), "სოციალური შემთხვევა", "მაკრო-მიკრო", "დრო-სივრცე".

2. ანტი-რედუქციონისტული სოციოლოგიის ფარგლებში

"აქტორი" განისაზღვრება, როგორც გადაწყვეტილების და მოქმედების ლოკუსი, სადაც მოქმედება არის აქტორის გადაწყვეტილების შედეგი. გამოიყოფა აქტორის ორი ტიპი: ინდივიდუალური და სოციალური აქტორები. ეს უკანასკნელი მოიცავს ორგანიზაციებს, მცირემასშტაბიან მიკროჯგუფებს, რომელთა მოქმედება არ დაიყვანება ადამიანთა ინდივიდუალურ მოქმედებებზე. სოციალური აქტორი უნდა იყოს დროში ხანიერი, უნდა დაიკავოს მყარი ადგილი სივრცეში და აუცილებლად უნდა ფლობდეს კაუზალურ ძალაუფლებას. ეს ნიშნავს, რომ სოციალური აქტორები ინსტიტუციონალიზებულ მოქმედებებს ახორციელებენ.

3. ანტირედუქციონისტული სოციოლოგია სტრუქტურას განსაზღვრავს, როგორც დროში და სივრცეში გაშლილ სოციალურ პირობებს, რაც გავლენას ახდენს აქტორის აზროვნების, გადაწყვეტილების და მოქმედების ფორმებზე და ეხმარება ან აიძულებს მას, მიაღწიოს განსაზღვრულ მიზნებს. სტრუქტურას მოქმედების პირობებსაც უწოდებენ, რამდენადაც იგი მოიცავს მხოლოდ იმ საზღვრებს, რომელშიც აქტორი მოქმედებს. სოციალურ სტურქტურას ახასიათებს პროცესუალობა. ეს ნიშნავს, რომ სოციალური პირობები, რომელთა ზეგავლენასაც განიცდიან აქტორები, ცვალებადია და შემთხვევითი: ისინი არაწინასწარგანზრახულად იქმნება, რეპროდუცირდება, ტრანსფორმირდება, ან, წყვეტს არსებობას. ანტირედუქციონისტული მიდგომა უარყოფს ერთწესრიგიან (single-order) თეორიებს, რომელთა თანახმადაც აქტორები იმართებიან რაღაც ძირითადი ანალიტიკური მამოძრავებელი ძალის მიერ, როგორიცაა, ვთქვათ "კაპიტალიზმის ინტერესები", "პატრიარქატი", "პოსტკოლონიალიზმი", "გლობალიზაციი", "ინფორმაციული საზოგადოება" და სხვ.

4. ანტირედუქციონისტული მიდგომა სოციალურ შემთხვევას განსაზღვრავს, როგორც "გაუთვალისწინებელ ხდომილობას", რომელიც ორი ტიპისაა. პირველ ტიპს წარმოადგენს დისკრეტულ მოვლენათა შემთხვევითი, ანუ კაუზალურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენების, შეერთება. მეორე ტიპი ორი ქვეტიპისაგან შედგება: ა) ინტერსუბიექტურობის და ინტერაქციის გაუთვალისწინებელი შედეგებისაგან და ბ) არაინტერსუბიექტური პირობების ქვეშ მოქმედებათა შედეგების გაუთვალისწინებელი შეერთებისაგან.

5. კავშირი აგენტს, სტრუქტურასა და სოციალურ შემთხვე-

ვას შორის განაპირობებს სოციალური ცხოვრების ინდენტერმინულობას. ეს არ ნიშნავს, რომ სოციალური ცხოვრება ქაოტურია, არამედ მიუთითებს, რომ იგი მუდამ პოტენციურად დიაა ცვლილებებისათვის. სოციალური ცხოვრების სტაბილურობა-წყვეტადობა ემპირიული ცვლადია, რომელიც ვარირებს სოციალური გარემოს (სტრუქტურის) შეცვლასთან ერთად. არ არსებობს რაიმე სტრუქტურული პრედეტერმინაცია, თუმცა, რადაც ეტაპზე, სოციალური ცხოვრების ზოგიერთი სეგმენტი შეიძლება მეტ-ნაკლებად სტაბილური გახდეს.

6. მიკროსა და მაკროს შორის განსხვავებას გამოხატავს დროისა და სივრცის სხვადასხვა განფენილობის ანალიზის მასშტაბები. მიკრო ანალიზი მოიცავს მცირემასშტაბიანი, პირისპირ (face-to-face) ინტერაქციების ფარგლებში არსებულ მნიშვნელობებს, სტატუსებს, როლებს, აქტორთა ინტერაქციებს და სხვ. მაკრო ანალიზი მოიცავს აქტორთა და სოციალურ სტრუქტურათა ფართო დრო-სივრცული განფენილობის შესწავლას.

ძირითადი ცნებები:

რედუქციონიზმი, ანტირედუქციონიზმი, აგენტი, სტრუქტურა, სოციალური შემთხვევა, მიკრო-მაკრო, დრო-სივრცე.

ძირითადი კითხვები:

- რა არის რედუქციონიზმის არსი?
- რა მოიაზრება ანტირედუქციონისტული თეორიის მეტათეორიული ჩარჩოს ქვეშ?
- აგენტის, სტრუქტურის, სოციალური შემთხვევის, მიკრო-მაკროს და დრო-სივრცის ცნებების შინაარსი ანტირედუქციონისტული მიდგომის ფარგლებში.
- როგორ გაიგება ანტირედუქციონისტული თვალსაზრისიდან გამომდინარე სოციალური ცხოვრების ინდეტერმინაცია?

დამოწმებული ლიტერატურა

1. Betts, K. 1986: The Conditions of Action, Power, and the Problem of Interests. *Sociological Review* 34, pp. 39-64.

2. Boudon, R. 1986: *Theories of Social Change*. Oxford : Policy Press.

3. C a l l o n, M. and Latour, B. 1981: *Unscrewing and the Big Laviathan : How Actors Macro-Structure Reality and How Sociologists Help them to do so*, In K. Knorr-Cetina and A. V. Cicourel (eds.), Advances in Social Theory and Methodology : Towards an Integration of Micro- And Macro-Sociology. London : Routledge.

4. H i n d e s s, B. 1986: *Actors and Social Relations*. in M.L. Wardell and S.P. Turner (eds.), Sociological Theory in Transition. London: Allen and Unwin.

5. M o u z e l i s, N. 1993: The Poverty of Sociological Theory. *Sociology 27*, pp. 676-95.

6. S i b e o n, R. 1997: Power, Agency/Structure and Micro-Macro: an excursus in Anti-Reductionist Sociology. British Sociological Association. Annual Conference.

7. S i b e o n, R. 1999: Anti-Reductionist Sociology. *Sociology 33*, pp. 317-334.

დასკვნის მაგივრ

როგორც ჩატარებულმა ანალიზმა დაგვანახა, სოციალური მოქმედების ფენომენის კვლევის სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია. ძალზე მოკლედ თუ გადავავლებთ თვალს ამ სპექტრს, იგი ასე გამოიყურება: სოციალურ მოქმედებას იკვლევენ, როგორც

ა) სუბიექტური საზრისის მქონე, სხვაზე ორიენტირებულ ქცევას (ვებერი);

ბ) სოციალური და კულტურული სისტემებით დეტერმინირებული პიროვნული სისტემის ნაწილს (პარსონსი);

გ) რაციონალურ არჩევანზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცედურის პრაგმატულ რეზულტატს (რაციონალური არჩევანის თეორია);

დ) სხვათა როლების ათვისებაზე ორიენტირებულ ინტერაქციას (სიმბოლური ინტერაქციონიზმი);

ე) სოციალური ცხოვრების ქმნადობის (წარმოების) და რეპროდუქციის მექანიზმს (გიდენსი);

ვ) გაუთვალისწინებელ (დისკრეტულ) ხდომილობათა შემთხვევით კავშირს, მეტ-ნაკლები სტაბილურობის პერსპექტივით (ანტირედუქციონისტული მიდგომა).

წარმოდგენილი თვალსაზრისები არ ამოწურავს სოციალური მოქმედების ინტერპრეტაციათა შესაძლებლობას. ეს კიდევ ერთი საბუთია იმის ნათელსაყოფად, რომ სოციალური მოქმედების თეორიები ნაყოფიერ საკვლევ ნიადაგს წარმოადგენს სოციოლოგებისათვის.

შეკვეთა №168 ტირაჟი 500

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება
„მეცნიერება“
თბილისი, 380060, დ.გამრეკელის 19